ბიორნსტიერნე ბიორნსონი

არნივის ბუღე

მოთხრობები

თარგმნა
გოდერძი რუხაძემ

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-4568
ISBN 978-9941-440-00-7

© გამომცემლობა „ინტელექტი", 2012

„...ეპიკური და დრამატული ტალანტისათვის“

ნორვეგიელი პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი და ჟურნალისტი **ბიორნსტიერნე ბიორნსონი** დაიბადა 1832 წელს ლუთერანელი პასტორის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება შინ მიიღო, შემდეგ სწავლობდა ზღვისპირა ქალაქ მოლდეს სკოლაში. გამოირჩეოდა აქტიური ლიტერატურული საქმიანობით – წერდა ლექსებს, სცემდა ხელნაწერ გაზეთს.

1849 წელს ბიორნსონი ჩადის ქრისტიანიაში (ახლანდელი ოსლო) და ემზადება უნივერსიტეტში შესასვლელად. აქ იგი ხვდება **ჰენრიკ იბსენსა** და სხვა ცნობილ ნორვეგიელ მწერლებს. უნივერსიტეტის სტუდენტი კი ხდება 1852 წელს, მაგრამ მომდევნო წელსვე თავს ანებებს სწავლას და აქტიურად ებმება დედაქალაქის პოლიტიკურ, თეატრალურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. ორი წლის მანძილზე სხვადასხვა გაზეთში იბეჭდებოდა მისი თეატრალური მიმოხილვები და კრიტიკული სტატიები. ნარკვევში „როგორ გავხდი პოეტი“, მომავალმა ნობელიანტმა საზეიმოდ დადო ფიცი, რომ შექმნიდა „წინაპართა გალერეას“ ისტორიულ პიესებში, რათა ნორვეგიელთათვის აღედგინა ნაციონალური ღირსების შეგრძნება. ამ დროიდან მოკიდებული იგი ხელიდან არ აგდებს კალამს: თხზავს ლექსებსა და პოემებს, რომანებსა და მოთხრობებს, მთელ მსოფლიოში პოპულარულ პიესებს. რასაც არ უნდა შეხებოდა, იქნებოდა ეს სოფლებში მოსმენილი ისტორიები, ისტორიული ქრონიკები, თანამედროვე ცხოვრების ფურცლები – ყველაფერი განმსჭვალული იყო ნორვეგიელთა წარსულის სულიერი ერთობით თანამედროვეობასთან, მშობლიური ხალხის თავისებურებათა განდიდებით.

პატრიოტმა ნორვეგიელმა გააჩაღა კამპანია ნორვეგიული ნაციონალური თეატრის შესაქმნელად. მიზნად დაისახა აღესრულებინა თავისი ვალი ნაციონალური თეატრის წინაშე, 1857 წელს იგი ხდება ახალი „ნორსკე თეატრის“ დირექტორი ბერგენში. მომდევნო წელს ქორწინდება მსახიობ **კაროლინა რეიმერსზე**, რომელთანაც რამდენიმე შვილი შეეძინება. ერთი მათგანი **ბიერნი** ხდება ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, ხოლო ქალიშვილი **ბერგულიუტი** ცოლად მიჰყვება იბსენის ვაჟს **სიგურდს**. თეატრში მოღვაწეობასთან ერთად ბიერნსტიერნე ბიორნსონი სცემს გაზეთს, ჩაბმულია პოლიტიკაში. მისი ლექსი **„დიახ, ჩვენ გვიყვარს ეს მინა“**, დაწერილი 1859 წელს, შემდგომში საფუძვლად დაედო ნორვეგიის სახელმწიფო ჰიმნს.

1860-იანი წლების ბოლოს აყვავების ხანას აღწევს ბიორნსონის პოეტური შემოქმედება. 1870 წელს გამოდის **„ლექსები და სიმღერები“**, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში კომპოზიტორებმა სიმღერებად აქციეს.

1873 წლამდე ბიორნსონი უმთავრესად წერს მოთხრობებსა და პიესებს ისტორიულ თემებზე. როგორც იბსენთან, მასთანაც მთავარი პერსონაჟები არიან გლეხები და შუა საუკუნეების გმირები ნორვეგიული საგებისა. ერთი კრიტიკოსის თქმით, ბიორნსონი *„ნორვეგიელ გლეხში ხედავდა ნაციონალურ დიდებას; იგი სმენას მიაპყრობდა ერის გულისცემას, ისმენდა მიჩქმალული იმედის ფეთქვას. და როდესაც ყოველივე ამან ჩქამი გაიღო და აუღერდა, თითოეულმა სკანდინავიელმა იგრძნო, რომ ეს საკუთრივ მისი ხმა იყო“*.

ნობელიანტის პირველ პიესად მიჩნეულია **„ბრძოლათა შორის“** (1857), რომელიც შეეხება XII საუკუნის ნორვეგიის დრამატულ მოვლენებს. მას მოჰყვა **„კოჭლი ვაულდა“** (1858), **„მეფე სვერი“** (1861), **„ბოროტი სიგურდი“** (1863) და **„მარიამ სტიუარტი შოტლანდიაში“** (1864). ტრილოგია **„კოჭლი სიგურდი“**, რომელიც მოგვითხრობს შუასაუკუნეების ტახტის საიდუმლო პრეტენდენტზე და შექმნილია ნორვეგიული საგების მოტივზე, აღიარებულია რო-

გორც ბიორნსონის საუკეთესო ქმნილება და შედარებულია იბსენის დრამასთან „ბრძოლა ტახტისათვის“.

1873-1876 წლებში მწერალი რომში ცხოვრობს. ამ დროს იგი უკვე ინდიფერენტულია ფოლკლორული და ისტორიული თემების მიმართ და იარაღად სოციალურ კრიტიკას იმარჯვებს. ნორვეგიის კულტურული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მედგარი დამცველი იზიარებს „პანსკანდინავიზმის“ იდეებს, იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო სამოქალაქო უფლებებისათვის. დიდი ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრების შემდეგ იგი 1893 წელს ბრუნდება სამშობლოში. ხშირად მოგზაურობს დანიაში, საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. 80-იან წლებში ქმნის საუკეთესო „პრობლემურ“ პიესებს – **„სახელო“** (1883), **„რაც ჩვენს ძალებს აღემატება“** (1886), **„სიყვარული და გეოგრაფია“** (1885). 1884 წელს ბიორნსონმა დაწერა საკმაოდ რომანი **„დროშები ფრიალებენ ქალაქისა და ნავსადგურის თავზე“**, რომელიც მოგვითხრობს სკოლაში გოგონების სექსუალური აღზრდის თაობაზე. მეორე რომანში **„ღვთის გზით“** (1889) გამოკვლეულია კონფლიქტი მეცნიერებასა და რელიგიას შორის.

1903 წელს ბიორნსტიერნე ბიორნსონი ჯილდოვდება ნობელის პრემიით „კეთილშობილური, მაღალი და მრავალმხრივი პოეზიისათვის, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა შთაგონების სიცხოველით და სულის იშვიათი სიწმინდით, აგრეთვე ეპიკური და დრამატული ტალანტისათვის“.

თავის სანობელო ლექციაში ბიორნსონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტმა მწერალმა უნდა შეძლოს ერთმანეთისაგან განასხვავოს კეთილი და ბოროტი: *„კარგმა და ცუდმა იდეებმა თავისი როლი ითამაშეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ისინი შემადგენელი ნაწილი არიან ჩვენი მიდრეკილებისა ცოდნისადმი და კვებავენ ჩვენს ენერგიას... ნებისმიერი ხელოვნების მიზანი ამ იდეათა გამოხატვა უნდა იყოს“.*

ბიორნსტიერნე ბიორნსონის უკანასკნელი დრამა **„როდის აყვავდება ახალი ვაზი“** გამოქვეყნდა 1909 წელს.

ნობელიანტი გარდაიცვალა 1910 ნელს.

სახიფათო დანინდვა

ასლაუგი რომ წამოიზარდა, ხუტორ ჰიუსებიუს შფოთიანი დღეები უდგა. იშვიათად თუ გამოერეოდა ღამე, მრევლის ახალგაზრდებს ჩხუბი არ აეტეხათ მისი გულისთვის. კვირის ნინა საღამოს ხომ ისეთები ხდებოდა, რომ მოხუცი კნუტ ჰიუსებიუ ტყავის შარვალგაუხდელად წვებოდა და გვერდით უზარმაზარ ხელკეტს იდებდა. „თუ ქალიშვილი გაზარდე, უნდა დაიცვა კიდეც", – ამბობდა ხოლმე.

ტურე ნესეტი ღატაკის შვილი იყო, მაგრამ ჭორად დადიოდა, რომ თითქოსდა იგი ხშირად აკითხავდა მდიდარი კნუტის ქალიშვილს. ამის გაგონებაზე კნუტი ჭკუას კარგავდა და მზად იყო დაეფიცა, რომ ყველაფერი ეს მტკნარი სიცრუეა, რადგანაც „თვითონ ბიჭისთვის არასოდეს მოუკრავს თვალი ხუტორში". მეზობლებს ეცინებოდათ ულვაშებში: კნუტს არ გაუჭირდებოდა ტურეს პოვნა, სახლთან კინკლისთავების გაშველების ნაცვლად ღობე-ყორეები მოეჩხრიკა ყურადღებით.

დადგა გაზაფხული, ასლაუგი შორეულ იალაღზე გაგზავნეს მთებში. ველზე უფრო და უფრო მწვავედ აცხუნებდა, მაგრამ მთის საძოვრიდან გრილი ნიავი ქროდა; მკაფიოდ ისმოდა ზანზალაკების წკარანკური, ძაღლების ყეფა, მწყემსის საყვირი და ასლაუგის გადაძახილი: ჰა-უ! ახალგაზრდები, მინდვრებში რომ მუშაობდნენ ამ დროს, ქვევით, ვერ იტანდნენ ყველაფერ ამის გაგონებას. ამიტომ, როგორც კი დადგა შაბათი, ისინი შორეული საძოვრისკენ გაეშურნენ ცალ-ცალკე. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა ასულიყო იქ, მაგრამ უფრო ჩქარა

მოუხდათ გამოქცევა იქიდან: მწყემსის ქოხის კართან ვილაც ჭაბუკი უდარაჯებდა მათ, უთავაზებდა თითოეულს უროსავით მჯიღს და თან დაემუქრებოდა გაქცეულს: „ერთხელაც მოგიყვია ცხვირი აქ და თავს დააბრალე, რაც მოგივა“.

ყველა ერთი აზრისა იყო: მთელს ხუტორში ასეთი უროსავით მუშტები მხოლოდ ტურე ნესეტს აქვს. და რახან ამ გლახაკმა მოხუცი კნუტ ჰიუსებიუს მთის საძოვარზე მოიკალათა, მდიდარი ვაუბატონების ნაშიერთ ცხვირი აღარ შეეყოფათ იქ.

როგორც კი ეს ხმები მოხუცი კნუტის ყურამდე მივიდა, იგი მაშინვე მიხვდა: თუ თვითონ და მისი ვაჟიშვილები არ ასწავლიან ტურეს ჭკუას, სხვა ვერავინ ვერაფერს გახდება. კნუტი იმხანად სამოცს გადაცილებული იყო და არც ჯან-ღონე მოსდევდა ძველებურად, მაგრამ მეზობლების სასეიროდ არც ახლა უდებდა ტოლს უფროს ვაჟიშვილს.

მოხუცი კნუტის მთის საძოვრისკენ ერთი გზა მიდიოდა, პირდაპირ ჰიუსებიუდან. სწორედ ამ გზას მიუყვებოდა ხოხვით შემდეგ შაბათ საღამოს ტურე, რომ უცებ სათივის გვერდით მუშტებით მივარდა ვილაც.

– შენ ჩემთან რა გინდა? – აღშფოთდა ტურე. ჩხუბისთავის ძვლებმა ტკაცატკუცი გაიღო.

– ახლა გაიგებ! – ვილაცამ თქვა მის ზურგს უკან და კინწი ჰკრა.

– ესეც ჩემგან! – მიირბინა მოხუცმა კნუტმაც და მკერდში გაარტყა ტურეს.

თუმცა ჯაბანი არც ტურე გახლდათ: ატყდა ერთი ლაწალუწი. ტურე იგრიხებოდა ტირიფის წკნელივით, მოქნეულ მუშტს ირიდებდა, ციბრუტივით ტრიალებდა, და სეტყვასავით აყრიდა მუშტებს მომხდურთ. მასაც კარგა რიგიანად მოხვდა, რა თქმა უნდა, მაგრამ, როგორც მოხუცი კნუტი აღიარებდა შემდეგ, მეორე ასეთ ღონიერსა და მკვირცხლ ჭაბუკთან მანამდე არასოდეს მოსვლია ჩხუბი. საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა, მოხუცმა კნუტმა ხმა აღიმაღლა:

– მორჩა, – და თან დაუმატა: – გასცდები მომავალ შაბათს საღამოს ბებერ ჰიუსებიუელ მგელსა და მის ლეკვებს და – გოგო შენია!

ტურემ რის ვაივაგლახით მიაღწია ბინამდე და ლოგინში ჩაწვა. მალე მეზობლებმა გაიგეს ამ ცემა-ტყეპის ამბავი. ყველა ერთი აზრისა იყო: „მოუხდება მასე. რა ეგონა, ცხვირს რომ ჰყოფდა იქ.“ ასლაუგი კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. იგი იმ საღამოს ტურეს ელოდა, და როცა გაიგო, რა ამბავიც დატრიალდა მასა და მამას შორის, მწარედ ატირდა და თავისთვის თქვა: „თავი არ მინდა ცოცხალი, თუ ტურე არ იქნა ჩემი!“

ტურე მთელი კვირადღე იწვა, ვერც ორშაბათს მოახერხა წამოდგომა. დადგა სამშაბათი. ო, რა მშვენიერი დღე იყო ეს. მინდვრებში ბალახი ღამის წვიმის შემდეგ მწვანედ ხასხასებდა. ფანჯარა ღია იყო და ოთახში ხეების საამო სურნელი იდგა. შორიდან ზანზალაკების წკარუნი ისმოდა, მავანი ჰაუ-ს გასძახოდა მავანს და მწყემსის საყვირი რაკრაკებდა. ტურეს უცებ უნებლიეთ აუჩვილდა გული და, დედა რომ არ ყოფილიყო აქ, ტირილს ვერ შეიმაგრებდა ჯავრისა და მოუთმენლობის გამო.

ტურე ოთხშაბათსაც ვერ წამოდგა ლოგინიდან, ხუთშაბათს სერიოზულად დადარდიანდა, ვაითუ ვერც შაბათისთვის გამოვჯანმრთელდეო, მაგრამ პარასკევს უკვე ფეხზე იყო. მოხუცი კნუტის სიტყვები: „გასცდები მომავალ შაბათს ბებერ ჰიუსებიუელ მგელსა და მის ლეკვებს და – გოგო შენია!“ – ჩაჭედილი ჰქონდა თავში. იგი მთელი დღე აჰყურებდა ჰიუსებიუს. „არა, კიდევ ერთი მიბეგვის გარდა, ვერაფერს გამოვრჩები იქ“, – უტრიალებდა თავში.

მოხუცი კნუტის მთის საძოვრამდე, როგორც ვიცით, ერთადერთი გზა მიდიოდა, პირდაპირ ჰიუსებიუდან. მაგრამ, განა ისეთმა გულადმა ჭაბუკმა, როგორიც ტურეა, არ შეიძლება სულაც უიმგზოდ გავიდეს იოლად? იგი ცდის ნავით მოუაროს იმ შორეულ კონცხს და მეორე მხრიდან მიადგეს მთას, იქ კი უკვე მისი საქმეა, როგორ აცოცდეს ციცაბო ფერდზე, სადაც მთის ვაცებიც ვერ იკიდებენ ფეხს.

დადგა შაბათი, ტურე მთელი დღე დაეხეტებოდა მინდვრებში. მზე კაშკაშებდა, მთის საძოვარზე სადაცაა გაისმოდა ჰაუ-ს გადაძახილი და მწყემსის საყვირის ხმა. საღამოს, როცა ნისლი თეთრად წამოიშალა ველიდან და მთის ფერდობებს შეეფინა, ტურე მოემზადა. ერთხანს ზღურბლზე ჩამოჯდა, მთის საძოვარს ახედა. – სიჩუმეს არაფერი არღვევდა იქ. მერე უკანასკნელად შეავლო თვალი ჰიუსებიუს კარ-მიდამოსაც, ბიძგით მოსწყდა ნაპირს და კონცხის ირგვლივ გაცურა.

მწუხრისთვის ასლაუგი დღის სამუშაოებს მორჩა. ტურეს ლოდინს დღეს, რა თქმა უნდა, აზრი არ ჰქონდა, სხვები კი სავსებითაც არ ეხატებოდა გულზე. ამიტომ ძაღლებს ჯაჭვები ახსნა და, არავისთვის არაფერი უთქვამს, იქაურობას გაეცალა. იგი ფლატეესთან დაჯდა და ველს დაუწყო ყურება, მაგრამ ნისლში არაფერი არ ჩანდა, თანაც აქ ყველაფერი მომხდარს ახსენებდა. იგი ადგა და მეორე მხარეს წავიდა, სადაც მთას ყურე ადგა და ყურება დაუწყო ფორდს. ასლაუგი მალე საოცარმა სულიერმა სიმშვიდემ მოიცვა.

და უცებ თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ძველებური სიმღერა გააბა, რომელიც ყრუდ დაირხა ღამის სიჩუმეში, და მოულოდნელად მოეჩვენა, რომ თითქოსდა იმავე სიმღერით გამოეხმაურა ქვევიდან ვიღაც. „ღმერთო, ვინ შეიძლება იყოს ეს?“ – გაუელვა ასლაუგს, ფლატეს კიდეს მივარდა და არყის წვრილ ტოტს მოკიდებულმა უფსკრულს ჩახედა. დიდხანს უყურა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. ქვევით ფიორდი იშლებოდა, მშვიდი და ჩუმი, ჩიტებიც კი არ ჩანდა ახლომახლო. ასლაუგი უფსკრულს მოსცილდა, თავისი სიმღერა გააბა კვლავ და კვლავ იგივე ხმა გაეპასუხა, ოღონდ ახლოს... „ვიღაც უნდა იყოს იქ!“ – გაიფიქრა ასლაუგმა, წამოიჭრა და ისევ გადაეყუდა უფსკრულს. მოულოდნელად ნაპირთან ნავს მოჰკრა თვალი, სავსებით ერთ ციცქნას, ლოკოკინის ნიჟარის ტოლს. ცოტათი ზემოთ კი, ციცაბო ფერდზე, ვიღაც წითელქუდოსანი გაჯახირებით მობობღავდა. „ღმერთო, ვინ უნდა იყოს ეს?“ – გაიფიქრა ასლაუგმა, არყის ხელს ხელი უშვა და ნაპირის ბექიდან უკან

გადახტა. თავის თავსაც ვერ უტყდებოდა, მაგრამ ახლა ზუსტად იცოდა მან, ვინც იყო იგი. ასლაუგი მიწას დაემხო და ისე მაგრად ჩაბღუჯა ორივე ხელით ბალახი, თითქოს ტურეს კი არა, თვითონ მას ემუქრებოდა საფრთხე. ბალახი ბელტთან ერთად შეინძრა. მან შეჰყვირა და მხურვალედ დაიწყო ლოცვა. ამაო ხომ არ არის ეს, ახალ ცდუნებას ხომ არ აჰყვა ტურე? „ერთხელ, მხოლოდ ერთხელ!“ – ლოცულობდა იგი და ისე იკრავდა ძაღლს, თითქოს ტურე ყოფილიყო იგი. ხან ბალახში რგავდა თავს ასლაუგი, ხანაც იტრუნებოდა და სმენად იქცეოდა. დრო კი უსასრულოდ იწელებოდა და იწელებოდა.

უცებ ძაღლი ხელიდან გაუსხლტა. „ჰამ, ჰამ!“ – აყეფდა იგი კუდის ქნევით უფსკრულის პირას. „ჰამ, ჰამ!“ – გაეპასუხა ექო და წითელქუდოსანი თავიც გამოჩნდა უფსკრულის კიდესთან. წამიც და ტურე ასლაუგის გვერდით გაჩნდა. დიდხანს ისხდნენ ისინი, ისხდნენ და დუმდნენ, ხოლო, როცა ტურემ სული მოითქვა ბოლოს და ბოლოს და შეეძლო ლაპარაკი, დალაგებულად მაინც ვერა თქვა რა.

სამაგიეროდ მოხუცმა კნუტმა, როცა ყველაფერი გაიგო, ფრიად დალაგებულად თქვა: „ვერაფერს იტყვი, ძალიანაც შესაფერისი ახალგაზრდაა, – დაე მისი იყოს გოგო!“

1856

დათვებზე მონადირენი

პასტორის უფროს ვაჟზე ცრუპენტელას მთელს სამრევლოში ვერ იპოვიდით სანთლით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას ძალიან უყვარდა კითხვა, გლეხები სიამოვნებით უსმენდნენ მის ამბებს და თუკი განსაკუთრებით მოეწონებოდათ რაღაც, ისიც მაშინვე იგონებდა მათთვის მოსაწონ ახალ ისტორიას. მეტწილად ძლიერი და ვაჟკაცური ადამიანებისა და სიყვარულის შესახებ ყვებოდა, თუმცა ეს სამიჯნურო ამბები ხშირად ადამიანების დაღუპვით მთავრდებოდა.

როგორღაც პასტორმა შენიშნა, რომ კალოობა უფრო და უფრო უხეიროდ მიდიოდა კარაპანზე. გადაწყვიტა გაეგო, რაში იყო საქმე. აღმოჩნდა, რომ ტურვალდი რაღაც ისტორიებს უამბობდა მუშებს. მერე პასტორმა შენიშნა, რომ შეშის შეტანასაც უკლეს კარ-მიდამოში. მოინახულა იქაურობა და რას ხედავს, ჩამდგარა ისევ ტურვალდი მუშებში და უყვება მათ ამ მთისას და იმ ბარისას. „ბოლო უნდა მოეღოს ამას“, – გადაწყვიტა პასტორმა და ბიჭი სახალხო სკოლაში მიაბარა.

ამ სკოლაში გლეხის შვილები სწავლობდნენ მხოლოდ, მაგრამ შინა მასწავლებლის დაქირავების თავი პასტორს არ ჰქონდა. ტურვალდი რვა დღის მისული არ იყო სკოლაში, რომ ერთი მისი ამხანაგი ფერდაკარგული მოლასლასდა და გაჭირვებით ამოღერღა, რომ გზაზე ჭინკა შეხვდა. მეორეს ხომ სულ მკვდრის ფერი ედო: მან საკუთარი თვალით ნახა ნავმისადგომთან უთავო კაცი, რომელიც ნავებთან ცოდვილობდა. ერთხელ კი პატარა კნუტ პლასენი და მისი პატარა დაიკო დაზაფრულები მოცვივდნენ ტირილით: პასტორის ტყეში დათ-

ვი ღრიალებდა. ცეროდენა მარიტმა ისიც კი დაინახა, როგორ ყრიდა იგი ნაკვერჩხლებს რუხი თვალებიდან. აქ კი გაუწყდა მოთმინების ძაფი მასწავლებელს. მან სახაზავი დაარტყა მაგიდას და იკითხა: ღმერთმა შეუნდოს და ეს რა ეშმაკი შეუჯდა ამ ბავშვებს?!

– თქვენ ჭკუა ხომ არ დაკარგეთ ყველამ! – თქვა მან. – ყოველი ბუჩქის ძირას ტყის სულები გელანდებათ, ყოველ ნავთან წყლის კაცები, ამ შუა ზამთარში კი დათვიც გამოტყვრა საიდანღაც. თქვენ რა, ღმერთის აღარა გწამთ უკვე და ყველანაირი ეშმაკეულის გწამთ? ქაჯებისა და დათვების, არხეინად რომ დასეირნობენ ქვეყანაზე?

მერე მასწავლებელი ცოტა მოლბა და ცეროდენა მარიტს ჰკითხა, ნუთუ მას მართლა ეშინია შინ მარტო წასვლა. პაწაწინას ენა დაება და სლუკუნით მიუგო, რომ ძალიან ეშინია. მაშინ მასწავლებელმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში გოგონას, როგორც ყველაზე უფროსი, ტურვალდი გააცილებდა სახლში.

– არა, არა, მაგანაც ნახა დათვი! – ატირდა მარიტი. – თვითონ გვითხრა.

მასწავლებელმა მრისხანედ შეხედა ტურვალდს. ტურვალდი აიბუზა. მასწავლებელმა მრავალმნიშვნელოვნად გაისვა სახაზავი მარცხენა ხელისგულზე. ტურვალდს სულ წაუხდა ნირი.

– შენც ნახე დათვი? – ჰკითხა მშვიდად მასწავლებელმა.

– ჩვენი მოჯამაგირე მართლა იყო კაკბებზე სანადიროდ და დათვის ბუნაგს წააწყდა პასტორის ტყეში, – მიუგო ტურვალდმა.

– შენ თვითონ თუ ნახე დათვი?

– ერთი კი არა, ორი დათვი იყო იქ, შეიძლება ბელებიც ჰყავდათ. ბებერი დათვები ხომ პატარა ბელებსაც დაატარებენ თან.

– შენ თვითონ თუ ნახე ისინი? – გაუმეორა მასწავლებელმა დაყვავებით და კვლავ გაისვა სახაზავი ხელისგულზე.

ტურვალდი შეყოვნდა და მიუგო:

– ყოველ შემთხვევაში ლარს ჩუბინმა რომ მოკლა შარშან, ის დათვი ვნახე.

მასწავლებელი მიუახლოვდა და ისეთი უწყინარი ხმით ჰკითხა, რომ ბიჭს შეეშინდა.

– ის დათვები თუ ნახე, პასტორის ტყეში რომ ღრიალებდნენ, გეკითხები შენ.

ტურვალდმა არაფერი უპასუხა.

– იქნებ, გაიხსენო ახლა, რომ ამჯერად ცოტა შეცდი? – ჰკითხა მასწავლებელმა, წაავლო ქეჩოში და სტკუცა სახაზავი. ტურვალდი ხმას არ იღებდა, დანარჩენ ბავშვებს მისკენ გახედვაც კი ვერ გაებედათ. მასწავლებელმა ფრიად სერიოზულად თქვა:

– სირცხვილია, როცა პასტორის ვაჟი ცრუობს, მაგრამ უფრო უარესია, როცა იგი სიცრუეს ასწავლის საბრალო გლეხის შვილებს.

და ბიჭს ხელი გაუშვა.

მაგრამ მეორე დღეს, როცა მასწავლებელი პასტორთან გამოიძახეს და ბავშვები დამოუკიდებლად მეცადინეობდნენ, მარიტმა თვითონ სთხოვა ტურვალდს რაიმე ეამბნა მისთვის დათვების შესახებ.

– შენ შეგეშინდება ისევ, – უთხრა მან.

– არა უშავს, მოვითმენ! – მიუგო მარიტმა და ძმას მიუჩოჩდა.

– დღეს იქნება თუ ხვალ, მოკლავენ იმ დათვს მალე, – თქვა ტურვალდმა. – სამრეველოში ერთი ახალგაზრდა ჩამოვიდა მის მოსაკლავად. როგორც კი პასტორის ტყეში დათვის ბუნაგის შესახებ გაიგო ლარს ჩუბინმა, მაშინვე იქ გაჩნდა, თუმცა შვიდი დღის სავალზე იყო დაშორებული ჩვენგან. თან თავისი თოფიც მოიტანა – იმსიმძიმე, როგორც წისქვილის ქვა, და იმსიგრძე, აქედან და... აქედან და ჰანს ვოლდენის მერხამდე.

– ა-რა-ა! – ახმაურდნენ ბავშვები.

– იცი რამსიგრძე? – გაიმეორა ტურვალდმა. – როგორც აქედან სკამამდე.

– შენ ნახე? – ჰკითხა ულე ბიოენმა.

– თოფი? ლარსთან ერთად არ ვწმენდდი თვითონ?! ლარსი კი, ნურას უკაცრავად, ყველას არ იყვანს ქარგლად. თოფს ვწმენდდიი თუ არა, არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ჩახმახს ვწმენდდი. ადვილი საქმე არ არის ეს.

– ამბობენ, რომ ეს თოფი მიზანს აცდენს ამ ბოლო ხანებში, – შენიშნა ჰანს ვოლდენმა.

– ჰო. მას შემდეგ, რაც ლარსმა მძინარეს ესროლა დათვს ოსმარკში. ახლა სამი გამოკვრიდან ორში გიმტყუნებს, ერთში ააცდენ.

– აბა რა იქნება, თუ მძინარე დათვს ესროლა, – თქვეს გოგონებმა.

– სულელი! – დაურთეს ბიჭებმა.

– თოფი ერთი ხერხით სწორდება მხოლოდ, – თქვა ულე ბიოენმა, – ლულაში უნდა გააძვრინო ცოცხალი გველი.

– ეს ვიცით უკვე, – თქვეს გოგონებმა. მათ რაღაც ახლის გაგონება უნდოდათ.

– ახლა ზამთარია, გველები არ არის, ჯობს, თავისი თოფის იმედი არც ჰქონდეს ლარსს, – დაფიქრებით თქვა ჰანს ვოლდენმა.

– ნილს ბიოენს თუ წაიყვანს თან იგი? – იკითხა ტურვალდმა.

– წაიყვანს! – თქვა ბიოენელმა ბიჭმა. იგი სხვებზე უკეთ იყო ჩახედული ამ მხრივ. – ოღონდ დედა და დები არ უშვებენ ნილსს დათვებზე. მამამისი ხომ დათვს ემსხვერპლა შარშან საძოვარზე შეტაკებისას. ახლა მათ ნილსის გარდა აღარავინ ჰყავთ.

– ნუთუ ასე საშიშია ეს? – იკითხა ერთმა პატარა ბიჭმა.

– საშიშია? – გაიმეორა ტურვალდმა. – დათვი ხომ ათ კაცს სჯობია ერთად ჭკუით და თორმეტს ღონით.

– გაგვიგონია ესეც, – ისევ თქვეს გოგონებმა. ბოლოს და ბოლოს ახალი საინტერესო ამბავის გაგება უნდოდათ მათ.

– ლარსმა ამაოდ მიაკითხა სამჯერ ზედიზედ ნილსს, ვერ დაიყოლია, – თქვა ულემ, რომელსაც ახარებდა, რომ მანაც იცოდა რაღაც. – გუშინ ცეკვებზე ერთმა ბიჭმა ხმამაღლა თქვა: „მე კი არც ვიცოდი, რომ ცხენს კურდღელი შეიძლება გაუჩნდეს“. და ნილსს შეხედა. გავიხედოთ და რანდი სულოსი არ შემოვიდა ამ დროს, ნილსის საცოლე? „არა მგონია, შენს საქორწილო მარხილში დათვის ტყავის ფეხთსაბური ეგოს, რანდი“, – დაუმატა მან. დღეს კი ალიონზე, როცა ჯერაც ყველას ეძინა, დავინახე, ნილს ბიოენი, ლარს ჩუბინი და კიდევ ვიღაც მთებისკენ გაემართნენ თოფებით. პასტორის ტყეში ხომ არ წავიდნენ, ნეტავ?

– ადრე იყო? – გუნდურად იკითხეს ბავშვებმა.

– ძალიან ადრე. მე დედაზე უწინ ავდექი და თვითონ შევანთე ღუმელი.

– ლარსს ის გრძელი თოფი ჰქონდა? – ჰკითხა ჰანსმა.

– ის ჰქონდა, არ ჰქონდა, არ ვიცი. მაგრამ თოფი, რომელიც მას მიჰქონდა, იმსიგრძე იყო, როგორც აქედან სკამამდე.

– ცხელი ტყუილი! – თქვა ტურვალდმა.

– შენ ასე არ თქვი? – შენიშნა ბიჭმა.

– არა, ის თოფი აღარ ისვრის უკვე.

– ეს თოფი კი, ყოველ შემთხვევაში, იმსიგრძე იყო, როგორც აქედან თითქმის სკამამდე.

– ესე იგი, წაუღია და ეგაა.

– არ გინდა? – თქვა მარიტმა, – ისინი დათვებზე სანადიროდ მიდიან ახლა.

– და შეიძლება სწორედ ამ წუთას ხდება მათ შორის შეტაკება, – დააყოლა ტურვალდმა. ღრმა, თითქმის საზეიმო დუმილი ჩამოვარდა.

– აბა, წავედი! – ქუდს დაავლო ხელი ტურვალდმა.

– წადი, წადი! იქნებ გაიგო რამე! – აჟრიამულდნენ ბავშვები.

– მასწავლებელი? – იკითხა ტურვალდმა და შეჩერდა.

– მერე რა! შენ ხომ პასტორის შვილი ხარ! – შენიშნა ულე ბიოენმა.

– თუ გამიბედა და... ხელი... – მრისხანედ თქვა ტურვალდმა და მაგიდას დაარტყა მუშტი.

– შენც შეუბრუნებ? – იკითხეს ბავშვებმა, რომლებიც ცნობისმოყვარეობისგან ინვოდნენ.

– ვინ იცის? – უცნაურად თქვა მან და წავიდა.

ბავშვებს, სანამ ტურვალდი არ იყო იქ, უნდოდათ ემეცადინათ, მაგრამ მეცადინეობა არ შეეძლოთ. არაფერი შესდიოდათ თავში. ყველა იმას ფიქრობდა, როგორ მიდის დათვებზე ნადირობა. ჰანსმა სანაძლეო დაუდო ულეს, რომ ლარსს თოფმა უმტყუნა და დათვი უკვე ეძგერა მას. პატარა კნუტ პლასენის აზრით, არც ერთს არ ადგა კარგი დღე ახლა. გოგონებმა გაიზიარეს მისი აზრი. ამ დროს ტურვალდიც მობრუნდა.

– წავედით! – იყვირა ტურვალდმა, მოქაჩა თუ არა კარს. მღელვარებისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– მასწავლებელი? – იკითხა ერთმა.

– ჯანდაბას მაგის თავი! დათვი! დათვი! – ყვიროდა იგი.

– მოკლეს დათვი? – ძლივს გასაგონად იკითხა ერთ-ერთმა, დანარჩენები გაინაბნენ.

ტურვალდი იჯდა, მძიმედ სუნთქავდა. მერე წამოვარდა, სკამზე შეხტა და ქუდის ქნევით იყვირა:

– წავედით! მე ვიღებ ჩემს თავზე ყველაფერს!

– კი, მაგრამ სად? – იკითხა ჰანსმა.

– ყველაზე დიდი დათვი უკვე მოათრიეს სოფელში, დანარჩენები კი ტყეშია ისევ.

ლარსმა ააცილა, დათვები თავს დაესხნენ, ნილსი დაიჭრა. იმ ბიჭმა, მათ რომ ახლდათ, თავი მოიმკვდარუნა და დათვმა ხელი არ ახლო, გადარჩა. ხოლო ლარსმა და ნილსმა კი, გაუსწორდნენ თუ არა თავის დათვს, მეორესაც მოუღეს ბოლო. ვაშა!

– ვაშა! – იქუხეს ბავშვებმა, წამოცვივდნენ თავიანთი ადგილებიდან, გავარდნენ ქუჩაში, გადაირბინეს მინდორი და ტყისკენ გაექანნენ. მასწავლებელი არავის ახსოვდა.

გოგონები წუწუნებდნენ, რადგანაც უკან რჩებოდნენ ბიჭებს. მაშინ ბიჭები ხელს სჭიდებდნენ მათ და ერთად გარბოდნენ.

– ოღონდ დათვს არ ახლოთ ხელი! – გააფრთხილა ისინი ტურვალდმა. – შეიძლება გაცოცხლდეს!

– მართლა? – იკითხა მარიტმა.

– მართლა. აბა! დათვი შეიძლება გაცოცხლდეს სრულიად სხვა სახით, ამიტომ ფრთხილად!

ყველანი გარბოდნენ.

– ლარსმა ათჯერ ესროლა ყველაზე დიდ დათვს, სანამ მოკლავდა, – თქვა ტურვალდმა, – წარმოგიდგენიათ? ათჯერ! ნილსმა კი თვრამეტჯერ ჩასცა დანა დათვს, სანამ არ წააქცია.

– ღმერთო! აი, დათვები!

ბავშვები ისე სწრაფად გარბოდნენ, რომ მიუხედავად ყინვისა, ოფლად იღვრებოდნენ.

აი, მიზანიც! ულე ბიოენმა კარი შეაღო და პირველი შეიჭრა სახლში.

– ფრთხილად! – უყვირა მას ჰანსმა.

მარიტი და კიდევ ერთი პატარა გოგონა, რომელთაც ბიჭები ეხმარებოდნენ სირბილში, მას მიჰყვნენ. ტურვალდი კარში ჩადგა, რომ ყველაფერი ერთბაშად დაენახა.

– ნახე, სისხლი! – უთხრა მან ჰანსს.

სხვები ვერ ბედავდნენ ოთახში შესვლას.

– შენ ხედავ დათვს? – ჰკითხა ერთმა გოგონამ ბიჭს, რომელიც გვერდით ედგა.

– ვხედავ. იგი ისეთი უზარმაზარია, როგორც კაპიტნის ყველაზე დიდი ცხენი, – მიუგო ბიჭმა და გოგონას უამბო, რომ დათვს რკინის ბორკილები ედო, მაგრამ წინა თათებზე უკვე განყვიტა ჯაჭვი და ახლა იგი კარგად ხედავს – დათვი ჯერაც ცოცხალია და ჭრილობიდან ღვარად მოთქრიალებს სისხლი!

ყველასთვის ცხადია, რომ მან ეს მოიგონა, მაგრამ მათ მართალი ეგონათ ყველაფერი, რადგანაც დათვიც დაინახეს, თოფიც, თვით ნილსიც, დათვთან შეტაკებისას მიღებული ჭრილობები ბინტით რომ ჰქონდა შეხვეული, და ბებერი ლარს ჩუბინიც, მათ რომ თავგადასავალს უამბობდა. ბავშვები ისე გაიტაცა მისმა ნაამბობმა, რომ ვერც შეამჩნიეს, როგორც მიუახლოვდა მათ უკან ვიღაც. ის ვიღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ სხვა ხმით:

– მე თქვენ გასწავლით ჭკუას, როგორ უნდა წახვიდეთ სკოლიდან ჩემი ნებართვის გარეშე!

ბავშვებმა შიშით იხუვლეს, ქუჩაში გაცვივდნენ და გავარდნენ სკოლაში უკან. მალე ისინი უკვე პატარა შავ გორგლებად ჩანდნენ, რომლებიც თოვლით დაფარულ მინდორზე მიგორავდნენ. ხოლო, როცა მასწავლებელი თავისი ბებრული ფეხებით ბოლოს და ბოლოს კოჭლობით დაბრუნდა სკოლაში, მან შორიდანვე გაიგონა, როგორც კითხულობდნენ ბავშვები: ხმამაღალი კითხვისგან ზანზარი გაუდიოდა კედლებს. თქმა არ უნდა, ეს მართლაც ჭეშმარიტი ზეიმი იყო – დათვებზე მონადირეთა შინ დაბრუნება! იმ დღეს დილიდან ბრწყინავდა მზე, საღამოს კი ჟინჟღლავდა. ამბობენ, რომ ასეთი დღეები მოსავლიან ზაფხულს მოასწავებდა.

1857

სიუნიოვე სულბაკენი

I

ფართო ველებზე განცალკევებით აღმართულ მომცრო ბორცვებს დილიდან საღამომდე აცხუნებს მზე. მათ, ვინც ბორცვებს შორის დაბლობებზე ცხოვრობენ და იშვიათად ხედავენ მზეს, სულბაკენს (მზიური მთა) ეძახიან. ახლა ჩვენ ერთ ქალიშვილზე გიამბობთ, რომელიც სწორედ ასეთ ბორცვზე ცხოვრობდა. ხუტორსაც, სადაც ის სახლობდა, ასე ერქვა – სულბაკენი. სულბაკენზე თოვლი გვიან მოდიოდა, შემოდგომობით, გაზაფხულზე კი სხვა ხუტორებთან შედარებით გვიან დნებოდა.

სულბაკენის მეპატრონეები გაუგელები* იყვნენ, მათ „მკითხველებსაც" ეძახდნენ, რადგანაც ისინი ბიბლიას მეტი გულმოდგინებით კითხულობდნენ, ვიდრე იმ ადგილთა სხვა მცხოვრებლები. ხუტორის პატრონს გუტორმი ერქვა, მის ცოლს კი – კარენი. მათ ბიჭი შეეძინათ, მაგრამ მალე მოუკვდათ და ისინი სამი წლის მანძილზე ეკლესიის აღმოსავლეთ ეკვდერში არ შესულან. მერე მათ გოგოც შეეძინათ, რომელსაც გარდაცვლილი ბიჭის სამახსოვროდ დაარქვეს სახელი. ბიჭს სიუვერტი ერქვა, გოგონას კი სიუნიევი დაანათლეს, რადგან, ბიჭის სახელის მსგავსი სხვა ვერაფერი მოიფიქრეს. მაგრამ დედა სიუნიოვეს ეძახდა, რადგან როცა გოგონა ჯერ სულ პატარა იყო, „სიუნიოვე ჩემო" უფრო ეადვილებოდა სათქმელად

---

* გაუგელები – ნორვეგიაში ერთ-ერთი პროტესტანტული სექტის დამაარსებლის, გაუგეს (1771-1824) მიმდევრები.

და გოგონა რომ წამოიზარდა, მერეც ის სახელი შერჩა. ყველას მიაჩნდა, რომ სიუნიოვე სულბაკენზე ლამაზი გოგო მთელ სამრევლოში არ იყო. ჯერ კიდევ პატარაობიდან იგი ყოველ კვირა დაჰყავდათ ეკლესიაში მშობლებს. მართალია, თავიდან პატარა სიუნიოვეს ეგონა, რომ პასტორი კათედრის წინ მჯდომ სლავებენტს კიცხავდა. მაგრამ მამას სურდა, რომ „გოგონა თანდათან შეჩვეოდა ეკლესიას"; დედასაც იგივე სურდა, „რადგან, ვინ იცის, იქნებ თვით უფალმა ღმერთმა დალოცა პატარა გოგონა და იგი ასეთი კარგი პატარა დიასახლისი გახდა". მართლაც, კრავი, თიკანი ან გოჭი თუ გაუხდებოდათ ავად, ანდა რამე მოუვიდოდა ძროხას, მათ მაშინვე სიუნიოვეს გადააბარებდნენ მოსავლელად, და დედას მიაჩნდა, რომ საცოდავი ცხოველიც უმალ იწყებდა მომჯობინებას. მართალია, მამას რამდენადმე განსხვავებული აზრი გააჩნდა ამის შესახებ, მაგრამ, ოღონდაც საქონელი გამოკეთდეს და სულერთი არ არის ვინ მოუვლის?

ველის მეორე მხარეს, მაღალი მთის ძირში კიდევ ერთი ხუტორი იყო – გრანლიენი (ნაძვის კალთა), რადგანაც მას ყოველი მხრიდან ხშირი ნაძვის ტყე ეკრა, ხოლო სხვა ტყე არც იყო მრავალ მილზე. გრანლიენის ახლანდელი მფლობელის პეპერა გოლშტინიაში იდგა თავისი პოლკით და რუსის ჯარების შეტევას ელოდა. ამ ექსპედიციიდან მან თავისი ზურგჩანთით უამრავი საკვირველი უცხოურ მცენარეთა თესლები ჩამოიტანა და სახლთან ახლოს დათესა. დროთა ვითარებაში თითქმის ვერც ერთმა ამ მცენარემ ვერ გაიხარა, გარდა რამდენიმე ნაძვის გირჩისა და ახლა ხუტორს ნაძვის ხშირი ჭალა ფარავდა. ყოფილ ჯარისკაცს პაპის საპატივსაცემლოდ ტორბიორნი ერქვა. როცა სემუნდს, გრანლიენის ახლანდელ მფლობელს, უფროსი ვაჟი შეეძინა, ბევრი იფიქრა რა დაერქმია მისთვის, მაგრამ გვარში დადგენილი ჩვეულების დარღვევა მაინც ვერ გაბედა და დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც ტორბიორნი დაარქვა ბიჭს. მართალია, იგი შეეცადა ისე აღეზარდა ვაჟიშვილი, რომ იგი გადარჩენოდა იმას, რაც ბედით ეწერა, თუმცა თვითონ სემუნდს ნაკლებად საალბათოდ ეჩვენებოდა ეს, მით უმეტეს, ბი-

ჭის ხასიათში უკვე ხედავდა ჭირვეულობასა და სიკერპეს. „ეს უნდა აღმოიფხვრას“, – ეუბნებოდა სემუნდი ცოლს და როცა ტორბიორნი სამი წლის გახდა, მამა დროდადრო როზგით ხელში მოძღვრავდა. იგი შვილს აიძულებდა მოეკრიბა ნაფოტები, რომელთაც მთელს იატაკზე მიმოფანტავდა, აეღო ჯამი, რომელიც დააგდო. მოფერებოდა კატას, რომელსაც დაარტყა. როცა მამა შვილის აღზრდას იწყებდა, დედა ყოველთვის გადიოდა ოთახიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მამა ყოველთვის მეტისმეტი სიმკაცრით ეპყრობოდა ტორბიორნს, იგი გაკვირვებით ამჩნევდა, რომ რაც უფრო იზრდებოდა ბიჭი, მით უფრო ხშირად მოითხოვდა დასჯას. სიმუნდს ხშირად თან მიჰყავდა იგი მინდორში, რათა არ დაეტოვებინა მეთვალყურეობის გარეშე. დედას ებარა მთელი საოჯახო საქმეები და სამი პატარა ბავშვი. იგი ყოველთვის დაკავებული იყო და მხოლოდ დილდილობით, ჩაცმისას ეფერებოდა ბიჭს და არიგებდა, სიტყვა არ შეებრუნებინა მამისთვის ზეიმზე, როცა ყველანი ერთად შეიკრიბებოდნენ. მაგრამ, როცა თავში უტყაპუნებდნენ მას იმისთვის, რომ „ა-ბ“ უნდა წაიკითხოს როგორც „აბ“ და არა „ბა“ და იმისთვისაც, რომ პატარა ინგრიდს მოუნდომა განკეპვლა, როგორც მამა წკეპლავდა მას, ტორბიორნს ვერ გაეგო, რატომ ცხოვრობდნენ მისი ძამიკო და დაიკო ასე კარგად და თვითონ – ასე ცუდად.

ტორბიორნს თითქმის მთელი დროის გატარება მამასთან უხდებოდა, მასთან გამოლაპარაკებას კი ვერა და ვერ ბედავდა და ამიტომაც გულჩათხრობილი და სიტყვაძვირი გახდა, თუმცა ყოველთვის დაძაბულად ფიქრობდა რაღაცაზე. ერთხელაც, როცა მამა-შვილი სველ თივას ხვეტდა, ტორბიორნმა მოულოდნელად ჰკითხა მას:

– რატომაა სულბაკენზე თივა უკვე გამშრალი და დაზვინული, ჩვენთან კი იგი ჯერაც სველია?

– იმიტომ, რომ მათთან უფრო ხშირადაა მზე, – უპასუხა მამამ.

ასე მოახდინა ტორბიორნმა თავის ცხოვრებაში პირველი აღმოჩენა: თურმე მზის სხივები, რომელთაც ასე ხშირად შეჰხარის იგი, თვითონ მას თითქმის არ ათბობს. და იმ სამახსოვრო დღიდან იგი უფრო და უფრო ხშირად გაჰყურებდა სულბაკენს.

– რა სულ სულბაკენს ხარ მიშტერებული? – ეტყოდა ხოლმე სემუნდი და წამოარტყავდა თავში. – აქ კარგად უნდა გაისარჯოს ყველა, დიდიც და პატარაც, თორემ გამოგვიხმება შიმშილით კუჭი.

როცა ტორბიორნი შვიდი-რვა წლისა იყო, სემუნდმა ახალი მოჯამაგირე აიყვანა, სახელად ასლაკი. მას, მიუხედავად იმისა, რომ იგი სულ პატარა ბიჭი იყო ჯერაც, ბევრი მხარე ჰქონდა მოვლილი. იმ საღამოს, ასლაკი რომ პირველად მივიდა მათთან, ტორბიორნს უკვე ეძინა. მეორე დღეს იგი მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა, როცა კარი ზათქით გაიღო და ოთახში ასლაკი შემოვარდა შეშის დიდი გუდურით ხელში. მან ისე მოიქნია იგი იატაკზე, რომ ნაფოტები აქეთ-იქით გაცვივდა, ახტა-დახტა ადგილზე თოვლის დასაბერტყად, თანაც დააყოლა:

– აი, სიციივე, როგორც თქვა ალქაჯმა, რომელიც წელამდე ყინულჭრილში იჯდა.

მამა შინ არ იყო. დედამ უხმოდ გახვეტა თოვლი გარეთ.

– რას მომაშტერდი? – ჰკითხა ასლაკმა ტორბიორნს.

– არ მოგაშტერდი, – ფრთხილად მიუგო ტორბიორნმა. იგი ცოტა შეშინებული იყო.

– შენ მამალი თუ გაქვს ნანახი შენს წიგნში, ბოლო გვერდზე.

– ნანახი მაქვს.

– მის ირგვლივ რომ ქათმები იკრიბება, როგორც კი ხურავ წიგნს, ის თუ გინახავს?

– არა, არ მინახავს.

– აბა, კარგად ნახე.

ტორბიორნმა ოთხი თვალი გამოიბა.

– ნამდვილი ბრიყვი ხარ, – უთხრა ასლაკმა.

და არავის ისეთი გავლენა არ ჰქონდა იმ დღიდან ტორბიორნზე, როგორც ასლაკს.

– ე-ეჰ, არაფერი არ იცი! – უთხრა ერთხელ ასლაკმა ტორბიორნს, რომელიც ჩვეულებისამებრ კუდში მისდევდა მას.

– არა, ვიცი, – მიუგო ტორბიორნმა. – კატეხიზმო ვიცი მეოთხე თავამდე.

– სისულელე! შენ ტროლზეც კი არ იცი არაფერი. მზის ჩასვლამდე ქალიშვილთან ცეკვავდა და მერე ბუშტივით გასკდა ამჟავებული რძით გახეთქილ ხბოსავით.

ასეთი თავშესაქცევი ამბები ტორბიორნს არასოდეს გაეგონა.

– სად იყო მერე ეს? – ჰკითხა მან.

– სად? სად და... სად და სულბაკენზე.

ტორბიორნს თვალები გაუფართოვდა.

– იმ კაცის ამბავი თუ იცი, ეშმაკს რომ მიჰყიდა სული ძველი ჩექმებისთვის?

ტორბიორნს გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდა.

– ის თუ იცი, სად იყო ეს... სად იყო და... ესეც სულბაკენზე, აი, იმ ნაკადულთან!.. არაფერი შენ არ გაგეგება ქრისტიანულ რწმენაში, – განაგრძობდა ასლაკი. – შენ არც კარი ხის კაბაზე გექნება გაგონილი რამე.

არა, არც ეს გაეგონა ტორბიორნს. ხომ სწრაფად მუშაობდა ასლაკი, ლაპარაკით უფრო სწრაფად ლაპარაკობდა; ლაპარაკობდა კარი ხის კაბაზე, დოლაბის ქვაზე, რომელიც მარილს ფქვავდა ზღვის ფსკერზე, ხის ფეხსაცმლიან ეშმაკზე, ტროლზე, რომელსაც წვერი მოყვა ღრიჭოში, შვიდ მწვანე ქალწულზე, რომლებმაც ღერი არ დაუტოვეს, ისე დააწიწკნეს თმები ფეხებზე მშვილდოსან პერს, იმას კი ეძინა და ვერა და ვერ გაიღვიძა მაინც. და ყველა ეს სასწაული სულბაკენზე ხდებოდა.

– რა ემართება ეს, ღმერთო, ჩვენს ბიჭს? – თქვა დედამ მეორე დღეს. – დილაადრიანად აძვრა სკამზე და უყურებს და უყურებს სულბაკენს.

– ყველაზე დაკავებული კაცია ჩვენში, – თქვა მამამ და რახან კვირა იყო, დასასვენებლად მიწვა.

– ამბობენ, რომ ერთმა ახალგაზრდამ სიუნიოვე სულბაკენზე დაიწერა ჯვარიო, – თქვა ასლაკმა. – თუმცა რას არ ყბედობენ ადამიანები. – დაუმატა.

ტორბიორნმა ვერ გაუგო ასლაკს, მაგრამ რატომღაც ყურებამდე გაწითლდა. ტორბიორნმა შენიშნა, რომ ასლაკმა შეცბუნება შეატყო მას, სკამიდან ჩამოძვრა, კატეხიზმი აიღო და კითხვას ჩაულრმავდა.

– იქნებ ღვთის სიტყვაში იპოვო ნუგეში, – თქვა ასლაკმა. – სიუნიოვეს ისევე ვერ ნახავ შენ, როგორც შენს ყურებს.

როცა რამდენიმე დღე გავიდა და ტორბიორნმა იფიქრა, რომ ყველას დააავინყდა ეს საუბარი, მან ჩუმად ჰკითხა დედას, რადგან თავს ძალზე უხერხულად გრძნობდა:

– დედა, ვინ არის სიუნიოვე სულბაკენი?

– ეს ჯერ კიდევ სულ პატარა გოგონაა, მაგრამ თავის დროზე იგი სულბაკენის დიასახლისი გახდება, – უპასუხა დედამ.

– ხის კაბა თუ აქვს?

დედამ გაკვირვებით შეხედა.

– რა სისულელეებს როშავ? – ჰკითხა მან.

ტორბიორნმა იგრძნო, რომ სისულელე თქვა და ხმა გაიკმინდა.

– ჯერ ქვეყანაზე არ ყოფილა ისეთი მშვენიერი გოგო, როგორიც იგია. – დაუმატა დედამ. – და თავისი სილამაზე სიუნიოვემ ღვთის მადლით მიიღო იმისთვის, რომ იგი ასეთი კეთილია, ალერსიანი და ბეჯითად სწავლობს.

აი ყველაფერი, რაც ტორბიორნმა სიუნიოვე სულბაკენის შესახებ შეიტყო.

ერთხელ სემუნდი ასლაკთან ერთად მუშაობდა მინდორში, სახლში რომ დაბრუნდა, ტორბიორნს უთხრა:

– რაც უფრო ნაკლებად იქნები მაგ ბიჭთან, მით უკეთესი.

ტორბიორნმა მამის სიტყვები ერთ ყურში შეუშვა, მეორიდან გამოუშვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სემუნდმა ისევ უთხრა:

– კარგად არ დამთავრდება ეს, ვამბობ მე.

ამის შემდეგ ტორბიორნი მამისგან მალულად ელაპარაკებოდა ასლაკს. მაგრამ ერთხელ სემუნდმა მაინც გამოიჭირა ისინი, როცა კუთხეში რას გინდა, რომ არ მიედ-მოედებოდნენ ჩუმად. ტორბიორნი ერთი კარგად მიტყეპეს და უბრძანეს, ფეხი არ მოეცვალა სახლიდან. მას შემდეგ ტორბიორნი მხოლოდ მაშინ ელაპარაკებოდა ასლაკს, როცა მამა არ იყო შინ.

მაგრამ ერთ კვირა დღეს, მამა რომ ეკლესიაში იყო, ტორბიორნი მაინც გაეხვია შარში. ყველაფერი ასლაკთან გუნდაობიდან დაიწყო.

– კმარა! მეტი არ მინდა, – იყვირა უცებ ტორბიორნმა. – მოდი, ახლა სხვა რამეს ვესროლოთ.

ასლაკი მაშინვე დაეთანხმა. ჯერ პატარა ფიჭვის ხეს დაუწყეს სროლა, საკუჭნაოსთან რომ იდგა, მერე საკუჭნაოს კარს, დაბოლოს, საკუჭნაოს სარკმელს.

– მინას არ მოარტყა ოღონდ, – გააფრთხილა ტორბიორნმა ასლაკი. – თამასას დაუმიზნე. – და უცებ თვითონ არ მოარტყა მინას გუნდა?!

ტორბიორნი შიშისგან გაფითრდა.

– გადააფურთხე, – დაამშვიდა ასლაკმა, – მაინც ვერავინ გაიგებს. აბა, კარგად დაუმიზნე! ტორბიორნმა დაუმიზნა და ისევ მინას მოარტყა.

– არ მინდა მეტი თამაში, – თქვა მან. ამ დროს ეზოში ტორბიორნის პატარა დაიკო გამოვიდა, ინგრიდი.

– ესროლე მაგას, – უყვირა ასლაკმა.

გუნდა ინგრიდს მოხვდა. გოგონამ ტირილი დაიწყო. ზღურბლზე დედა გამოჩნდა და ტორბიორნს უბრძანა სახლში შესულიყო.

– ესროლე, ესროლე, – ჩურჩულით აქეზებდა ასლაკი. ტორბიორნი გაშმაგდა და კვლავაც ესროლა გუნდა დას.

– შენ რა, გაგიჟდი? – უყვირა დედამ და დააპირა ხელი ეტაცა.

ტორბიორნმა მოკურცხლა, დედა გაეკიდა. იგი ყურების ახევით ემუქრებოდა ხმამაღლა მას, ასლაკი კი მხიარულად

იცინოდა. ბოლოს და ბოლოს დედამ ნამქერში მიიმწყვდია ბიჭი, დაიჭირა და ის იყო თავისი მუქარა სისრულეში უნდა მოეყვანა, ტორბიორნმა უცებ იყვირა:

– მაინც გავგუნდავ, ყველა ასე იქცევა აქ!

დედა შედგა, გაკვირვებით შეხედა ბიჭს.

– ერიჰაა, ეს ვინ გასწავლა? – ჰკითხა.

მერე მშვიდად ჩაჰკიდა ტორბიორნს ხელი და სახლში შეიყვანა. ინგებორგს სიტყვა არ უთქვამს მისთვის მეტი, პატარებს კი ეალერსებოდა და თან ეუბნებოდა, რომ მალე ეკლესიიდან დაბრუნდება მამა.

ოთახში ძალიან დაცხა და ასლაკმა ითხოვა, ნება დაერთოთ წასულიყო ნათესავების მოსანახულებლად. იგი გაუშვეს; წავიდა თუ არა იგი, ტორბიორნმა ყურები ჩამოყარა. მერე სავსებით მოულოდნელად მუცელი ასტკივდა, ხელები კი ისე გაუოფლიანდა, რომ წიგნს თხუპნიდა გადაფურცვლისას. ოღონდ დედას არ ეამბნა მამისთვის ყველაფერი ეკლესიიდან დაბრუნებისას, ოღონდ... მაგრამ ამის თხოვნა ტორბიორნს არ შეეძლო. თითქოსდა ყველაფერი შეიცვალა ირგვლივ, საათიც ავის მომასწავებლად წიკწიკებდა. იგი ფანჯარას მიადგა და სულბაკენს გახედა. თოვლით დაფარული და დუმილით მოცული, იგი ისე ბრწყინავდა მზეზე, როგორც უზარმაზარი მარგალიტი. სახლს მხიარულად ელიმებოდა ყველა თავისი სარკმლით, რომელთაგან, ალბათ, არც ერთი არ იყო გატეხილი. კვამლიც მხიარულად ამოდიოდა მილიდან, ესე იგი იქაც ამზადებდნენ რაღაცას ნირვაზე მყოფთათვის. სიუნიოვე, ალბათ, ფანჯრიდან იყურება ახლა მამის მოლოდინში და მასავით არ ეშინია, რა თქმა უნდა, რომ მამა დაბრუნდება და ტყავს გააძრობს. ახლა ტორბიორნს თვითონაც ვერ გაეგო, ეს რა ხუშტურმა წამოუარა უცებ, იგრძნო, რა ძლიერ, ძლიერ უყვარდა თავისი პატარა დაიკო და რომ ამ სიყვარულზე ძლიერი არაფერი იყო ქვეყნად. მან ინგრიდს ასლაკის მიცემული ბრჭყვიალა ღილიც კი აჩუქა. ინგრიდმა კისერზე მოხვია ხელი, ტორბიორნიც მოეხვია დას და ჰკითხა:

– ინგრიდ საყვარელო, ხომ არ მიჯავრდები მეტს?

– არა, ძვირფასო ტორბიორნ, სრულიადაც არა. თუ გსურს, რამდენიც გინდა იმდენი მესროლე გუნდა.

ამ დროს წინკარში ბრაგუნი გაისმა, ვიღაც თოვლს იბერტყავდა. ეს მამა მოვიდა. იგი ისეთი მშვიდი და კეთილი იყო! და რატომღაც ტორბიორნს უფრო დაუმძიმდა გული.

– აბა, როგორაა საქმეები? – თვალი მოავლო ყველას, და საოცარია პირდაპირ, როგორ არ დაეხეთქა ამ დროს კედლის საათი იატაკს.

დედამ ამასობაში სუფრაც გააწყო.

– რას აკეთებდით უჩემოდ? – იკითხა მამამ და მაგიდას მიუჯდა.

ტორბიორნმა დედას შეხედა, თვალებზე ცრემლები მოადგა.

– ხან რას და ხან რას, განსაკუთრებულს არაფერს, – დინჯად მიუგო დედამ. ტორბიორნმა დაინახა, რომ მას უნდოდა რაღაც დაემატებინა კიდევ, მაგრამ გადაიფიქრა.

– ასლაკი გავუშვი, – თქვა მან. „იწყება“, შიშით გაიფიქრა ტორბიორნმა და ინგრიდს დაუწყო თამაში, თითქოსდა აინუნშიაც არ აგდებდა არაფერს. მამა არასოდეს მჯდარა ასე დიდხანს მაგიდასთან, ტორბიორნმა ნაჭრების თვლა დაიწყო, რომელთაც ჩანგალს არჭობდა მამა. როცა საქმე მეოთხე ნაჭრამდე მივიდა, ტორბიორნმა გადაწყვიტა დაეთვალა რამდენი წამი გავიდოდა მეოთხე და მეხუთე ნაჭრებს შორის, და სულ აერია სათვალავი. ბოლოს სემუნდი ადგა და ოთახიდან გავიდა. „გადავრჩი!“ – მოეშვა ტორბიორნს და ერთხელაც მოავლო თვალი: ყველა მინა თუა მთელი ოთახში? მთელი უნდა იყოს, მგონი. აი, მამას დედა შემოჰყვა. ტორბიორნმა ხელში აიყვანა პატარა ინგრიდი.

– მოდი, მინდვრის ოქროს დედოფალი ვითამაშოთ, გინდა? – ისე ნაზად ჰკითხა, რომ გოგონამ გაკვირვებით შეხედა ძმას.

ინგრიდს, რა თქმა უნდა, უნდოდა თამაში. და ტორბიორნმაც სიმღერა წამოიწყო, თუმცა მუხლები უკანკალებდა მოსალოდნელი ხიფათის წინათგრძნობისგან.

– ჩემო ტკბილო მეგობარო,
რა ხანია შენზე ვდარდობ,
გამისნორე ერთხელ თვალი:
ოღონდ ცოლად წამიყვანე,
ლაბადას მოგართმევ მწვანეს,
შოლტს ოქროსფრად მოკიანთეს
და მოოჭვილს ბეჭედს ლალით!
ტა-რა, რა-რა, რია-რია,
ეს რა მზიანი დარია!

ყვავილმა კი დედოფალს მიუგო:

– მშვენიერო დედოფალო,
ცისკრის ვარსკვლავის სადარო,
არ დამბუგო რისხვის ალით
თუ ცოლად არ წაგიყვანე.
არც ლაბადა მინდა მწვანე,
აღარც შოლტი მოკიანთე,
არც ბეჭედი ლალის თვალით!
ტა-რა, რა-რა, რია-რია,
ეს რა მზიანი დარია!

თამაში გახურებული იყო, როცა ოთახში მოულოდნელად მამა შემოვიდა და დაჟინებით ჩააცივდა ბიჭს. ტორბიორნი კინაღამ სკამიდან ჩამოვარდა და მაგრად მიიკრა ინგრიდი გულთან. მამა სიტყვის უთქმელად შეტრიალდა. გავიდა ნახევარი საათი. იგი კი ხმას არ იღებდა. ტორბიორნმა გული გაიმაგრა, თითქოსდა საშიშროება აღარ ემუქრებოდა უკვე. როცა ძილის წინ ტანზე გახდა დაიწყო მან და მამა მისახმარებლად მიუახლოვდა, ტორბიორნმა აღარც იცოდა, რა ეფიქრა. მთელი ტანით დააწყებინა კანკალი. მამამ თავზე გადაუსვა ხელი, ლოყაზე მოუთათუნა. რამდენადაც ტორბიორნს ახსოვდა, ამას არასოდეს აკეთებდა იგი ადრე. ბიჭს სითბო ჩაეღვარა გულში, – ყოველგვარი შიში გაქრა, როგორც ყინული მზეში. ტორბიორნს არ ახსოვდა, ლოგინში როგორ აღმოჩნდა. და რადგანაც სიმღერა ან ყვირილი არ შეეძლო, ხელები მკერდზე

მიიკრა და ექვსჯერ წაიკითხა „მამაო ჩვენო“ თავიდან ბოლომდე, მერე პირიქით და ჩაძინებისას იგრძნო, რომ ქვეყანაზე არავინ უყვარდა ისე ძლიერ, როგორც მამა.

მეორე დილით ტორბიორნმა ისეთი შიშით გაიღვიძა, რომ ყვირილიც არ შეეძლო. ასე ეგონა, რომ ახლა ვეღარ გადაურჩებოდა გაწკეპვლას. თვალი რომ გაახილა, დარწმუნდა, რომ ყველაფერი დაესიზმრა, მაგრამ მალე იმასაც მიხვდა, რომ ის, ვინც ვერა და ვერ აიცილებდა სასჯელს, ასლაკი იყო.

სემუნდი, საშუალოზე დაბალი, ჯმუხი, სწრაფი ნაბიჯით სცემდა ბოლთას ოთახში (ტორბიორნმა კარგად იცოდა ეს ჩვეულება) და შუბლშეჭმუხნილი ისე გახედავდა ხოლმე ასლაკს, რომ იგი მაშინვე მიხვდა, რაც ემუქრებოდ მას. ასლაკი გადაბრუნებული კასრის ფსკერზე იჯდა და ფეხებს იქნევდა. ხელები, როგორც ყოველთვის, ჯიბეებში ჰქონდა ჩაყოფილი, ქუდი ოდნავ ჩამოფხატოდა შუბლზე და მის ქვემოდან აქეთიქით გამოშვეროდა მუქი ხშირი თმა. პირი ჩვეულებრივზე მეტად ჰქონდა მოღრეცილი, თავი ოდნავ გვერდზე დაეხარა და წამწამებდაშვებული ალმაცერად ადევნებდა თვალს სემუნდს.

– ბიჭი მართლაცდა შერეკილი გყოლია ცოტა, – თქვა ასლაკმა, – მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ შენი ცხენი შეაშინა ტროლმა.

სემუნდი გაჩერდა.

– აი, შე არამზადა! – ისე ხმამაღლა იყვირა, რომ ფანჯრები შეზანზარდა. ასლაკმა თითქმის დახუჭა თვალები. სემუნდი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა. ასლაკი ხმას არ იღებდა.

– არა, მართლა... გეუბნები, შენი ცხენი ტროლმა შეაშინა, – თქვა მან და ქურდულად გააპარა მზერა პატრონისკენ, რათა გაეგო, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე მისი სიტყვები.

– არა, მას ტროლის კი არა, ტყის ეშინია, – თქვა სემუნდმა, თან ნაბიჯებით ზომავდა ოთახს. – ისეთი არამზადა ხარ, პირდაპირ თავზე დაახეთქე ხე. და ახლა უბრალო რამის ეშინია.

ასლაკმა ჩუმად მოუსმინა, მერე თქვა:

– როგორც გინდა ისე იფიქრე, ოღონდ ამით ვერ უშველი საქმეს. მე კი ძალიან მეეჭვება, რომ შენს ცხენს ოდესმე გაუვლის უბრალო რამის შიში, – დამცინავად დაურთო მან, მოხერხებულად მოეწყო კასრში და ცალი ხელი სახეზე აიფარა. სემუნდი პირდაპირ ცხვირწინ დაუდგა და ჩუმად, მაგრამ მრისხანედ უთხრა:

– დიდი გულღვარძლიანი ვინმე ხარ...

– სემუნდ! – გაისმა ინგებორგის, მისი ცოლის, ხმა. მას უნდოდა დაეშოშმინებინა ნერვებაშვილი ქმარი და თან ბიჭუნასაც აწყნარებდა, რომელსაც შიშით ტირილი დაეწყო ლამის. სემუნდმა ასლაკს პირდაპირ ცხვირთან მიუტანა მუშტი, მისი ათლეტური ფიგურისთვის მეტისმეტად პატარა, მთელი ტანით წინ გადაიხარა და თვალებში ჩააცივდა. მერე კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა, კვლავ მიადგა ასლაკს, კვლავ მოსცილდა. ასლაკს წასული ჰქონდა ფერი, მაგრამ სახის ის მხარე, რომელსაც ტორბიორნი ხედავდა, იცინოდა, მაშინ როცა მეორე მხარე თითქმის გაქვავებული ჰქონდა.

– ღმერთო, შენ მომეცი მოთმინება! – თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ და ისე ასწია ხელი, თითქოს დარტყმისგან იცავდა თავს.

სემუნდი მკვეთრად შედგა, ფეხი დააბაკუნა და ისეთი მჭახე ხმით უყვირა, რომ ასლაკი უკან გადაიწია.

– არ გაბედო ღვთის სახელის ხსენება, გესმის?!

ინგებორგი ჩვილით ხელში მიუახლოვდა ქმარს, მხართან შეეხო. იგი ცოლს არ უყურებდა, მაგრამ ხელი დაუშვა. ინგებორგი დაჯდა, სემუნდმა კი კვლავ წინ და უკან სიარული დაიწყო ოთახში. სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ასლაკმა თქვა:

– ღმერთს, რა თქმა უნდა, ისედაც ეყოფა წვალება გრანლიენში.

– სემუნდ, სემუნდ, – წასჩურჩულა ინგებორგმა, მას უკვე აღარაფერი ესმოდა. იგი გაშმაგებით მივარდა ასლაკს, რომელმაც თავის დასაცავად ფეხი გაიშვირა წინ. სემუნდი ფეხსა და ქეჩოში სწვდა და ისეთი ძალით მოიქნია, თავით გაატანინა

კარი და წინკარში მოადენინა ბრახვანი. ინგებორგმა, ტორბიორნმა, პატარებმა – ყველამ სასოწარკვეთით შეპყვირა: სახლი ტირილმა და მოთქმამ მოიცვა. სემუნდს კვლავაც არაფერი ესმოდა. იგი ისევ თავის მსხვერპლს მივარდა, კარის ნარჩენი გაანგრია, და წინ გაიგდო – ეზოში. სემუნდმა გააფთრებით ჩაბღუჯა ასლაკი, მაღლა აიტაცა და მთელი ძალითა და ღონით დაახეთქა მიწას. უცებ შენიშნა, რომ წუხელ ღამით ძალიან ბევრი მოეთოვა და ასე ბევრს ვერც ვერაფერს ატკენდა ასლაკს. მაშინ მუხლი გულმკერდში მიაჭირა და სახეში სთხლიშა, მესამედ დაავლო და თოვლისგან თავისუფალ ადგილზე გაითრია, როგორც მგელი მიათრევს დაგლეჯილ ძაღლს. ამჯერად უფრო ძლიერ დაახეთქა იგი მიწაზე, ისევ დაანვა მუხლით... არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, ინგებორგს ჩვილით ხელში რომ არ გადაეღობა ქმრისთვის გზა.

– სემუნდ, სემუნდ, რას შვები, გვღუპავ? – ყვიროდა იგი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ინგებორგი კვლავაც ოთახში იჯდა, ტორბიორნი იცვამდა, სემუნდი კი ისევ და ისევ სცემდა ბოლთას. დროდადრო ყლუპებად სვამდა წყალს. ხელი უკანკალებდა და ფინჯანიდან იატაკზე ეღვრებოდა წყალი. ასლაკი არ ჩანდა და ინგებორგი უკვე გასვლას აპირებდა.

– აქ დარჩი, – ისეთი ტონით უბრძანა სემუნდმა, თითქოს ცოლს კი არა, ვიღაც უცხოს მიმართავდა. ინგებორგი დარჩა, ცოტა ხანში კი თვითონ სემუნდი გავიდა და აღარც დაბრუნდა. ტორბიორნმა წიგნი გაშალა და კითხვა დაიწყო, თუმცა არაფერი შესდიოდა თავში.

ნაშუადღევს სახლში ჩვეულებრივი წესრიგი დამყარდა, მაგრამ ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოსდა აქ ვიღაც უცხო იყო ნამყოფი. როცა ტორბიორნმა გარეთ გასვლა დააპირა, ზედ კართან შეეჯახა ასლაკს, რომელიც თავის მთელ ავლადიდებას ტორბიორნის მარხილში ალაგებდა. მას ისეთი სახე ჰქონდა, რომ ტორბიორნი ენაჩავარდნილი გაშეშდა: სახეზე სისხლი შეხმობოდა, მთელი ტანსაცმელი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, წარამარა ახველებდა და გულზე იჭერდა ხელს.

ერთი უხმოდ შეხედა ტორბიორნს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

– რაღაც არ მომწონს შენი დიდი თვალები, ყმაწვილო!

მერე მარხილს გადააბიჯა, ზედ დაჯდა და დაღმართში დაეშვა.

– ჭყიტე თვალები, თორემ შენს მარხილს ვეღარ ნახავ მერე! – სიცილით გამოსძახა, ერთიც მოაბრუნა თავი და ენა გამოუყო ტორბიორნს. მალე თვალს მიეფარა.

შემდეგ კვირას ლენსმანმა* მიაკითხა მათ. მამა რამდენჯერმე დაიბარეს სადაც ჯერ არს, დედა სულ ტიროდა და ისიც მიდიოდა სადღაც.

– რა მოხდა, დედა? – ჰკითხა ტორბიორნმა.

– ოჰ, ასლაკის ბრალია ეს ყველაფერი!

და აი, ერთხელ მშობლებს მოესმათ, როგორ მღეროდა პატარა ინგრიდი:

იჭაჭება ვილაც: ხა-ხა!
გეტყვით რაზეც, გიკვირთ რახან.
ჩაუვარდა ბიჭს გულს გოგო,
აღარ მკითხოთ ოღონდ: როგორ?
სუპს უთაქა ქალმა წყალი,
აარიდა კაცმა თვალი.
ჭკუის კოლოფია კატა:
რძეს სვლეპს და თან თვალებს ნაბავს.

გოგონას მკაცრი დაკითხვა მოუწყვეს, ვინ ასწავლა ეს სიმღერა. აღმოჩნდა, რომ ტორბიორნმა. ტორბიორნს საშინლად შეეშინდა და თქვა, რომ მას იგი ასლაკმა ასწავლა. მაშინ გააფრთხილეს, რომ, თუ იგი თვითონ იმღერებს ასეთ სიმღერებს ანდა დას ასწავლის მათ, ღვედით ცემა არ ასცდება. მალე კი ამის შემდეგ უფროსებმა პატარა ინგრიდის გინებაც გაიგონეს. ისევ უხმეს ტორბიორნს. სემუნდმა გადაწყვიტა, დაუყოვნე-

* ლენსმანი – საოლქო ბოქაული.

ბლივ დაესაჯა საძაგელი ბიჭი. მაგრამ ბიჭი ატირდა და ისე დამაჯერებლად დაჰპირდა მშობლებს, რომ კარგად მოიქცეოდა ამიერიდან, ამჯერად აპატიეს.

ხოლო როცა კვირა დადგა და პასტორს ქადაგება უნდა წაეკითხა, მამამ ტორბიორნს უთხრა:

– დღეს უწესობის ჩადენა არ მოგიწევს: ჩემთან ერთად წამოხვალ ეკლესიაში!

II

ყოველი ნორვეგიელი გლეხის ცხოვრებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ეკლესიას. ეს მისი წმიდათაწმიდაა. იგი აღემატება მისი ყოველდღიური საზრუნავის დონეს. მის ირგვლივ სასაფლაოს საზეიმო მდუმარება სუფევს, შიგნით კი სიცოცხლე დუღს – სრულდება ღვთისმსახურება. ესაა ერთადერთი დიდ-მშვენიერი ნაგებობა ველზე. გლეხის თვალში გაცილებით მაღლაა აღმართული ეკლესია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. როცა კვირის სისხამ დილით ეკლესიაში მიმავალს შორიდანვე ესალმებიან ზარები თავიანთი ჟღერით, იგი უცილობლად იხდის ქუდს, რათა მათ სალამს უპასუხოს. მას ხომ რა ხანია იდუმალი კავშირი აქვს გაბმული მათთან, რაზეც არავინ არაფერი უწყის. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, იდგა თავისი სახლის კართან და ყურს უგდებდა ზარების რეკვას, გვერდით კი ქუჩაში ნელა მიდიოდნენ ეკლესიაში მორწმუნენი. მათ უერთდებოდა მისი მამაც, თვითონ კი, „ჯერაც სულ პატარა", სახლში რჩებოდა. მის წარმოსახვაში მრავალი სურათი ერწყმოდა ამ ძლევამოსილად განფენილ ბგერებს, რომელიც მთის ერთი მწვერვალიდან მეორეზე გადადის და მერე დიდხანს, დიდხანს ეხმაურება ერთმანეთს საბოლოო მილევამდე შორით შორს. მაგრამ ერთი ამ სურათთაგანი მთელი მისი არსების განუყოფელ ნაწილად იქცა: ახალი სადღესასწაულო ტანსაცმელი, მორთულ-მოკაზმული მანდილოსნები, დაკრიალებული ცხენები მზეზე მოელვარე აღკაზმულობით.

და აი, დგება დიდი ხნის ნანატრი კვირაც, როცა ზარები ბოლოს და ბოლოს მის საკუთარ ბედნიერებაზე რეკავენ, თვითონ კი, ახალთახალ სამოსში გამოწკეპილი, – რომელიც, მართალი რომ ითქვას, ცოტა სრულიცაა მისთვის, – პირველად ცხოვრებაში ამაყად მიაბიჯებს მამასთან ერთად ეკლესიაში. რამდენ სიხარულს იტევს მაშინ ეს ზართა რეკვა! იგი კარს უხსნის მას ყველაფრის დასანახად, რასაც კი ისურვებს. შინ დაბრუნებისას ზარის რეკვა კვლავ განეფინება მის თავს ზემოთ, რომელიც დამძიმებული და დაბინდული აქვს სიმღერების, მსახურებისა და ქადაგებისგან, ყველაფრისგან, რაც კი რამ დღეს ნახა: საკურთხეველი, კოსტიუმები, ხალხის სიმრავლე, – განეფინება კიდითი კიდით, თითქოსდა აგვირგვინებს მის სულში ჩაბეჭდილ სახეებსა და დიდებულად ანათებს ამიერიდან გულით სატარებელ პატარა ეკლესიას.

როცა იზრდება, მთებში მირეკავს ხშირად საქონელს საძოვარზე. დგება აისი, თავისი მშვენიერებით თვალწარმტაცი. ბალახის ფოთლები ცვრის წვეთებითაა დაფარული, ბიჭი მაღალ კლდეზე ზის, ქვემოთ ნახირი ძოვს, ისმის ზანზალაკთა ნკარაწკური. მაგრამ აი, მის ყურამდე აღწევს ზარის რეკვა და მოულოდნელად ეუფლება სევდა, რაღაც გაუგებარი ნაღველი, რომელიც მას ქვევით ეწევა, ველზე... აგონდება მეგობრები, რომელთაც ხვდებოდა ეკლესიაში; აგონდება სიხარული, რომელსაც განიცდიდა მსახურების ჟამს; აგონდება სადღესასწაულო სუფრა, მამა, დედა, ძმები, დები; აგონდება კვირის მწუხრი და მხიარული ჟივილ-ხივილი მთაზე... და მისი პატარა გული ისეთი გამალებით იწყებს ფეთქვას, ლამისაა ამოვარდეს საგულედან. მოულოდნელად ხვდება, რომ ეს ეკლესიის ზარი რეკავს, გონს მოდის. აგონდება რომელიმე ფსალმუნი და, გულზე ხელებდაკრეფილი და ყვავილოვან ველის მზერადდანთქმული, მღერის. მერე აღავლენს მცირე ლოცვას, მხიარულად უკრავს საყვირს და მისი ბგერები შორეულ მთებს ეფინება.

აქ, ამ ჩუმ მთიან ველებზე ეკლესია ყოველი ასაკის ადამიანს მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკება ჯერაც, სწორედ ისეთად ევლინება თითოეულს, როგორადაც მას მისი დანახვა სურს. ბევრი რამ ჩადგება მომავალში მასა და ეკლესიას შორის, მაგრამ ეკლესიაზე მაღალი მაინც არაფერი იქნება. მშვენიერად და დიდებულად ესახებათ იგი კონფირმაციის წინარე მდგომთ. ახლახან ცხოვრების ასპარეზზე შემდგარი ჭაბუკისათვის იგი მრისხანეცაა და კეთილიც, გამაფრთხილებლად ზეაწეული თითით; მრავალ ჭირგადანახადისთვის – ვაჟკაცური და ძლიერი, ცხოვრებით დაღლილი მოხუცისთვის – ალერსიანი და უკიდეგანო. მსახურების დროს ეკლესიაში ნათლავენ ჩვილთ და მოკრძალებული ექსტაზი მთელ თავის სისავსეს აღწევს.

ამიტომაც არ შეიძლება ნორვეგიელ გლეხებზე წერდე და სიტყვა არ წამოგცდეს ეკლესიასთან მათი დამოკიდებულების შესახებ, მიუხედავად იმისა, როგორი არიან ეს ადამიანები – კარგები თუ საძაგლები. შესაძლოა, გვისაყვედურონ კიდეც ერთფეროვნება, მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაზე საშინელი. ეს შესწორება არა მარტო ეკლესიაში მისვლას ეხება, რომელზედაც ახლა გიამბობთ ჩვენ, არამედ ნორვეგიული სოფლის ცხოვრების ნებისმიერ აღწერას.

როცა ტორბიორნი ეკლესიაში მიდიოდა, მასში ყველაფერი სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა, მას აცვიფრებდა ფერთა უხვი მრავალფეროვნება ეკლესიის ირგვლივ და ყოვლისმომცველი სიჩუმე ეკლესიის შიგნით. მსახურება ჯერაც არ იყო დაწყებული. ლოცვის პირველი სიტყვების გაგონებისას ტორბიორნმა მაშინვე კი არ დახარა თავი, არამედ როცა ასობით დახრილი თავი დაინახა ირგვლივ. გაისმა სიმღერა, იგი ერთსა და იმავე დროს დაიწყო ყველამ ერთად და ტორბიორნმა რაღაც მოკრძალებული შიში იგრძნო. მერე კი იმდენად დაინთქა ყოველი მხრიდან მოზღვავებულ ბგერათა სამყაროში, რომ შეკრთა კიდეც, თითქოს გააღვიძესო, როცა მერხის კარი ჩუმად გაიღო და მისგან შორიახლოს ვიღაც დაჯდა.

სიმღერა რომ დასრულდა, მამამ ამ კაცს ხელი ჩამოართვა და ჰკითხა:

– როგორაა საქმეები სულბაკენში?

ტორბიორნმა მზერა უცნობს მიაპყრო, მაგრამ რამდენიც არ უყურა, მის შესახედაობაში ჯადოსნური ვერაფერი იპოვა. მას ჰქონდა კეთილი სახე, ღია ფერის თმები, დიდი ლურჯი თვალები და მაღალი შუბლი. მაღალი იყო. როცა ელაპარაკებოდნენ, მორიდებით იღიმებოდა, თვითონ სიტყვაძუნწი ჩანდა და სემუნდის კითხვებს მოკლედ პასუხობდა: – დიახ.

– ხედავ, აი, იქ ზის სიუნიოვე, – უთხრა სემუნდმა ბიჭს. მან იგი მუხლებზე დაისვა და პირდაპირ მდებარე ქალთა მერხისკენ ანიშნა. იქ პატარა გოგონა იდგა მუხლებზე და თეჯირს ზემოდან შეჰყურებდა მას. თმები მამაზე უფრო ღია ჰქონდა, ისეთი ღია, როგორიც ჯერაც არასოდეს ენახა ტორბიორნს. თავზე წითელი ბაფთით შეკრული ქუდი ეხურა, ქუდის ქვემოთ კი ოქროსფერი კულულები უჩანდა. გოგონა მას უყურებდა. მხიარულად კისკისებდა, ტორბიორნი კი ამ დროს მისი თვალისმომჭრელი თეთრი კბილების გარდა ვერაფერს ხედავდა. გოგონას ცალ ხელში ლოცვანი ეჭირა, მეორეში – კოხტად დაკეცილი წითელ-ყვითელი თავშალი და ამ უკანასკნელს ლოცვანზე ურტყამდა. რაც უფრო დიდხანს უყურებდა ტორბიორნი მას, მით უფრო ემატებოდა ხალისი გოგონას და უცებ მასაც მოუნდა მასავით მერხზე დგომა. გოგონამ თავი დაუქნია. ტორბიორნმა ფრიად სერიოზულად შეხედა მას და თავის დაქნევითვე უპასუხა. გოგონას გაეცინა და ისევ დაუკრა თავი. ტორბიორნმაც დაუკრა პასუხად, მერე კიდევ და კიდევ. იგი კისკისებდა, მაგრამ თავს აღარ უკრავდა უკვე, ხოლო, რადგანაც ტორბიორნი კვლავაც არ აშორებდა თვალს, ისევ დაუკრა თავი.

– მეც მინდა დავინახო, – მოესმა ტორბიორნს ვიღაცის ხმა უკნიდან და იგრძნო, ისე ექაჩებოდნენ ფეხებზე იატაკისაკენ, ძლივს შეიმაგრა თავი. ეს იყო შესახედავად საკმაოდ მოუქნელი პატარა ბუთხუზა ბიჭი, რომელიც მამაცურად ცდილობდა ტორბიორნის კუთვნილ ადგილზე აბობღებას. მას ჰქონდა ღია

ფერის გაჩეჩილი თმები და აბზეკილი ცხვირი. თავის დროზე ტორბიორნმა ასლაკისგან ისწავლა, როგორ უნდა გასნორებოდა ჩხუბისთავს, რომელიც სკოლასა თუ ეკლესიაში გადაგეკიდებოდა. მან მოახერხა და ისე უჩმიტა ბარძაყზე თავხედს, რომ ტკივილისაგან ლამის იყმუვლა. უცებ მკვირცხლად ჩამოსრიალდა მერხიდან იატაკზე და ტორბიორნს ყურებში სტაცა ხელი. ტორბიორნმა ქოჩორში ჩაავლო და ფეხქვეშ ამოიდო. ბიჭმა, რომელიც ჯიუტად არ იღებდა ხმას, მტერს ფეხზე უკბინა. მაშინ ტორბიორნმა ხელი ჰკრა მას და სახით იატაკს მიასრისა. უცებ ვილაცამ ქეჩოში ჩაავლო ტორბიორნს და ჩალის ტომარასავით აიტაცა ჰაერში, – ეს იყო მამა, რომელმაც ამჯერად მუხლებზე დაისვა იგი.

– ეკლესიაში არ ვიყოთ ერთი, გიჩვენებდი სეირს! – პირდაპირ ყურში ჩასჩურჩულა შვილს და ისე მოუჭირა ხელი, რომ ტორბიორნს ტკივილისგან ოფლმა დაასხა. უცებ სიუნიოვე გაახსენდა და მისკენ გაიხედა. იგი ისევ თავის ადგილას იდგა, მაგრამ ისე შეშინებული და დაბნეული ჩანდა, რომ ტორბიორნი მხოლოდ ახლა მიხვდა, რა ცუდად მოიქცა იგი. სიუნიოვემ როგორც კი შენიშნა, რომ მას უყურებდა იგი, მაშინვე ჩაცოცდა მერხიდან და მეტი არ გამოჩენილა.

საკურთხევლიდან მნათე გამოვიდა, მას მღვდელი მოჰყვა. ტორბიორნი უსმენდა და უცქეროდა მათ, მერე ისინი გაბრუნდნენ, რამდენიმე წუთში ისევ გამოჩნდნენ, ტორბიორნი კი კვლავაც მამას ეჯდა მუხლებზე და ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში: „როდისღა გამოიხედავს იგი ისევ?“ ბუთხუზა ბიჭი, რომელსაც მერხიდან უნდოდა ჩამოეთრია იგი, ახლა პიუპიტრის ქვეშ ფეხის სადგარზე იჯდა და, როგორც კი დაეპირებდა ადგომას, ვილაც მოხუცი ხელს ჰკრავდა ზურგში. ეს მოხუცი განუწყვეტლად თვლემდა, მაგრამ წამოიწეოდა თუ არა პატარა შარისთავი, დაუყოვნებლივ ახელდა თვალებს. „ნუთუ ერთხელაც არ გამოიხედეს?“ – ნაღვლიანად ფიქრობდა ტორბიორნი. ყოველი წითელი ბაფთა, რომელსაც კი მოჰკრავდა თვალს, სიუნიოვეს ქუდის ბაფთას აგონებდა, ძველი ეკლესიის

თითოეული ფრესკა კი თვითონ სიუნიოვეს, ოღონდ ცოტათი მცირეს. აჰ! როგორც იქნა ამოყო თავი! მაგრამ დაინახა თუ არა სიუნიოვემ ტორბიორნი, მყისვე ჩაიმალა ფრიად სერიოზული სახით.

კვლავ გამოჩნდა მნათე, მის უკან მღვდელი. ზარებმა დარეკეს, ყველა ადგა და გასასვლელისკენ გაეშურა. სემუნდი სიუნიოვეს მამას გაესაუბრა, მერე ისინი მივიდნენ ქალებთან, რომლებიც ასევე წამოდგნენ თავიანთი ადგილებიდან. პირველი მათთან პატარა ქერა ქალი მივიდა, სიუნიოვეს დედა, იგი ისევე ილიმებოდა, როგორც მისი ქმარი, ოღონდ უფრო იშვიათად. იგი საოცრად პატარა იყო, ძალიან ფერმკრთალი, და ხელჩაკიდებული მოჰყავდა სიუნიოვე. ტორბიორნი მაშინვე მასთან მივიდა, მაგრამ გოგონა უკან გახტა და დედის კაბის უკან დაიმალა.

– გამეცალე, – გაბრაზებით უთხრა სიუნიოვემ.

– იგი, ეტყობა, ჯერაც არასოდეს ყოფილა ეკლესიაში? – იკითხა ქერა ქალმა, რომელიც თავზე უსვამდა ხელს ტორბიორნს.

– არასოდეს, – თქვა სემუნდმა, – იმიტომაც იჩხუბა, რომ პირველადაა აქ.

ტორბიორნმა გაწბილებით შეხედა ქერა ქალს, მერე სიუნიოვეს, რომელსაც ახლა წინანდელზე მკაცრად ეჭირა თავი. ხალხი ეკლესიიდან გადიოდა, უფროსები საუბარს განაგრძნობდნენ, ტორბიორნი სიუნიოვეს მიჰყვებოდა და, ყოველთვის, როგორც კი ტორბიორნი მასთან მიახლოებას დააპირებდა, დედას ეკვროდა. ბუთხუზა ბიჭი, ეკლესიაში რომ გადაეკიდა მას, მეტად აღარ დაუნახავს ტორბიორნს.

როცა ეზოში გავიდნენ, უფროსებმა რაღაც სერიოზული ლაპარაკი გააბეს. ერთხელაც ტორბიორნმა ასლაკის სახელსაც მოჰკრა ყური და იმის შიშით, ახლა ჩემზეც არ ჩამოვარდეს ლაპარაკიო, მოშორებით დადგა.

– არაა აქ საჭირო შენი ყოფნა, – უთხრა სიუნიოვეს დედამ, – ცოტათი გაიწი, ჩემი კარგო, გაიწი-მეთქი, გეუბნები!

სიუნიოვე რამდენიმე ნაბიჯით გაშორდა მათ უგუნებოდ. ტორბიორნი გოგონასთან მივიდა და თვალიერება დაუწყო, გოგონამაც შეხედა მას. რამდენიმე ხანს იდგნენ ასე და ერთმანეთს აკვირდებოდნენ. მერე სიუნიოვემ თქვა:

– ფუ!

– რატომ ამბობ „ფუ"-ს? – გაუკვირდა ტორბიორნს.

– ფუ! – ისევ გაიმეორა სიუნიოვემ და დაურთო: – ფუ, როგორ არა გრცხვენია!

– რა გავაკეთე ასეთი?

– ეკლესიაში იჩხუბე, მსახურების დროს იჩხუბე, ფუ!

– ჰო, მაგრამ ეს უკვე დიდი ხნის წინ იყო.

ტორბიორნის პასუხმა საგონებელში ჩააგდო იგი, ცოტა ხნის შემდეგ კი ჰკითხა:

– ეს შენ გქვია ტორბიორნ გრანლიენი?

– მე. შენ კი სიუნიოვე სულბაკენი გქვია, ხომ?

– ხო... მე კი ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ შენ ისეთი კარგი ბიჭი ხარ...

– არა, არაა მართალი. მე ყველაზე გაუგონარი ვარ ჩვენს სახლში, – თქვა ტორბიორნმა.

– ასეთი რამ კი არასოდეს გამიგონია! – წამოიძახა სიუნიოვემ და თავისი პატარა ხელუკებით ტაში შემოჰკრა. – დედა, დედა! ეს ამბობს...

– გაჩუმდი, ხელს ნუ მიშლი! – მოისმა პასუხად.

სიუნიოვემ დედას მიაპყრო თავისი დიდი თვალები, ნელა შეტრიალდა და ისევ ტორბიორნისკენ წავიდა.

– მე კი სულ მეუბნებოდნენ, რომ შენ ისეთი კარგი გოგო ხარ... – თქვა ტორბიორნმა.

– ეს სწორია, როცა ბიბლიას ვკითხულობ...

– მართალია, სულბაკენი ტროლებითა და ჭინკებითაა სავსეო, რომ ამბობენ? – ჰკითხა ტორბიორნმა და ისე შემოიყარა დოინჯი, როგორც ეს ასლაკმა იცოდა მსგავს შემთხვევებში.

– დედა, დედა! იცი, რას ამბობს იგი? იგი ამბობს...

– მომცილდი-მეთქი, გითხარი! და არ მოხვიდე, სანამ არ დაგიძახებ!

რაღა დარჩენოდა სიუნიოვეს. ისევ ტორბიორნისკენ გაემართა, თან პირში თავშლის წვერი ჩაიდო, კბილები დააჭირა და მაგრამ გაქაჩა.

– თქვენთან მართლა ყოველ ღამეს უკრავენ მუსიკას?

– ტყუილია ეს.

– ტროლი თუ გინახავს ერთხელ მაინც?

– არ მინახავს.

– ღმერთმანი?!

– ფუ, ნუ ლაპარაკობ მასე!

– სისულელე! ეს სულაც არაა სახიფათო! – დაამშვიდა გოგონა ტორბიორნმა და რომ ეჩვენებინა, რა შორს შეუძლია გადაფურთხება, კბილებიდან გააწიტა.

– ასე და ამნაირად, – თქვა სიუნიოვემ, – ჯოჯოხეთში მოხვდები შენ.

– მართლა? – არცთუ მთლად თამამად ჰკითხა ტორბიორნმა. თუკი რამ ემუქრებოდა კიდეც ახლა მას – მამისგან მიტყეპვა, მამა კი საკმაოდ შორს იყო მისგან.

– ყველაზე ღონიერი ვინ არის თქვენთან? – ჰკითხა მან და გვერდზე მოიგდო ქუდი.

– არ ვიცი.

– ჩვენთან კი მამა. იგი ისე ღონიერია, რომ ერთხელ ასლაკი გალახა. ასლაკი კი ხომ იცი რა ღონიერია!

– ნუთუ?

– ერთხელ მან ცხენი ასწია.

– ცხენი?!

– ჰო, თვითონ მომიყვა.

ახლა სიუნიოვეს იოტისოდენა ეჭვიც კი არ ჰქონდა ამასთან დაკავშირებით.

– ასლაკი ვინ არის?

– მგონი, იგი ძალიან ცუდი ადამიანია, შეგიძლია დამიჯერო. ერთხელ ისე მიბეგვა მამამ, როგორც არასოდეს არავინ მიუბეგავთ.

– ესე იგი, თქვენთან გრანლიენში ჩხუბობენ?

– ხდება ხოლმე... თქვენთან რა, არ ჩხუბობენ?

– არასოდეს.

– თქვენ რას აკეთებთ?

– დედა სადილს ამზადებს, ქსოვს, კერავს. მას ეხმარება კარი, მაგრამ მას ყველაფერი გაცილებით უარესად გამოსდის, ვიდრე დედას, რადგანაც კარი საშინელი ზარმაცია; რანდი ძროხებს უვლის, მამა და ბიჭები მინდვრად მუშაობენ, ან რამეს საქმიანობენ სახლში.

ტორბიორნმა ეს ახსნა-განმარტება სავსებით დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

– ყოველ საღამოს კი ბიბლიას ვკითხულობთ და ფსალმუნებს ვმღერით, – განაგრძო სიუნიოვემ. – კვირაობითაც ვკითხულობთ და ვმღერით.

– ყველა ერთად?

– ყველა ერთად.

– მგონი, ეს მოსაწყენია ძალიან.

– მოსაწყენი? დედა, ეს ამბობს, რომ... სიუნიოვეს აქ გაახსენდა, რომ დედამ მასთან მისვლა აუკრძალა.

– იცი, მე რა ბევრი ცხვარი მყავს, – უთხრა მან ტორბიორნს.

– კარგი ერთი.

– ჰო. ჰო. თანაც სამმა ცხვარმა თითო კრავი უნდა მოიგოს ზამთარში, ერთმა კი – უთუოდ ორი.

– ესე იგი, შენ შენი ცხვრები გყავს?

– ჰო. და ძროხები და გოჭები. შენ კი არა გყავს განა?

– არა.

– მოდი ჩემთან, კრავს მოგცემ. ნახავ, მალე რამდენი ცხვარი გეყოლება?

– აი, ეს კარგი იქნება.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ. მერე ტორბიორნმა ჰკითხა:

– ინგრიდსაც მისცემ კრავს?

– ინგრიდი ვინ არის?

– ინგრიდი? არ იცნობ პატარა ინგრიდს?

არა, ინგრიდს არ იცნობდა იგი.

– შენზე პატარაა?

– პატარა, რა თქმა უნდა. შენ ხომ ხარ, იმხელა.

– ჩემთან რომ წამოხვალ, ისიც აუცილებლად წამოიყვანე, ხომ გესმის!

ტორბიორნი დაჰპირდა.

– შენ კრავს მოგცემ, იმას კი გოჭს, კარგი? – თქვა სიუნიოვემ.

ტორბიერნი დაეთანხმა, რომ ასე ძალიან გონივრული იქნება. მერე მათ საერთო ნაცნობები გაიხსენეს, მაგრამ ასეთი ბევრი არ აღმოჩნდა. ამასობაში მშობლები საუბარსაც მორჩნენ და შინისკენ გაეშურნენ.

ღამით ტორბიორნს სულბაკენი ესიზმრა. სულბაკენზე თეთრი კრავები ძოვდნენ. მათ შორის პაწაწინა ქერათმიანი გოგონა დადიოდა ნითელი ბაფთით.

ტორბიორნი და ინგრიდი ყოველდღე იმის ლაპარაკში იყვნენ, რომ სულბაკენზე წავიდოდნენ. წარმოსახვაში მათ უკვე იმდენი პატარა კრავი და გოჭი ჰყავდათ, რომ ვერ აუდიოდნენ მოვლას. ბავშვებს კი ვერა და ვერ გაეგოთ, რატომ არ რთავდნენ სულბაკენში წასვლის ნებას.

– როგორ, პატარა გოგომ მიგიწვიათ სტუმრად და თქვენც კისრისტეხით მირბიხართ? – ეკითხებოდა მათ დედა. – გაგიგონიათ, რომ ვინმე ასე მოქცეულიყო?

– მოიცა, მოვა კვირა, გაიგონებ მაშინ, – თქვა ტორბიორნმა.

დადგა კვირა.

– შენ თურმე ისეთი ცუდი ხარ, რომ ტრაბახობ, იტყუები, ილანძღები, – განუცხადა მას სიუნიოვემ. – ასე რომ, სანამ არ გამოსწორდები, არ მოგიშვებენ ჩვენთან.

– ვინ გითხრა ეს? – გაკვირვებით ჰკითხა ტორბიორნმა.

– დედამ.

ინგრიდი მოუთმენლად ელოდა, როდის დაბრუნდებოდა ეკლესიიდან ძმა. ტორბიორნმა ყველაფერი უამბო მასა და დედას, რაც მოხდა.

– აი, ხომ ხედავ! – თქვა დედამ.

ინგრიდი გაჩუმდა. ის დღე იყო და ის დღე. მოჰყვებოდა თუ არა ახლა ტორბიორნი ბაქი-ბუქს, უწმაწურსა და ბილწ სიტყვებს, დედა და და მყისვე აკმენდინებდნენ ხმას. ერთხელ კი ტორბიორნი ლამის წაეჩხუბა ინგრიდს იმის გარკვევის დროს – წარმოადგენს თუ არა სალანძღავ გამოთქმას „ძაღლმა მიყოს პირი!“ და მერე მთელი დღე, წარამარა იმეორებდა: „ძაღლმა მიყოს პირი! ძაღლმა მიყოს პირი!..“ საღამოს მამამაც მოჰკრა ყური ამას.

– აი, ახლა გიყოფს ისე, არ დაგავიწყდება სამუდამოდ, – თქვა ბრაზით სემუნდმა და ისე ჰკრა ხელი ტორბიორნს, რომ კინაღამ წაიქცა. ტორბიორნს ძალიან შერცხვა ინგრიდის, მაგრამ მალე თვითონ მიუჩოჩდა ძმას და ნუგეში სცა.

გავიდა რამდენიმე თვე და აი, ბოლოს და ბოლოს, ისინი გაემართნენ სულბაკენში. მერე სიუნიოვემ შეუარა მათ, მერე კვლავ ტორბიორნი და ინგრიდი ესტუმრნენ მათ და მალე ისინი უკვე საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ტორბიორნი და სიუნიოვე ერთ სკოლაში სწავლობდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ტორბიორნი უფრო ნიჭიერი იყო და ისეთი კარგი მოსწავლე გახდა, რომ ეს არც პასტორს გამორჩა მხედველობიდან. ინგრიდი ცუდად სწავლობდა, მაგრამ ტორბიორნი და სიუნიოვე ეხმარებოდნენ. მალე სიუნიოვე და ინგრიდი დამეგობრდნენ, და რადგანაც სულ ერთად ფრენდნენ და თმებიც ძალიან ღია ჰქონდა ორივეს, თეთრი გნოლები შეარქვეს.

სიუნიოვე არცთუ იშვიათად უბრაზდებოდა ტორბიორნს, რადგანაც იგი თავისი სიფიცხის გამო ყოველ გამვლელსა და გამომვლელს უტეხდა ჩხუბს. ასეთ შემთხვევებში ინგრიდი ყოველთვის შუამავლის როლს ასრულებდა მათ შორის და ისინიც კეთილ მეგობრებად რჩებოდნენ. მაგრამ თუ სიუნიოვეს დედა

გაიგებდა ტორბიორნის რიგითი ჩხუბის შესახებ, იგი მას მთელი კვირით უკრძალავდა სულბაკენზე გამოჩენას, ზოგჯერ კი მთელი ორი კვირითაც კი. სემუნდს ამის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ.

– ის მეტისმეტად მკაცრია ბიჭთან, – ამბობდა ინგებორგი და მისი განკარგულებით არავინ იღებდა ხმას.

გავიდა რამდენიმე წელი, ბავშვები წამოიზარდნენ და სამივენი ძალზე დამშვენდნენ, ოღონდ თითოეული თავისებურად. სიუნიოვე მაღალი, ტანკენარი ქალიშვილი დადგა, ოქროსფერი თმებით, ულამაზესი ნაზი სახითა და მშვიდი ლურჯი თვალებით. როცა სიუნიოვე ლაპარაკობდა, იგი მორიდებით იღიმებოდა და ხალხში ხმა დადიოდა, რომ მის ღიმილს ბედნიერება მოაქვსო. ინგრიდი მასზე დაბალი იყო, უფრო მსუქანი, თმაც სიუნიოვეზე ღია ჰქონდა, სახე კი – პატარა და მრგვალი. ტორბიორნი საშუალო სიმაღლისა იყო, ძალიან ღონიერი, ბრგე, ჰქონდა მუქი ფერის თმა, ცისფერი თვალები და მკვეთრი ნაკვთები. გაცხარებისას ამბობდა, რომ წერა-კითხვაში მასწავლებელსაც არ დაუდებდა ტოლს, და არავისი ეშინია მთელს ველზე, – მამის გარდა, რა თქმა უნდა. ასე ფიქრობდა გულში, ხმამაღლა არ ამბობდა ამას.

ტორბიორნს ერთი სული ჰქონდა, სანამ კონფირმაცია მოუწევდა, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ.

– კონფირმაციამდე ბავშვი ხარ კიდევ და თავსაც ადვილად გაართმევ ასე, – ამბობდა მამა.

ეს კარგა ხანს გაჭიანურდა და ისე მოხდა, რომ ტორბიორნი, სიუნიოვე და ინგრიდი პირველად თითქმის ერთსა და იმავე დროს მივიდნენ მღვდელთან. სიუნიოვესაც დიდხანს მოუხდა მირონცხების ლოდინი. იგი უკვე მეთექვსმეტეში იყო გადამდგარი.

– არავინ იცის ზუსტად, როდის იქნება მზად აღთქმა მისცეს ღმერთს, – იტყოდა ხოლმე სიუნიოვეს დედა და გუტორმ სულბაკენიც ყოველთვის ეთანხმებოდა მას. ამიტომ არცაა არაფერი გასაკვირი იმაში, რომ სასიძოებიც გამოჩნდნენ. ერთ-

ერთი მათგანი ფრიად პატივცემული ადამიანის ვაჟიშვილი იყო, მეორე – მათი მდიდარი მეზობელი.

– რა სისულელეა! – ბრაზობდა მამა. – ჯერ ხომ კონფირმაციაც არ გაუვლია, გაივლის და ვნახოთ.

თვით სიუნიოვემ არაფერი იცოდა ამის შესახებ.

პასტორის ცოლსა და ქალიშვილებს ძალიან უყვარდათ სიუნიოვე. ისინი ხშირად ეპატიჟებოდნენ მას შინ და ინგრიდსა და ტორბიორნს სხვა მოსწავლეებთან ერთად უწევდათ ყურყუტი გარეთ. ერთხელ ერთმა ბიჭმა ტორბიორნს უთხრა:

– რატომ არ გაჰყევი უკან? დარჩები ხახამშრალი, წაგართმევენ მაგ გოგოს.

მართალია, ის ბიჭი ერთხანს დალურჯებული თვალით დადიოდა, მაგრამ მას შემდეგ ტორბიორნის ამხანაგები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან სიუნიოვეს ხსენებით გაცოფებამდე გაეხელებინათ ბიჭი. ეს იმით დამთავრდა, რომ პასტორის სახლთან ახლოს მდებარე ტყეში ნამდვილი სისხლის ღვრა გაიმართა. ტორბიორნს ბიჭების მთელ გუნდთან მოუხდა ჩხუბი. ქალიშვილები წინ იყვნენ წასული და მათი გამშველებელი არავინ იყო. შეტაკება უფრო და უფრო ცხარე ხასიათის იღებდა. ტორბიორნი ვაჟკაცურად ებრძოდა რიცხობრივად ბევრად მეტ მტერს და მუშტების ლაწალუწით გულუხვად უმასპინძლდებოდა. მათი მონგრეული ცხვირები და ჩალურჯებული თვალები შთამბეჭდავად ღაღადებდნენ შემდეგ იმ დღეს მომხდარი ამბის შესახებ. ჩხუბის მიზეზი დიდი მითქმა-მოთქმის მიუხედავად, ყველასთვის ნათელი იყო.

შემდეგ კვირას ტორბიორნი ეკლესიაში არ წასულა. მეორე დღეს ყველა უნდა ხლებოდა პასტორს, მაგრამ მან თავი მოიავადმყოფა და ისევ შინ დარჩა. ინგრიდს მარტო მოუხდა წასვლა. როცა დაბრუნდა, ტორბიორნმა ჰკითხა, რა თქვა მასზე სიუნიოვემ.

– არაფერი, – ესღა მიუგო დამ.

როცა იგი კვლავ გამოჩნდა პასტორთან, მოეჩვენა, რომ ყველა მას უყურებდა, მირონცხებულნი კი დასცინოდნენ

კიდეც შეფარვით. სიუნიოვე სხვებზე გვიან მივიდა და კარგა ხანსაც დაყო პასტორთან. ტორბიორნს პასტორის გაკიცხვის ეშინოდა, მაგრამ როგორც შემდეგ მოისაზრა, მთელ სოფელში ორად ორმა კაცმა არ იცოდა მხოლოდ ამ ჩხუბის ამბავი – პასტორმა და მისმა მამამ. ესე იგი, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ არ გინდა სიუნიოვეს გამოელაპარაკო? აი, ეს კი ვერ წარმოედგინა, მით უმეტეს, რომ კვლავაც ინგრიდისათვის მიემართა საშუამავლოდ, ძალიან არ უნდოდა. გამოკითხვა დიდი ხნის უკან დამთავრდა, სიუნიოვე კი ისევ პასტორთან იყო. ტორბიორნი მანამ ელოდა, სანამ ყველა არ წავიდ-წამოვიდა, დაბოლოს, მასაც მოუხდა წასვლა. ინგრიდი ერთ-ერთი პირველი წავიდა.

მეორე დღეს სიუნიოვე ყველაზე ადრე მივიდა პასტორთან და ახლა ბაღში დასეირნობდა მის ქალიშვილებთან და კიდევ ვიღაც ახალგაზრდასთან ერთად. ერთ-ერთი ქალიშვილი ყველაზე ლამაზ ყვავილებს წყვეტდა ახალგაზრდა კაცის დახმარებით, და სიუნიოვეს უწოდებდა. ტორბიორნი სხვა მოსწავლეებთან ერთად იდგა და სიუნიოვეს უყურებდა. პასტორის ქალიშვილი უხსნიდა სიუნიოვეს ყვავილების მოვლა-პატრონობის შესახებ. ისინი ისე ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ მოსწავლეებამდე ყოველი სიტყვა ისმოდა, სიუნიოვე ჰპირდებოდა, რომ ყველაფერს ზუსტად შეასრულებდა.

– ოღონდ მარტო ვერ გაართმევ ამ საქმეს თავს, – თქვა უცნობმა. ტორბიორნმა დაიმახსოვრა ეს სიტყვები.

როცა სიუნიოვე თავის ახალ მეგობრებს გამოემშვიდობა და დანარჩენ მოსწავლეებთან მივიდა, ისინი ჩვეულებრივზე მეტი პატივისცემით შეხვდნენ მას, ის კი მაშინვე ინგრიდისკენ გაემართა, ალერსიანად მიესალმა და პატარა მდელობისკენ წაიყვანა. ისინი ბალახზე დასხდნენ და საუბარი გააბეს, – მათ ხომ ამდენი ხანია გულახდილად არ უსაუბრიათ ერთმანეთთან. ტორბიორნი კი ისევ მოსწავლეებთან იდგა და უყურებდა იმ საუცხოო ყვავილებს, რომლებიც ახლა სიუნიოვეს საკუთრებას წარმოადგენდა.

იმ დღეს სიუნიოვე გაკვეთილების დამთავრებისთანავე წავიდა შინ.

– შეიძლება შენი ყვავილები წამოვიღო? – ჰკითხა ტორბიორნმა.

– კი, ბატონო, – თქვა მან მშვიდად. ტორბიორნისკენ გაუხედავად, სიუნიოვემ ინგრიდს ჩაჰკიდა ხელი და მასთან ერთად წავიდა წინ. სულბაკენთან ახლოს იგი შეჩერდა და ინგრიდს დაემშვიდობა.

– გმადლობთ, ახლა თვითონ მივიტან, – თქვა სიუნიოვემ და აიღო კალათი, რომელიც ტორბიორნმა მიწაზე დადგა. მთელი გზა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, შეეთავაზებინა ქალიშვილისთვის ეს ყვავილები დაერგო მისთვის, მაგრამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ სიუნიოვე სწრაფად შებრუნდა და წავიდა. ის კი დიდხანს ნანობდა შემდეგ, რომ ვერ გაბედა დახმარების შეთავაზება.

– რაზე ლაპარაკობდით გზაში? – ჰკითხა შემდეგ ინგრიდს.

– არაფერზე, – მიუგო ინგრიდმა, – ხან ამაზე, ხან იმაზე.

გვიან საღამოს, როცა უკვე ყველა იწვა, ტორბიორნმა ფრთხილად ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. მშვენიერი საღამო იყო, თბილი, წყნარი. ცას ებურა რუხ-ლურჯი ღრუბლების თხელი ფენა, რომელიც ალაგ-ალაგ იცრიცებოდა და, თითქოსდა, ღიობიდან ვიღაცის მუქი ცისფერი თვალები ანათებდა.

ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ კუტკალიები ჭრიჭინებდნენ ბალახში და კაკაბი გაეხმაურებოდა კაკაბს. ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან სიმღერა გაისმოდა კვლავ და კვლავ და ტორბიორნს ეჩვენებოდა, თითქოს იდუმალ არსთა მთელი ასაბია მიაცილებდა. ტყე, განიერ ცისფერ ზოლად გაწოლილი, რაც უფრო მაღლა მიიწევდა მთის კალთაზე, მით უფრო მუქდებოდა და თანდათან უკიდეგანო ნისლოვან ზღვად იქცეოდა. ტყიდან ხან როჭოს ტიხტიხი ისმოდა, ხან ჭოტის ყვირილი. ჩანჩქერი უფრო და უფრო აგუგუნებდა თავის მკაცრ სიმღერას და ყველაფერმა იყუჩა, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის რომ მიეგდო ყური.

ტორბიორნმა სულბაკენს ახედა და გზა განაგრძო. გზიდან გადაუხვია და ბორცვის ციცაბო ფერდს აუყვა პირდაპირ. მალე სიუნიოვეს პატარა ბაღში აღმოჩნდა, იმ ოთახის ფანჯრის ქვემოთ, სადაც მას ეძინა. ტორბიორნი სმენად იქცა, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მერე ბაღის ხელსაწყოები მოძებნა და მალე ნიჩაბსა და თოხსაც მიაგნო. ერთ ადგილას ორი ყვავილი დაერგოთ, ეტყობა, იმის დასადგენად, შეეგუებოდა თუ არა მცენარე ნიადაგს. „დაიღალა, ალბათ, საწყალი და იმიტომაც წავიდა ასე ადრე. აქ კაცის ხელია საჭირო“, – გაიფიქრა მან და მუშაობას შეუდგა. ისე მარჯვედ გამოსდიოდა ყველაფერი როგორც არასდროს. მან კარგად დაიმახსოვრა, როგორც უნდა დაერგო ყვავილები, დაიმახსოვრა წესი, როგორც იყო განლაგებული იგი პასტორის ბაღში. იგი დაუღალავად მუშაობდა. გადაბარა მთელი ყვავილეთი, ახალი ყვავილები დარგო, ძველებს ადგილი მოუნაცვლა, და იშვიათად თუ გახედავდა სიუნიოვეს სარკმელს, რათა დარწმუნებულიყო, რომ არავის შეუნიშნავს. ვერც კი შენიშნა, ისე ირიჟრაჟა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. სოფელს ეძინა, ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა. მაგრამ აი, პირველმა მამალმაც იყივლა და გააღვიძა ტყის ფრინველები. ისინი ჟივილ-ხივილით მოედვნენ ხის ტოტებს: დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა!

ტორბიორნმა მინა შემოუტკეპნა ყვავილებს, მოულოდნელად გაახსენდა ასლაკის ჯადოსნური ამბავი სულბაკენის ბინადარი ტროლებისა და ჭინკების შესახებ. „რა საყვარელი ტროლები ცხოვრობენ აქ“, – გაიფიქრა ტორბიორნმა და კმაყოფილმა მოავლო თვალი თავის ნაამაგარს. მერე ნიჩაბი და თოხი თავის ადგილას დადო, ქურთუკი ჩაიცვა, სიუნიოვეს სარკმელს გახედა და გაიღიმა: რას იფიქრებს, როცა დილით ფანჯრიდან გამოიხედავს და თავისი საუცხოო ყვავილები დარგული დახვდება.

კარგად გათენდა. ტორბიორნი საჩქაროდ გადაევლო ღობეს ჩიტების მხიარულ ჟივილ-ხივილში და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა შინისაკენ. არავინ უნდა გაიგოს, ვინ იყო აქ და ვინ დარგო ყვავილები სიუნიოვე სულბაკენის ბაღში.

III

მალე სოფელში ათასგვარი ჭორი გავრცელდა, მაგრამ რაიმე გარკვეულის თქმა არავის შეეძლო. კონფირმაციის შემდეგ ტორბიორნი არც გამოჩენილა სულბაკენში და ბევრი იმაზე იმტვრევდა თავს, თუ რას ნიშნავდა ეს. ინგრიდი კი საკმაოდ ხშირად სტუმრობდა სულბაკენს და იგი სიუნიოვესთან ერთად დადიოდა ტყეში.

– შორს არ წახვიდეთ, – გასძახოდა მათ სიუნიოვეს დედა წასვლისას.

– არა, რას ამბობ, – პასუხობდა სიუნიოვე და შებინდებამდე ბრუნდებოდნენ შინ.

მერე ორივე საქმროც გამოჩნდა.

– დაე, თვითონ გადაწყვიტოს, – თქვა დედამ და მამაც, როგორც სჩვეოდა, დაეთანხმა. ხოლო როცა ახალგაზრდებმა ხელი სთხოვეს სიუნიოვეს, მათ ცივი უარი სტკიცა. მერე სხვა პრეტენდენტებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ყველა იძულებული გახდა ყურებჩამოყრილი გასცლოდა სულბაკენს.

ერთხელაც, როცა სიუნიოვე სარძევე ჭურჭლის რეცხვაში ეხმარებოდა დედას და მან ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა, მოსწონდა თუ არა ვინმე, სიუნიოვე გაწითლდა.

– იქნებ, პირობა მიეცი უკვე ვინმეს? – მკაცრად უყურებდა დედა.

– არა, – მყისვე მიუგო სიუნიოვემ. მერე ამ საუბრს აღარ დაბრუნებიან.

სიუნიოვე ერთ-ერთ საუკეთესო სარძლოდ ითვლებოდა მთელს სამრევლოში და ეკლესიაში ყოფნისას უამრავი ცნობისმოყვარის ყურადღებას იპყრობდა. ეკლესია ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ნახავდით მას, თუ არ ჩავთვლით მშობლიურ სახლს. ცეკვებზე იგი არ დადიოდა და არც არავითარ სასოფლო გართობებში იღებდა მონაწილეობას, მისი მშობლები ხომ გაუგელები იყვნენ. ეკლესიაში ტორბიორნი პირდაპირ მის წინ იჯდა, მაგრამ ყოველგვარი ჭორი რომ აერიდებინათ, ისინი არასოდეს ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ბევრის ვარაუდით

მათ შორის რაღაც მოხდა, მაგრამ, რადგანაც ისინი სრულიადაც არ ეპყრობოდნენ ერთმანეთს ისე, როგორც სხვა შეყვარებულები, ეს ათასგვარი მითქმა-მოთქმის საფუძველს ქმნიდა.

ტორბიორნი სოფელში არ უყვარდათ. იგი ამას გრძნობდა და ჯარიანობაზე, ცეკვებსა თუ ქორწილებზე თანატოლებთან შეხვედრისას თავი მეტისმეტად ქედმაღლურად ეჭირა, რამდენჯერმე საქმე ჩხუბამდეც მივიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბევრმა იგემა მისი მუშტების სიმძიმე, ჩხუბი შეწყდა. ტორბიორნი დარწმუნებული იყო, რომ მას გზაზე წინ გადაღობვას ვერავინ გაუბედავდა.

– ძალიან არ გაყოყოჩდე, – უთხრა სემუნდმა, – ჩემი ხელი შენსაზე ღონიერია ჯერ-ჯერობით!

გავიდა შემოდგომა, ზამთარი, დადგა გაზაფხული, მაგრამ რაიმე გარკვეულის თქმა, კვლავაც არავის არ შეეძლო. სოფელში იმდენი იჭარტალეს სიუნიოვეს მიერ გაბუნძულებული საქმროების შესახებ, რომ ბოლოს და ბოლოს დაანებეს თავი. ის და ინგრიდი კვლავაც განუყრელი მეგობრები იყვნენ. სიუნიოვეს მამამ გრანლიენთა კუთვნილი საძოვრის ნაწილი იყიდა და მალე მათ ერთად მოუწევდათ მთის საძოვარზე გადასახლება. სულბაკენამდე ხშირად აღწევდა ტორბიორნის მხიარული სიმღერა, ეტყობა, სამგზავროდ ემზადებოდნენ.

გაზაფხულის მშვენიერი დღე იდგა. მზე შუბის ტარზე იყო, როცა ტორბიორნი საქმეს მორჩა და, იქვე ჩამომჯდარი, ღრმა ფიქრებს მიეცა. იგი კვლავ სოფელში მასა და სიუნიოვეზე გავრცელებულ ჭორებზე ფიქრობდა. ზურგზე წამოწვა მურა-მენამულ ერიკაზე, ამოიდო თავქვეშ ხელი და, ხეთა ხშირ ვარჯებს შორის, ცის უკიდეგანო სიღრმეს დაუწყო ყურება. მწვანე ფოთლები და წიწვები თითქოს ერთ მთრთოლვარე ნაკადად შეკრულიყო, მუქი ტოტები ფანტასტიკურ ნახჭად ერწყმოდა მათ ფონს. როცა ქარი გვერდზე გადახრიდა რომელიმე ფოთოლს, შექმნილ ღიობში ცის პატარა ნაჭერი იჭყიტებოდა, ხოლო იქ, სადაც ხის ვარჯები ერთმანეთს არ ეხებოდა, ცა ლურჯ ღვართქაფად ეშვებოდა და ჭირვეული კლაკვნით მიექა-

ნებოდა შორს... ეს სურათი იმდენად ღრმად ჩაებეჭდა სულში, რომ იგი მის გარემომცველ ბუნებაზე ფიქრმა მოიცვა სრულად.

მის შორიახლო არყის ხე იდგა. იგი განუწყვეტლივ კისკისებდა ათასობით თვალით და ეშმაკურად გაჰყურებდა ნაძვს. ფიჭვი, მდუმარე სიძულვილით სავსე, მრისხანედ ისწორებდა წიწვებს: ჰაერი უფრო და უფრო ალერსიანი ხდებოდა, უფრო თბილი, და ნორჩი ხეები, ზანტად რომ იფშვნეტდნენ თვალებს ზამთრის ძილის შემდეგ და ნეტარი ზმორებით ელტვოდნენ ცას, ახლად გამოტანილი კვირტებით ულიტინებდნენ პირდაპირ ცხვირში.

– საინტერესოა, ზამთარში სად იყავით? – ექიდნურად კითხულობდა ფიჭვი, ტოტებს ინიავებდა და აუტანელი სიცხისგან ფისს უშვებდა. – ჩრდილოეთი და ასეთი პაპანაქება?! უფ!

ყველა ხეს ბებერი ჭაღარა ნაძვი აღემატებოდა. იგი ძალიან მაღალი იყო, მაგრამ თუ მოიწადინებდა, თითქმის მიწამდე შეეძლო ჩამოეშვა თავისი ხაოიანი ტოტები და ისე აეჩეჩა თავხედი ნეკერჩხლისთვის ქოჩორი, რომ მას კანკალი უვარდებოდა მუხლებში. თავის დროზე ადამიანები წარამარა აჭრიდნენ ქვედა ტოტებს ამ გიგანტურ ნაძვს და უფრო და უფრო მაღლა აცოცდებოდნენ ტანზე, სანამ ბოლოს და ბოლოს არ მობეზრდა ეს და ისე არ აიყარა ტანი, რომ შორიახლო მდგარ პაწაწინა ნაძვს შეეშინდა და ბებერ ნაძვს ჰკითხა, ხომ არ დაავიწყდა ზამთრის ქარიშხლებიო.

– ზამთრის ქარიშხლები? – ამაყად დაუბრუნა კითხვა ნაძვმა, ისარგებლა ჩრდილოეთის ქარის დაბერვით და ისე ძალუმად გაშოლტა თავხედი, რომ ლამის დაუკარგა მისი ამაყი შესახედაობა. უზარმაზარ პირქუშ ნაძვს ისე მძლავრი ფესვები ჰქონდა, რომ ტანიდან თითქმის ექვსი წყრთის მანძილზე ჰქონდა განტოტვილი. ისინი თვით ტირიფის ფესვებზეც მსხვილები იყვნენ. ამის შესახებ ტირიფმა მორცხვად წასჩურჩულა სვიას, რომელიც სიყვარულით ეხვეოდა მას. გოლიათ ნაძვს შეგნებული ჰქონდა თავისი ძალა და სიდიადე და როცა ადამიანები მიადგებოდნენ, იგი ამაყად შეარხევდა ტოტებს და დაიბუბუნებდა:

– რა გაეწყობა, მომჭერით, თუ ძალგიძთ!

– რას ბრძანებთ, – თქვა არწივმა, – სად შესწევთ მაგის ძალა!

ფრინველთა მეფე ნაძვთან მიფრინდა. უჩვეულო თავაზიანობა გამოიჩინა – მის ტოტებზე დაეშვა, მედიდურად დაკეცა ფრთები და ბუმბულის წმენდას შეუდგა: რომელიღაც ავბედითი კრავის სისხლით რომ ჰქონდა გათხვრილი.

– უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს დედოფალს შენს ტოტებში უნდა გავუკეთო ბუდე! საქმე იმაშია, რომ იგი მართვეს ელოდება. – ჩუმად დაუმატა მან. იგი თავის ტიტველ ფეხებს უყურებდა. უცებ შეცბა: მოაგონდა გაზაფხულის დღეები, მზის პირველი სხივები და ტკბილი სიბრუე. მოულოდნელად რომ გეხვევა ამ დროს. მაგრამ აი, ისევ აიღო თავი, გოროზად მოავლო თავი შავ კლდეს. როგორ გაწვალდა მისი დედოფალი მაინც, იგი ხომ ბარტყს ელის სადაცაა... არწივი აფრინდა. ერთი წუთის შემდეგ ბებერი ნაძვი არწივის წყვილს გაჰყურებდა ცაში, ისინი მაღალი მთის მწვერვალების თავზე ლივლივებდნენ და, შესაძლოა, თავიანთ საოჯახო საქმეებს განიხილავდნენ ახლა. ნაძვმა უნებლიეთ რაღაც მოუსვენრობა იგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დიდი წარმოდგენისა იყო თავის თავზე, უნდოდა თავის ტოტებზე ერწია არწივის ბუდე. მაგრამ აი, არწივები დაბრუნდნენ და პირდაპირ ნაძვზე დაეშვნენ! სალაპარაკოდ დრო არ დაუკარგავთ, პირდაპირ ფიჩხის მოგროვებას შეუდგნენ. ნაძვმა კი უფრო ფართოდ გაშალა ტოტები: ამიერიდან ხომ მართლაც ვერავინ გაეკარება მას.

მალე ბებერი ნაძვის ბედნიერების ამბავი მთელ ტყეს მოედო. მის ახლოს პატარა თვალწარმტაცი არყის ხე ხარობდა. მისი წერწეტა ტანი ტბის სარკისებურ ზედაპირზე ირეკლებოდა და ფიქრობდა, რომ მის სიყვარულზე უარი არ უნდა ეთქვა ახალგაზრდა სტვენიას, რომელიც ნასადილევს არცთუ იშვიათად თვლემდა მის ტოტებზე. არყის ხე ფიანდაზად უფენდა სტვენიას სურნელოვან ფოთლებს, რომელთაც ათასგვარ ციცქნა მწერს აწებებდა სტვენიას რომ არ გასჭირვებოდა მათი დაჭერა,

სიცხეში კი ტოტებისგან მწვანე ფოთლებით გადახურულ პატარა სახლს უკეთებდა, სტვენიას თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა საზაფხულოდ აქ დაედო ბინა. და, რა ჭირად, დიდ ნაძვზე არწივი დასახლდა. სტვენიას სხვა თავშესაფრის ძებნა მოუხდა. უბედურებაც ამას ჰქვია! მან სევდიანად ჩაიუღურტულა გამოსათხოვარი სიმღერა, ოღონდ ძალიან, ძალიან ჩუმად: ღმერთმა ნუ ქნას და არწივს მისწვდეს ხმა. არყის ხე ისე მწარედ ტიროდა, ისე მწარედ, რომ მწუხარებისაგან ცოტა დაუშნოვდა კიდეც. აფორიაქდნენ ბელურებიც თხმელნარში. ადრე ისეთი ჟივილ-ხივილი ჰქონდათ დილიდან საღამომდე, რომ შორიახლო ბებერ კოპიტზე მცხოვრებ შაშვს თავის დროზე დაძინებას არ აცლიდნენ და ამიტომ ისიც განუწყვეტლივ ილანძღებოდა. მუდამ დარბაისელი კოდალა კი სიცილით კვდებოდა მეზობელ ხეზე და ერთხელ, გინდ დაიჯერეთ, გინდა არა, ლამის მინაზე არ ჩამოვარდა სიცილისგან. და უცებ არწივი არ დაინახეს დიდ ფიჭვზე? მაშინ კი კისრისტეხით გავარდა ყველა: შაშვი, ბელურა, კოდალა... ყველა. გულგახეთქილი შაშვი კი მზად იყო ხატზე დაეფიცა, რომ ახლა მოშორებით დაიდებდა ბინას ისეთი მეზობლებისგან, როგორიც ბელურები არიან.

ტყე დაცარიელდა, იდგა ეული და ყველასაგან მიტოვებული, თავზე კი მზე აცხუნებდა. ახლა ერთადერთ სიხარულს დიდი ნაძვი თუ მოუტანდა, მაგრამ განა შეიძლება მისი იმედი ჰქონოდა?

ტყეში ვერხვი იყო. იგი ძალიან იტანჯებოდა მარტოობისგან და მუდამ სხვა ხეებისა შურდა. და აი, ერთხელ ღვიის ბუჩქმა მიმართა მას:

– შენ ისეთი მეჩხერი და სწორი ტოტები გაქვს, რომ ვერც ერთი ჩიტი ვერ იკეთებს ზედ ბუდეს... რა გაქვს სატირალი?!

– იქნებ შეიყვარე ვინმე, ასეთმა ბასრმა და ეკლიანმა? – შეუღრინა ვერხვმა.

– არა, მაგრამ ჩემს ფესვებთან ყოველთვის ცხოვრობს რომელიმე ჩიტი.

– ფესვებთან, ჰო, – თქვა ვერხვმა და შეიშრიალა.

ჩრდილოეთის ქარი ზუზუნით უბერავდა. ტყე შიშით ერთხმოდა მიწას, ნაძვი ჰაერში იქნევდა თავის უზარმაზარ ტოტებს, მის ზევით კი, ძალიან მაღლა არწივი ლივლივებდა, ჩაფიქრებული და მშვიდი. თითქოს ეს არა ჩრდილოეთის ქარი, არამედ ზეფირის მსუბუქი ქროლვა იყო და ტყიდან ფისის სუსტი სურნელი მიჰქონდა მასთან. ხეები გუგუნებდნენ აღშფოთების ნიშნად, შოთხვი დუმდა მხოლოდ: როგორც მეზობლები ამბობდნენ, გულღვარძლიანი იყო და იმიტომ. მას ისეთი მძაფრი სურნელი ჰქონდა, რომ დახვეწილი გემოვნების მქონე არც ერთი ფრინველი არ დაიდებდა ბუდეს მის ტოტებში. თუმცა ახლა არც სხვა ხეები იყვნენ უკეთეს დღეში. წელს ისეთ სუნს აკმევდა შოთხვი, საშინელებაა პირდაპირ:

– ფი, – თქვა ასკილმა და ცხვირი დააცემინა, – სუნთქვა არ შეიძლება სავსებით. რა საჭიროა ასეთი მძაფრი სუნი იქ, სადაც სურნელოვანი ასკილია.

სამაგიეროდ ფიჭვები ხარობდნენ. არავის არ ანაღვლებდა ის, რომ ამიერიდან არც ერთი ჩიტი არ დაიდებდა ბუდეს მათ ტოტებში.

– მოვუსვათ აქედან! – ჭრიალებდნენ ფიჭვები. – ჩვენ ყველა ერთი მოდგმისა ვართ!..

. . . . . .

– რამ ჩაგაფიქრა ასე? – გაისმა უცებ ინგრიდის ხმა.

ბუჩქები აშრიალდა და ინგრიდი ღიმილით მიუახლოვდა ტორბიორნს. იგი უგუნებოდ ადგა.

– რა სისულელე არ მოგივა ზოგჯერ თავში! – თვალი მოავლო ხეებს. – მეტისმეტად ბევრს ყბედობენ ჩემზე სოფელში, – დაუმატა და შარვალი ჩამოიბერტყა.

– ერთი შენც, რატომ აქცევ ყურადღებას მათ ყბედობას?

– რატომ? იმიტომ, რომ ჯერაც არასოდეს უთქვამთ ჩემზე ისეთი, რისი გაკეთებაც არ მინდოდა, თუ გაკეთებული არ მქონდა უკვე.

– ეს ხომ საშინელებაა!

– საშინელებაა, – თქვა მან და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: – საშინელებაა, მაგრამ ასეა!

ინგრიდი ხავსზე იჯდა. ტორბიორნი კი მის გვერდით იდგა და წინ იყურებოდა.

– არ გამიჭირდება ისეთი გავხდე, როგორიც მათ სურთ, მაგრამ ჯობს, რომ თავი გამანებონ.

– ბოლოს და ბოლოს, ეს შენი საქმეა, არავინ არაფერს არ გაძალებს.

– კარგი, ასე იყოს, მაგრამ ყველა ძაღლი და მამაძაღლი სხვის საქმეში ყოფს ცხვირს. მე კი მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს თავი დამანებონ, გესმის, თავი დამანებონ! – გაშმაგებით იყვირა მან. მერე ყურადღება ცაში მოლივლივე არწივზე გადაიტანა.

– ტორბიორნ! – ჩურჩულით თქვა ინგრიდმა.

იგი მისკენ მიბრუნდა და გაიცინა.

– კარგი, კარგი, – თქვა მან. – რა არ მოგივა თავში ზოგჯერ კაცს, საოცარია პირდაპირ! ელაპარაკე დღეს სიუნიოვეს?

– კი, ოლონდ საძოვარზე წავიდა უკვე.

– დღეს?

– დღეს.

– სულბაკენის ნახირით?

– ჰო.

– ერიჰაა!

მზე გამოსულა ბანზედა,
ვარალო და ვარჰალალო!
მზე შინა და მზე გარეთა,
ვარალო და ვარჰალალო!
თვალებს ახელს ჩიტი და კითხულობს რიდით:
– რა ხდებაო, ნეტავ?

– ხვალ ჩვენც გავრეკავთ ნახირს, – თქვა ინგრიდმა, მისი აზრებისთვის რომ სხვა მიმართულება მიეცა.

– მე გავყვები ნახირს, – თქვა ტორბიორნმა.

– არა, მამა გაჰყვება თვითონ, – მიუგო ინგრიდმა.

– რაში ყოფილა საქმე, – ამოღერღა ტორბიორნმა.

– მამამ გიკითხა დღეს, – შენიშნა ინგრიდმა.

– მერე რა? – თქვა ტორბიორნმა. მერე ტოტი მოჭრა და გასხვლა დაუწყო დანით.

– თითქმის არცა სცემ ხმას... – უთხრა ინგრიდმა რბილად, ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: – მას ხომ მზე და მთვარე ამოსდის შენზე!

– შეიძლება მასეც იყოს, – მშრალად მიუგო ტორბიორნმა.

– ხშირად ლაპარაკობს შენზე, როცა შინ არა ხარ.

– და გაცილებით იშვიათად, როცა ვარ.

– მაგაში თვითონა ხარ დამნაშავე.

– შეიძლება მასეც იყოს.

– არ გინდა მასე ლაპარაკი, ტორბიორნ. შენ ხომ თვითონაც იცი, რატომ ჩხუბობთ სულ.

– რატომ?

– გინდა, რომ მე გითხრა?

– რა უნდა მითხრა, ინგრიდ? ჩემზე მეტი არ იცი შენ.

– სწორია. მე იმას გეტყვი მხოლოდ, რომ ძალიან ბევრის უფლებას აძლევ თავს. მამას კი ეს არ უყვარს. თვითონაც კარგად იცი ეს.

– მაგაში არაა საქმე. მაგას უნდა მაგის ჭკუაზე ვიარო სულ.

– აბა, როგორ, თუკი ერთი სიტყვა და ჩხუბს იწყებ მაშინვე?

– შენ გინდა, რომ ვისაც რა მოადგება ენაზე, ის იყბედოს ჩემზე?

– სრულიადაც არა. მაგრამ ხიფათში რატომ იგდებ თავს მუდამ? მამას არასოდეს არავისთან არ უჩხუბია, მაგრამ პატივს სცემს ყველა.

– მასზე, ეტყობა, ისე არ იყვნენ გადაკიდებული, როგორც ჩემზე.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ინგრიდმა აქეთ-იქით მიმოიხედა და თქვა:

– ალბათ, არ ღირს ისევ იმის განმეორება, მაგრამ ერთს გეტყვი: ნუ მიდიხარ იქ, სადაც მტრები გეგულება.

– არა, სწორედ იქ წავალ. ტყუილუბრალოდ არ მეძახიან ტორბიორნ გრანლიენს.

მან ტოტი შემოთალა და შუაში გაჭრა. ინგრიდი კი იჯდა და მას უყურებდა. მერე თქვა:

– კვირას წახვალ ნორდჰაუგში?

– წავალ.

ინგრიდი ერთხანს ჩუმად იყო, მერე მისკენ გაუხედავად თქვა:

– იცი, რომ კნუტ ნორდჰაუგი ჩამოვიდა დის ქორწილზე?

– ვიცი.

ინგრიდმა ძმას შეხედა.

– ტორბიორნ, ტორბიორნ!

– აბა, შენ გინდა, რომ ისევ მივცე ნება, ჩემსა და ჩემს ნაცნობებს შორის შემოძვრეს?

– არც მოძვრება იგი არსად. ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტად არა, ვიდრე ამ ნაცნობებს სურთ.

– არავინ იცის, რა უნდათ მათ.

– როგორ არ გრცხვენია, შენ ხომ მშვენივრად იცი!

– მაგრამ თვითონ იგი არაფერს არ ამბობს!

– ოჰ, როგორი ხარ შენ მაინც! – წამოიძახა ინგრიდმა; იგი გაბრაზებით უყურებდა ძმას. მერე ადგა და მოიხედა ისევ. ტორბიორნმა ჯოხი გადააგდო, დანა შალითაში შეინახა და ინგრიდს მიუბრუნდა.

– მომისმინე, – თქვა მან. – ყველაფერი ეს ყელში ამომივიდა. ორივეს გვასხამენ თავს ლაფს, იმიტომ, რომ ყოველთვის რაღაცას ვმალავთ, არ ვჩნდებით... მეორე მხრივ... მე არც დავდივარ სულბაკენში, რადგანაც, მოგეხსენება, არ მოვუდივარ თვალში მის მშობლებს. ნებას არ მაძლევენ ვიარო მასთან, როგორც სხვები დადიან თავის გოგოებთან, რადგან სიუნიოვე... სიუნიოვე წმინდანია, ბატონო!

– ტორბიორნ! – უსაყვედურა ინგრიდმა აღელვებით. ტორბიორნმა ულმობლად განაგრძო:

– მამას თითის განძრევა არ უნდა. ამბობს: „ჯერ დაიმსახურე იგი, მაშინ მიიღებ!“ ლაილაია ყველაფერი ეს და მეტი არაფერი. არც ვიცი სიუნიოვეს მართლა...

ინგრიდმა სწრაფად მიირბინა ძმასთან და, უკან-უკან ყურებით, პირზე მიაფარა ხელი. ისევ მოისმა ფოთლების შრიალი და ბუჩქებიდან გამოვიდა მაღალი ტანწერწეტა ქალიშვილი მკაფიოდ შეფაკლული ლოყებით. ეს იყო სიუნიოვე.

– საღამო მშვიდობისა! – თქვა მან. ინგრიდმა შთამბეჭდავად შეხედა ტორბიორნს: „აი, ხომ ხედავ!“ ტორბიორნმაც გაუსწორა თვალი ინგრიდს, თითქოსდა ამბობდა: „რატომ გააკეთე ეს?“ სიუნიოვეს ორივე არიდებდა თვალს.

– ჩამოვჯდები, თუ შეიძლება, თორემ ძალიან დავიღალე დღეს, – თქვა სიუნიოვემ და ბალახზე დაჯდა. ტორბიორნმა დაბლა დახარა თავი, რათა დაენახა, ნესტიანი ხომ არ იყო ის ადგილი, სადაც იგი დაჯდა. ინგრიდმა უცებ გრანლიენისკენ გაიხედა და ყვირილით წამოხტა:

– აჰ, ეს ფაგერლინი ისევ, ისევ აიშვა და ბოსტანში შევიდა. ეს საძაგელი, ეს. ჩელეროსმაც აიშვა? მაგათ ვუჩვენებ ახლა სეირს! დავაგვიანეთ საძოვარზე გადარეკვა! – და მთის ბექზე სირბილით დაეშვა ძირს, არც დამშვიდობებია მეგობარს. სიუნიოვე მაშინვე ადგა.

– მიდიხარ? – ჰკითხა ტორბიორნმა.

– ჰო, – უპასუხა მან, ფეხი არ მოუცვლია ისე.

– მოიცადე ცოტა, – სთხოვა მან. თვალს ვერ უსწორებდა.

– სხვა დროს, – ჩუმად მიუგო სიუნიოვემ.

– მეშინია, დიდხანს არ მოგვიწიოს ცდამ, – თქვა ტორბიორნმა.

სიუნიოვემ ტორბიორნს შეხედა, ტორბიორნმა – სიუნიოვეს. ორივე დუმდა.

– დაჯექი, გთხოვ, – შეცბუნებით უთხრა ტორბიორნმა.

– არ მინდა, – უპასუხა სიუნიოვემ. იგი ისევ იდგა. ტორბიორნმა იგრძნო, რომ ბრაზი მოაწვა და უცებ მოხდა ის, რა-

საც არ ელოდა. სიუნიოვე მიუახლოვდა, ზედ მის სახესთან დაიხარა, თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

– ბრაზობ ჩემზე?

ხოლო როცა ტორბიორნმაც შეხედა მას, სიუნიოვე მოულოდნელად ატირდა.

– ნუ, ნუ... – თქვა ტორბიორნმა და ერთიანად წამოენთო, ხელი გაუწოდა მას. სიუნიოვე ვერ ხედავდა ხელს, რადგან თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. ტორბიორნმა ხელი დაუშვა და ჰკითხა:

– ესე იგი, ყველაფერი გაიგონე, რაზეც ვლაპარაკობდით, არა?

– ყველაფერი! – უპასუხა სიუნიოვემ, ისევ შეხედა და გაიცინა, მაგრამ თვალები კიდევ უფრო აცრემლებული ჰქონდა და ტორბიორნმა უბრალოდ არ იცოდა, რა ექნა.

– მე, ალბათ, საძაგლად მოვიქეცი, – აღმოხდა მას. ეს ისეთი სინაზით იყო ნათქვამი, რომ სიუნიოვემ უნებლიეთ დახარა თვალები და ოდნავ მიტრიალდა.

– ნუ ამბობ, რაც არ იცი. – ხმა აუკანკალდა.

ტორბიორნს თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ. თავი ისე უსუსურად და უმწეოდ იგრძნო, სათქმელი ვეღარ დაასრულა, ძლივს წაილულღლუღა:

– მაპატიე, კარგი?

ისევ ცრემლები წასკდა ქალიშვილს. ტორბიორნმა მეტს ვეღარ გაუძლო, სიუნიოვეს მიეჭრა, მოეხვია და წყნარად ჰკითხა:

– შენც გიყვარვარ არა, სიუნიოვე?

– ჰო, – მიუგო მან სლუკუნით.

– და ამიტომაც იტანჯები, ხომ?

სიუნიოვე დუმდა.

– ამიტომ, ხომ? ამიტომ, ხომ? – რამდენჯერმე გაიმეორა ტორბიორნმა. სიუნიოვეს კი გული ამოუჯდა, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა და ცდილობდა, მისი მკლავებიდან გაეთავისუფლებინა თავი.

– სიუნიოვე! – თქვა მან და უფრო მაგრად მოხვია ხელი. სიუნიოვემ მის მკერდთან დახარა თავი და ვერ იკავებდა ცრემლებს.

– მოდი ჩვენს საქმეებზე ვილაპარაკოთ, – თქვა ტორბიორნმა, ბალახზე დასვა იგი და გვერდში მიუჯდა. სიუნიოვემ თვალები შეიმშრალა და სცადა გაეღიმა. ტორბიორნმა ხელი მოჰკიდა ხელში და თვალებში ჩახედა.

– მითხარი, შენი მშობლები რას ამბობენ ჩემზე?

– საერთოდ, იმას, რასაც მამაშენი, – უპასუხა სიუნიოვემ, თან ბალახს ნაზად უსვამდა ხელს.

– მაინც რას?

– რომ ცოტა ჟინიანი ხარ... ცოტა, – დაურთო მან.

– ჰმ, შენც ასე ფიქრობ?

იგი დუმდა.

– ასეთია მთელი ჩვენი მოდგმა, – თქვა ტორბიორნმა.

– მაგრამ შენ ხომ არავინ გაიძულებს ასეთი იყო?! – ჰკითხა სიუნიოვემ. ტორბიორნს არ მოეწონა ეს და ორჭოფულად მიუგო:

– ჩემი მშობლები ხომ გაუგელები არ არიან.

სიუნიოვემ საყვედურით შეხედა და ტორბიორნმა მაშინვე ინანა, რომ ასე თქვა. სიუნიოვემ მორიდებით შენიშნა:

– თუ ჩემს მშობლებზე ამბობ გადაკვრით, ჯობს, ისეთივე დარჩნენ ისინი, როგორიც არიან... ისინი ასეა თუ ისე ჩემი მშობლები არიან და ჩემი ვალია ყური დავუგდო მათ.

– მაშინ ჩემზე ჭორებსაც ანებონ თავი, – თქვა ტორბიორნმა. – და საერთოდ, არ მესმის, ყველა, ვისაც კი არ ეზარება, რატომ ყოფს ჩემს საქმეში ცხვირს.

სიუნიოვემ გაიფიქრა, რომ ტორბიორნი მართალს ამბობდა. მას თვითონაც ვერ გაეგო, რატომ ეპყრობოდნენ ტორბიორნს უფრო მკაცრად, ვიდრე სხვებს. ცოტა ხნის შემდეგ მან თქვა:

– ყველაფერი ეს სწორია, რა თქმა უნდა, მაგრამ... რაკი ასე გამოვიდა?

– ესე იგი, მარტო უნდა ვათრიო საზიდარი, რომელშიც მათ შემაბეს, თვითონ კი თითიც არ უნდა გაანძრიონ, ადგილიდან რომ დაძრან, არა?..

– ძნელია, რა თქმა უნდა ეს, მაგრამ...

– თუ არადა ვერ გნახავ, არა, როგორც საკუთარ ყურებს?

სიუნიოვე დუმდა.

– მერე შენ არასოდეს გიკითხავს ამის შესახებ მათთვის? – თქვა ტორბიორნმა და თავისკენ მიიზიდა მისი ხელი.

– ვერ ვბედავდი, – უპასუხა სიუნიოვემ ჩუმად. ცოტა ხანს ტორბიორნიც ჩუმად იყო.

– და შენ არასოდეს არაფერი გითქვამს ჩემზე მათთან?

– არა.

– საიდან იცი, რას იტყვიან ისინი ჩემზე?

– ვიცი.

ტორბიორნი მოიღუშა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თავით კი ხელებს.

– თუ ასე გაგრძელდა, ჩემი ფეხი არ იქნება სულბაკენზე, – თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ. პასუხის ნაცვლად სიუნიოვე ისევ ატირდა. ტორბიორნმა არ იცოდა რატომ ტიროდა იგი, უცებ კი იგრძნო, რომ არც მას უკლდა ბევრი ატირებას.

– მეც ხომ ვიცი, რომ ხშირად ვიქცეოდი ცუდად. მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგონ... გამიგე, არც მთლად წყალწაღებული ვარ. – იგი შეჩერდა, ცოტა ხანს გაჩუმებული იყო. – სულ ოცი წლისა ვარ, და... მე... – ტორბიორნმა თავი ვერ მოაბა სათქმელს. – მაგრამ იმან, ვისაც... ვუყვარვარ... ნამდვილად ვუყვარვარ, ხომ უნდა... – აქ იგი საბოლოოდ დაიბნა და ხმა გაიკმინდა. უცებ მას მოესმა დახშული ხმა:

– ნუ ლაპარაკობ ასე... შენ არ იცი, რა ძლიერად... მე ამის შესახებ ინგრიდსაც კი ვერაფერი ვუთხარი... – სიუნიოვე ისევ აქვითინდა. – შენ... არ იცი... როგორ... ვიტანჯები... მე...

ტორბიორნმა ხელი მოხვია და მაგრად ჩაიკრა გულში.

– მოელაპარაკე საჩქაროდ მშობლებს, – ჩურჩულით უთხრა მან, – აი ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება.

– ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც შენ გინდა.

– ყველაფერს?

სიუნიოვე მიუბრუნდა და კისერზე მოხვია ხელი.

– მინდა, რომ შენც ისე ძლიერ გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ! – თქვა მან და გაღიმება დააპირა.

– განა მე არ მიყვარხარ? – ჰკითხა ტორბიორნმა წყნარად და ნაზად.

– არა, არ გიყვარვარ! შენ რომ ოდნავადაც გიყვარდე, ყურს დამიგდებდი, ისე იზამდი, როგორც გეუბნები. შენ ხომ კარგად იცი რაცაა იმისთვის საჭირო, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ, მაგრამ შენ არ გინდა ეს. რატომ?

რახან სიუნიოვემ ერთი მოხსნა პირი სატკივარს, ახლა ბოლომდე უნდა ეთქვა ყველაფერი.

– ღმერთო, რომ იცოდე, როგორ ველი იმ დღეს, როცა შენ სულბაკენზე მოხვალ. მაგრამ შენზე რაღაც ცუდს ამბობენ ყოველთვის, შენი საკუთარი მშობლებიც კი და შენ თვითონა ხარ ამაში დამნაშავე.

და ტორბიორნმა ცხადად დაინახა უცებ, როგორ დადის სიუნიოვე სულბაკენში იმ ბედნიერი წუთის მოლოდინში, როცა იგი შეძლებს მის მიყვანას მშობლებთან... და მისი ბრალია, რომ ეს წუთი ჯერაც არ დადგა.

– კი, მაგრამ რატომ ადრე არ მეუბნებოდი ამის შესახებ?

– როგორ არ გეუბნებოდი?

– მეუბნებოდი, მაგრამ ისე არა, როგორც ახლა.

სიუნიოვე ჩაფიქრდა, წინსაფარი გაისწორა. მერე თქვა:

– იმიტომ... იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ ვბედავდი.

თურმე სიუნიოვეს შინებია მისი. ამან ის ისე გააოცა და თანაც აუჩვილა გული, რომ თავისი თავისთვისაც მოულოდნელად უცებ აკოცა მას, აკოცა სიცოცხლეში პირველად.

ამან სიუნიოვე ისე შეაშფოთა, რომ ტირილი შეწყვიტა, თვალები გაკვირვებისაგან გაუფართოვდა და ტუჩებზე დაბნეული ღიმილი აუთამაშდა. მერე თავი დახარა, ისევ შეხედა და ღიმილი მოეფინა. ამის შემდეგ სიტყვა არ დასცდენიათ, ისხდ-

ნენ ხელიხელჩაკიდებულნი და ვერ გაებედათ უფრო მაგრად მოეჭირათ ხელი ერთმანეთზე. მერე სიუნიოვე ოდნავ გაიწია, თვალები და სახე მოიწმინდა და ოდნავ გაწეწილი თმები წესრიგში მოიყვანა. ტორბიორნი იჯდა და ფიქრობდა იმაზე, რომ, რადგანაც სიუნიოვე უფრო დახვეწილი და თავაზიანია სხვა ქალიშვილებთან შედარებით და სურს მოეპყრონ არა ისე, როგორც მათ სოფელშია მიღებული, იგი ყველაფერს გააკეთებს ისე, როგორც მას სურს.

ტორბიორნმა იგი საბალახომდე მიაცილა. გზაში ძალიან უნდოდა ხელი მოეკიდა ხელზე, მაგრამ ისეთი გაუბედაობა დაეუფლა, რომ შეხება ვერ გაბედა. მას უცნაურადაც კი ეჩვენა, რომ იგი, ტორბიორნი, აცილებს მას. განშორებისას უთხრა:

– ჩემზე ვერაფერ ცუდს ვერ გაიგონებ ამას იქით.

სახლში რომ დაბრუნდა, მამამისს მარცვლის ტომრები გადაჰქონდა კარაპანიდან წისქვილში. მთელ სოფელს გრანლიენის წყლის წისქვილზე დაჰქონდა საფქვავი. როცა წყალი ყველა პატარა მდინარესა თუ ნაკადულში შრებოდა, გრანლიენში სამყოფად იყო წყალი. მრავალი ტომრის გადატანა იყო საჭირო, უბრალოდ დიდი ტომრების, ძალიან დიდი ტომრების. ცოტა მოშორებით ქალები თეთრეულს რეცხავდნენ. ტორბიორნი მამასთან მივიდა და ტომარას მოჰკიდა ხელი.

– არ მოგეხმარო? – ჰკითხა მან.

– არა უშავს, მე თვითონ, – უპასუხა სემუნდმა, სწრაფად მოიგდო ტომარა ზურგზე და წისქვილისკენ გასწია.

– აქ ყველას ეყოფა სამუშაო, – თქვა ტორბიორნმა, აიღო ორი დიდი ტომარა, მოიხარა და მხრებზე შეიგდო, გვერდებზე იდაყვები მიაშველა. გზაში მამა შეხვდა, რომელიც ახალი ტომრებისთვის მიდიოდა. სემუნდმა თვალი შეავლო, მაგრამ არაფერი უთხრა. კარაპანთან დაბრუნებისას ტორბიორნი კვლავ შეხვდა მამას, რომელსაც ორი უფრო დიდი ტომარა მიჰქონდა. ამჯერად ტორბიორნმა ერთი პატარა ტომარა მოიკიდა მხოლოდ. უკან დაბრუნებისას სემუნდმა მეტი დაჟინებით შეხე-

და ვაჟიშვილს. მერე ისე გამოვიდა, რომ კარაპანთან აღმოჩნდნენ ერთად.

– წერილი მოგვივიდა ნორდჰაუგიდან, – უთხრა სემუნდმა. – ქორწილში გეპატიჟებიან კვირას...

ინგრიდი წუთით სამუშაოს მოწყდა და მავედრებელი მზერით გახედა ძმას. დედაც იგივეს სთხოვდა თვალებით.

– უყურე შენ? – მშრალად თქვა ტორბიორნმა. და რაც შეიძლება მძიმე ტომრებს ეძებდა.

– რას აპირებ, ნახვალ? – პირქუშად ჰკითხა სემუნდმა.

– არა.

IV

გრანლიენის მთის საძოვრის ნახვას არაფერი ჯობდა. იქიდან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანდა, პირდაპირ მის ქვემოთ – სულბაკენი და მის ირგვლივ ათასფერადი ტყე, მოშორებით – დანარჩენი ხუტორები. ტყე ამ ხუტორებსაც ყოველი მხრიდან ეკრა და ამწვანებული მინდვრები კარ-მიდამოებითა და ნაგებობებით ველურ ბუნებას გამოტაცებულ მშვიდობისა და ბედნიერების კუნძულებს ჰგავდა. გრანლიენის საძოვრიდან სოფლის თოთხმეტ კომლს დათვლიდი. თვით გრანლიენი სოფლის ბოლოში იყო და ზემოდან მხოლოდ სახლებისა და ფარდულების სახურავები ჩანდა, და ისიც საძოვრის სულ კიდიდან თუ შეხედავდით. მიუხედავად ამისა, ქალიშვილები ყოველთვის ამჩნევდნენ გრანლიენის მილებიდან ამომავალ კვამლს.

– დედა სადილს ამზადებს ახლა, – ამბობდა ინგრიდი. – დღეს ღორის ქონია ჩვენთან.

– გესმის, მამაკაცებს უხმობენ შინ, – კვერს უკრავდა სიუნიოვე. – დღეს რად მუშაობენ ისინი, ნეტავ?

და ქალიშვილები გასცქეროდნენ შორეულ კვამლს, რომელიც ჯერ ანცად მიიწევდა მზით გაბრწყინებულ ცაზე, მერე კი, თითქოსდა გონს მოეგოო, მშვიდდებოდა და განიერ გამჭვირვალე ზოლად ეფინებოდა ტყეს; ზოლი თანდათან სულ

უფრო და უფრო თხელდებოდა, დაბოლოს, სიფრიფანა მარმა-შად რხეული, ჰაერში დნებოდა. რა ფიქრები არ მოსდიოდათ ქალიშვილებს თავში.

დღეს ისინი ნორდჰაუგს გაჰყურებდნენ. უკვე ორი დღეა რაც ქორწილია გაჩაღებული, დღესასწაული ექვს დღეს გაგრძელდე-ბა კიდევ, ისმის ხმამაღალი შეძახილისა და სროლის ხმა.

– რა მხიარულებაა იქ ახლა! – თქვა ინგრიდმა.

– მე კი მათი სრულიადაც არა მშურს, – მიუგო სიუნიოვემ და ქსოვას შეუდგა.

– კარგი იქნებოდა მაინც იქ, – თითქოს უნებლიეთ დასცდა ინგრიდს. იგი ჩაცუცქული გასცქეროდა ნორდჰაუგს, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, ზოგი კარაპანისაკენ მიდიოდა, სადაც, ეტყობა, სუფრა იყო გაშლილი, ზოგი მასლაათით დადიოდა წყვილებად.

– მართალი გითხრა, არ მესმის, რატომ მიგიწევს გული იქ, – თქვა სიუნიოვემ.

– თვითონაც არ ვიცი, რატომ, – მიუგო ინგრიდმა, ისევ ისე რომ იყო ჩაცუცქული, – ალბათ ცეკვა მინდა, – დაურთო მან. სიუნიოვემ არაფერი უთხრა.

– შენ არასოდეს გიცეკვია? – ჰკითხა უცებ ინგრიდმა.

– არა.

– ნუთუ შენ მართლა ფიქრობ, რომ ცეკვა ცოდვაა?

– მართალი გითხრა, არ ვიცი.

ინგრიდმა გადაწყვიტა, რომ მეტი კითხვა არ დაესვა, რადგანაც გაახსენდა, რომ გაუგელებს მკაცრად ეკრძალებათ ცეკვა, და არც ის უკითხავს, როგორ ეკიდებიან ცეკვებს მისი მშობლები. მერე კი, თითქოსდა გამოუთქმელ აზრს აგრძელებ-სო, დაუმატა:

– ტორბიორნზე უკეთესი მოცეკვავე სიცოცხლეში არ მინახ-ავს.

– ჰო, კარგად ცეკვავს, ალბათ, – დუმილი დაარღვია სი-უნიოვემ.

– ო, ერთი განახა როგორ ცეკვავს! – წამოიძახა ინგრიდმა და მეგობარს მიუბრუნდა. სიუნიოვემ მიუგო:

– მე კი არც მინდა ვნახო, როგორ ცეკვავს იგი.

ინგრიდმა გაკვირვებით შეხედა სიუნიოვეს, რომელიც დახრილიყო და ნაქსოვის თვლებს თვლიდა. უცებ ნაქსოვი მუხლებზე დაუვარდა, სადღაც შორს გაიხედა და თქვა:

– რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ დღეს! ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ დიდი ხანია!

– რატომ? – ჰკითხა ინგრიდმა.

– იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ იგი არ ცეკვავს დღეს ნორდჰაუგში!

ერთხანს იჯდა ასე, შორეულ სივრცეს გაჰყურებდა, მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო, თავი დახარა და გამალებით შეუდგა ქსოვას.

ინგრიდი ფიქრებმა წაიღო.

– რამდენ გოგოს უნდა, ალბათ, ახლა ნორდჰაუგში, რომ მივიდეს ის, – თქვა მან.

სიუნიოვემ პირი გააღო, თითქოსდა რაღაც უნდოდა ეთქვა საპასუხოდ, მაგრამ გადაიფიქრა და ქსოვას დაუბრუნდა ისევ.

– ტორბიორნსაც ძალიან უნდა, ალბათ, იქ წასვლა, დარწმუნებული ვარ, – თქვა ინგრიდმა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა: სიუნიოვეს შეხედა. ის კი იჯდა ერთიანად სახეალეწილი და, თითქოსდა, მთელი გულისყური ხელსაქმეზე ჰქონდა გადატანილი. ინგრიდს თავში გაუელვა ახლახან ნაყბედმა სიტყვებმა, თავი უხერხულად იგრძნო. უცებ, ტაში შემოჰკრა და სიუნიოვეს წინ მუხლებზე დაეშვა. უნდოდა თვალებში ჩაეხედა მისთვის, იგი კი ქსოვდა და ქსოვდა... ინგრიდმა გაიცინა და თქვა:

– რამდენი დღე გავიდა უკვე და შენ რაღაცას მიმალავ ისევ.

– რაზე ამბობ? – ჰკითხა სიუნიოვემ და გაუბედავად შეხედა წამით.

– იმიტომაც არ ბრაზობ, ტორბიორნს ცეკვა რომ უყვარს, – თქვა ინგრიდმა. სიუნიოვე ხმას არ იღებდა. ინგრიდს სახე გაებადრა, მეგობარს მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

– შენ იმიტომ ბრაზობ, რომ იგი სხვებთან ცეკვავს და არა შენთან!

– რას როშავ ერთი! – წამოიძახა სიუნიოვემ და ინგრიდი მოიშორა. იგი ადგა. ინგრიდიც ადგა და უკან გაჰყვა.

– საცოდაობაა მაინც, ცეკვა რომ არ იცი! – თქვა ინგრიდმა სიცილით. – საცოდაობა! იცი, რა? მოდი, ახლავე გასწავლი. – ხელი მოხვია წელზე სიუნოვეს.

– რა გინდა, რას გადამეკიდე ერთი? – ჰკითხა სიუნიოვემ.

– რა და ცეკვა უნდა გასწავლო, საწყენად რომ არ დაგრჩეს, როცა სხვებთან ცეკვავს იგი!

სიცილი ვერ შეიკავა სიუნიოვემ.

– აქ ხომ დაგვინახავს ვინმე, – თქვა მან.

– უკეთესი ვერ მოიგონე ვერაფერი? – ჰკითხა ინგრიდმა, მაშინვე წამოიწყო რაღაც მხიარული მოტივი და სიუნიოვეც გაიყოლა სიმღერის ტაქტზე.

– არა, არა, არ მინდა, არ არის ეს კარგი, – ეურჩებოდა სიუნიოვე.

– ახლა არ ამბობდი, ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ, როგორც დღესო? მოდი.

– არა, ეს არ არის კარგი, არ არის კარგი.

– ჯერ სინჯე. როგორ გაიგებ ისე, არის თუ არ არის კარგი.

– ო, რა ჯიუტი ხარ, ინგრიდ!

– როგორც კატამ უთხრა ბელურას, რომელიც ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილზე, რათა ადვილად გაესკვანჩა იგი. მოდი...

– სიამოვნებით, მაგრამ...

– მე ახლა ტორბიორნი ვიქნები, შენ კი მისი ახალგაზრდა ცოლი, რომელსაც სურს, რომ მხოლოდ მასთან იცეკვოს.

– კი, მაგრამ...

ინგრიდი უკვე მღეროდა.

– კი, მაგრამ...

სიუნიოვეს რაღაც უნდოდა ეთქვა კიდევ, მაგრამ ამაოდ, ინგრიდი უკვე ცეკვავდა. იგი წინ მიდიოდა, დიდ ნაბიჯებს დგამდა და მამაკაცურად იქნევდა ხელებს. სიუნიოვე პატარ-პატარა ნაბიჯებითა და თავდახრილი მისდევდა უკან. ინგრიდი კი მღეროდა:

მელა ბუჩქებს ეფარება
მინდვრად,
სკუპ, სკუპ – კურდღელს ეჩქარება
მინდვრად!
ბრწყინავს შორით მშობლიური მხარე,
დაჩახჩახებს მზე მთელ არემარეს
მინდვრად!

აკანკანებს კბილებს მელაკუდა
მინდვრად,
„სად წამივა, უნდა თუ არ უნდა!"
მინდვრად.
და ხდება ის, რაც ხდებოდა ოდით,
თავი გააქვს მელას ნადირობით
მინდვრად.

სკუპ! – კურდღელი გონს მოეგოს, ძნელია
მინდვრად,
ხრამხრუმ, ხრამხრუმ... – ლამის გასკდეს მელია
მინდვრად.
დე, იცოდეს კურდღლის მოდგმამ ამიერ:
ფრთხილად! მელამ არ გიყელოთ წამიერ!
მინდვრად.

– აბა! კარგია თუ არა? – ჰკითხა ინგრიდმა, როცა სულის მოსათქმელად შეჩერდნენ. სიუნიოვეს გაეცინა და თქვა, რომ ვალსი უნდა იცეკვოს. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და ისინიც უმალ შეუდგნენ საქმეს. ინგრიდმა მეგობარს უჩვენა, როგორ უნდა დადგას ფეხი, „ვალსის ცეკვა იოლი არ გახლავს."

– კარგია, კარგი! აბა, ტაქტში... – თქვა სიუნიოვემ. ქალიშვილებმა განაგრძეს. ინგრიდი მღეროდა, სიუნიოვე ხმას აყოლებდა, ჯერ ჩუმად, მერე უფრო და უფრო ხმამაღლა. უცებ ინგრიდი შედგა და გაკვირვებისაგან ხელები გაშალა.

– გცოდნია ვალსის ცეკვა! – წამოიძახა მან.

– კარგი ერთი, არა თქვა ეს, – თქვა სიუნიოვემ და უფრო და უფრო სწრაფად დაუწყო მეგობარს ტრიალი. ინგრიდი კი მღეროდა:

მზე უვლის ცეკვით მთებსა და ჭალებს, –

იცეკვე შენაც, – მზე ჩავა მალე!
მდინარე ხტუნვით მიილტვის ზღვისკენ, –
იხტუნე შენაც, წინ სამარისკენ!
არყის ხეებს გრეხს ქარი ჭრიალით, –
შენც ასე მოგგრეხს ბედის ტრიალი!
ხედავ...

– რა უცნაური სიმღერაა, – თქვა სიუნიოვემ და შეჩერდა.

– თვითონაც არ ვიცი, რა სიმღერაა ეს. ტორბიორნი მღეროდა.

– სლავე-ბენტმა მოიგონა ეს სიმღერა, – თქვა სიუნიოვემ. – ვიცი.

– მართლა? – შეშინებით ჰკითხა ინგრიდმა. იგი, საგონებელში ჩავარდნილი, ერთხანს ხმას არ იღებდა. მერე უცებ გზას გადახედა და საზიდარი შენიშნა.

– სიუნიოვე, ნახე, ვიღაც გრანლიენიდან მოდის!

სიუნიოვემ გზას გახედა.

– ის არის? – ჰკითხა მან.

– ისაა, რა თქმა უნდა. ქალაქში მიდის.

მართლაც, ეს ტორბიორნი იყო, იგი ქალაქში მიდიოდა. ქალაქამდე შორს იყო და მძიმედ დატვირთული საზიდარი ნელა მიუყვებოდა მტვრიან შარას. სულბაკენის საძოვარი ხელისგულივით მოჩანდა გზიდან და როცა ტორბიორნს გასძახეს, იგი მაშინვე მიხვდა, ვინც ეძახდა. იგი საზიდარზე ავიდა და ხმამაღლა გაჰყვირა პასუხად. მთებში ექომ გაიხმაურა. საძოვარზე

საყვირს ჩაბერეს, ტორბიორნი ჩაჯდა და ყური მიუგდო; როცა საყვირის ხმა მიწყდა, იგი კვლავ წამოდგა და გაჰყვირა:

– აუ-უ-უ!..

ასე გასძახოდნენ ერთმანეთს ისინი ერთხანს. ტორბიორნი საოცრად მხიარულ გუნებაზე იყო. ზოგჯერ იგი სულბაკენს გახედავდა და ეჩვენებოდა, რომ არასოდეს ყოფილა იგი ისე მზიანი, როგორც დღეს. მაგრამ სანამ ასე იჯდა იგი და ხან საძოვარს უყურებდა და ხან სულბაკენს, ცხენი სულ დაავიწყდა. მოულოდნელად იგი გადარეულივით გაქანდა. ტორბიორნი მაღლა შეისროლა – ცხენმა უზარმაზარი ნახტომი გააკეთა გვერდზე, ერთი ხელნა გატყდა, ცხენი ცოფიანივით გაქანდა ჩორთით ნორდჰაუგის ველზე, გზა სწორედ ნორდჰაუგს ჩაუდიოდა გვერდით. ცხენი რომ დაეურვებინა, ტორბიორნი ფეხზე წამოხტა – გაიმართა ბრძოლა ცხენსა და კაცს შორის. გახურებული ცხოველი ბორცვის ფერდისკენ იწევდა, ტორბიორნი არ უშვებდა. მერე დრო იხელთა, მიწაზე ჩამოხტა და, სანამ ცხენი ისევ გაექანებოდა წინ, ხელნას სწვდა. ცხენმა განძრევა ვეღარ შეძლო. მთელი ბარგი აქეთ-იქით ეყარა, ცხენი ერთ ადგილზე იდგა და შიშისგან ცახცახებდა. ტორბიორნმა აღვირს ჩაავლო და ცხენს დაწყნარება დაუწყო. მერე ფერდობს მოაშორა – ვაითუ ისევ აბნეოდა გზა-კვალი და გადაეჩეხა ქვევით. ცხენი კი ისე იყო შეშინებული,თავს ვერ იჭერდა და გარბოდა. ტორბიორნი სირბილ-სირბილით მისდევდა. გზაზე ბარგი უთავბოლოდ იყო მიმოყრილი, ყველაფერი გატეხილი, დამტვრეული და გაფუჭებული. ადრე თუ ტორბიორნი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, ახლა, ამხელა ზარალის მნახველი, სასტიკად გაშმაგდა. ქალაქში წასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. და რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო ეძალებოდა მრისხანება. შარაზე გამოსვლისას ცხენი ისევ გაიქაჩა თავის დასახსნელად. მეტი კი ვეღარ მოთიმინა ტორბიორნმა. მარცხენა ხელით აღვირში სწვდა ცხენს, მარჯვენათი კი გადაუჭირა და გადაუჭირა ზურგზე თავისი უზარმაზარი მათრახი. ტკივილისგან გონდაკარგულმა ცხოველმა წინა ფეხებით ტლინკები მი-

აყარა გულში, ტორბიორნმა ხელის კვრით მიაგდო იგი გვერდზე და გაშმაგებით დასცხო მათრახის ტარი.

– მე შენ გიჩვენებ, შენ სამგლე! – გააფთრებით უშენდა მათრახს. ცხენი ჭიხვინებდა, საცოდავად კვნესოდა დუუმორეული... ის კი სცემდა და სცემდა.

– აი შენ, აი შენ, აი შენ! – ღრიალებდა იგი და მთელი ძალითა და ღონით ურტყავდა. საცოდავი ცხენი სასოწარკვეთილი ფრუტუნებდა. მისი დუუით ხელებგათხვრილი ტორბიორნი კი სცემდა და სცემდა.

ცხენი გასხლტომას აღარ ცდილობდა, კრთებოდა მხოლოდ ყოველი დარტყმის შემდეგ, თავი უკანკალებდა, დაიღუნებოდა დარტყმისას მიწისკენ და შესაბრალისად დაიჭიხვინებდა. ტორბიორნს შერცხვა უცებ, ხელი დაუშვა. და მაშინვე შენიშნა, რომ კიდესთან ვიღაც წევს, იდაყვებით მიწას დაყრდნობილი, და ხმამაღლა იცინის. აქ უკვე ნერვებმა უმტყუნა მას, რისხვისგან თვალთ დაუბნელდა და, ცხენისთვის ხელი არ გაუშვია ისე, უცნობისაკენ გაექანა მათრახმოღერილი. მათრახმა გაიზუზუნა. უცნობი ყვირილით წამოვარდა, თითქოსდა აიცილა დარტყმა, და თხრილში ისკუპა. ოთხზე მდგარმა თავი ტორბიორნისკენ იბრუნა, შეიგინა და გაიღმიჭა – სიცილი დააპირა. მაგრამ ტორბიორნს სიცილი არ გაუგონია. იგი გაქვავებული იდგა გაკვირვებისაგან და იხსენებდა, სად ენახა ეს სახე. გაახსენდა: მის წინ ასლაკი იდგა.

ტორბიორნს უსიამოდ გააჟრჟოლა.

– შენ შეაშინე ცხენი? – ჰკითხა მან.

– რას ამბობ?! ჩემთვის ვიწექი და მეძინა. – უპასუხა ასლაკმა, თხრილიდან ამობობღდა. – ეს შენ გამაღვიძე შენი ყვირილით, გადარეულივით რომ მივარდი ცხენს.

– შენ შეაშინე იგი. ყველა ცხოველს ეშინია შენი.

ტორბიორნმა ზურგზე მოუთათუნა ცხენს. გატანჯულ ცხოველს წურწურით სდიოდა ოფლი.

– ჩემი აზრით კი, ცხენს შენი უფრო ეშინია, ვიდრე ჩემი. – მიუგო ასლაკმა. – მე არასოდეს არ ვაწვალებ ცხენებს.

– ბევრს ნუ ყბედობ.

– ესე იგი მე ვყბედობ ბევრს, – შემპარავად, ფეხარეული მიუახლოვდა ასლაკი ტორბიორნს. იგი მთვრალი იყო. – მაინც სად გეჩქარებოდა ასე?

– ახლა არსად არ მეჩქარება, – ცხენის გამოხსნას ცდილობდა ტორბიორნი.

– აი, ჭირი, თუ გინდა! – თანაუგრძნო ასლაკმა. მიუახლოვდა ტორბიორნს და ქუდი მოიხადა. – ღმერთო, როგორ დავაუკაცებულხარ. რა ხანი გავიდა, რაც უკანასკნელად გნახე.

ასლაკი ფეხზე ძლივს იდგა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ჯიქურ მიშტერებოდა ტორბიორნს, რომელსაც ვერა და ვერ გამოეხსნა ცხენი. მარტო ვერ ახერხებდა ამას, ასლაკის დახმარება კი არ უნდოდა. საშინელი შესახედი იყო: ტანსაცმელი ტალახში ჰქონდა ამოთხვრილი, გაცვეთილი ქუდიდან გაჩეჩილი თმები მოუჩანდა, სახე – ესოდენ ნაცნობი – მოღიმარად ელრიცებოდა; როცა გიყურებდა, თვალებს ქუთუთოები უფარავდა ლამის, თავი უკან ჰქონდა გადაგდებული, პირი – ნახევრად ღია. მთელი სახე როგორღაც მომჩვაროდა, მოძრაობები მოდუნებოდა. ეტყობოდა, ლოთობდა. ტორბიორნი ადრეც შეხვედრია მას, მაგრამ ასლაკი ისე იჭერდა თავს, როგორც უცნობი. იგი საქონელს დაატარებდა ხუტორიდან ხუტორში, არც ერთ დღესასწაულსა და საღამოს არ აკლდებოდა, რადგანაც ბევრი საინტერესო ამბავი და სიმღერა იცოდა და სამაგიეროდ არც არაყს ამადლიდნენ. როგორც მოგვიანებით გაიგო ტორბიორნმა, იგი ნორდჰაუგშიც ყოფილა ქორწილში, წაუკინკლავებია ერთმანეთზე სტუმრები, როგორც მას სჩვეოდა, და მასაც რომ არ მოხვედროდა მერე, დროულად გამოპარულა.

– გინდ შეაბი ახლა ეგ შენი ცხენი და გინდ გამოაბი, მაინც ნორდჰაუგში მოგიწევს შესვლა, ყველაფერი რომ მოიყვანო წესრიგში, – თქვა ასლაკმა.

ტორბიორნმა თვითონაც იცოდა, რომ გვერდს ვერ აუვლიდა ამას, მაგრამ ნორდჰაუგში წასვლას სიკვდილი ერჩია.

– იმათ ხომ დიდი ზეიმი აქვთ დღეს! – თქვა ტორბიორნმა.

– ჰოდა, დახმარებსაც დიდს გაგიწევენ! – მიუგო ასლაკმა.

ტორბიორნი ისევ ყოყმანობდა, მაგრამ ბრწყინვალედ იცოდა, რომ მარტო თავს ვერ გაართმევდა ყველაფერ ამას და, უნდა-არუნდა, ნორდჰაუგში უნდა შეევლო. ცხენი საზიდარს მიაბა და ხუტორში გაემართა, რომელიც არც ისე შორს იყო. ასლაკიც გაჰყვა. ტორბიორნი მობრუნდა და ჯიქურ მიაპყრო მზერა. ასლაკმა გაიცინა:

– უკეთეს კომპანიაში ვერც ვინატრებდი ქორწილში დაბრუნებას.

ტორბიორნმა ხმა არ გასცა, მაგრამ ფეხს აუჩქარა. ასლაკი კუდში მისდევდა და რაც შეეძლო ხმამაღლა მღეროდა ძველებურ სიმღერას „ორმა გლეხმა მიაშურა ქორწილს."

– სად გეჩქარება ასე? – ჰკითხა ასლაკმა. – არსად არ გაგექცევა ქორწილი.

ტორბიორნი ჩუმად იყო.

ნორდჰაუგს მიუახლოვდნენ. უკვე ისმოდა მუსიკის ხმა და ცეკვების ხმაური, დიდი ორსართულიანი სახლის ფანჯრებიდან სტუმრებს გამოეყოთ თავი, ეზოშიც ბლომად ირეოდა ხალხი. ერთგან ინტერესით აკვირდებოდნენ მომავალს: ეს ვინღაა, ნეტავ? ბოლოს და ბოლოს იცნეს, ცხენიც შენიშნეს შორს და მინაზე მიყრილ-მოყრილი ჭურჭულიც. ცეკვა მაშინვე შეწყდა, ყველა ეზოში გამოეფინა. ტორბიორნი და ასლაკიც მიადგნენ სახლს.

– კომპანიას გაუმარჯოს! – იყვირა ასლაკმა და ტორბიორნთან ერთად სტუმრებს მიუახლოვდა. ტორბიორნს მხიარული ყიჟინით შეეგებნენ და გარს შემოეხვივნენ.

– კომპანიას გაუმარჯოს, ლუდის კათხებს მაგიდაზე, ლამაზმანებს დარბაზში და მუსიკოსებს სკამზე! – რიხიანად თქვა ასლაკმა და სტუმრებს შეერია. ზოგს გაეცინა, ზოგმა წარბები შეჭმუხნა. ვიღაცამ თქვა:

– მეწვრილმანე ასლაკი კარგ გუნებაზეა, როგორც ყოველთვის.

სტუმრებს შორის ტორბიორნს მაშინვე გამოუჩნდნენ მეგობრები, რომელთაც თავისი გასაჭირი უამბო. მათ ცხენისა და ბარგის მისახედად ერთი მოჯამაგირე გაგზავნეს, ტორბიორნი კი პატარძლის საქმრომ მიიწვია მაშინვე მაგიდასთან, რომელიც მისი სკოლის ამხანაგი იყო. სუფრაზე საქორწილო ლუდი გაჩნდა.

ზოგიერთ სტუმარს და, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ქალიშვილებს ცეკვა უნდოდა, ზოგიერთს დალევა ერჩივნა და ასლაკის ამბების მოსმენა, რაკი ის დაბრუნდა.

– ანი მაინც იყავი ჭკუით, არ გაგისწორონ ცხვირ-პირი! – უთხრეს მას.

ტორბიორნი დაინტერესდა, დანარჩენი სტუმრები სად იყვნენ, და მას უამბეს, რომ ცოტა ხნის წინ ჩხუბი მომხდარა, ბევრი ოთახებში შესულა, ზოგი ფარდულში კარტს თამაშობდა, ზოგსაც კნუტ ნორდჰაუგთან მოუყრია თავი. კნუტ ნორდჰაუგი სად იყო, ტორბიორნს არ უკითხავს.

საქმროს მამა, ხანში შესული კაცი, მოშორებით იჯდა, ყალიონს აბოლებდა და ლუდს წრუპავდა.

– აბა, ასლაკ, – თქვა მან, – მოგვიყევი ერთი სახალისო ამბავი, გისმენთ!

– ყველა მისმენს? – თქვა ასლაკმა და მაგიდასთან მიდგმულ სკამს გადააჯდა. დანარჩენებიც მაგიდას შემოუსხდნენ.

– ყველა, რა თქმა უნდა, – თქვა საქმრომ და არაყი დაუსხა ჭიქაში ასლაკს. – გთხოვთ.

– რამდენი მთხოვს? – ისევ იკითხა ასლაკმა.

– ბევრი, მგონი, – მიუგო ძელსკამზე მჯდარმა ყმაწვილმა ქალმა და ღვინის ბოთლი მიუჩოჩა. ეს იყო პატარძალი, ასე, ოცი წლის ქალიშვილი ღია ფერის თმით, გამხდარი სახით, დიდი თვალებითა და ღრმა ნაკეცით პირთან. – მიყვარს შენი მოსმენა.

ნეფემ დაჟინებით შეხედა დედოფალს, საქმროს მამამ – ვაჟიშვილს.

– რაც მართალია-მართალია. უყვართ ნორდჰაუგში ჩემი ამბების სმენა, – თქვა ასლაკმა. – ქება და დიდება თქვენ! – იყვირა და სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა, რომელიც პატარ-ძლის ეჯიბმა მიაწოდა მას.

– მიდი, რას უცდი! – გაისმა ხმები. – ბოშა ქალ სიგირდზე!.. შეუბერე! –

– სიგირდზე არა, საშინელია ძალიან, – წინ აღუდგნენ სხ-ვები, განსაკუთრებით ქალები.

– ლირის ომზე მოყევი! – ითხოვა მედოლე სვენმა.

– მიდი რამე მხიარული ცოტა! – თქვა ვიღაც აყლაყუდა ბიჭმა.

იგი კედელს იყო მიყუდებული, პიჯაკი არ ეცვა, მისი მარ-ჯვენა ხელი თითქოსდა შემთხვევით გადაურბენდა თმაზე იქვე მჯდომ ქალიშვილებს დროდადრო. ქალიშვილები ხმამაღლა გამოხატავდნენ აღშფოთებას, მაგრამ სხვაგან გადაჯდომის იოტისოდენა სურვილსაც არ იჩენდნენ.

– მაშინ იმას გიამბობთ, რაც მე მევასება, – განაცხადა ასლაკმა.

– ეშმაკმა დალახვროს! – შეიგინა ვიღაც მოხუცმა. იგი ლოგინზე იწვა და აბოლებდა, ცალი ფეხი იატაკზე ჰქონდა გადმოკიდებული, მეორეს კი მთელი ძალითა და ღონით აჭ-ერდა საწოლის ზურგზე გადადებულ ახალთახალ პიჯაკს.

– გაანებეთ თავი ჩემს პიჯაკს! – იყვირა კედელთან მდ-გომმა აყლაყუდამ.

– თქვენ კი ჩემს ქალიშვილებს გაანებეთ თავი! – უპასუხა მას მოხუცმა. და ქალიშვილებმაც ადგილი მოინაცვლეს.

– მაინც იმას გიამბობთ, რაც მე მევასება! – გაიმეორა ასლაკმა. – მაყლურწე არაყი, აივსე ბარაქით! – დაუმატა და ტაში შემოჰკრა.

– არა-მეთქი! იმას გვიამბობ, რასაც გეტყვით, – განაცხადა ისევ იმ მოხუცმა. – არაყი ხომ ჩვენია!

– „ჩვენია“! – გამოაჯავრა ასლაკმა. – მერე რა გინდა?

– ის მინდა, რომ თუ ჩვენ გავზრდით ღორს, ჩვენვე დავკლავთ, – განაცხადა მოხუცმა თავის ქნევით.

ასლაკმა თვალები დახუჭა. ერთხანს უძრავად იჯდა, მერე მძიმედ ჩამოუვარდა თავი მკერდზე. სიტყვას არ იღებდა. რამდენი არ ანჯღრიეს, ვერაფერს გახდნენ, ვერ ამოაღებინეს ხმა.

– მოსტეხა კისერი არაყმა, – შენიშნა ლოგინზე წამოწოლილმა მოხუცმა.

ასლაკმა უცებ თვალები გაახილა, ისევ დაიჭყანა, თითქოსდა იცინისო, და თქვა:

– ჯანდაბას! ახლა თქვენ მოისმენთ ფრიად სალაღობო ამბავს! – ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: – იმდენად სალაღობოს... ღმერთმა შეგვინდოს! – პირი დააღო და საშინელი, უხმო სიცილით გაიცინა.

– ეგ მართლაც კარგ გუნებაზეა დღეს! – შენიშნა საქმროს მამამ.

– ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს! – ჩაიცინა ასლაკმა. – აბა, ერთი ჭიქაც საგზლად! – დაუმატა და ხელი გაიშვირა.

მიუწიეს ჭიქა არაყი. ასლკმა ნელ-ნელა გამოცალა, თავი უკან გადახარა, ბოლო წვეთამდე რომ გამოეწრუპა და ლოგინზე წამოწოლილ მოხუცს მიმართა:

– ახლა ხომ ის ღორი ვარ, რომელიც თქვენ გამოზარდეთ! – და ისევ იმ საშინელი სიცილით გაიცინა.

მერე ხელები მოიკიდა მუხლზე და რამდენჯერმე ასწია-დასწია ფეხი. სხეული შეუქანდა აქეთ-იქით. ბოლოს დაიწყო:

– იყო და არა იყო. ერთ ველზე ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი ცხოვრობდა, რომელ ველზე ან რა ერქვა ქალიშვილს, მნიშვნელობა არა აქვს. სულერთია. ქალიშვილი ლამაზი იყო, უკიდურეს შემთხვევაში ასე ეჩვენებოდა ხუტორის პატრონს, ს-ს-სუ, რომელთანაც მსახურად იდგა. იგი კარგ ჯამაგირს იღებდა, ძალიან კარგ ჯამაგირს, ერთხელ კი იმაზე მეტიც მიიღო, ვიდრე ეკუთვნოდა, ბავშვი გაუჩნდა. მეზობლები ამბობდნენ, პატრონისგან გაუჩნდაო, მაგრამ ამას მეზობლები ამბობდნენ, თვითონ პატრონი კი ხმას არ იღებდა, იმიტომ, რომ ცოლიანი

იყო, არც ქალიშვილი იღებდა ხმას, იმიტომ, რომ ამაყი იყო, საცოდავი. და ისე მოხდა, რომ ემბაზის ირგვლივ, რომელშიც ახალშობილს ნათლავდნენ, სიცრუე ტრიალებდა, და ბიჭსაც შავი დღე დაენათლა, შავი. აბა, რა დაემართებოდა სიცრეუში მონათლულს. ქალიშვილს კი მაინც დართეს ხუტორში დარჩენის ნება, მაგრამ, როგორც ეს ადვილი მოსალოდნელი იყო, პატრონის ცოლს არ მოეწონა ეს მაინცადამაინც. გამოჩნდებოდა თუ არა ქალიშვილი სახლში, იგი ზურგში აფურთხებდა მას, ხოლო ბავშვი თუ გავიდოდა ეზოში სათამაშოდ სხვა ბავშვებთან, – მოაშორეთ აქედან, არ დამანახოთ ეს ნაბიჭვარიო, – ბრძანებდა.

ცოლი დღედაღამ მოსვენებას არ აძლევდა ქმარს თხოვნით, წყეული ბოშა ქალი გაეგდო სახლიდან. ითმინა, ითმინა კაცმა სანამ კაცი იყო, მერე კი გალოთდა და დედაკაციც მოაჯდა კისერზე. მაშინ კი დაუდგა შავი დღეები ბედკრულ ქალიშვილს. მისი მდგომარეობა თანდათან გაუარესდა, დაბოლოს, ისეთ დღეში ჩავარდა, ლამის შიმშილით განუტევა სული თავის პირმშოსთან ერთად.

გავიდა წელი, ერთი, მეორე, მესამე... გავიდა რვა წელი, ქალიშვილი კი ისევ ხუტორში ცხოვრობდა. და აი, მისი წასვლის დროც დადგა. წასვლით კი წავიდა, მაგრამ წინა დღით ხუტორში საშინელი ხანძარი გაჩნდა და იმ დღეს სახლი თავის გამობრუჟულ პატრონთან ერთად დაიბუგა. დიასახლისი ბავშვებთან ერთად გადარჩა; იგი დღენიადაგ იწყევლებოდა, სახლს იმ წყეულმა გომბიომ წაუკიდა ცეცხლიო. ვინ იცის, შეიძლება, მან მართლაც... შეიძლება, იგი სრულიადაც არ ...

უცნაური ვინმე იყო ის ბიჭი, ბოშას ვაჟიშვილი. რვა წლისა იგი უკვე ხედავდა, რომ დედამისი დილიდან საღამომდე წელებზე იდგამდა ფეხს; ხედავდა, რომ ამ ვაი-უშველებელს ბოლო არ უჩანდა, და ხშირად ეკითხებოდა დედას, რატომ ტიროდა იგი ყოველდღე. დედაც პასუხობდა. მისი სახლიდან წასვლის წინა დღესაც იგივე პასუხი მიიღო, ოღონდ სად წავიდა და სად აღამ-ათენებდა, არავინ იცოდა. დედას ათი წელი კატორღა

მისცეს, რადგანაც სასამართლოზე თქვა, რომ ეს მან წაუკიდა ხუტორს ცეცხლი... მეზობლები ტყავს იძრობდნენ, ოღონდ დახმარებოდნენ ბიჭს, მას ხომ ასეთი საძაგელი დედა ჰყავდა. მერე ბიჭი სხვა სოფელში გადაბარგდა, მშობლიური სოფლიდან მოშორებით, და იქაც არანაკლებ ეხმარებოდნენ, რადგან იქ არავინ იცოდა, რა საძაგელი დედაც ჰყავდა. თვითონ მას კი, ასე მგონია, არ სურდა ამაზე ლაპარაკი. ამას წინათ მითხრეს, მთვრალი უნახავთ... საერთოდაც, ამბობენ, რომ სულ წავიდა ხელიდან და ისე ილეშება, კაცი ვერ იცნობს. მართალია ეს თუ არა, არ ვიცი. ის ვიცი მხოლოდ, რომ მეტი არც არაფერი დარჩენია მას სმის გარდა. ისე, თუ დამიჯერებთ, დიდი გაფუჭებული ვინმეა. ადამიანები მას არ უყვარს, კიდევ უფრო არ უყვარს, როცა ისინი კარგად ეპყრობიან ერთმანეთს, და ყველაფერზე უფრო არ უყვარს, როცა თვითონ მას ეპყრობიან კარგად... მას უნდა ყველა ისეთი იყოს, როგორიც თვითონაა. თუმცა ამაზე არ ლაპარაკობს იგი გასაგონად, თუ მთვრალი არ არის, მაშინ კი... მაშინ მწარედ ტირის, ისე, რომ ღვარღვარად მოსდის ცრემლები... მაინც რატომ ტირის? მას ხომ ერთი გროშიც არ მოუპარავს არავისთვის, არავისთვის უქნია ცუდი, ბევრ სხვასავით, – მოკლედ, არაფერი აქვს სატირალი. ის კი მაინც ტირის, მწარედ ტირის. და თუ თქვენ მაშინ გადაეყარეთ, როცა ტირის, არ დაუჯეროთ, იმიტომ, რომ მას ეს უბრალოდ სიმთვრალით მოსდის, სიმთვრალეში კი მის ნახვას არ გირჩევთ.

ასლაკი სკამიდან იატაკზე ჩამოვარდა. ქვითინებდა, აძაგძაგებდა. ცოტა ხნის შემდეგ მიყუჩდა და ჩაეძინა.

– აი, ღორიც დათვრა, – თქვა ლოგინზე წამოწოლილმა მოხუცმა. – დათვრება თუ არა, ყოველთვის ტირის.

– საშინელებაა! – თქვენს ქალიშვილებმა ოთახიდან გასვლისას.

– რა მოეთხოვება მეტი, რაც პირზე მოადგება, იმას ბოდავს. – თქვა მოხუცმა და კარებში შეჩერდა. – რას ნახულობენ მაინც ადამიანები მის მონაყოლში?

მოხუცმა პატარძალს შეავლო თვალი და ოთახიდან გავიდა.

V

ხალხმა დაშლა დაიწყო. ზოგს ისევ ცეკვა უნდოდა და მევიოლინეს ეძებდა. მევიოლინეს წინკარის კუთხეში მკვდარივით ეძინა.

– მისი ამხანაგი ლარსი სიკვდილის პირამდე მიიყვანეს ცემით, – თქვა ვიღაცამ, – და საწყალი ოლე მთელი ოცდაოთხი საათი უკრავდა შეუსვენებლად. არ გაალვიძოთ.

მალე ტორბიორნის ნივთებიც მოზიდეს, მისი ცხენიც მოიყვანეს. მეგობრები ტორბიორნს არ უშვებდნენ, მაგრამ მან წასვლა არჩია, ახალ საზიდარში შეაბა ცხენი. განსაკუთრებით საქმრო სთხოვდა დარჩენას.

– იქნება არც მე ვარ ისე მხიარულად, როგორც ბევრს ჰგონია, – თქვა მან.

ტორბიორნს უცნაურად ეჩვენა ეს, მაგრამ მას გადაწყვეტილი ჰქონდა შეღამებამდე წასულიყო. როცა სტუმრები მიხვდნენ, რომ ვერ დაიყოლიებდნენ მას, შემოეცალნენ, და უცებ ისეთი სიჩუმე და მოწყენილობა ჩამოწვა, რომ ვერც იფიქრებდით ქორწილი თუ იყო აქ.

ტორბიორნს ახალი საცალუღე მარწუხები დასჭირდა. იგი საძებრად გაეშურა, მაგრამ შესაფერისი ვერაფერი ნახა, გადაწყვიტა შეშის ფარდულში შეეხედა. იგი ჩუმად შევიდა შიგ, თავში საქმროს ნათქვამი უტრიალებდა. მალე ყველაფერი იპოვა, რაც საჭირო იყო, კედელთან მიჯდა, დანა ამოიღო და ძელაკს დაუწყო თლა. მოულოდნელად სულ ახლოს კვნესა გაისმა. ხმა თხელი ტიხრის იქითა მხრიდან ისმოდა, სადაც გამონაშვერის ქვეშ საზიდავი და მარხილი იდგა. ტორბიორნმა ყური მიუგდო.

– ნუთუ... ეს... შენ ხარ? – მოესმა ტორბიორნს წყვეტილი ხმა. ხმა მამაკაცისა იყო. იგი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა. თავიდან ტორბიორნს იგი კნუტი ეგონა, მაგრამ კნუტი ძალიან მკვეთრად გამოთქვამდე „რ“-ს. ეს მამაკაცი კი „რ“-ს რბილად გამოთქვამდა.

– ესე იგი... შენ... მეძებდი... – გაიმეორა მამაკაცის ხმამ. მერე ქვითინი მოისმა, ეს ქალი ტიროდა.

– მითხარი, რატომ ხარ აქ?

– ეტყობა, ამას ქალი კითხულობდა, რადგანაც ხმა ტირილისაგან თრთოდა.

– ჰმ... აბა, ვის ქორწილში უნდა ვიქეიფო, თუ არა შენში?

ქვითინი გაისმა კვლავ.

„მევიოლინე ლარსი თუ წევს იქ", – გაიფიქრა ტორბიორნმა.

ლარსი მოხდენილი ჭაბუკი იყო. მის მოხუც დედას ნორდჰაუგის პატრონისგან პატარა სახლი და მიწის ნაკვეთი ჰქონდა იჯარით აღებული. მაგრამ მეორე ხმა, ქალის?.. მეორე ხმა, უთუოდ, პატარძალს ეკუთვნოდა! ტორბიორნმა ყური მიუგდო.

– რატომ, რატომ ადრე არაფერი მითხარი? – გაშმაგებისგან სული ეხუთებოდა ქალს.

– ზედმეტია-მეთქი, ვიფიქრე, – მოუჭრა მამაკაცმა. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ისევ ქალი ალაპარაკდა. მისი ხმა ისე ულერდა, როგორც კვნესა.

– მაგრამ შენ ხომ იცოდი, რომ ჩვენთან დადიოდა იგი!

– მეგონა, შენ უფრო ძლიერი იყავი.

კვლავ ქვითინი გაისმა. და ისევ წყვეტილი ჩურჩული:

– მაინც რატომ არაფერი მითხარი?

– რა აზრი ჰქონდა მოხუცი ბირტას შვილს ნორდჰაუგის ქალიშვილისთვის ეთქვა რამე, – უპასუხა ლარსმა დუმილის შემდეგ. ისმოდა მისი მძიმე, წყვეტილი სუნთქვა და კვნესა. ლარსი ისევ გაჩუმდა პასუხის მოლოდინში.

– ჩვენ ხომ ამდენი წელი ვიცნობდით ერთმანეთს! – თქვა ქალმა.

– ჰო... ვიცნობდით... – უპასუხა ლარსმა და კვლავ მისი მძიმე სუნთქვა მოისმა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, ტირილის ხმაც კი არ ისმოდა. მაგრამ აი, ისევ ალაპარაკდა ქალი, მისი დაბალი ხმა ყრუდ ულერდა:

– რა საშინელია, რომ არაფერი მითხარი.

– შენ ყოველთვის ისე ამაყად გეჭირა თავი, რომ ვერაფერს გიბედავდი.

– მე კი ისე ძლიერ არაფერი მინდოდა ქვეყნად, როგორც ეს... ყოველდღე ველოდი... შენთან შეხვედრას ველოდი... სულ ისე მეგონა, ძალით ხომ არ უნდა ავეკიდო, როცა თვითონ არ მოვდივარ თვალში-მეთქი.

და ისევ მიჩუმდა ყველაფერი. არც ჩურჩული ისმოდა, არც ქვითინი, არც ავადმყოფის სუნთქვა. სიჩუმე ავადმყოფის მწუხარე ხმამ დაარღვია: – ეს რომ მცოდნოდა!

ტორბიორნს უნებურად გაახსენდა საქმრო, რომლის მიმართაც იგი სიმპათიით იყო განწყობილი, და მისადმი სიბრალული იგრძნო. თითქოსდა მის აზრებს გამოეპასუხა, პატარძალმა თქვა:

– ვერ გაიხარებს ჩემს ხელში უბედური!

– დასანუნი არაფერი აქვს, კარგი კაცია, – მიუგო ავადმყოფმა, ისევ აკვნესდა: ტკივილი მკერდში აუტანელი ხდებოდა. ეტყობა მისი ტკივილი ქალსაც გადაედო, რადგანაც თქვა:

– ძალიან გტკივა, არა?.. ვიცი... მაგრამ, ალბათ, ვერც დაველაპარაკებოდით ერთმანეთს ვერასდროს, თუ ეს უბედურება არა.

ქალი ტიროდა. ტორბიორნს კი ეჩვენებოდა, რომ ლარსიც ტიროდა, რადგან ქვითინი სულ უფრო და უფრო ხმამაღალი ხდებოდა.

– რა კარგია, რომ მოხვედი, – თქვა ავადმყოფმა. ტორბიორნი მოუთმენლად ელოდა, რას უპასუხებდა ქალი.

– სხვაგვარად არ შემეძლო, – მიუგო მან, მერე კი დაუმატა: – როცა კნუტს შეები, პირველად მივხვდი ყველაფერს. მერე კი... ჩაშხამებული გამოვიდა ჩემი ქორწილი, ჩაშხამებული. თუმცა არც მანამდე მქონდა დაშაქრული...

– მეტი ვერ ავიტანე, – თქვა ლარსმა. და დაუმატა: – შენი ძმა კნუტი ძალიან ბოროტი კაცია.

– ჰო, არ არის კარგი კაცი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ლარსმა გამწარებით თქვა:

– არ ვიცი, გამოვკეთდები კი ოდესმე. თუმცა, ახლა სულერთია ჩემთვის ყველაფერი.

– ვიცი, გიმძიმს, მაგრამ მე უფრო მიმძიმს.

და ისევ გაისმა ქვითინი.

– მიდიხარ? – ჰკითხა ლარსმა.

– მივდივარ, – უპასუხა მან.

– ჩვენ როდისღა... – ლარსს სიტყვა არ დაუმთავრებია. ქალს ცრემლები მოერია ისევ, მერე თქვა:

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა ჯოჯოხეთი იქნება ეს!

– ნუ ტირი, – თქვა მან. – დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს დარჩენილი. მერე კარგად იქნება ყველაფერი.

– ო, ღმერთო, ღმერთო, ნუ ამბობს მასე! – გული დაეთუთქა ქალს.

მერე, ეტყობა, ქალი ნავიდა, ან იქნებ, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ჩამი-ჩუმიც აღარ ისმოდა. ტორბიორნი ფარდულიდან გავიდა, ეზოში პირველსავე შემხვედრს ჰკითხა:

– რა მოხდა მევიოლინე ლარსსა და კნუტ ნორდჰაუგს შორის?

– რა მოხდა? ჰმ... – ისე თქვა ჰუსმანმა პერმა, თითქოსდა უნდოდა ტყავის ნაოჭებში დაემალა რაღაც. – განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ კნუტმა ჰკითხა ლარსს, როგორ ჟღერს შენი ვიოლინო ამ ქორწილზეო, ეს იყო და ეს. პატარძალი იქვე იდგა და ყველაფერი გაიგონა.

ამ დროს ეზოში პატარძალი მიდიოდა. იგი არც იყურებოდა მათკენ, მაგრამ ლარსის სახელის გაგონებისას, მოიხედა და შიშით აღსავსე, ცრემლებით აწითლებული დიდი თვალებით მიაშტერდა მათ. სახე კი ისევ ისე ცივი ჰქონდა, ისეთი ცივი, რომ ტორბიორნმა უნებურად გაიფიქრა: ნუთუ მისი ხმა ესმოდა ფარდულში? და ახლაღა მოეგო გონს.

შორიახლო მისი ცხენი იდგა. ცალული შეუსწორა. თან მიმოიხედა, ხომ არ იყო ეზოში საქმრო, რათა გამომშვიდობებოდა მას. მისი ძებნა არ უნდოდა და ტორბიორნს გაუხარდა კიდეც,

რომ აღარ ნახავდა მეტად. ტორბიორნი საზიდავზე ავიდა და უცებ საშინელი ხმაური და ყვირილი მოისმა. ხმები იმ მხრიდან მოისმოდა, სადაც ფარდული იყო. სარდაფიდან ადამიანთა მთელი ჯგუფი გამოჩნდა. წინ ზორბა კაცი მოუძღოდათ ყვირილით:

– სად არის იგი? სად დაიმალა? სად არის იგი?

– აი იქ! – უპასუხა ვილაცამ.

– არ გაუშვათ ეგ იქით, – იყვირეს სხვებმა. – უბედურება დატრიალდება.

– ეს კნუტია? – ჰკითხა ტორბიორნმა ბიჭს, რომელიც საზიდართან იდგა.

– ჰო, კნუტია. დათვრა. როცა დათვრება, ყოველთვის ჩხუბობს.

ტორბიორნმა მათრახი გადაჰკრა ცხენს.

– ე-ე, ერთი მოიცა, ძმობილო! – ვილაცის ხმა მოესმა უკან.

ტორბიორნმა სცადა შეეჩერებინა ცხენი, ის კი არ შეჩერდა და მანაც მიუშვა სადავეს.

– ხა, შენ, როგორც ვხედავ, შეგეშინდა ტორბიორნ გრანლიენ? – მოესმა ისევ, მაგრამ გაცილებით ახლოდან.

ამჯერად ტორბიორნმა ცხენი შეაჩერა, მაგრამ უკან არ მიუხედავს.

– ჩამო, დავლიოთ ერთად!

ტორბიორნმა თავი მიიბრუნა.

– გმადლობთ, მაგვიანდება სახლში, – მიუგო მან.

ამასობაში მოსეირეები საზიდარს შემოერტყნენ. კნუტი ცხენს დაუდგა წინ, ჯერ კისერზე მოუთათუნა ხელი, მერე თავი აუწია და ყოველმხრივ შეათვალიერა. კნუტი მეტისმეტად მაღალი იყო, ღია ფერის სწორი თმა ჰქონდა, დატყაპნილი ცხვირი და დიდი, მძიმე ყბა. მუქლურჯი თვალები კადნიერად და გამომწვევად გამოიყურებოდნენ. დას სულაც არ ჰგავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაკეცს პირის გარშემო და ისეთსავე სწორ შუბლს. თითქოსდა დის სახის ნატიფი ნაკვთები მის სახეზე მკაცრად და უხეშად იქცნენ.

– რა მოგცე ამ ჯაგლაგში? – ჰკითხა კნუტმა.

– არ ვყიდი ცხენს, – მიუგო ტორბიორნმა.

– შენ, იქნებ, ფიქრობ, რომ ფული არ მეყოფა გადასახდელად?

– არ ვიცი, გეყოფა თუ არა.

– ესე იგი, ეჭვი გეპარება? ფრთხილად, ძვირი არ დაგიჯდეს.

აყლაყუდამ, კედელს რომ ეყრდნობოდა ზურგით სასტუმროში და ქალიშვილებს უფათურებდა ხელს თმებში, თავის მეზობელს უთხრა:

– ცოტა ეშინია, ხომ იცი, კნუტს. ისე დიდ გულზე ვერ არის, როგორც უწინ.

კნუტმა გაიგონა ეს.

– ვის ეშინია? ვინ თქვა, რომ მე მეშინია? – დასჭყივლა მან.

მოსეირეებმა იმატეს.

– აბა, გზა, ფრთხილად! – იყვირა ტორბიორნმა და მათრახი გადაუჭირა ცხენს. უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა იქაურობას.

– როგორ? შენ მიყვირი, „აბა, გზაო?!" – მუქარით ჰკითხა კნუტმა.

– არა, ცხენს ვუთხარი; მაგვიანდება სახლში, – უპასუხა ტორბიორნმა, მაგრამ გვერდის აქცევა არ უცდია.

– შენ რა, პირდაპირ მაჯახებ? – აღშფოთდა კნუტი.

– გადადექი მაშინ გვერდზე, – უთხრა ტორბიორნმა და ცხენს რომ არ აეწია თავი, პირდაპირ მკერდში ატაკებდა კნუტს.

კნუტმა თავში ჩაარტყა ცხენს, ცხენი ყალყზე შედგა, ბრბო შეშინებული გახტა განზე. ტორბიორნს ფერმა გადაჰკრა, მაგრამ კნუტს მშვიდად უთხრა:

– ცოტა გაიწიე, კნუტ.

– შეგიძლია გვერდი ამიქციო, – უპასუხა მან.

ტორბიორნმა პირდაპირ კნუტისკენ დაძრა ცხენი, იგი კვლავ ყალყზე შედგა. ტორბიორნმა მათრახი გადაუჭირა ცხენს.

კნუტი მას სადავეში სწვდა და ცხენი, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ სეტყვასავით ხვდებოდა მათრახი, აკანკალდა. ტორბიორნმა მძაფრი სიბრალული იგრძნო საცოდავი ცხოვე-

ლის მიმართ, რომელსაც ასე სასტიკად მიეპყრო იგი. და ახლა მთელი მისი სიბრაზე კნუტზე გადაიტანა. მან მათრახი მოუქნია კნუტს.

– ჩხუბი გინდა ხომ?! – უყვირა კნუტმა და ახლოს მივიდა.

ტორბიორნი მიწაზე ჩამოხტა.

– ოხ, შე არამზადა! – მკვდრის ფერი დაედო ტორბიორნს.

სადავე იქვე მდგომ ბიჭს მისცა.

ამ დროს მოხუცი, კარში რომ იდგა, როცა ასლაკი ამთავრებდა თავის ამბავს, ტორბიორნთან მივიდა და ხელი მოჰკიდა ხელში.

– სემუნდ გრანლიენი ნამდვილი კაცური კაცია და მის შვილს არ ეკადრება ამ შარიანსა და ჩხუბისთავს გაუყადროს თავი.

ტორბიორნი მაშინვე გონს მოეგო. კნუტმა იყვირა:

– მე ვარ შარიანი? ეგეც ისეთივე შარიანია, როგორც მე და მამაჩემიც არაფრით ჩამოუვარდება მამამისს. აბა, მოდი აქ! ჩვენმა მეზობლებმა ხომ ჯერაც არ იციან, ვინ ვისი მომრევია, – კნუტმა ყელსახვევი შეიხსნა.

– მაგას გავიგებთ ახლა! – თქვა ტორბიორნმა.

მოხუცი, რომელიც ლოგინზე წამოწოლილი უსმენდა ასლაკს, თქვა:

– კატებს ჰგვანან, ჩხავილით რომ იმხნევებენ თავს ჩხუბის დაწყების წინ.

ტორბიორნმა გაიგონა ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს. ზოგს გაეცინა, ზოგმაც სჯა-ბაასი გამართა, რომ ასეთი ჩხუბით ჩააშხამეს მთელი ქორწილი, რომ სირცხვილია აწყენინო სტუმარს, რომელსაც არავისთვის ცუდი არ უქნია და თავისთვის მიდიოდა სახლში.

ტორბიორნმა თვალებით მოიძებნა ცხენი, იგი წასვლას აპირებდა. ბიჭს ცხენი ეზოს შორეულ ბოლოში გაეყვანა და თვითონ ტორბიორნის ახლოს იდგა.

– რას ეძებ? – ჰკითხა კნუტმა. – სიუნიოვე ხომ აქ არ არის, შორსაა.

– შენი რა საქმეა, შორსაა იგი თუ ახლოს?

– სულ ფეხებზე მკიდია ეს ფარისეველი დედაკაცები, შენ კი, ეტყობა, სულ გაგადედლა მაგან.

ეს ველარ მოითმინა ტორბიორნმა. ყველამ შენიშნა, როგორ მოათვალიერა მან იქაურობა, სადაც უნდა ეჩხუბა. ჭარმაგმა ხალხმა მათი გაშველება სცადა. კნუტმა ისედაც დაატრიალა უბედურება დღესო, – ამბობდნენ.

– ვერაფერსაც ვერ დამაკლებს, – თქვა ტორბიორნმა. გამშველებლებმა დუმილი არჩიეს. სეირის ნახვის მსურველებმა ყვირილი დაიწყეს:

– იჩხუბონ, ნუ ერევით. დროზე იჩხუბებენ, დროზე შერიგდებიან. ისედაც ამდენი ხანია უღრენენ ერთმანეთს.

– მართალია, – შენიშნა ერთმა. – ხომ უნდა გავიგოთ, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვის სჯობს.

– ხომ არ დაგინახავთ აქ ერთი, ტორბიორნ გრანლიენს ჰგავს შესახედად? – იკითხა კნუტმა. – აქ არ ტრიალებდა ახლა?

– ახლაც აქა ვარ! – გაეპასუხა ტორბიორნი და ისეთი ხეთქა, კნუტი მოშორებით მდგარ ბრბოს მიაკვდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კნუტი წამოდგა და უხმოდ გაექანა ტორბიორნისკენ. ტორბიორნმა პირველი შეტევა მოიგერია. გაიმართა ორთაბრძოლა. თითოეული ცდილობდა გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა მეორისთვის, მაგრამ ორივე გამოცდილი იყო და ახლოს არ იკარებდა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ტორბიორნის დარტყმა მაინც უფრო ხშირად აღწევდა მიზანს, მუშტებიც უფრო მძიმე ჰქონდა.

– ახლა გამოჩნდება რა ბიჭიცაა კნუტი! – თქვა ბიჭმა, რომელმაც ტორბიორნის ცხენი გაიყვანა. – განი, განი!

ქალები გაიქცა-გამოიქცნენ. ერთიღა დარჩა მხოლოდ კიბის ზედა საფეხურზე, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა შეტაკება: ეს იყო პატარძალი. პატარძალმა წამით ტორბიორნის ყურადღება მიიპყრო. უცებ მან კნუტის ხელში დანა შენიშნა. გაახსენდა, რასაც ქალი ამბობდა კნუტზე, მთელი ძალით ჩაარტყა

ხელში. დანა ძირს დავარდა, კნუტის მკლავი უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა სხეულს.

– მაგარი დარტყმა გაქვს! – თქვა კნუტმა.

– ჯერ სადა ხარ! – ეცა ტორბიორნი მტერს. კნუტს უჭირდა ცალი ხელით თავის დაცვა. ტორბიორნმა აიყვანა იგი, ცოტა ხანს ასე ატარა და მცირეოდენი ჯაჯგურის შემდეგ მიწაზე დაახეთქა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. კნუტის ადგილზე ნებისმიერი დანებდებოდა, მაგრამ მას მაგარი ზურგი ჰქონდა. ტორბიორნმა ერთხელაც აიტაცა. ბრბო უკან გადგა. ტორბიორნმა ეზო გაიარა, წინკართან შეჩერდა, თავს ზემოთ ასწია და მთელი ძალით დაახეთქა ქვის ბაქანს. კნუტს მუხლები მოეკვეთა, მკერდში რაღაც ჩასწყდა თითქოს. ერთხანს გაუნძრევლად ეგდო, მერე ყრუ კვნესა აღმოხდა და თვალები დახუჭა. ტორბიორნი გაიმართა და კიბეს ახედა. ზედა საფეხერზე ისევ ისე გაუნძრევლად იდგა პატარძალი და კნუტს დაჰყურებდა.

– თავქვეშ ამოუდეთ რამე, – ესღა თქვა, შეტრიალდა და სახლში შევიდა.

გვერდით ორი დედაბერი მიდიოდა. ერთმა თქვა:

– ღმერთო, აქ ისევ წევს ვიღაც, ვინ არის?

– კნუტ ნორდჰაუგი, – მიუგო ვიღაც კაცმა.

– ეგებ აწი იქნეს მშვიდობა, – შენიშნა მეორე დედაბერმა. – დროა გონს მოეგოს და ფუჭად არ ფლანგოს თავისი ძალა.

– მართალი ხარ, რანდი, – თქვა პირველმა დედაბერმა. – ღმერთმა შეაძლებინოთ სიკეთე, ერთმანეთს რომ ასახიჩრებენ უმოწყალოდ.

ეს სიტყვები გულში მოხვდა ტორბიორნს. იგი გაქვავებული უყურებდა კნუტთან მოფუსფუსე ადამიანებს. ზოგი ტორბიორნს მიმართავდა ხოლმე, ის კი ხმას არ იღებდა. მერე ზურგი აქცია მათ და მომხდარზე დაფიქრდა. გაახსენდა სიუნიოვე და მწველმა სირცხვილმა მოიცვა მთელი მისი არსება. როგორ შეიძლება აიხსნას დღევანდელი ჩხუბი? ვერასგზით! მიხვდა: ვერც ასე ადვილად იტყვი უარს წარსულზე, და უცებ ვიღაცამ შეჰყვირა:

– ფრთხილად, ტორბიორნ!

მაგრამ მოხედვაც ვერ მოასწრო, ვიღაც ეძგერა უკნიდან, იგი ცხვირ-პირით მიწას დაენარცხა და იგრძნო:მთელი სხეული მძაფრმა ტკივილმა მოიცვა. ვერ იტყოდა, სახელდობრ, სად სტკიოდა. ირგვლივ ხმები ისმოდა. მერე ხმებმა შორს გადაინაცვლა, დროდადრო ეჩვენებოდა, რომ სადღაც მიჰყავდათ...

ტორბიორნი ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ასე მისდევდა საათი საათს, და უცებ მთელ სხეულში უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო, მოეჩვენა, რომ სადღაც მიფრინავდა. მიხვდა კიდეც, სადაც: ხის კენწეროების თავზე, ერთი მწვერვალიდან მეორეზე გადადის, უკან იტოვებს გრანლიენს, უფრო და უფრო უახლოვდება მთის საძოვარს, და ბოლოს, ყველაზე მაღალ მთის მწვერვალს. თავს სიუნიოვე ადგას და მწარედ ტირის, საყვედურობს, რატომ უფრო ადრე არ გაუმხილა თავისი სიყვარული. განა ვერ ხედავდა, რომ კნუტ ნორდჰაუგი გზის გარდიგარდმოდ ედგა მუდამ? ახლა კი ძალაუნებურად გაჰყვა მას ცოლად.

სიუნიოვე ნაზად უცაცუნებს ხელს და იქ, სადაც სიუნიოვე ეხება, ტორბიორნი სითბოს გრძნობს. სიუნიოვე კი ტირის, ცრემლებად იღვრება და ტორბიორნის პერანგი მალე გასანური ხდება მისი ცრემლებისგან.

ცოტა მოშორებით, წამახულ ლოდზე ასლაკი ზის და ხის ქერქებს ცეცხლს უკიდებს. ცეცხლი ტკაცატკუცით ედება ხეებს. ასლაკი ხმამაღლა ხარხარებს და ამბობს:

– ამას მე კი არ ვუკიდებ, დედაჩემი უკიდებს!

იქვე დგას სემუნდიც, ტორბიორნის მამა და ღრუბლებამდე ისვრის მარცვლეულით სავსე უზარმაზარ ტომრებს. მარცვლეული იყრება. აქეთ-იქით მუქ ნისლოვან ფარდად ეშვება ძირს და ტორბიორნს ვერ გაუგია, როგორ ეფინება მარცვლეული მთელ ცას. ხოლო როცა იგი კვლავ უყურებს მამას, იგი უკვე პატარაა და უფრო და უფრო პატარავდება... აი, მიწაზეც არ ჩანს უკვე. ტომრებს კი სულ უფრო მაღლა და მაღლა ისვრის ისევ და ეუბნება:

– მიყურე და შენც ასე გააკეთე!..

შორს ეკლესია მოჩანს. მისი გუმბათი ღრუბლებშია გახვეული. სამრეკლოზე კი სულბაკენის დიასახლისი დგას ღია ფერის თმებით. იგი წითელ-ყვითელ თავსაფარს იქნევს ლოცვანთან ერთად და უყვირის: „შენი ფეხი არ ვნახო აქ, სანამ ჩხუბსა და გინებას არ გაანებებ თავს.“ ტორბიორნი აკვირდება და ხედავს, რომ ეს სულბაკენია და არა ეკლესია; მზე ანათებს და სარკმლების ასობით მინა ისე აუტანლად ბრწყინავს, რომ თვალები უჭრელდება. ტორბიორნი თვალებს ხუჭავს.

– ფრთხილად, ფრთხილად, სემუნდ! – ჩაესმის მას, როგორც მძიმე ძილქუშიდან გამოფხიზლებულს, და გრძნობს, რომ სადღაც მიაქვთ. ტორბიორნი იქაურობას ათვალიერებს და ხედავს, რომ თავის სახლში წევს. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს, სასთუმალთან დედა ზის და ტირის. მამა აპირებს წამოსწიოს და მეორე ოთახში გადაიყვანოს, მაგრამ ისევ საწოლზე უშვებს წყნარად.

– ცოცხალია კიდევ! – აკანკალებული ხმით ეუბნება სემუნდი ცოლს.

– ღმერთო, შენ მიშველე, – ჩურჩულებს ინგებორგი. – თვალები გაახილა! ტორბიორნ, ჩემო ბიჭო, რა გიყვეს ეს?

იგი თავს ევლება შვილს, ნაზად ეფერება ლოყაზე და მისი ცრემლები სახეზე ეწვეთება მხურვალედ.

სემუნდი ცრემლებს იწმენდს და ფრთხილად აშორებს ინგებორგს საწოლს.

– მეორე ოთახში გადავიყვან, – ამბობს იგი. – ერთ ხელს ტორბიორნს ხვევს მხრებზე, მეორეს ზურგის ქვეშ უცურებს; – დედა, თავი დაუჭირე, თორემ სულ არა აქვს ძალა, – ეუბნება ცოლს.

დედა წინ მიდის და თავს უჭერს ტორბიორნს, სემუნდი ფეხს უწყობს მას. და აი, ტორბიორნი მეორე ოთახში წევს. სემუნდი კითხულობს, ხომ არ წასულა მოჯამაგირე ბიჭი, რომელიც ხუტორში მუშაობს მათთან.

– აი, იქ! – პასუხობს ინგებორგი და ეზოში უთითებს.

სემუნდი ფანჯარას აღებს და უყვირის:

– ექიმთან წადი. თუ მოასწრებ, ორმაგ ჯამაგირს მიიღებ მთელი წლით. ცხენს სიქა გააცალე, თუ გინდა.

მერე ისევ შვილის საწოლთან მიდის. ტორბიორნი ფართოდ გახელილი თვალებით შეჰყურებს მამას, როცა მათი მზერა ერთმანეთს ხვდება, მამას ცრემლებით ევსება თვალები.

– ვიცოდი, ამით დამთავრდებოდა! – ჩუმად ამბობს იგი და ოთახიდან გადის.

ინგებორგი ფეხებთან უზის შვილს და ცრემლებს ვერ იკავებს. ტორბიორნს რაღაც უნდა თქვას, მაგრამ ენას ვერ აბრუნებს და დუმს. იგი თვალს არ აშორებს დედას და ამ უკანასკნელს ეჩვენება, რომ შვილს არასოდეს უბრწყინავდა თვალები ისე, როგორც ახლა, არასოდეს ყოფილა ისინი ასე თვალისმომჭრელად ლამაზი და ეს არაფერ კარგს არ უქადის.

– ღმერთო, შენ უშველე ჩემს შვილს! – სასოწარკვეთით გმინავს იგი. – ხომ ვიცი, ვერ გადაიტანს მამამისიც, თუ ამან დალია სული.

ტორბიორნი გაქვავებული უყურებს დედას, სახეც გაქვავებული აქვს. ეს მზერა ერთიანად მსჭვალავს მას, ფიქრობს, სადაცაა მოკვდება ახლა, და იწყებს „მამაო ჩვენოს“ კითხვას.

დედა დიდხანს შეჰყურებს შვილს და უცებ მძაფრად გრძნობს, რა ძვირფასია იგი ყველასთვის, სახლში კი არც ძმაა მისი, არც და. იგი მოჯამაგირეს აგზავნის ინგრიდისა და უმცროსი ძმის მოსაყვანად, რომლებიც მინდორში მუშაობენ და ისევ შვილის საწოლთან ჯდება. შვილი კი ისევ მიშტერებია მას და მისი მზერა ისე მოქმედებს მასზე, როგორც ლოცვა, მის აზრებს სხვა, უფრო ამაღლებულ მიმართებას სძენს. მოხუცი ინგებორგი რელიგიურ ექსტაზში ვარდება, ბიბლიას იღებს და ეუბნება:

– ახლა ხმამაღლა წაგიკითხავ, შვებას მოგიტანს.

სათვალეს ვერ პოულობს და იმ ადგილზე შლის, რომელიც ჯერ კიდევ გათხოვებამდე იცოდა ზეპირად, ესაა „სახარებაᲐ იოანესი“. ინგებორგმა არ იცის, ესმის თუ არა შვილს მისი, რადგანაც ტორბიორნი ისევ გაუნძრევლად წევს და ისევ გაშ-

ტერებით უყურებს მას, – მაგრამ იგი კითხულობს, – თუ მისთვის არა, მაშინ საკუთარი თავისთვის, – და სანამ კითხულობს, არ ტირის.

მალე ინგრიდიც დაბრუნდა შინ, რათა დედას შეენაცვლოს ტორბიორნის საწოლთან. ტორბიორნს ჩაეძინა. ინგრიდი განუწყვეტლივ ტიროდა. მას ჯერ კიდევ საბალახოდან წამოსვლისას აუვარდა ტირილი, რადგანაც სიუნიოვე გაახსენდა, – მან ხომ არაფერი იცოდა იმ უბედურების შესახებ, რომელიც ტორბიორნს დაატყდა თავს. მოვიდა ექიმი და ავადმყოფი გასინჯა. მას დანით ჰქონდა მიყენებული ჭრილობა, თან მთელი ტანი დალურჯებული ჰქონდა ცემით. ექიმს არაფერი უთქვამს, არც არაფერი უკითხავს ვინმეს. სანამ ექიმი ტორბიორნს სინჯავდა, სემუნდი თვალის მოუშორებლად შეჰყურებდა მას სახეში. მერე გააცილა ქუჩაში, საზიდარში ჩაჯდომისას მიეშველა და, როცა ექიმმა უთხრა, ხვალ შემოგივლიო ისევ, ქუდი მოუხადა. სემუნდი ცოლს მიუბრუნდა, რომელიც უკან გამოჰყვა ქუჩაში მას, და თქვა:

– თუ ექიმი არ იღებს ხმას, ცუდადაა საქმე.

ტუჩები აუკანკალდა, მკვეთრად შებრუნდა და ნახნავის მხარეს წავიდა. არავინ იცოდა, სად მიდიოდა, რადგან შინ საღამომდე არ ბრუნდებოდა, ზოგჯერ კი ღამესაც არ ათევდა შინ. იგი მეორე დილით დაბრუნდა მხოლოდ და ისე პირქუშად გამოიყურებოდა, კითხვაც კი ვერ გაუბედა ვერავინ, სად იყო. იკითხა:

– როგორაა?

– ჩაეძინა, – მიუგო ინგრიდმა. – ისე დასუსტდა, ხელის განძრევა უჭირს.

სემუნდმა დააპირა შვილის ოთახში შესვლა, მაგრამ უცებ ზღურბლზე შეჩერდა და პირი იბრუნა.

მეორე დღეს ისევ მოვიდა ექიმი. იგი ყოველდღე დადიოდა ავადმყოფთან. ტორბიორნი ლაპარაკობდა უკვე, მაგრამ მოძრაობების ნებას ჯერაც არ აძლევდნენ. ჩვეულებრივ ინგრიდი იჯდა მასთან, ხშირად დედა და უმცროსი ძმა. სხვას იგი არც

არავის კითხულობდა და არც მას ელაპარაკებოდნენ რამეს. მამა არასოდეს შედიოდა მასთან და ყველასათვის ნათელი იყო, რომ ტორბიორნმა შენიშნა ეს. ყოველთვის, როცა კი კარი იღებოდა, იგი სუნთქვას იკრავდა: ეტყობა, ელოდა მამას. ბოლოს ინგრიდმა ვერ მოითმინა და ჰკითხა, ხომ არ უნდოდა კიდევ ვინმეს ნახვა.

– მინდა, მაგრამ სხვას არავის უნდა ჩემი ნახვა, – მიუგო მან ნაღვლიანად.

ეს მოახსენეს სემუნდს, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. მეორე დღეს, ექიმი რომ მოვიდა ტორბიორნთან, სემუნდი არ იყო სახლში. ექიმი გასინჯვას მორჩა და, გამოვიდა თუ არა ქუჩაში, სემუნდს შეხვდა, რომელიც მას უცდიდა. სემუნდი ექიმს მიესალმა და შვილის ჯანმრთელობის შესახებ ჰკითხა.

– კარგად გადარჩა, – მოკლედ მოუჭრა ექიმმა.

– დადგება ფეხზე? – ისევ ჰკითხა სემუნდმა და მოსართავი მოუჭირა ცხენს.

– გმადლობთ, რიგზეა ყველაფერი, – თქვა ექიმმა.

– ცოტა მოჭერა აკლდა, – მიუგო სემუნდმა.

წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. ექიმი დაჟინებით უყურებდა სემუნდს, მას კი აკაზმულობა მოჰყავდა წესრიგში და თავს არ იღებდა.

– შენ მკითხე, დადგება თუ არა ფეხზე. ვფიქრობ, დადგება. – დინჯად თქვა ექიმმა. სემუნდმა სწრაფად შეხედა.

– იმედი თუა გადარჩენის? – ჰკითხა მან.

– ეს რამდენიმე დღეა, უკეთესი პირი გამოუჩნდა საქმეს, – მიუგო ექიმმა.

სემუნდმა იგრძნო, რომ ცრემლი მოადგა თვალზე. დააპირა მალულად მოეწმინდა, მაგრამ ახლა უკვე ღვარად მოსდიოდა.

– რომ იცოდეთ, ექიმო, როგორ მიყვარს ჩემი ბიჭი, – გაჭირვებით ამოღერღა სემუნდმა. – მართალი რომ ითქვას, მთელს სამრევლოში ვერ იპოვით უკეთესს.

ექიმი ფრიად ააღელვა სემუნდის აღსარებამ.

– რატომ ადრე არაფერს მეკითხებოდით შვილზე? – ჰკითხა მან.

– თქვენი პასუხის მეშინოდა, – მიუგო სემუნდმა, ცრემლები ახრჩობდა. – მერე ეს ქალები: ყველანი ელოდნენ, გკითხავდი თუ არა ამჯერად, და ამიტომ არ შემეძლო.

– არაფერი გაქვს სატირალი, – თქვა ექიმმა. – გეუბნები, აწი აღარაფერია სათუო.

– თვითონაც არ ვიცი, რა მომდის. საერთოდ, გულჩვილი არა ვარ, ახლა კი სულ ამიჩუყდა გული... ჯანმრთელობა დაუბრუნდება? – ჰკითხა უცებ სემუნდმა.

– ალბათ. ჯერ ძნელია კიდევ გადაჭრით თქმა.

სემუნდი ერთბაშად დამშვიდდა და ჩაფიქრდა.

– ალბათ... – წაიბუტბუტა მან.

იგი თავდახრილი იდგა. ექიმს არ უნდოდა პირველს გაელო ხმა, სემუნდის მთელ გარეგნობაში იყო რაღაც ისეთი, რომელიც ხელს უშლიდა ექიმს სიჩუმე დაერღვია.

უცებ სემუნდმა თავი ასწია.

– მადლობას მოგახსენებთ, ექიმო, – თქვა მან, ხელი ჩამოართვა და შინისკენ გაემართა.

ამ დროს ინგრიდი იჯდა ავადმყოფთან.

– თუ მოსმენის თავი გაქვს, მამის შესახებ გიამბობ რამეს? – თქვა მან.

– მიამბე, – მოკლედ უპასუხა ტორბიორნმა.

– იმ საღამოს, პირველად რომ იყო ექიმი აქ, მამა უცებ გაქრა და არავინ იცოდა, სად წავიდა. მერე გავიგეთ, რომ ნორდჰაუგში წასულა. იქ ძალიან შეშინდნენ, როცა დაინახეს. მამა სტუმრებს მიუჯდა და მათთან ერთად სვამდა. საქმროს თქმით, მაგრადაც დამთვრალა. მაშინღა უკითხავს შენი ამბავი. და მათ უამბეს, ყველაფერი, რაც იმ ავბედით დღეს მოხდა. ამ დროს მათთან მივიდა კნუტი. მამას უნდოდა კნუტს თავის პირით ეამბა ყველაფერი. და მასთან ერთად მივიდა იმ ადგილას, სადაც ჩხუბი მოხდა. სტუმრებიც გაჰყვნენ. კნუტმა უამბო, როგორ გალახე იგი, როცა ხელი დაუზიანდა. მაგრამ კნუტს არ

უნდოდა იმის მოყოლა, რა მოხდა შემდეგ. მაშინ მამა წამოდგა და კნუტს ჰკითხა, ასე ხომ არ იყოო და – ამ სიტყვებით წამოსწია კნუტი, მარცხენა ხელით კედელს მიანარცხა და მარჯვენით დანა ამოიღო. კნუტს სახე შეეცვალა, სტუმრებმა მაშინვე გაიკმინდეს ხმა. მაგრამ მამამ დანა მიწაზე დააგდო და თქვა, რომ არ უნდა სალახანა გამოვიდეს, მერე წაიყვანა ეზოში და ქვის ბაქანზე დაახეთქა, სადაც ისევ ეცხო შენი სისხლი. „რომ არ შემიძლია ასე საღსალამათი გაგიშვა“, – თქვა მამამ. ბევრმა შენიშნა, რომ მას ცრემლებით ჰქონდა თვალები სავსე. მაგრამ მამამ არ დაარტყა დანა კნუტს, რომელიც გაუნძრევლად იწვა. „რომ არ შემიძლია გაგიშვა“, – თქვა მან, დაჟინებით უყურებდა სახეში კნუტს და ხელს არ უშვებდა.

ამ დროს ორი დედაბერი მიდიოდა და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „შენს შვილებზე იფიქრე, სემუნდ გრანლიენ.“ ამბობენ, მამამ მაშინვე შეუშვა ხელი კნუტს და დატოვა ხუტორი. კნუტიც წავიდა ქორნილიდან და არ დაბრუნებულა.

დაამთავრა თუ არა ინგრიდმა მოყოლა, კარი გაიღო და ოთახში ვიღაცამ შემოიხედა: ეს იყო მამა. ინგრიდი მაშინვე გავიდა, სემუნდი ავადმყოფთან მივიდა. რაზე ილაპარაკეს მათ ერთმანეთთან მაშინ – არავინ იცის. ინგებორგმა, კარს უკან რომ იყო ატუზული, რამდენიმე სიტყვის გარდა ვერაფერს მოჰკრა ყური, მისი აზრით, ტორბიორნის გამოჯანმრთელებაზე უნდა ელაპარაკათ. მაგრამ ამაში არ იყო იგი დარწმუნებული, ოთახში შესვლა კი, სანამ იქ სემუნდი იყო, არ უნდოდა. როცა სემუნდი ოთახიდან გამოვიდა, იგი ფრიად მშვიდად გამოიყურებოდა, თვალებიღა ჰქონდა წამოწითლებული.

– ჩვენი ბიჭი იცოცხლებს, – თქვა სემუნდმა, როცა ინგებორგს ჩაუარა. – მაგრამ მარტო ღმერთმა იცის, დაუბრუნდება თუ არა ჯანმრთელობა.

ინგებორგი ატირდა და ქმარს გაჰყვა უკან. ისინი ერთმანეთის გვერდზე ჩამოსხდნენ კიბეზე და, ვინ იცის, რაზე არ ილაპარაკეს, სანამ იქ ისხდნენ.

როცა ინგრიდი წყნარად შევიდა ოთახში ტორბიორნთან, ხელში ქაღალდის ფურცელი დაუნახა. ტორბიორნმა მშვიდად გაუწოდა დას წერილი.

– გადაეცი ეს სიუნოვეს, როცა ნახავ, – უთხრა მან.

როცა ინგრიდმა წერილი წაიკითხა, იგი შებრუნდა და მწარედ ატირდა. წერილში ეწერა:

„ღრმად პატივცემულ სიუნიოვე სულბაკენს, გუტორმის ასულს!

როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავ, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრებული იქნება. რადგანაც მე არა ვარ ის, ვისაც უწერია შენი ქმრობა. არ მოგკლებოდეს ღვთის წყალობა! ტორბიორნ სემუნდსენ გრანლიენი“.

VI

სიუნიოვემ მეორე დღესვე გაიგო, რომ ტორბიორნი ქორწილში იყო ნორდჰაუგში. ეს მას ტორბიორნის უმცროსმა ძმამ უამბო, რომელმაც მთის საძოვარზე ააკითხა. სანამ საძოვარზე გაუშვებდა, ინგრიდმა დაიმარტოხელა და დაარიგა, რა უნდა ეთქვა სიუნიოვესთვის და რა არა. სიუნიოვემ მცირე რამ გაიგო მხოლოდ: ქალაქში მიმავალს, ტორბიორნს საზიდარი გაუტყდა გზაში, შესაკეთებლად ნორდჰაუგში შეიარა, იქ ჩხუბი მოუვიდა კნუტთან და მასაც არცთუ ურიგოდ მოხვდა. ახლა ის საწოლში წევს, მაგრამ სახიფათო არაფერი სჭირს – ეს იყო და ეს, რაც უამბეს. გაგონილმა სიუნიოვე უფრო გააბრაზა, ვიდრე დაანაღვლიანა. და რაც უფრო ბევრს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო უმძიმდებოდა გული. ის დაჰპირდა, ისე მოიქცეოდა, რომ მისი მშობლები შარს ვერაფერში მოსდებდნენ. შეიძლება გეფიქრათ, რომ თვით მამა ღმერთს არ სურდა მათი ერთად ყოფნა. მაგრამ სულერთია, რაც არ უნდა მოხდეს, ისინი ერთად იქნებიან სამუდამოდ, – გადაწყვიტა სიუნიოვემ და ატირდა.

გრანლიენის საძოვარზე იშვიათად თუ შეივლიდა ვინმე. დრო გადიოდა, სიუნიოვემ კი კვლავაც არაფერი იცოდა ტორბიორნზე. ძალიან აწუხებდა ამბის მომტანიც რომ არსად იყო. ინგრიდიც არა და არ გამოჩნდა, და სიუნიოვეს ეჭვი შეეპარა, რომ რაღაც უბედურება მოხდა. ახლა უკვე აღარ მღეროდა იგი საღამოობით მხიარულად ძროხების მორეკვისას, როგორც ადრე, და უძილობაც დასჩემდა, – ინგრიდი დააკლდა თვალს. უგუნებოდ იყო, მთელი დღე დაღლილობას გრძნობდა. მართალია, სულ ფუსფუსში იყო, – ქოთნებსა და ვედროებს ხეხავდა, ყველი ამოჰყავდა, ძროხებს წველიდა, – მაგრამ ყველაფერ ამას უხალისოდ, ნაღვლიანი აკეთებდა. ტორბიორნის უმცროსი ძმა და ბიჭები, მასთან ერთად რომ აძოვებდნენ ნახირს, ხვდებოდნენ, რომ სიუნიოვესა და ტორბიორნს შორის რაღაც ხდებოდა. ეს ბევრ სალაპარაკოს აძლევდა მათ.

ინგრიდის სახლში დაბრუნებიდან მერვე დღეს, საღამო ხანს, სიუნიოვეს ისეთი მძიმე ნაღველი შემოაწვა, რომ რა ექნა, არ იცოდა. დიდი დრო გავიდა, ტორბიორნის შესახებ კი არაფერი ისმოდა კვლავ. სიუნიოვემ საქმეს თავი ანება და მშობლიურ სოფელს დაუწყო ყურება, ამით ოდნავ იქარვებდა ნაღველს, მაგრამ მარტოობა უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. სიუნიოვეს დაღლილობამ სძლია, თავი დახარა და ძილი მოერია. მზე აცხუნებდა, არც ძილი ჰქონდა უშფოთველი. ესიზმრა, რომ თავის ოთახში იყო სულბაკენზე, სადაც ჩვეულებრივ ეძინა. ყვავილების საუცხოო სურნელი სცემდა, მაგრამ ეს ის სურნელი არ იყო, რასაცაა ჩვეული, თითქოს მინდვრის ყვავილების სურნელი იფრქვეოდა. მაგრამ საიდან გაჩნდა მინდვრის ყვავილები მის ეზოში? სარკმელთან მივიდა. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ტორბიორნი მინდვრის ყვავილებს რგავს ბაღში.

– ძვირფასო, რატომ აკეთებ მაგას? – ჰკითხა მან.

– შენი ყვავილები არ გაიხარებს მაინც! – თქვა ტორბიორნმა და ისინი ბაღის სიღრმისკენ წაიღო.

სიუნიოვეს დაენანა ყვავილები და სთხოვა, მისთვის მიეტანა.

– სიამოვნებით, მიუგო ტორბიორნმა და ყვავილები წაუღო.

მაგრამ სიუნიოვე, ეტყობა, უკვე თავის ოთახში არ იყო, რადგან ტორბიორნი უმალ მის გვერდით აღმოჩნდა. უცებ ოთახში დედა შემოვიდა.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა მან. – რა უნდა ამ საძაგელ ბიჭს აქ?

დედა კარისკენ გაექანა და ტორბიორნს გზა გადაუღობა. ტორბიორნი არ შეეპუა ქალს. გაიმართა შეხლა-შემოხლა.

– დედა, დედა, მას მხოლოდ ყვავილები უნდოდა მოეტანა ჩემთვის! – ეხვეწებოდა სიუნიოვე ტირილით.

– ჩემთვის სულერთია, რა უნდა მოეტანა, – პასუხობდა დედა და ფეხს არ იცვლიდა. სიუნიოვეს ისე შეეშინდა, ისე შეეშინდა, რომ ვერ გადაეწყვიტა ვისი მხარე დაეჭირა – დედის თუ ტორბიორნის, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ იცოდა: არც ერთი არ უნდა გაეწირა.

– ფრთხილად, ფეხი არ დააბიჯოთ ჩემს ყვავილებს, – იყვირა სიუნიოვემ. მაგრამ ვის ესმოდა მისი! დედა და ტორბიორნი გაანჩხლებით ძიძგილაობდნენ, საუცხოო ყვავილები იატაკზე ეყრებოდა. დედა ყვავილებს თელავდა, ტორბიორნიც აბიჯებდა ფეხს. უცებ ტორბიორნს ყვავილები დაუცვივდა და – ოჰ! – თვალის დახამხამებაში საშინლად დაუშნოვდა: თმები უსაშველოდ გაეზარდა, სახე დაემანჭა, თვალები გაუფართოვდა და ხელებზე დაუჯერებელი სისწრაფით ნამოზრდილი ბრჭყალებით დედას ეცა.

– დედა, ფრთხილად, ნუთუ ვერა ხედავ, რომ ეს ის არ არის, ფრთხილად! – იყვირა სიუნიოვემ. მას უნდოდა დედას მიშველებოდა, მაგრამ გახევებულ ფეხებს ადგილიდან ვერ ძრავდა. ამ დროს ვიღაცის ხმა ჩაესმა, მერე კიდევ და კიდევ. უცებ ტორბიორნი გაქრა, გაქრა დედაც. მას ეძახდნენ.

– აქა ვარ, – იყვირა სიუნიოვემ და გაეღვიძა.

– სიუნიოვე!

– აქა ვარ, – შეეხმინა იგი და თავი აიღო.

– სადა ხარ? – მოისმა პასუხად. „ა, დედაა“, – გაიფიქრა სიუნიოვემ, ადგა და დედას გაეგება, რომელსაც ცალ ხელში კალათი ეჭირა, მეორით კი თვალებს იჩრდილავდა მზისგან.

– რას ნევხარ ამ ტიტველ მიწაზე და გძინავს?!

– დასასვენებლად მივწექი წამით და მაშინვე ჩამეძინა, – მიუგო სიუნიოვემ.

– ფრთხილად უნდა იყო, ჩემო კარგო... ამ კალათში საშენოა რაღაც. მამა გაემგზავრა წუხელ და საგზლად გამოვუცხე.

სიუნიოვე მიხვდა, რომ დედა მხოლოდ საჭმლის მოსატანად არ მოსულა მასთან. კარენი, ასე ეძახდნენ სიუნიოვეს დედას, საშუალოზე დაბალი სიმაღლის გამხდარი ქალი იყო, ქერა თმითა და მკვირცხლი ლურჯი თვალებით. ასაკთან ერთად სახის ნაკვთები დაუწვრილდა, მოძრაობები მკვეთრი გაუხდა და ყოველთვის შეფიქრიანებული ჩანდა.

სიუნიოვემ მადლობა გადაუხადა დედას ნუგბარი ნამცხვრებისთვის, კალათი გამოართვა და ფუთები შეათვალიერა.

– მოიცა, მოიცა, – თქვა დედამ. – სარძევე ჭურჭელი არ გაგირეცხია ჯერაც, ვხედავ. ჯერ ყველაფერი წესრიგში უნდა მოიყვანო და მერე დაიძინო.

– დედა, ეს დღეს არ დამირეცხავს მხოლოდ.

– კარგი, კარგი, მოდი მოგეხმარები, რაკი აქა ვარ, – თქვა კარენმა და კაბის კალთა აიკეცა. – ყოველთვის ისე უნდა გააკეთო ყველაფერი როგორც წესია, ვარ მე თუ არა.

კარენმა ჩარდახს მიაშურა, სადაც დურკი და კოჭობები იდგა. სიუნიოვე ნელი ნაბიჯით გაჰყვა. დედამ ქალიშვილის პატარა მეურნეობა მოათვალიერა და სიამოვნებით შენიშნა, რომ სიუნიოვე არცთუ ურიგო დიასახლისი იყო. მერე ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა და ჭურჭლის დარეცხვაში მიეხმარა. ამასობაში ერთი თუ ორი საათიც გავიდა. მუშაობისას დედამ სიუნიოვეს საოჯახო სიახლეებზეც უამბო, უამბო თუ როგორ გააცილა მამა. ბოლოს ჰკითხა, ძილის წინ ლოცვა ხომ არ გავიწყდებაო, რადგან „თუ ამას დაიივიწყებ დღეს, ხვალ საქმესაც ველათ დაუდებო გულს“.

როცა ყველაფერს მორჩნენ, ისინი მინდორში გავიდნენ და ძროხების მოლოდინში ბალახზე დასხდნენ. უცებ დედამ ჰკითხა, მალე დაუბრუნდება ინგრიდი საძოვარს თუ არაო. სიუნიოვემ არაფერი იცოდა ამის შესახებ.

– რა ხალხია! – თქვა კარენმა და სიუნიოვე მიხვდა, რომ მას ინგრიდი არ ჰყავდა მხედველობაში. სიუნიოვეს უნდოდა საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ გამბედაობა არ ეყო.

– ის, ვინც ღმერთს ივიწყებს, სულაც რომ არ ელის, მაშინ გაეხვევა უბედურებაში, – თქვა კარენმა.

სიუნიოვე ხმას არ იღებდა.

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ხეირიანი არაფერი გამოვიდოდა ამ ბიჭისგან, როგორ არ რცხვენია მაინც!

ისინი ბალახზე ისხდნენ და ქვევით ველს გაჰყურებდნენ. ერთმანეთის შეხედვას გაურბოდნენ.

– იცი, რა მოუვიდა მას? – ჰკითხა დედამ და სასწრაფოდ შეხედა ქალიშვილს.

– არ ვიცი, – მიუგო სიუნიოვემ.

– ცუდადაა ძალიან, – თქვა კარენმა.

სიუნიოვეს სუნთქვა შეეკრა.

– საშიშია? – გაჭირვებით ჩაეკითხა დედას მან.

– დანა დაარტყეს გვერდში. ნაცემიცაა მაგრად.

სიუნიოვემ იგრძნო, სახე აელეწა და, დედას რომ არ შეემჩნია, ზურგი შეაქცია.

– მერე რა მოხდა? – ჰკითხა მან, რაც შეიძლება მშვიდად, მაგრამ დედამ შენიშნა, რომ მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა, და უპასუხა:

– მერე არაფერი.

სიუნიოვე მიხვდა, რომ რაღაც საშინელება მოხდა.

– წევს? – ჰკითხა მან.

– ღმერთო ჩემო, წევს, რა თქმა უნდა... როგორ მეცოდება მისი მშობლები. ასეთი კარგი ხალხი და... მათ ყველაფერი გაიღეს ბიჭისთვის, რაც შეეძლოთ, ღმერთმა არ უნდა აზღვევინოთ შვილის გულისთვის.

სიუნიოვეს გონება აერია სასოწარკვეთისაგან. დედა განაგრძობდა:

– კიდევ კარგი, რომ არავინაა დანიშნული მასზე. მართალს ამბობენ: რაც ხდება – სასიკეთოდ ხდებაო.

სიუნიოვეს თავბრუ ესხმოდა. თითქოსდა, მაღალი მთიდან ძირს მიგორავდა.

– ამას არ ვეუბნებოდი ყოველთვის მამას? „ღმერთმა არ მოგვაკლოს წყალობა, ერთად-ერთი ქალიშვილი გვყავს და თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მას." მამაშენი ცოტა გულჩვილი კაცია, თუმცა კარგი ადამიანია. და ბედნიერებაა, ყურს რომ უგდებს ღვთის სიტყვას.

სიუნიოვეს ახლაღა გაახსენდა მამა, რა კარგია, რა კეთილი, და იგრძნო, რომ ცრემლები მოაწვა, ცოტაც და, ვერ შეიკავებდა თავს. ვერც შეიკავა – ცრემლები წასკდა.

– ტირი? – ჰკითხა კარენმა. ქალიშვილი სახეს მალავად.

– ჰო, ვტირი. მამა გამახსენდა... – გული ამოუჯდა სიუნიოვეს.

– რა მოგივიდა, შვილო?

– თვითონაც არ ვიცი... მეშინია, რამე არ შეემთხვას მამას გზაში, – ამოისლუკუნა მან.

– რას მიედ-მოედები, ერთი? – აღშფოთდა დედა. – რა უნდა მოუვიდეს? ქალაქში წავიდა, დასაკარგავში ხომ არა.

– ჰო, მაგრამ, დაგავიწყდა რა მოუვიდა იმას... – ტიროდა სიუნიოვე.

– აჰ, იმას!.. მამაშენი იმ ბიჭივით სულელი ხომ არ არის, ყოველ დავიდარაბაში გაჰყოს თავი. საღსალამათი დაგვიბრუნდება ღვთის ნებით.

სიუნიოვეს ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები. კარენი ტირილის ჭეშმარიტმა მიზეზმა ჩააფიქრა. ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

– ჩემო გოგონი, ქვეყნად ბევრი რამაა ცუდი და თავი იმით უნდა ინუგეშო, რომ შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო.

– ცუდი ნუგეშია ეს, დედა, – მწარედ ტიროდა სიუნიოვე.

კარენს ვერ გაებედა ქალიშვილისთვის გაემხილა, რა ბოლმაც უდუღდა გულში, ესღა თქვა:

– ღმერთი თვითონ წყვეტს ხშირად, რა არის ჩვენთვის კარგი და რა ცუდი, და ისიც, რაც ტორბიორნს მოუვიდა, ღვთის ნებით მოუვიდა.

იგი ადგა, რადგან ბორცვის გაღმიდან ძროხების ბღავილი, ეუვნების ჟღარუნი და ბიჭების შეძახილები მოისმა. მაძღარი ძროხები აუჩქარებლად ეშვებოდნენ მთის ფერდობზე. კარენმა ერთხანს უყურა ნახირს, მერე სიუნიოვეს სთხოვა, ძროხებისსათვის მიეხედა. სიუნიოვე უხალისოდ ადგა და ძალიან ნელი ნაბიჯებით გაჰყვა.

კარენ სულბაკენი თავის ნახირს ეგებებოდა. ძროხები ერთიმეორის მიყოლებით უვლიდნენ გვერდს და ბღავილით ესალმებოდნენ. კარენი ხელს უსვამდა მათ, ელაპარაკებოდა სიყვარულით და უხაროდა, რომ ძროხები ასე მაძღარი და მოვლილი იყვნენ.

– ასეა, – ამბობდა იგი, – უფალი ღმერთი ყოველთვის ეხმარება იმას, ვისაც ახსოვს იგი.

ძროხები ბაგაში შერეკეს. სიუნიოვე უგერგილოდ ეკიდებოდა საქმეს, მაგრამ კარენს შენიშვნა არ მიუცია. მერე ძროხების მოწველაშიც მიეხმარა, თუმცა ამის გამო გაცილებით მეტხანს მოუხდა საძოვარზე დარჩენა, ვიდრე ვარაუდობდა. როცა რძე გაწურეს, კარენი წასასვლელად მოემზადა. სიუნიოვეს უნდოდა გაეცილებინა დედა.

– არ არის საჭირო, – თქვა მან, – დაიღალე, ალბათ, დასვენება გინდა.

ცარიელი კალათი აიღო, ქალიშვილს ხელი გაუწოდა და დაჟინებით დააცქერდა.

– მალე ისევ ამოვალ, ვნახო როგორ ართმევ თავს... შენ კი შენი ახლობლები უნდა გახსოვდეს ყოველთვის, უვარგისი ხალხი ამოიგდე თავიდან.

როგორც კი თვალს მიეფარა იგი, სიუნიოვემ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაეგო, რა ხდება გრანლიენში.

მან ტორბიორნის ძმას გასძახა, უნდოდა სოფელში გაეგზავნა იგი, მაგრამ როცა ბიჭი მოვიდა, გადაიფიქრა, წინადუხედაობად ეჩვენა მისთვის საიდუმლოს განდობა რამდენადმე. ბიჭმა ჰკითხა – რატომ დამიძახეო, მან მიუგო: – ისე, უბრალოდო. მერე გადაწყვიტა, თვითონ წასულიყო სოფელში. წუხდა, არაფერი იცოდა ტორბიორნის შესახებ, თან გულში ინგრიდს კიცხავდა, რომელმაც არაფერი აცნობა ძმის ჯანმრთელობის შესახებ. ნათელი ღამე იდგა. გრანლიენამდე ორი ნაბიჯიღა რჩებოდა, იქ მისვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. უცებ დედის სიტყვები გაახსენდა და ცრემლები მოადგა თვალზე. ზოზინი არ დაუწყია, თავშალი მოიხურა და ციცაბო ბილიკით დაეშვა – შემოვლით, მენახირე ბიჭებს რომ არ გადაჰყროდა გზაში.

სიუნიოვე უფრო და უფრო უჩქარებდა ფეხს. ფეხის ქვეშ კენჭები ეცლებოდა და ხმაურით, შიშისმომგვრელად ცვიოდა ძირს. მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა ქვები იყო, ეჩვენებოდა, რომ ვიღაც მოსდევდა, შეჩერდებოდა, მიაყურადებდა. ირგვლივ კი ძეხორციელის ჭაჭანება არ იყო და ისიც უფრო აჩქარებით აგრძელებდა გზას.

უცაბედად დიდ ქვას დააბიჯა ფეხი, ქვა ბუჩქნარში ხათქახუთქით დაქანდა. სიუნიოვეს საშინლად შეეშინდა, მაგრამ როცა წინ რაცრაცით მოძრავი უცნაური არსება შენიშნა, ლამის გული გაუსკდა. ჯერ იფიქრა, რაღაც ზღაპრული ურჩხულიაო. შეჩერდა, სუნთქვა შეიკრა, ურჩხულიც შედგა.

– ე-ე-ეი! – გაისმა ყვირილი.

ეს ხომ დედაა! სიუნიოვე გზიდან გადავიდა და ბუჩქებს მიეფარა. იქ მანამ დარჩა, სანამ არ დარწმუნდა, რომ დედამ ვერ იცნო. უკან აღარ გამობრუნდა. არა, კარენი არ ჩანდა. სიუნიოვე მაინც არ გამოვიდა თავშესაფრიდან, რათა დედა, რაც შეიძლება წინ წასულიყო. ბოლოს და ბოლოს ისიც გაუდგა გზას, მაგრამ ნელი ნაბიჯით, ეშინოდა დედას არ დასწეოდა. თავის სახლს შეუმჩნევლად ჩაუარა და მალე გრანლიენსაც მიუახლოვდა.

ნაცნობი ხუტორის დანახვისას სიუნიოვეს მღელვარება დაეტყო, და რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ემატებოდა მღელვარება. ხუტორს ეძინა, კედლების გასწვრივ სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები აეყუდებინათ, დაპობილი შეშა თანაბრად დაეწყოთ, ზედ ნაჯახი იყო ჩარჭობილი. სიუნიოვემ ეზო მოიტოვა და კარში შეძვრა. ერთხანს ასე იდგა სმენადქცეული, სიჩუმეს არაფერი არღვევდა. და სანამ ასე იდგა და ვერ გაებედა ინგრიდთან ასვლა, უცებ მოაგონდა: რამდენიმე წლის უკან, ზუსტად ასეთ ღამეს, ტორბიორნი მის ბაღში მივიდა და ჩუმად ყვავილები დარგო. სიუნიოვემ სწრაფად წაიძრო ფეხსაცმელები და კიბეს აუყვა.

ინგრიდი ძალზე შეშინდა, როცა ნახევრად ჯერ კიდევ ძილში მყოფმა დაინახა, რომ სიუნიოვე აღვიძებდა.

– როგორ არის? – ჩურჩულით ჰკითხა სიუნიოვემ.

ინგრიდმა საბოლოოდ გაიღვიძა და ჩაცმა დააპირა, რათა დრო მოეგო და არ ეპასუხა მყისვე. მაგრამ სიუნიოვე საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, სთხოვა, არ ამდგარიყო, და კითხვა გაუმეორა.

– ახლა უკეთ, – მიუგო ინგრიდმა. – შენთან ვაპირებდი ამოსვლას ზუსტად.

– ინგრიდ, ძვირფასო, არაფერი დამიმალო. რა საშინელი ამბებიც არ უნდა მითხრა, ყველაფრისთვის მზად ვარ.

ინგრიდს არ უნდოდა წყენა მიეყენებინა დაქალისთვის, მაგრამ სიუნიოვე ისე სასოწარკვეთილი იყო და ისე აჩქარებდა ინგრიდს პასუხის გაცემას, რომ მას დროც არ ჰქონდა სიტყვების შესარჩევად. სიუნიოვე ჩურჩულით ეკითხებოდა, ინგრიდი ჩურჩულით პასუხობდა, და სამარისებური სიჩუმე, გამეფებული რომ იყო ირგვლივ, მათ სიტყვებს განსაკუთრებით ღრმა აზრს სძენდა. დადგა ის ტრაგიკული წუთი, როცა ყველაზე სამწუხარო სიმართლისათვის უნდა გაესწორებინათ თვალი. მაგრამ ქალიშვილების აზრით, ამჯერად ტორბიორნი სრულიადაც არ იყო დამნაშავე და იგი მხოლოდ სიბრალულს იმსახურებდა და არა სიბრაზეს, ისინი მწარედ ტიროდნენ, მაგრამ ჩუმად. გან-

საკუთრებით გულდათუთქული სიუნიოვე ტიროდა, რომელიც ხელებში თავჩარგული იჯდა საწოლის კიდეზე. ინგრიდი ცდილობდა ოდნავ მაინც ეცა ნუგეში და მასთან გატარებულ მშვენიერ დღეებს, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ყოველგვარი, თუნდაც უმნიშვნელო მოგონება ბედნიერი დღეების შესახებ, მწუხარების ჟამს მხოლოდღა ცრემლებს იწვევს.

– მკითხულობდა? – წაიჩურჩულა სიუნიოვემ.

– არ ლაპარაკობს თითქმის.

ინგრიდს გაახსენდა ტორბიორნის წერილი და გული დაეწვა.

– უჭირს ლაპარაკი?

– არ ვიცი. სამაგიეროდ ბევრს ფიქრობს.

– კითხვით თუ კითხულობს რამეს?

– დედა უკითხავს, ყოველდღე სთხოვს წაუკითხოს რამე.

– თვითონ რას ამბობს, როცა ის კითხულობს.

– თითქმის არაფერს, უსმენს მხოლოდ. წევს და უყურებს მას.

– იმ ოთახში წევს, თქვენ რომ შეღებეთ.

– ჰო, იქ.

– ფანჯარაში იყურება ზოგჯერ?

– იყურება.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. მერე ინგრიდმა თქვა:

– გახსოვს, ერთხელ პატარა წმინდა იოანე რომ აჩუქე? ფანჯარაზე უკიდია და ხან ერთ მხარეს ბრუნდება, ხან მეორეს.

– სულერთია, – უცებ დაბეჯითებით თქვა სიუნიოვემ, – რაც არ უნდა მოხდეს, მე არასოდეს არ გავშორდები ტორბიორნს.

ინგრიდი შეცბა.

სიუნიოვე ცრემლებს იკავებდა, თავი ასწია და რამდენიმე წუთს ხმის ამოუღებლად უყურებდა ინგრიდს. მერე ისევ დახარა თავი და ღრმად ჩაფიქრდა. უკანასკნელი ცრემლები ნელა ჩამოუგორდა ლოყებზე. იგი გაუნძრევლად იჯდა გულხელდაკრეფილი. ეტყობა, რაღაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას

იღებდა. სიუნიოვე უცებ ადგა, გაიღიმა, დაიხარა და ნაზად აკოცა ინგრიდს.

ინგრიდი ფრიად აღელვებული იყო, მაგრამ სანამ ხმის ამოღებას მოასწრებდა, სიუნიოვემ ხელი ჩამოართვა, თქვა:

– ნახვამდის, ინგრიდ! მარტო წავალ სახლში, – და სწრაფად მიტრიალდა კარისკენ.

– მოიცა, წერილია აქ შენი, – წაიჩურჩულა ინგრიდმა.

– წერილი? – იკითხა სიუნიოვემ.

ინგრიდი მაშინვე წამოხტა, წერილი იპოვა და სიუნიოვესთან მივიდა. მარცხენა ხელით წერილი უბეში ჩაუდო, მარჯვენით კისერზე მოეხვია და აკოცა. სიუნიოვემ იგრძნო, როგორ ეცემოდა ცრემლები სახეზე. მერე ინგრიდმა სიუნიოვე ოთახიდან გაიყვანა და კარი დაკეტა, არ შეეძლო დაენახა ის, რაც შემდეგ მოხდებოდა.

სიუნიოვე ჩუმად ეშვებოდა კიბეზე წინდების ამარა. თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა, მოულოდნელად გაუფრთხილებლობით წაიბორძიკა და სამარისებურ სიჩუმეში ზარივით გაიჟღრიალა რკინამ. სიუნიოვე საშინლად შეშინდა, კისრისტეხით გავარდა ქუჩაში, სახლებს ჩაურბინა, კარიბჭესთან შედგა, ფეხსაცმელები ჩაიცვა და ჩქარი ნაბიჯით შეუყვა ფერდობს.

გული გამალებით უცემდა. რაღაცას ღიღინებდა და უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს. ბოლოს დაიღალა და სულის მოსათქმელად ჩაიმუხლა. უცებ წერილი გაახსენდა... მთელი ღამე ასე გაატარა დამჯდარმა.

გათენდა, ძაღლი აყეფდა, ბიჭებმა გაიღვიძეს, მოწველისა და ძროხების საძოვარზე გარეკვის დრო იყო, სიუნიოვე კი არსად ჩანდა.

სანამ ბიჭები ფიქრობდნენ, სად დაიკარგა სიუნიოვე, ისიც გამოჩნდა საძოვარზე. ძალიან ფერდაკარგული იყო, მაგრამ მშვიდი. სიუნიოვემ ბიჭებს საუზმე მოუმზადა, საგზალიც გაუწყო და ძროხების მოწველაშიც მიეხმარა.

ნისლი ჯერაც ებურა ველზე წამოზიდულ ბორცვებს, ერიკა ცვრის წვეთებით ბრწყინავდა მურაწითელ ხრიოკზე. გრილოდა.

საკმარისი იყო ერთ ძალღს დაეყეფა, და მაშინვე ატყდებოდა სხვების ღავღავი. ნახირს საძოვარზე ერეკებოდნენ. ძროხები ცაში დრუნჩებაწეული ბღაოდნენ და აუჩქარებლად მიიზლაზნებოდნენ ბილიკზე. შორიახლო ძაღლი იჯდა, იგი ყეფით ხვდებოდა და ყეფით აცილებდა თითოეულ ძროხას, ხოლო როცა ქარაბაკში არც ერთი არ დარჩა, საძოვრისკენ გაირეკა საქონელი. ბორცვის გაღმიდან ზანზალაკების ჟღარუნი და ძაღლის ყეფა ისმოდა. ყოველი ბგერა ისე მკაფიოდ ჟღერდა სისხამ დილით, რომ ყურს გიგუბებდა; აქ კიდევ ბიჭებსაც მოეპრიანათ ა-უ-უ-უს ხმამაღლა გადაძახილში შეჯიბრი.

ეს ღრიანცელი რომ არ გაეგონა, სიუნიოვე იმ ადგილზე ჩავიდა, სადაც ოდესღაც ინგრიდთან ერთად იჯდა. იგი არ ტიროდა, უძრავად იჯდა და სივრცეს გასცქეროდა. შიგადაშიგ ხმაური ისევ აღწევდა და თანდათან უფრო და უფრო შორდებოდა, და რაც უფრო შორდებოდა, მით უფრო ჰარმონიული ხდებოდა. სიუნიოვემ რაღაც წაიმღერა, ჯერ ჩუმად, მერე უფრო ხმამაღლა და მალე მისი წკრიალა ხმა ძალუმად მოეფინა მთელ მიდამოს. ეს სიმღერა სიუნიოვემ თვით შეთხზა იმ სიმღერის მაგალითზე, ჯერ კიდევ ბავშვობისას რომ იცოდა.

ყველაფრისათვის, რაც კი რამ ოდით
საჩუქრად მიძღვნა მე შენმა ტრფობამ
მინდორში ერთად თამაშის ნდომით,
ყველაფრისათვის დიდი მადლობა!

გვეგონა ჩვენი შეხვედრა ჭალად,
მთის ფერდობებზე გასეირნება,
გაგრძელდებოდა მარად და მარად,
რადგან განგებამ ასე ინება.

ჰოი, რამდენჯერ კარის ზღურბლს მჯდარი
გელოდი ლამის შეცისკრებამდე,
მაგრამ ჩემს ძახილს ახშობდა ქარი
და ვერ აგნებდი შენ გზას ჩემამდე...

და მიჰყვებოდა საათს საათი,
„მოვა ის!“ – გული ხმობდა საამოდ,
მაგრამ ვიდოდნენ დღენი ტაატით,
მე კი გელოდი მიწყივ ამაოდ.

ან როს სინათლე დამაკლდა თვალში
და ტანს გამიჯდა ბოროტი სნება,
თავს ვინუგეშებ ისე, ვით მაშინ, –
მოვა, ერთხელაც მოვა, იქნება.

მეუბნებიან: „წადი ტაძარში
ღმერთს გამოსთხოვე თავდავიწყება!“
რატომ? უფალი ჩემი აქ არის,
ახლოს, ჰა, კარიც შემოიღება.

იგი აქ არის, ჩანს ყველაფერში,
ხელებს ჩავკიდებთ ერთმანეთს მალე
და გზას გავიკვლევთ უსიერ ტევრში...
აქ არის! – ვეღარ ვუჯერებ თვალებს –

ჩემთან! ჩემს გულში! ჩემს არსებაში!
„ამქვეყნად შენი დანიშნულება, –
ჩაჭედილი მაქვს მისი ხმა თავში, –
სიყვარულია და ერთგულება.“

VII

ამ ამბის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ერთხელ გუტორმი და კარენი დიდ ნათელ ოთახში ისხდნენ და ერთმანეთს ქალაქიდან მიღებულ ახალ წიგნებს უკითხავდნენ. ისინი დილით ეკლესიაში იყვნენ, მერე მინდორში გავიდნენ ხორბლისა და ბოსტნეულის სანახავად, უნდოდათ ენახათ რა პირი უჩანდა მოსავალს, უნდა გადაეწყვიტათ, მიწის რა ნაწილი დაეთესათ მომავალ წელს და რა ანეულად დაეტოვებინათ. მთელი მინდორი მოიარეს, მათ

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: ავ თვალს არ დაენახვებოდა ნათესი.

– ღმერთმა უწყის როგორ იქნება აქ ყველაფერი, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, – ამოიოხრა კარენმა.

პასუხის ნაცვლად გუტორმმა ცოლს შესთავაზა შინ დაბრუნებულიყვნენ და ახალი წიგნები წაეკითხათ, რადგან „ასეთ რამეზე, სჯობს, არ იფიქრო".

წიგნის წაკითხვის შემდეგ კარენმა განაცხადა, რომ ძველი წიგნები უფრო საინტერესოაო.

– ახლა მწერლები უბრალოდ იწერენ ძველი წიგნებიდან, – თქვა მან.

– იქნებ არცაა ეს აზრს მოკლებული, – მიუგო გუტორმმა. – სემუნდმა მითხრა დღეს ეკლესიაში, რომ ჩვენი შვილები მხოლოდ მშობლების კვალს იმეორებენ.

– დღეს დიდხანს საუბრობდით შენ და სემუნდი.

– სემუნდი ჭკვიანი კაცია.

– მაგრამ, ჩემის აზრით, აჯობებდა მეტი ეფიქრა ჩვენს მაცხოვარზე.

გუტორმმა ხმა არ გასცა.

– სად დაიკარგა სიუნიოვე? – იკითხა დედამ.

– თავის ოთახშია ზევით, – მიუგო გუტორმმა.

– ამას წინათ ხომ ელაპარაკე, რა ხასიათზეა?

– ისე რა...

– არ უნდა დაგეტოვებინა მარტო.

– სტუმარი მოუვიდა.

ცოლი შეყოვნდა.

– ვინ სტუმარი?

– ინგრიდ გრანლიენი.

– მეგონა, ისევ საძოვარზე იყო.

– დღეს სახლშია, დედამისი ეკლესიაში რომ წასულიყო.

– ჰო, მართლა, ჩვენც ხომ ვნახეთ იგი დღისით.

– ძალიან უჭირს ახლა.

– არც სხვაა დალხინებული. რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

გუტორმს არაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ კარენმა თქვა:

– დღეს ყველა გრანლიენი იყო ეკლესიაში, ინგრიდის გარდა.

– ისინი, ალბათ, ტორბიორნის ნაყვანას აპირებენ ეკლესიაში ავადმყოფობის შემდეგ.

– ცუდად გამოიყურება მართლაც.

– არცაა გასაკვირი. მიკვირს, ასეც რომ გამოიყურება...

– ჰო, ძვირად დაუჯდა თავისი უსაქციელობა.

გუტორმმა თვალები დახარა და მცირეოდენი დუმილის შემდეგ თქვა:

– ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვია.

– ტორბიორნს ცუდი მონაცემები აქვს. ვერ დაენდობი.

გუტორმი იჯდა იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილი და წიგნს ატრიალებდა ხელში, მერე გადაშალა და ცოლს შეხედა, თითქოსდა უნებლიეთ თქვა:

– რაც შეეხება ავადმყოფობას, მალე გამოჯანმრთელდება საბოლოოდ.

კარენმაც აიღო წიგნი.

– ძალიან კარგი, მოხარული ვარ. ასეთი ლამაზი ბიჭი და... – თქვა მან. – ღმერთმა ქნას, გონს მოეგოს.

ერთხანს კითხულობდნენ. მერე გუტორმმა თქვა:

– დღეს ეკლესიაში ერთხელაც არ შეხედა სიუნიოვეს.

– ჰო, მეც შევნიშნე. სანამ სიუნიოვე ეკლესიიდან არ გავიდა, თავის ადგილას იჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ გუტორმმა ჰკითხა:

– ფიქრობ, რომ გულიდან ამოიგდო?

– ეს ყველაზე კარგი იქნებოდა.

გუტორმმა კითხვა განაგრძო, ცოლი ანგარიშმიუცემლად ფურცლავდა წიგნს.

– არ მომწონს, ამდენი ხანი რომ ზის ინგრიდი ჩვენთან, – თქვა მან.

– მეტს ვის უნდა ელაპარაკოს სიუნიოვე.

– შეუძლია ჩვენ გველაპარაკოს.

გუტორმმა ცოლს შეხედა.

– არაა საჭირო ასეთი სიმკაცრე.

კარენი გაჩუმდა. მერე თქვა:

– ინგრიდთან ლაპარაკს არასოდეს ვუკრძალავ.

გუტორმმა წიგნი დადო, ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

– აი, ინგრიდიც მიდის. – თქვა მან.

ამის გაგონებისთანავე კარენი ოთახიდან გავიდა. გუტორმი კარგა ხანს იდგა კიდევ ფანჯარასთან, მერე მიბრუნდა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

მალე კარენიც დაბრუნდა. იგი შეჩერდა და თქვა:

– ასეც ვიცოდი. ზის თავის ოთახში სიუნიოვე და ტირის. ისეთი სახე მიიღო ჩემი შესვლისას, ვითომ კომოდში ეძებდა რაღაცას. – თავი გაიქნია, დაუმატა: – აჯობებს საერთოდ, არ მოვიდეს ინგრიდი აქ.

კარენი ვახშმის სამზადისს შეუდგა და ხშირად გადიოდა ოთახიდან. კარენი სამზარეულოში იყო, ოთახში რომ სიუნიოვე შემოვიდა – ნაღვლიანი, ნამტირალევი თვალებით, მამას ჩაუარა, ერთი დაჟინებით შეხედა, მაგიდას მიუჯდა და წიგნი აიღო. მერე მალევე დააგდო, დედასთან მივიდა და ჰკითხა, მოხმარება ხომ არ გინდაო.

– მომეხმარე, შვილო, – მიუგო კარენმა. – მუშაობა დარდს აქარვებს.

სიუნიოვეს სუფრა უნდა გაეწყო. მაგიდა ფანჯარასთან იდგა. მამა, წინ და უკან რომ დადიოდა ისევ, ფანჯარასთან მივიდა და ქუჩას გახედა.

– დასეტყვა, მაგრამ უნდა წამოდგეს ქერი მაინც, – თქვა მან.

სიუნოვე შეჩერდა მამასთან და იმანაც ფანჯარაში გაიხედა.

– გრანლიენში კარგი მოსავალი იქნება, – თქვა გუტორმმა ჩუმად.

სიუნიოვე ხმის ამოუღებლად გაჰყურებდა სარკმელს. მამა ქალიშვილს მიუბრუნდა და თავზე გადაუსვა ხელი, ისევ გაიარ-გამოიარა ოთახში.

კარენმა ვახშმობის წინ ლოცვა წაიკითხა. მაგიდასთან უხ-ერხულად დუმდა სამივე. ვახშმობას რომ მორჩნენ, კარენმა კვლავ წაიკითხა ლოცვა, მერე მისი წინადადებით ბიბლია წაიკითხეს და ფსალმუნები იგალობეს.

– ღვთის სიტყვა სიმშვიდეს გგვრის. ეს უდიდესი მადლია ოჯახისთვის, – თქვა კარენმა და სიუნიოვეს შეხედა. სიუნიო-ვემ თავი დახარა. – ერთი ამბავი უნდა გიამბოთ, – განაგრძო მან. – ყოველი სიტყვა ამ ამბავში ჭეშმარიტი სიმართლეა და ზოგიერთს არ აწყენდა მისი მოსმენა, თუ კარგად ჩაუკვირდება იმას, რასაც ვიტყვი.

და მანაც დაიწყო.

– როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ჰაუგის ხუტორში ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა, მოხუცი ლენსმანის შვილიშვილი. ლენსმანმა ბავშვობიდანვე აიყვანა იგი, სიბერეში რომ მიმხე-დავი ჰყოლოდა. საღმრთო რჯულს ასწავლიდა, წუთისოფლის ავან-ჩავანს უხსნიდა. გოგონა ძალიან ნიჭიერი და მუყაითი იყო და მალე უკან მოგვიტოვა ყველანი. თხუთმეტი წლისა თავისუფლად წერდა და კითხულობდა, კარგად იცოდა თა-ვისი სასკოლო სახელმძღვანელოები და ბიბლიის ოცდახუთი თავი. გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი. მას ცეკვას კითხ-ვა ერჩია და ამიტომაც იშვიათად თუ ნახავდით საღამოებზე, ჩვეულებრივ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა პაპის ოთახში. როცა არ უნდა შევხვედროდით, ყოველთვის გვეჩვენებოდა, რომ სადღაც შორს დაფრინავდა თავის ოცნებებში, და ჩვენც ვნატრობდით ხოლმე: „რა კარგი იქნებოდა კარენ ჰაუგივით ჭკვიანები ვი-ყოთ ყველანი“. კარენი მოხუცის ერთადერთი მემკვიდრე იყო და არც ბევრი კარგი ბიჭი იტყოდა უარს, მისი მემკვიდრეობა გაეყო. მაგრამ ყველანი უარს იღებდნენ.

ამ დროს სოფელში დაბრუნდა პასტორის შვილი, რომელიც სასულიერო განათლების მისაღებად იყო წასული. დაბრუნდა

სწავლის დაუმთავრებლად, რადგანაც სულში სიავე და ბინიერება ჰქონდა გამჯდარი, ამასთან, არც სმაზე ამბობდა უარს. „უფრთხილდი ამ კაცს, – ეუბნებოდა გოგონას მოხუცი ლენსმანი. – ბევრჯერ მქონია საქმე ამ კეთილშობილ ვაჟბატონებთან და საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ისინი გაცილებით ნაკლებად იმსახურებენ ნდობას, ვიდრე უბრალო გლეხები.“ კარენი ყოველთვის ყურს უგდებდა პაპას და ქუჩაში შეხვედრისას თავს არიდებდა პასტორის ვაჟს, მასთან შეხვედრას რომ ეძებდა სულ. მალე კარენი ცხვირს ვეღარ ყოფდა გარეთ, მაშინვე იმ ვაჟბატონს გადაწვდებოდა ხოლმე. „თავი გამანებე, მაინც არაფერი გამოგივა!“ – ეუბნებოდა კარენი, ვაჟი კი განუწყვეტლივ დასდევდა კუდში. ბოლოს და ბოლოს ისიც იძულებული გახდა გაჩერებულიყო და ყური დაეგდო მისთვის. ვაჟს სილამაზე არ აკლდა, მაგრამ როცა უთხრა, რომ უმისოდ არ შეუძლია სიცოცხლე, ძალიან შეშინდა. ვაჟი საათობით უტრიალებდა მის სახლს, მაგრამ იგი არ ჩნდებოდა, ვაჟი ღამეებს ათევდა მის ფანჯარასთან, მაგრამ იგი ფანჯარას არ ეკარებოდა. მაშინ ვაჟმა უთხრა, რომ თავს მოიკლავდა, მაგრამ ვერც ამან იმოქმედა კარენზე. პასტორის ვაჟმა ისევ სმა დაიწყო. „არ დაუჯერო, – ეუბნებოდა მოხუცი ლენსმანი შვილიშვილს, – ყველაფერი ეს ეშმაკეული ხრიკებია მხოლოდ.“ და აი, ერთხელაც პასტორის ვაჟი კარენის ოთახში აღმოჩნდა. არავინ იცოდა, როგორ შეაღწია იქ. „ახლა მე შენ მოგკლავ“, – უთხრა მან. „რა გაეწყობა. მომკალი, თუკი ეს გიშველის“, – მიუგო კარენმა. პასტორის ვაჟს ცრემლები წასკდა და განუცხადა, რომ მხოლოდ მას, ერთს შესწევს ძალა კვლავაც წესიერი კაცი გაეხადა. „სცადე, თუ დალევ თუნდაც ნახევარ წელს, მერე ვნახავ“, – უთხრა კარენმა. და ისიც მთელი ნახევარი წელი არ გაჰკარებია სასმელს. „ახლა გჯერა ჩემი?“ – ჰკითხა ვაჟმა. „მაშინ დაგიჯერებ, თუ ნახევარი წლით მაინც დაივიწყებ ყოველგვარ ქეიფს, საღამოსა და დროსტარებას.“ და მანაც დაივიწყა. „ახლა გჯერა ჩემი?“ – ჰკითხა ვაჟმა. „მაშინ დაგიჯერებ თუ პასტორის დიპლომს მიიღებ“. ვაჟი წავიდა და ერთი წლის შემ-

დეგ პასტორის დიპლომით დაბრუნდა. „ახლა გჯერავს ჩემი?“ – ჰკითხა მან, ტანთ პასტორის სერთუკი ემოსა, საყელოც პასტორისა ეკეთა. „ახლა კი მინდა მოგისმინო, როგორ ქადაგებ ღვთის სიტყვას“, – უთხრა კარენმა. და მან ისეთი მშვენიერი ქადაგება წარმოთქვა, როგორც შეეფერება ჩინებულ პასტორს. იგი ლაპარაკობდა თავის ცოდვებსა და იმაზე, თუ რა ადვილია მათი გადალახვა, ოღონდ დაწყებაა მთავარი. იგი ლაპარაკობდა ღვთის მადლთან პირველად მიახლების ბედნიერებაზე. და იგი კვლავაც მივიდა კარენთან. კარენმა მას უთხრა: „დიახ, ვიცი, ახლა ღვთისმოსავი ხარ, მაგრამ უნდა გითხრა, რომ აი, უკვე სამი წელია, რაც ანდერს ჰაუგზე ვარ დაწინდული, ჩემს ბიძაშვილზე, და მომავალ კვირას შენ ჯვარი უნდა დაგვწერო ეკლესიაში“.

დედამ დაამთავრა თხრობა. თავიდან სიუნიოვე არც უგდებდა ყურს, მაგრამ თანდათან დაინტერესდა და ხარბად იჭერდა თითოეულ სიტყვას.

– მორჩა? – ჰკითხა მან აღელვებით.

– მორჩა, – მიუგო კარენმა.

გუტორმმა დაჟინებით შეხედა ცოლს. ცოლი შეცბა, თვალი აარიდა და, მაგიდას უსვამდა თითს, მერე თქვა:

– შეიძლება, არც მორჩა... მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა.

– ესე იგი, რაღაც კიდევ მოხდა? – იკითხა სიუნიოვემ და მამას შეხედა, რომლისთვისაც, როგორც მოეჩვენა, ეს ამბავი ახალი არ იყო.

– ჰო, მოხდა... თუმცა, როგორც დედამ თქვა, ამას არა აქვს მნიშვნელობა.

– პასტორის ვაჟს რა მოუვიდა შემდეგ? – იკითხა სიუნიოვემ.

– მაგაშია სწორედ დამარხული ძაღლის თავი, – თქვა მამამ, რომელიც კარენს უყურებდა.

კარენი იჯდა კედელს მიყრდნობილი და ხმის ამოუღებლად შეჰყურებდა მათ.

– რამე უბედურება გადახდა? – ჩუმად იკითხა სიუნიოვემ.

– რახან ვთქვით, მორჩა-მეთქი, ესე იგი მორჩა, – მოუჭრა კარენმა და ადგა.

მერე გუტორმი ადგა, ბოლოს სიუნიოვე.

VIII

რამდენიმე კვირამაც განვლო, და აი დილაადრიანად სულბაკენთა მთელი ოჯახი ეკლესიისაკენ გაემართა. დღეს იქ კონფირმაცია ტარდებოდა. ამ წელს იგი წინა წლებთან შედარებით ადრე იმართებოდა. სოფელში ყველა სახლი დაკეტილი იყო, რადგანაც მცხოვრებლები წირვაზე წავიდნენ. მიდიოდნენ ფეხით, რადგანაც მზიანი დღე იყო და თუმცა დილიდან გრილოდა და ცოტა ქარიც უბერავდა, ამინდს მაინც კარგი პირი უჩანდა. გზა სოფელს უვლიდა, გვერდზე იტოვებდა გრანლიენს, მარჯვნივ უხვევდა და მერე ეკლესიამდე პირდაპირ მიდიოდა. პური მომკილი და დაბულულებული იყო, ძროხები, მთის საძოვრებიდან ძირს ჩამორეკილი, პალოებზე მიბმული ძოვდნენ. მინდვრებს ალაგ-ალაგ სიმწვანე შერჩენოდა, ზოგან კი, სადაც მიწა შედარებით მწირი იყო, თითქოსდა მორუხო ქერქი გადაჰკვროდა. ირგვლივ ათასფრად გალაშლილი ტყეები თვალს ახარებდა, რა ფერს არ გაარჩევდით – ხასხასა მწვანიდან მურა-მეწამულამდე. არყის ხეებს სიცივემ დაჰკრა, ვერხვი შეოქროსფრდა, ცირცელმა სისხლივით წითელი კენკრა დაისხა, თუმცა ფოთლები დაუჭკნა და შეახმა. რამდენიმე დღე გადაუღებლივ წვიმდა. გზისპირა ბუჩქნარი, მუდამ მტვრითა და ქვიშით დაფარული, ახლა კამკამებდა. მთის კალთები მძიმედ გადმოჰფარებოდა მინდვრებს, მას შემდეგ, რაც შემოდგომამ ულმობლად გააცალა სიმწვანე მათ და სიმკაცრე მიანიჭა. მთის ნაკადულები, თითქმის დამშრალი რომ იყო ზაფხულში, ახლა აბობოქრდა და გრიალით დაქანდა ველზე. გრანლიენის ნაკადული თავაწყვეტილი მიაქანებდა ტალღებს და იქ, სადაც ხრამი იწყებოდა, უცებ, ჩანჩქერივით ეშვებოდა გრანლიენს. აქ

იგი უზარმაზარ ლოდს ეხეთქებოდა და ისეთი ღრიალით ეშვებოდა მერე – გრუხუნისაგან ზანზარი გაუდიოდა კლდეებს. მთის ნაკადული მრისხანედ ასხამდა მათ ცივი წყლის ძლიერ ჭავლს – ახიც იყო მათზე, თავისი სულმოკლე ღალატისთვის მეტ საყვედურს არ იმსახურებდა განა? მეტისმეტად ცნობისმოყვარე ბუჩქნარი გაუფრთხილებლად მიუახლოვდა ხრამის პირს, ლამის ჩაუცდა ფეხი ნაკადში და ახლა, ცივ ჭავლში მოყოლილს, ასლოკინებდა შემცივნულივით.

სწორედ ამ დროს მიდიოდნენ ნაკადულის გვერდით ტორბიორნი, მისი მშობლები, ძმა, და ბობოქარ ნაკადს შეჰყურებდნენ. ტორბიორნი უკვე სავსებით გამოჯანმრთელდა და გულმოდგინედ ეხმარებოდა მამას საქმიანობაში. ისინი სულ ერთად იყვნენ, ერთად მიდიოდნენ ახლაც.

– სულბაკენები ჩვენს უკან მოდიან, ალბათ, – თქვა მამამ.

ტორბიორნს არც მიუხედავს უკან, დედამ კი შენიშნა:

– ისიც ხომ... მაგრამ ის არა ჩანს რაღაც... აჰ, არა, ჩანს, ჩამორჩა, ეტყობა.

არავინ უწყის, გრანლიენის მკვიდრნი მეტისმეტად ჩქარა მიდიოდნენ თუ სულბაკენთა ოჯახი არ ჩქარობდა, მათ შორის მანძილი თანდათან გაიზარდა და მალე მხედველობიდან დაეკარგათ ერთმანეთი.

ეტყობოდა, ეკლესიაში უამრავი ხალხი მოიყრიდა თავს. მთელი გზა ერთ ცოცხალ შავ ლენტს ჰგავდა. ვინ ფეხით მიდიოდა, ვინ საზიდარითა და ცხენით. შემოდგომით, როგორც ხდება ხოლმე ჩვეულებრივ, ცხენები ცოტა გაველურდნენ, გადაეჩვივნენ ამ ორომტრიალს, და ახლა მოუსვენრად ჭიხვინებდნენ. ეს გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ქვეითად მოსიარულეს.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ეკლესიას, მით უფრო გაცხოველებული ხდებოდა მოძრაობა. ახლახან მოსული ცხენები ხმამაღალი ჭიხვინით ესალმებოდნენ უკვე კადონთან მიბმულთ. ეს უკანასკნელნი კი ამაოდ ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ საბმელისაგან თავი ტლინკის კვრით და თავის

მხრივ ჭიხვინით ხვდებოდნენ ახალმოსულთ. მთელი სოფლის ძაღლებსაც აქ მოეყარათ თავი. მთელი კვირით ჯაჭვებით მიბმულთ აღარაფერი დარჩენოდათ ერთმანეთისადმი ღრენისა და კბილების ღრჭიალის მეტი. ახლა კი გააფთრებით ეძგერნენ ერთმანეთს, ერთი ერთზე თუ ერთი მთელი ხროვის წინააღმდეგ, და ხმამაღალი ყეფით დასდევდნენ ერთმანეთს.

ერთ მხარეს ეკლესიის კედლისა და მეორე მხარეს სახლების გასწვრივ მრევლი იდგა. ისინი ჩურჩულით თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს თითო-ოროლა სიტყვას, საპირისპიროდ მდგართ კი უხმოდ გახედავდნენ ხოლმე. გზა ამ ადგილას ვიწროვდებოდა და სახლები თითქმის ეკვროდა ეკლესიის კედელს, რომელთანაც ქალები იდგნენ, მამაკაცები კი სახლების გასწვრივ პირდაპირ ჩამწკრივებულიყვნენ. მოპირდაპირე მხარეს ნაცნობებთან გადასვლა დაუბრკოლებლად შეუძლებელი იყო. ისინი ერთმანეთთან გამოლაპარაკებასაც ვერ ახერხებდნენ, ადამიანები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და მისალმების გარეშე გვერდის ავლა შეუძლებელი იყო, მაშინ თუ შეძლებდნენ ერთმანეთს გამოლაპარაკებოდნენ და ისიც ნახევრად ზურგშექცევით, მერე დაუყოვნებლივ შორდებოდნენ ერთმანეთს, – ასე მოითხოვდა ჩვეულება.

გრანლიენები რომ ეკლესიასთან მივიდნენ, იქ თითქმის სრული სიჩუმე იყო. სემუნდს არც ნაცნობები ეგულებოდა იქ და ტორბიორნთან ერთად სწრაფად ჩაუარა გზის გასწვრივ გამწკრივებულ მრევლს. ქალები კი თავიანთ მეგობარ ქალებთან შეჩერდნენ და მამაკაცებს, ეკლესიაში შესვლის დრო რომ მოვიდა, დაბრუნება მოუხდათ მათთან.

იმ წუთას ეკლესიასთან სამი საზიდარი მიხრიგინდა. ისინი სხვა საზიდარებზე სწრაფად მოდიოდნენ და მაშინღა გაჩერდნენ, როცა ბრბოს შუაში შეიჭრნენ. სემუნდმა და ტორბიორნმა, ლამის ბორბლების ქვეშ რომ მოჰყვნენ, ერთდროულად შეხედეს ახალმოსულთ: პირველ საზიდავზე კნუტ ნორდჰაუგი და ვიღაც მოხუცი ისხდნენ, მეორეზე – მისი და ქმართან ერთად, მესამეზე – დანარჩენი სახლეული. მამამ და შვილმა ერთმანეთს

შეხედა. სემუნდს ერთი კუნთი არ შესტოკებია სახეზე, ტორბიორნს კი საშინლად ეცვალა ფერი. მამა-შვილი შებრუნდა და აქეთ-იქით დაიწყეს ყურება. გამოჩნდნენ სულბაკენებიც. ისინი სწორედ მათ პირდაპირ გაჩერდნენ, რათა ინგებორგსა და ინგრიდს მისალმებოდნენ.

წუთით მათ შორის ნორდჰაუგების საზიდარი გაეჩხირა და იძულებული გახდნენ ახლახან დაწყებული საუბარი შეეწყვიტათ. მათ თვალი გააყოლეს ნორდჰაუგებს. ისინი იმდენად გაოცებული დარჩნენ, რომ საკმაო დრო დასჭირდათ, სანამ გაკვირვებისგან გონს მოეგებოდნენ. ის იყო შეწყვეტილი საუბარი უნდა გაეგრძელებინათ, რომ უცებ სემუნდი და ტორბიორნი შენიშნეს, რომლებიც იქვე იდგნენ და მათ უყურებდნენ. გუტორმ სულბაკენი შებრუნდა, კარენი კი უფრო ყურადღებით იყო და არ გამოჰპარვია ტორბიორნის მზერა, რომელიც სიუნიოვესკენ იყო მიმართული. სიუნიოვემაც დაიჭირა ეს მზერა და საჩქაროდ მიუბრუნდა ინგრიდს, თითქოსდა ხელის ჩამორთმევა უნდოდა, არა და წუთის წინ ჩამოართვა ხელი. უცებ იგრძნეს, რომ მათი მსახურები და უბრალოდ ნაცნობები – ყველა მათ უყურებდა. მაშინ სემუნდი თავის დაკვრით მიუახლოვდა გუტორმს, თვალი არ გაუსწორებია ისე, და ხელი გაუწოდა.

– გამარჯობა!

– გაგიმარჯოს! – უპასუხა მან.

ინგებორგიც მიესალმა გუტორმს და არც მან გაუსწორა თვალი. მერე გუტორმს ტორბიორნი მიესალმა, სემუნდი კი სიუნიოვეს მიუბრუნდა, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა მასთან. სიუნიოვემ შეხედა მას და პასუხის გაცემაც კი დაავიწყდა, რადგან მას ტორბიორნი უახლოვდებოდა.

ტორბიორნს არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ შეხედა მხოლოდ. არც სიუნიოვეს გაუღია ხმა, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და მყისვე დაშორდნენ. ისინი მღელვარებისაგან გაშეშებულნი იდგნენ და ერთმანეთის შეხედვას ვერ ბედავდნენ.

– დღეს დარი იქნება ნამდვილად, – თქვა კარენმა, რომელიც ხან ტორბიორნს უყურებდა, ხან სიუნიოვეს.

– მეც ასე ვფიქრობ. ქარი გადაყრის ღრუბელს, – მიუგო სემუნდმა.

– კარგია, წაადგება პურს, ახლა არ აწყენს გამოშრობა, – შენიშნა ინგებორგმა და რატომღაც სემუნდის ქურთუკს დაუწყო წმენდა. გამტვერიანდაო, თუ იფიქრა.

– ღვთის წყალობით მოსავალი კარგი მოვიდა, მაგრამ აი, აღებას მოვასწრებთ თუ არა, ეს კიდევ საკითხავია, – თქვა ისევ კარენ სულბაკენმა, შეშფოთებით რომ შეჰყურებდა ისევ ისე გაშეშებულ სიუნიოვესა და ტორბიორნს.

– ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გვეყოფა ძალა, – მიუგო სემუნდმა და ისე დაუდგა კარენს წინ, რომ ვეღარ დაენახა ახალგაზრდა წყვილი. – ბევრჯერ მიფიქრია, ორი რომელიმე სექტორი შეგვეერთებინა და ერთად გვემუშავა. წავიდოდა საქმეები კარგად.

– მაშინ არც გვალვა იქნებოდა საშიში, – თქვა კარენმა და ნაბიჯი გვერდზე გადადგა.

– ეს, რა თქმა უნდა, – კვერი დაუკრა ინგებორგმა და ქმარს ამოუდგა მხარში, რათა ვერაფერი დაენახა კარენს, – ზოგან ადრე შემოდის მოსავალი, ზოგან – გვიან. აი, სულბაკენი, მაგალითად, ორი კვირით მაინც გვისწრებს წინ.

– ეს ადვილი გამოსასწორებელია, – დინჯად ჩაურთო გუტორმმა. კარენმა სწრაფად ესროლა მზერა. – მაგრამ აქ ბევრი რამაა ანგარიშგასაწევი, რა არ შეიძლება მოხდეს, – დაურთო მან.

– მეც მაგას ვამბობ, – ჩაურთო კარენმა, რომელიც ხან მარჯვნივ იწევდა, ხან მარცხნივ, ოღონდ რაღაცისთვის მოეკრა თვალი.

– რა თქმა უნდა... წინააღმდეგობა ათასგვარი არსებობს, – შენიშნა სემუნდმა და უნებურად გაეღიმა კარენის საქციელზე.

– მართალი ხარ, – დაუდასტურა გუტორმმა, მაგრამ მკვეთრად შეაწყვეტინა ცოლმა:

– კარგია, ყველაფერი შეგვეძლოს. ყოვლისშემძლე ღმერთია მხოლოდ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას სურს.

– მაგრამ არა მგონია უფალი იმის წინააღმდეგ წავიდეს, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ ჭირნახულის აღებისას.

– არც მე მგონია, – თქვა გუტორმმა და სერიოზულად შეხედა ცოლს.

კარენმა ამჯობინა სხვა თემაზე გადაეტანა საუბარი.

– რამდენი ხალხია დღეს ეკლესიაში. – თქვა მან. – რა კარგია, რომ ადამიანები ღვთის სავანისკენ აგნებენ გზას.

ეტყობა, მისთვის პასუხის გაცემას არავინ აპირებდა, და გუტორმმა თქვა:

– მგონი, ჩვენს დროში მეტია ღვთის შიში ხალხში. ახლა ეკლესიაში გაცილებით მეტი ხალხი დადის, ვიდრე ჩემი ახალგაზრდობის დროს.

– ასეა... და საერთოდ ხალხიც მომრავლდა, – დაეთანხმა სემუნდი.

– ეს მართალია, – განაცხადა კარენმა, – მაგრამ, ვშიშობ, უმეტესობა ფეხის ხმასაა აყოლილი.

– იქნებ, ახალგაზრდები... – ხმამაღლა გაიფიქრა ინგებორგმა.

– ჰო, ახალგაზრდებისთვის შეხვედრის ადგილად იქცა ეკლესია, – თქვა სემუნდმა.

– გაიგეთ, რომ ჩვენი პასტორი მიდის ჩვენგან? – კვლავ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი კარენმა,

– სამწუხაროა, – თქვა ინგებორგმა. – ჩვენი შვილების ნათლიაც ეგ იყო და კონფირმატორიც.

– შენ რა, გინდოდა, ჯვარიც მაგას დაეწერა ყველასთვის? – ხუმრობით ჰკითხა მას სემუნდმა და კანი მოაკვნიტა ჩხირს.

– ვიცოდეთ მაინც, როდის დაიწყება წირვა? – თქვა კარენმა, რომელიც მოუთმენლად უყურებდა ეკლესიის კარს.

– ჰო, დაცხა ძალიან, – კვლავაც შეხუმრებით მიუგო სემუნდმა.

– წავედით, სიუნიოვე, დროა.

სიუნიოვე შეკრთა და დედისკენ მიბრუნდა, იგი ამ დროს ტორბიორნს ესაუბრებოდა.

– ზარების რეკვამდე მოგეცადა, – მალულად შეხედა ინგრიდმა სიუნიოვეს.

– ყველანი ერთად წავალთ მაშინ, – დაურთო ინგებორგმა.

სიუნიოვემ დაბნეულობისგან არ იცოდა რა პასუხი გაეცა. მის უკან სემუნდი იდგა.

– მოიცადე ცოტაც, მალე ზარები... შენთვისაც დარეკავს, – თქვა მან.

სიუნიოვეს სახე აელეწა, კარენმა ჩაციებით შეხედა სემუნდს. მას კი გაეღიმა.

– რაც მოხდება, ყველაფერი ღვთის ნებით მოხდება. ასე არა თქვი შენ თვითონ ამწუთას? – თქვა სემუნდმა და ეკლესიისკენ წავიდა. დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ხალხი ეკლესიასთან გროვდებოდა, კარი კი ისევ დაკეტილი იყო. უნდოდათ ეკითხათ, რაში იყო საქმე, მაგრამ ამ დროს კარიც გაიღო და ხალხი ერთბაშად მიაწყდა შესასვლელს. მაგრამ ყველანი ერთად ვერ შევიდოდნენ, ზოგიერთს უკან დახევა მოუხდა და, მათ, ვინც პირველები შევიდნენ, თავიანთი ჩამორჩენილი ნაცნობები უკან მოიტოვეს. იმ დროს ეკლესიის კედელთან ორი მამაკაცი იდგა. ერთ-ერთი მათგანი – მაღალი, ბრგე, ღია სწორი თმითა და ჩაჭყლეტილი ცხვირით, კნუტ ნორდჰაუგი იყო. გრანლიენების დანახვისთანავე კნუტმა ხმა გაიკმინდა, – თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ თავის ადგილზე დარჩა.

სემუნდი, როცა გვერდს უვლიდა, ცივად ჩააშტერდა კნუტს. ამ უკანასკნელმა, მართალია, გაუძლო სემუნდის მზერას, მაგრამ ძველი თავდაჯერებულობა აკლდა უკვე. სემუნდს სიუნიოვე მიჰყვებოდა უკან და როცა იგი, მისთვის სავსებით მოულოდნელად, კნუტს შეეფეთა თვალებით, მკვდრის ფერი დაედო. ამჯერად კნუტმა თვალები დახარა და კედელს მოშორდა, იქაურობას რომ გასცლოდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ოთხ კარგად ნაცნობ პირს შეხვდა. ესენი იყვნენ გუტორმი, მისი ცოლი, ინგრიდი და ტორბიორნი. კნუტი ისე დაიბნა, რომ პირდაპირ მათკენ გაეშურა

და, საკუთარი თავისთვისაც ანგარიშმიუცემლად, ტორბიორნის პირისპირ აღმოჩნდა. მან ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოსდა უკან უნდოდა შებრუნება, მაგრამ ირგვლივ იმდენი ხალხი შეგროვილიყო, ვერც უკან წასვლა მოახერხა.

ეს სცენა კარიბჭესთან გათამაშდა, ზედ კიბესთან. კიბის თავზე, სამოსისა და ჭურჭლის საცავის შესასვლელთან, სიუნიოვე იდგა, მის უკან კი სემუნდი. ისინი შემაღლებულ ადგილას იდგნენ და კარგად ჩანდნენ და თვითონაც ყველაფერს ხედავდნენ, რაც ქვემოთ ხდებოდა. სიუნიოვეს აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად, და ტორბიორნის გარდა ვერაფერს ხედავდა. ტორბიორნს უყურებდნენ დანარჩენებიც – სემუნდი, ინგებორგი, გუტორმი ცოლთან ერთად, ინგრიდი. ტორბიორნი გრძნობდა მათ მზერას და თითქოსდა ადგილზევე გაშეშდა. კნუტს თავში მოუვიდა, რომ რაღაც უნდა ეღონა და წუთიერი ყოყმანის შემდეგ ძლივს შესამჩნევი მოძრაობა გააკეთა ხელით, რომელიც ტორბიორნისთვის ხელის გაწოდებას ჰგავდა, მაგრამ უწინდებურად დუმდა. ტორბიორნმაც ოდნავ ასწია ხელი, მაგრამ არა იმდენად, რომ ხელით მის ხელს შეხებოდა.

– გამარ... – თქვა კნუტმა და ხმა ჩაუწყდა. გაახსენდა, რომ ეს მისალმება ფრიად უადგილო იყო. მან დაიხია კიდეც ოდნავ, ტორბიორნი კი ამ დროს სიუნიოვეს უყურებდა, რომელსაც მკვდრის ფერი ედო. მაშინ ტორბიორნმა მტკიცედ წადგა ნაბიჯი, მაგრად ჩამოართვა ხელი კნუტს და იქვე მდგომთა გასაგონად ხმამაღლა თქვა:

– გამარჯობა, კნუტ! მგონი... ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა, ორივესთვის კარგი გაკვეთილი იყო.

კნუტს პირიდან ისეთი ბგერები აღმოხდა, რომელიც ძალიან ჰგავდა ქვითინს. რამდენჯერმე დააპირა კიდეც ხმის ამოღება, მაგრამ ენა ვერ დაძრა. არც ტორბიორნს ჰქონდა სათქმელი, იგი უბრალოდ იდგა თავდახრილი და ელოდა, რას იტყოდა კნუტი. ის კი სიტყვის ამოღებასაც ვერ ახერხებდა. არც ტორბიორნი იღებდა ხმას და ლოცვანს ათამაშებდა ხელში. მოულოდნელად ლოცვანი ხელიდან გაუვარდა და მიწაზე დაე-

ცა. კნუტი მაშინვე დაიხარა, ლოცვანი აიღო და ტორბიორნს გაუწოდა. ტორბიორნმა ოდნავ დახარა თავი მადლობის ნიშნად, ხოლო როცა ისევ შეხედა კნუტს და დაინახა, რომ იგი ისევ ისე უყურებდა, გაიფიქრა, რომ ახლა უკეთესი იყო წასულიყო და მანაც ეკლესიას მიაშურა.

დანარჩენებმაც ეკლესიას მიაშურეს. როცა ტორბიორნი თავის ადგილას მივიდა და ცოტა ხნის შემდეგ მანდილოსნების სკამს გახედა, დაინახა ინგებორგი, რომელიც დედობრივი სინაზით უყურებდა მას. მის გვერდით კარენ სულბაკენი იჯდა და, უთუოდ ელოდა, რომ ტორბიორნი მისკენ გაიხედავდა. როცა მისი მზერა დაიჭირა, კარენმა სამჯერ დაუკრა პასუხად თავი და, რადგანაც ამან აშკარად გააკვირვა ტორბიორნი, მან კვლავ სამჯერ დაუკრა თავი, ოღონდ ამჯერად უფრო თბილად. სემუნდმა ტორბიორნს გადაუჩურჩულა:

– ასეც ვიცოდი.

მათ მოისმინეს ლოცვა, იმღერეს ფსალმუნი. მერე წინ კონფირმანტები წარდგნენ. სემუნდმა ისევ გადაუჩურჩულა ტორბიორნს:

– არა მგონია, დიდხანს გაჰყვეს სიმშვიდე კნუტს. რაც მეტი იქნება მანძილი გრანლიენსა და ნორდჰაუგს შორის, მით უკეთესი.

დაიწყო კონფირმაცია. საკურთხევლიდან გამოვიდა პასტორი. ბავშვები გალობდნენ საკონფირმაციო ფსალმუნს. მათი ნაზი გალობა, ხან ერთ გუნდად შეხმატკბილებული, ხანაც ცალ-ცალკე მოწკრიალე, ესოდენ ჟღერადი და ესოდენი მხნეობის მომცემი, ღრმად ხვდებოდათ გულში მლოცველთ, განსაკუთრებით ახლახანს კონფირმირებულთ. მერე სიჩუმემ დაისადგურა. და პასტორი, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია მსახურობს აქ და ოცი წელია თითოეულ მლოცველში ყველაფერ საუკეთესოს აღვიძებს რაც კი მათ სულებში თვლემს, გულხელდაკრეფილი გამოდის საკურთხევლიდან. ყველას ცრემლები მოადგა თვალთ. პასტორმა მოუწოდა მშობლებს აღევლინათ ლოცვა შვილების სავედრად. ბავშვებს გრძნობა ერევათ. ვერც ტორბიორნმა

შეიკავა თავი, სულ ახლახან საფლავის პირას რომ იდგა და ფიქრობდა, მთელი სიცოცხლე ხეიბრად დარჩებოდა. ახალგაზრდები კონფირმაციის წინ ურყევი რწმენით აძლევენ აღთქმას საკურთხეველთა, რომ არასოდეს დაარღვევენ დადებულ ფიცს.

მთელი წირვის მანძილზე ტორბიორნს ერთხელაც არ გაუხედავს ქალთა სკამისკენ, წირვის დამთავრებისას კი იგი სწრაფად მივიდა ინგრიდთან, რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, სწრაფად გაემართა კარისკენ და ეკლესიიდან გავიდა. ავი ენები ირწმუნებოდა, რომ იგი ჩქარი ნაბიჯით აუყვა მთის კალთას და ტყეში გაუჩინარდა, მაგრამ დანამდვილებით არავინ არაფერი იცოდა. სემუნდს ის იყო შვილი უნდოდა მოეძებნა, როცა შენიშნა, რომ ინგრიდიც გამქრალიყო, და რატომღაც გადაიფიქრა. სემუნდმა სულბაკენებთან ერთად გადაწყვიტა შინ დაბრუნება.

აღმოჩნდა, რომ მათაც დაეკარგათ სიუნიოვე და ახლა კითხვა-კითხვით უვლიდნენ გარს ეკლესიას, – ვინმეს თვალი ხომ არ მოეკრა მისთვის. სამწუხაროდ, არავის. მშობლებს სხვა გზა აღარ დარჩენოდათ – იძულებული გახდნენ, შვილების გარეშე დაბრუნებულიყვნენ შინ.

სიუნიოვე და ინგრიდი მხოლოდ ცოტათი უსწრებდნენ მათ.

– ახლა ვნანობ, რომ გამოგყევი, – თქვა სიუნიოვემ.

– არაფერია საშიში, რახან მამამ ყველაფერი იცის, – მიუგო ინგრიდმა.

– კი, მაგრამ ის მამაშენია და არა მამაჩემი, – შეეპასუხა სიუნიოვე.

– ვინ იცის? – უცნაურად თქვა ინგრიდმა. ამის შესახებ მეტი არაფერი უთქვამთ.

– ალბათ, აქ უნდა დავიცადოთ ცოტა, – თქვა ინგრიდმა. აქ გზა მკვეთრად უხვევდა გვერდზე, გარს ხშირი ტყე ეკრათ.

– ჰო, შორი გზიდან უნდა მოუაროს, – მიუგო სიუნიოვემ.

– მეც აქა ვარ, – გაისმა ტორბიორნის ხმაც და იგი დიდი ქვის უკან გამოჩნდა.

მან წინასწარ მოიფიქრა, რასაც სიუნიოვეს ეტყოდა, სათქმელი კი მართლაც ბევრი ჰქონდა. დღეს, თითქოსდა, ყველაფერი

კარგად აეწყო. მამამ იცოდა, რომ შვილს უყვარს სიუნიოვე, და მთლიანად მის მხარეს იყო. ტორბიორნი ამაში მას შემდეგ დარწმუნდა, რაც ეკლესიაში მოხდა. იგი მთელი ზაფხული ნაღვლობდა მასზე, როგორც არასოდეს სიცოცხლეში, და ესეც გამბედაობას მატებდა მას.

– ტყით წავიდეთ, – თქვა მან, – ასე მოკლეა უფრო.

ქალიშვილები უსიტყვოდ გაჰყვნენ. ტორბიორნს ერთი სული ჰქონდა, სანამ დაელაპარაკებოდა სიუნიოვეს, მაგრამ გადაწყვიტა მთაზე გადასვლასა და ჭაობის გავლამდე დაეცადა. აი, ისინი გადავიდნენ მთაზე, ჭაობიც განვლეს... ახლა ტორბიორნმა იფიქრა, საუბრის დაწყება აი, იმ ჭალაში ჯობსო, – ჭალაც არ იყო შორს. ინგრიდს მოეჩვენა, რომ საქმე მეტისმეტად ჭიანურდებოდა, ფეხი აითრია და მალე ისე ჩამორჩა მათ, რომ არც ჩანდა. სიუნიოვემ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერც შენიშნა ეს, გზის პირას კენკრას დაუწყო კრეფა.

„რა უცნაურია, ხმის ამოღებასაც ვერ ვახერხებ“, – ფიქრობდა ტორბიორნი. როგორც იქნა გამბედაობა მოიკრიბა.

– რა კარგი ამინდია დღეს! – თქვა მან.

– ჰო, ძალიან კარგი, – მიუგო სიუნიოვემ.

და კვლავ დუმილი. ქალიშვილი კენკრას წყვეტდა, ვაჟი გვერდით მიჰყვებოდა უბრად.

– რა კარგია, რომ ჩემთან ერთად წამოხვედი,– თქვა ტორბიორნმა.

სიუნიოვემ არაფერი თქვა.

– ნელს ძალიან გაიწელა ზაფხული, – ისევ გაიღო ხმა ტორბიორნმა და ისევ არაფერი უთქვამს სიუნიოვეს. „არა, ამ სიარულში ვერაფერს მოვილაპარაკებთ“, – გაიფიქრა ტორბიორნმა და თქვა:

– მოდი, ცოტა მოვუცადოთ ინგრიდს.

– მოდი, მოვუცადოთ, – დაეთანხმა სიუნიოვე და შეჩერდა.

აქ კენკრა არ იყო. სიუნიოვემ გრძელი ბალახის ღერი მოწყვიტა და უკვე მოკრეფილი კენკრის აცმას შეუდგა ზედ.

– დღეს გამახსენდა, როგორ მივდიოდით მე და შენ საკონ-ფირმაციოდ, – თქვა ტორბიორნმა.

– მეც გამახსენდა, – მიუგო სიუნიოვემ.

– რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ.

სიუნიოვემ არაფერი უთხრა. ტორბიორნმა განაგრძო:

– და რამდენი რამ მოხდა, რასაც არაფრით არ ველოდით.

სიუნიოვე გულმოდგინედ აცვამდა კენკრას ერთიმეორის მიყოლებით, დაბლა თავდახრილი. ტორბიორნმა მოძრაობა ისეთი გააკეთა, რომ პირდაპირ სახეში შეეხედა მისთვის, მაგრამ შენიშნა თუ არა ეს, სიუნიოვემ კლავ მიაბრუნა სახე. ტორ-ბიორნს უცებ შეეშინდა, ვაითუ მართლაც ვერ მოეხერხებინა მასთან მოლაპარაკება.

– სიუნიოვე, ნუთუ არაფერი გაქვს სათქმელი ჩემთვის?

სიუნიოვემ სახეში შეხედა და გაიცინა.

– რა უნდა მქონდეს? – ჰკითხა მან.

ტორბიორნმა გამბედაობა მოიკრიბა, ის იყო წელზე უნდო-და მოეხვია ხელი, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა, ისევ გაუბედ-აობამ შეიპყრო და მხოლოდ ჩუმად ჰკითხა:

– ნუთუ არაფერი გითხრა ინგრიდმა?

– მითხრა, – მიუგო მან.

– ესე იგი, შენ ყველაფერი იცი?

ქალიშვილი ხმას არ იღებდა.

– ხომ იცი? – გაიმეორა ტორბიორნმა და კიდევ უფრო მი-უახლოვდა.

– განა შენც არ იცი? – თქვა სიუნიოვემ. მის სახეს ტორ-ბიორნი ვერ ხედავდა.

– ვიცი, – აღმოხდა მას და დააპირა ხელზე მოეკიდა ხელი. სიუნიოვემ სწრაფად წაიღო ხელი.

– შენს გვერდით მშიშარა ვხდები, – საწყლად თქვა ტორ-ბიორნმა.

იგი ვერ ხედავდა როგორ რეაგირებდა სიუნიოვე მის სი-ტყვებზე – ეღიმებოდა თუ ბრაზდებოდა, და ამიტომაც არ იცოდა რა ეთქვა შემდეგ.

– მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ, – გადაჭრით თქვა მან უცებ, მაგრამ მის ხმას თავდაჯერება აკლდა. – ჩემი წერილი რა უყავი?

სიუნიოვემ კვლავაც არაფერი მიუგო და ზურგი შეაქცია. მაშინ ტორბიორნი მივიდა მასთან, მხარზე დაადო ხელი და თავი მიუტანა თავთან.

– გამეცი პასუხი! – ნაიჩურჩულა მან.

– დავწვი...

ტორბიორნმა სწრაფად მოხვია ხელი, თავისკენ მიიზიდა, უცებ შენიშნა, რომ გოგო სადაცაა ტირილს დაიწყებდა, და მაშინვე უშვა ხელი. „რა საშინელებაა, რომ ტირილს იწყებს!" – გაიფიქრა მან. სიუნიოვემ კი უცებ ჩუმად ჰკითხა:

– რატომ დაწერე ის წერილი?

– ხომ გითხრა ინგრიდმა.

– ჰო, მითხრა... მაგრამ ეს სისასტიკე იყო შენი მხრიდან.

– მამას უნდოდა ეს...

– სულერთია...

– იგი ფიქრობდა, რომ მთელი სიცოცხლე ხეიბარი დავრჩებოდი... „მე თვითონ მოგივლიო", – მეუბნებოდა.

ამ დროს მთის ძირას ინგრიდი გამოჩნდა და ტორბიორნმა და სიუნიოვემ მაშინვე განაგრძეს გზა.

– ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შენ ჩემთვის ყველაზე ახლობელი სწორედ მაშინ გახდი, როცა ოცნებაც არ შემეძლო შენზე, – თქვა ტორბიორნმა.

– თავი მაშინ უნდა შეამოწმო, როცა მარტო რჩები, – მიუგო სიუნიოვემ.

– ჰო. შენს გრძნობებშიც უკეთესად ერკვევი მაშინ. – დაუმატა ტორბიორნმა სერიოზულად.

სიუნიოვე კენკრას აღარ კრეფდა.

– გინდა? – ჰკითხა მან და კენკრის აცმა გაუწოდა.

– გმადლობთ, – მიუგო ტორბიორნმა და ინგრიდს გახედა უკან. სიუნიოვე გვერდზე გადგა. ტორბიორნმა ხელი არ გაუშვა

სიუნიოვეს ხელს. – ესე იგი ყველაფერი ძველებურად იქნება? – ჰკითხა მან ჩუმად.

– ჰო, – ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა სიუნიოვემ და შებრუნდა.

ისინი უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ. სიუნიოვე ხმას არ იღებდა, ტორბიორნი კი ხელის ხლებას ვერ უბედავდა, მეტიც: დალაპარაკებაც ველარ შეძლო.

ასე ეგონა, მის სხეულს წონა დაეკარგა, ირგვლივ კი ყველაფერი გაშმაგებულ როკვას მიეცა. უცებ მზემ მოჭრა თვალები და სერიდან სულბაკენი გამოჩნდა. მოეჩვენა, რომ მთელი ცხოვრება იქ გაატარა და ახლა ისე მოანატრა იქაურობა, როგორც საკუთარი სახლი. „როგორ მინდა, რომ ახლავე წავიდე იქ მასთან ერთად“, – ფიქრობდა იგი და გრძნობდა, რომ სულბაკენის დანახვისას ყოველ ნაბიჯზე ემატებოდა სიმტკიცე და გამბედაობა. „მამა დამეხმარება, – ფიქრობდა იგი, – აღარ შემიძლია მეტი ამ მდგომარეობის ატანა, კმარა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ!“ და იგი უფრო და უფრო უჩქარებდა ფეხს. სულბაკენს, მთელ სოფელს მზე ანათებდა. „დღესვე უნდა გადაწყდეს ყველაფერი! აღარ შემიძლია მეტი ლოდინი“. და უცებ ისე ღონივრად იგრძნო თავი, რომ მზად იყო მთები გადაებრუნებინა.

– დამიცადე, ველარ გეწევი, – მოესმა სიუნიოვეს საცოდავი ხმა.

ტორბიორნი საშინლად დაიბნა, ხელი გაუწოდა. იფიქრა, მაღლა აეტაცა იგი ცაში, მაგრამ როცა სიუნიოვე მასთან მივიდა, მიკარებაც ვერ გაბედა.

– ძალიან ჩქარა მივდივარ, არა? – ჰკითხა მან.

– ჰო, ძალიან ჩქარა, – მიუგო სიუნიოვემ.

ისინი უკვე შარაზე გადიოდნენ, როცა ინგრიდი გამოჩნდა. ეტყობოდა, იგი სულ უკან მიჰყვებოდა მათ ჩუმ-ჩუმად, ახლა კი, მისი აზრით, აზრი არ ჰქონდა ამ კუკუმალობანას.

– აბა, გეყოფათ ახლა ერთად სიარული, – თქვა მან.

ტორბიორნი შეკრთა კიდეც მოულოდნელობისგან, არ ფიქრობდა ასე ჩქარა თუ მოუწევდათ განშორება.

სიუნიოვესაც არანაკლებ გაუკვირდა.

– იმდენი რამე მაქვს სათქმელი შენთვის, – ჩურჩულით უთხრა ტორბიორნმა.

სიუნიოვეს გაელიმა უნებლიეთ.

– კარგი, სხვა დროს იყოს, – თქვა მან.

ტორბიორნმა ნაზად მოჰკიდა ხელი.

სიუნიოვემ ისეთი გულღია და ნდობით აღსავსე მზერა შეაგება, ტორბიორნმა ნეტარებისგან მეშვიდე ცაზე იგრძნო თავი. „რა იქნება, ახლავე რომ მივადგეთ სულბაკენს ერთად?“ – გაუელვა თავში. სიუნიოვემ ფრთხილად გამოითავისუფლა ხელი, გამოემშვიდობა ინგრიდს და ნელი ნაბიჯით დაეშვა გზისკენ. ტორბიორნი კარგა ხანს მიაცილებდა მიმავალს თვალებით.

და-ძმა შინ ბრუნდებოდა.

– ყველაფერზე მოილაპარაკეთ? – ჰკითხა ინგრიდმა გზაში, რომელიც ტყეზე გადიოდა.

– არა, გზა აღმოჩნდა ძალიან მოკლე, – მიუგო ტორბიორნმა და ფეხს აუჩქარა, რათა დაკითხვებს გაქცეოდა.

– როგორაა საქმეები? – იკითხა სემუნდმა, როცა ტორბიორნი და ინგრიდი ოთახში შევიდნენ. იგი მაგიდასთან იჯდა და სადილობდა.

ტორბიორნმა არაფერი უპასუხა, მთელი ოთახი გაიარა და გახდა დაიწყო სკამთან. ინგრიდმა ეშმაკურად ჩაიცინა.

სემუნდი სადილობდა, იშვიათად გახედავდა ვაჟიშვილს, რომელიც მეტისმეტი სიდინჯით იცვლიდა ტანთ, ეღიმებოდა და ისევ უბრუნდებოდა საჭმელს.

– დაჯექი, ჭამე ჩვენთან, – თქვა მან, – გაცივდა ყველაფერი.

– გმადლობთ, არ მინდა რაღაც, – მიუგო ტორბიორნმა.

სემუნდმა კოვზს მოჰკიდა ხელი. მერე თქვა:

– ძალიან სწრაფად წახვედით დღეს ეკლესიიდან. მოხედვა ვერ მოვასწარი, ისე გაქრით თვალსა და ხელს შუა.

– მოსალაპარაკებელი გვქონდა რაღაცები, – მიუგო ტორ-ბირნმა.

– მერე? მოილაპარაკეთ?

– არ ვიცი. არც გვილაპარკია თითქმის.

– დალახვროს ეშმაკმა! – თქვა სემუნდმა, ჭამას სწრაფად მორჩა და სარკმელთან მივიდა. ცოტა ხანს უყურა ქუჩას, მერე ტორბიორნს მიუბრუნდა და უთხრა: – მოდი, ერთი წავიდეთ, ვნახოთ, რა პირი უჩანს მოსავალს.

ტორბიორნი წამოდგა.

– ჩაიცვი, როგორც წესია.

ტორბიორნმა პერანგზე მოისხა ქურთუკი, რომელიც იქვე ეკიდა, მამამ შეაჩერა:

– ხომ ხედავ, მე ახალ ქურთუკს ვიცვამ.

ტორბიორნი არ შესდავებია, ცოტა ხნის შემდეგ ისინი სახ-ლიდან გავიდნენ. წინ სემუნდი მიდიოდა, უკან – ტორბიორნი.

ისინი გზისკენ გაეშურნენ.

– ქერის სანახავად არ მივდივართ? – ჰკითხა ტორბიორნმა.

– არა, – მიუგო სემუნდმა, – ჯერ პური ვნახოთ.

გზაზე გასვლისას საზიდარმა ნელა ჩაუარა მამა-შვილს.

– ნორდჰაუგის საზიდარია, – თქვა სემუნდმა.

– რომელიმე ახალგაზრდა ნორდჰაუგი იქნება, – დაუ-რთო ტორბიორნმა, – რაღა ახალგაზრდები და რაღა ახალ ჯვარდაწერილნი.

საზიდარი გრანლიენებს გასცდა და გაჩერდა.

– რა ლამაზი ქალია მარიტ ნორდჰაუგი, – თვალს არ აშო-რებდა სემუნდი ქალს.

მარიტს ოდნავ გადაეწია თავი უკან, თავზე თავისუფლად წაეკრა თავშალი, მეორე შალი მხრებზე მოესხა. იგი დაუინებით დაჰყურებდა გრანლიენებს, სახე კი, ლამაზი და ენერგიული, ისე გაქვავებული ჰქონდა, გაოცდებოდით. ქმარს ფერი ჰქონდა დაკარგული მკვდარივით, ამ ბოლო ხანს უფრო გამხდარიყო და უფრო დათრგუნვილი ჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ. იფიქრებდით: ისეთი დარდი აწევს, რომელსაც ვერავის გაუმხელსო.

– რა, მოსავალი უნდა ნახოთ? – ჰკითხა ქმარმა.

– ჰო, უნდა ვნახოთ, – მიუგო სემუნდმა.

– წელს კარგი პირი უჩანს მოსავალს.

– კარგი, მართლაც.

– რა გვიან ბრუნდებით ეკლესიიდან, – შენიშნა ტორბიორნ-მა.

– უნდა დავმშვიდობებოდით ყველას.

– შენ რა, მიემგზავრები? – ჰკითხა სემუნდმა.

– ჰო, მივემგზავრები.

– და შორს?

– ჰო, საკმაოდ შორს.

– საით მაინც?

– ამერიკაში.

– ამერიკაში?! – ერთხმად აღმოხდათ მამასა და შვილს. – შენ ახლახან არ იქორწინე, – დაურთო სემუნდმა.

ქმარს მწარედ გაეღიმა.

– წავალ, დავისვენებ, თათს ვიტკიებ ცოტას, როგორც გა-ნაცხადა მელამ, როცა მახეში გაება.

მარიტმა ქმარს გახედა, მერე მზერა გრანლიენებზე გადაი-ტანა და ოდნავ წამოწითლდა. სახე კი ისევ ისე გაქვავებული ჰქონდა.

– ალბათ, ცოლიც წამოვა შენთან ერთად, – ჰკითხა სე-მუნდმა.

– არა, არ წამოვა.

– ამბობენ, ამერიკაში ადვილია გამდიდრება, – თქვა ტორ-ბიორნმა. მან იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა, რათა საუბარი არ გაწყვეტილიყო.

– ჰო, ეს მართალია.

– მაგრამ ნორჰაუგიც არ არის ცუდი ხუტორი, – შენიშნა სემუნდმა.

– ბევრი ვართ ძალიან.

ცოლმა ისევ შეხედა ქმარს.

– ერთი გზას უღობავს მეორეს, – დაუმატა მან.

– აბა, კეთილი მგზავრობა, – უთხრა სემუნდმა და ჩამოართვა ხელი. – ღმერთმა ინებოს იქ ნახო ის, რასაც ეძებ.

ტორბიორნმა თვალებში ჩახედა თავის სკოლის ამხანაგს და უთხრა:

– ძალიან მინდოდა მესაუბრა შენთან.

– კარგია, თუ ხმის გამცემი გყავს, – თქვა მარიტის ქმარმა, რომელიც საზიდარის იატაკს უსვამდა მათრახს.

– შემოგვიარეთ, – თქვა უცებ მარიტმა. ტორბიორნმა და სემუნდმა გაკვირვებით შეხედეს მას. მათ დაავიწყდათ კიდეც, რომ მარიტს ასეთი სასიამოვნო ხმა ჰქონდა.

საზიდარმა გზა განაგრძო. იგი ნელა მიდიოდა და უკან ტოვებდა მტვრის პატარა ღრუბელს, რომელსაც ოდნავ აბრწყინებდა ჩამავალი მზის სხივები. უხეში მაუდის რუხი ქურთუკის გვერდით ნათლად კიაფობდა მარიტის აბრეშუმის თავსაფარი. მაგრამ აი, საზიდარი ბექს ჩასცდა და ისინიც თვალს მიეფარნენ.

მამა და შვილი ხმის გაუღებლად მიდიოდნენ ერთხანს.

– რატომღაც მგონია, რომ იგი დიდხანს არ დაბრუნდება შინ, – თქვა ტორბიორნმა.

– ვინ იცის, შეიძლება ჯობდეს კიდეც მასე, რახან სამშობლოში ვერ ნახა ბედნიერება, – მიუგო სემუნდმა.

გზა ისევ უსიტყვოდ განაგრძეს.

– აი, ჩვენი ხორბლის ყანაც, – თქვა ტორბიორნმა.

– არა უშავს, ხორბალს მობრუნებისას ვნახავთ.

მამა და შვილმა გზა განაგრძეს. ტორბიორნს აღარ უკითხავს, სად მიდიოდნენ. გრანლიენი უკან დარჩა.

IX

ის იყო გუტორმ და კარენ სულბაკენებმა ისადილეს, რომ ოთახში სიუნიოვე შევიდა, აწითლებული და აქოშინებული.

– სად იყავი, შვილო ჩემო? – ჰკითხა დედამ.

– ინგრიდთან შევყოვნდი ცოტა, – უპასუხა სიუნიოვემ და თავშალი მოიხსნა. მამა ამ დროს წიგნების კარადაში იქექებოდა.

– რაზე ლაპარაკობდით ამდენ ხანს?

– განსაკუთრებულზე არაფერზე.

– თუკი არაფერზე, ჩვენთან ერთად წამოსულიყავი, ჯობდა, შვილო ჩემო.

კარენი ადგა და სიუნიოვეს საჭმელი მიუტანა. როცა სიუნიოვე მაგიდას მიუჯდა, დედა პირდაპირ მის წინ დაჯდა და ისევ ჰკითხა:

– იქნებ სხვებთანაც ილაპარაკე ინგრიდის გარდა?

– ჰო, ბევრთან ვილაპარაკე, – მიუგო სიუნიოვემ.

– ილაპარაკებს გოგო ამ ასაკში სხვებთანაც, აბა, რა იქნება, – ჩაერია გუტორმი.

– ილაპარაკებს, რა თქმა უნდა. არ ვდაობ, – შედარებით შეარბილა კარენმა, – მაგრამ იხელთებს თუ არა დროს, არ უნდა გარბოდეს მშობლებისგან.

სიუნიოვე დუმდა.

– რა კარგი იყო დღეს ეკლესიაში, – თქვა კარენმა. – და რა სასიამოვნოა ამ ჭაბუკებისა და ქალიშვილების ყურება, წმინდა აღთქმას რომ იძლევიან ეკლესიაში.

– ჰო, გახსენდება, შენი შვილები რომ იდგნენ საკურთხევლის წინ, – თქვა გუტორმმა.

– მართალი ხარ, – დაუდასტურა კარენმა ამოოხვრით. – ხომ არასოდეს იცი, როგორები გამოვლენ შენი შვილები.

გუტორმი დიდხანს იჯდა მდუმარედ.

– მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთს, – თქვა ბოლოს მან, – რომ შეგვინარჩუნა ჩვენი ბავშვი.

კარენი, თავდახრილი, მაგიდას უსვამდა თითს.

– მაგაშია მთელი ჩვენი სიხარული, – თქვა გუტორმმა და ცოტა ხნის შემდეგ დაურთო: – ღმერთმა მისცეს ბედნიერება!

კარენმა მაგიდაზე დავარდნილ ცრემლს თითი გაუსვა წასახოცად.

– რატომ არ ჭამ? – თავი აიღო გუტორმმა.

– გმადლობთ, არ მინდა, – მიუგო სიუნიოვემ.

– შენ ხომ არაფერი გიჭამია, – შეეპასუხა კარენი. – თან ამდენი იარე.

– არ მინდა რაღაც, – თქვა სიუნიოვემ, თავშალს აუწია ბოლო.

– ჭამე, შვილო! – თქვა გუტორმმა.

– არ შემიძლია.

და სიუნიოვეს ცრემლები წასკდა.

– რა მოგივიდა, რატომ ტირი?

– არ ვიცი, – მიუგო სიუნიოვემ სლუკუნით.

– ჩვენს სიუნიოვეს ყველაფერზე ეტირება, – რბილად თქვა კარენმა.

გუტორმი სარკმელთან მივიდა.

– ორი კაცი მოდის ჩვენთან, – თქვა მან.

– ასე გვიან? – თქვა კარენმა და ისიც მივიდა სარკმელთან. ისინი კარგა ხანს გაჰყურებდნენ მომავალთ.

– ვინ უნდა იყვნენ, ნეტავი, ძვირფასო? – ჰკითხა კარენმა ბოლოს, მაგრამ მის ხმაში შეკითხვა არ იყო.

– არ ვიცი, – მიუგო გუტორმმა.

ერთხანს ისევ გაჰყურებდნენ გზას ჩუმად.

– ვერაფრით გამიგია, ვინ უნდა იყვნენ, – თქვა კარენმა.

– ვერც მე, – თქვა გუტორმმა.

ამასობაში უცნობები სახლს მიუახლოვდნენ.

– როგორც ჩანს, ისინი უნდა იყვნენ, – თქვა კარენმა ბოლოს.

– ჰო, ისინი არიან, – დაუდასტურა გუტორმმა.

მოულოდნელი სტუმრები უფრო და უფრო მიუახლოვდნენ სულბაკენს. აი, უფროსი შეჩერდა, უკან მიიხედა, უმცროსიც შეჩერდა, მერე გზა გააგრძელეს.

– იცი შენ, რა უნდათ? – ისეთივე ტონით ჰკითხა კარენმა, როგორითაც პირველი კითხვა დასვა.

– არ ვიცი, – მიუგო გუტორმმა.

კარენი მაგიდასთან მივიდა, ჭურჭული აალაგა.

– მოიხურე ისევ თავშალი, – უთხრა მან სიუნიოვეს, – უცხოები მოდიან.

იმავე წუთს კარი გაიღო და ოთახში სემუნდი შემოვიდა. მას ტორბიორნი შემოჰყვა.

– მშვიდობა ამ ოჯახს! – თქვა სემუნდმა და ცოტა ხნით შედგა, მერე დინჯად მივიდა ოჯახის უფროსთან, დიასახლისთან, დაბოლოს, სიუნიოვესთან, რომელიც ისევ ისე იდგა კუთხეში თავშლით ხელში, თითქოსდა ვერ გადაეწყვიტა, მოეხვია იგი თუ არა. ეტყობა, დაავიწყდა უბრალოდ, რომ თავშალი ეჭირა ხელში. სემუნდს ტორბიორნი მოჰყვებოდა.

– დაბრძანდით, გეთაყვა, – თქვა დიასახლისმა.

– გმადლობათ, არა ვართ დაღლილი, – მიუგო სემუნდმა, და დაჯდა. ტორბიორნი გვერდით მიუჯდა.

– ჩვენ კი იმდენი გეძებეთ ეკლესიასთან, – თქვა დიასახლისმა, – დაგვეკარგეთ.

– მეც გეძებეთ, ვერ გნახეთ, – მიუგო სემუნდმა.

– უამრავი ხალხი იყო, – თქვა გუტორმმა.

– უამრავი, – გაიმეორა სემუნდმა. – და რა კარგი იყო დღეს ეკლესიაში.

– ჰო, მაგაზე ვლაპარაკობდით ზუსტად ამწუთას, – თქვა კარენმა.

– ისეთ უცნაურ გრძნობას განიცდი, როცა კონფირმაციას ესწრები, განსაკუთრებით თუ შვილების პატრონიც ხარ, – დაურთო გუტორმმა. კარენი მოუსვენრად ცქმუტავდა სკამზე.

– მაშინაა, სერიოზულად რომ უფიქრდები მათ ბედ-იღბალს, – თქვა სემუნდმა, – ამაზე სალაპარაკოდ მოვედი სწორედ

თქვენთან, – დაურთო მან. მერე მშვიდად მიმოიხედა, საღეჭი თამბაქოს ახალი პორცია აიღო, ძველი კი ფრთხილად ჩადო სპილენძის კოლოფში. გუტორმი, კარენი და ტორბიორნი ერთმანეთს არიდებდნენ თვალს.

– მე ტორბიორნთან ერთად ვამჯობინე თქვენთან მოსვლა, – დინჯად დაიწყო სემუნდმა. – ვინ იცის, როდის გადაწყვეტდა იგი თქვენთან მოსვლას, თანაც არ გაეფუჭებინა მთელი საქმე, ამის მეშინოდა ყველაზე უფრო. – ალმაცერად გახედა სემუნდმა სიუნიოვეს, და ქალიშვილმა მისი მზერა იგრძნო. – საქმე რაშია: ჩვენ ბიჭს ბავშვობიდან, ჩავარდა თუ არა ჭკუაში, თქვენი სიუნიოვე უყვარს და მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ მასაც უყვარს იგი. ასე რომ, ყველაზე უკეთესი იქნება – ჯვარი დაიწერონ... მე თვითონ წინააღმდეგი ვიყავი ამ ქორწინების, როცა ვხედავდი, რომ ტორბიორნი ვერ იჭერდა ხოლმე თავს, მეტი რომ არა ვთქვათ რა... ახლა კი შემიძლია თავდებად დავუდგე მას, მე თუ არადა, სიუნიოვეს შეუძლია, რადგანაც მასზე უსაზღვრო გავლენა აქვს. რას იტყვით თქვენ ამ ჯვრისწერაზე? საჩქარო არ არის, მაგრამ არც საქმის გადადება ივარგებს უსასრულოდ. შენ გუტორმ, დიდი ხუტორი გაქვს, მე – მომცრო შედარებით და ისიც გასაყოფი, მაგრამ, მგონი, მოვრიგდებით. უპირველეს ყოვლისა, მინდა თქვენი აზრი გავიგო ამის შესახებ. მას ბოლოს ვკითხავ, იმიტომ, რომ, მგონი, ვიცი, რაც უნდა მას.

სემუნდი გაჩუმდა. გუტორმი მაგიდას დაყრდნობოდა იდაყვებით და ნერვიულად იფშვნეტდა ხელებს. რამდენჯერმე წამოდგომაც დააპირა, მაგრამ ადგომა ძალის მოკრების მეოთხე თუ მეხუთე ფუჭი ცდის შემდეგ მოახერხა მხოლოდ. მერე ხელები მუხლებზე გადაისვა და ირიბად გახედა ცოლს; თან მისი მზერა სიუნიოვესაც მისწვდა წამით. იგი უძრავად, პოზის შეუცვლელად იჯდა, სახე არ უჩანდა. კარენიც უწინდებურად გამოიყურებოდა, მხოლოდ მუშამბას უსვამდა თითს.

– ეს ფრიად სასიამოვნო წინადადებაა ჩვენთვის, – თქვა მან.

– დიახ, მეც ასე ვფიქრობ, მადლობა უნდა მოგახსენოთ პატივისცემისთვის, – მოულოდნელად ხმამაღლა თქვა გუტორმმა, თითქოსდა მძიმე ტვირთი ჩამოხსნოდა მხრიდან. მზერა კარენიდან სემუნდზე გადაიტანა, რომელიც ზურგით კედელს მიყრდნობოდა და ხელები გულზე დაეკრიფა.

– ჩვენ მაგის მეტი არავინა გვყავს და ჯერ, როგორც წესია, კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, – თქვა კარენმა.

– ეს, რა თქმა უნდა, თქვენი ნებაა, – თქვა სემუნდმა, – მაგრამ არ მესმის, ღმერთმანი, რა გიშლით ხელს ახლავე მიპასუხოთ, როგორც დათვმა თქვა, გლეხს რომ ძროხა სთხოვა.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, ახლავეც შეგვიძლია გაგცეთ პასუხი, – თქვა გუტორმმა და ცოლს შეხედა.

– საქმე იმაშია, რომ ტორბიორნი თავდაუჭერლად იქცეოდა ზოგჯერ, – თქვა კარენმა ქმრისთვის არ შეუხედავს ისე.

– ახლა ხომ გამოსწორდა, – შეეპასუხა მას გუტორმი. – შენ დღეს ლაპარაკობდი ამაზე სწორედ. ცოლ-ქმარი უსიტყვოდ უყურებდა ერთმანეთს. ასე გავიდა მთელი წუთი.

– ოჰ, მაგის ნდობა შეიძლებოდეს, ნეტავ! – თქვა კარენმა.

– შეიძლება! – კვლავ გაიღო ხმა სემუნდმა. – მე იმას გიმეორებთ, რაც უკვე ვთქვი დღეს. ბარგისთვის შეიძლება არ ვიდარდოთ, სადაველები თუ სიუნიოვეს ექნება ხელთ. დიდი გავლენა აქვს ქალიშვილს მასზე, ძალიან დიდი. მე ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ტორბიორნი დასახიჩრებული იწვა შინ და არ იცოდა, დადგება თუ არა ფეხზე.

– არ უნდა გაძალიანება ამას, – თქვა გუტორმმა. – შენც ხომ იცი, რაც უნდა მას, ჩვენ კი მისთვის ვცოცხლობთ მხოლოდ.

და პირველად მთელი საუბრის მანძილზე აიღო თავი სიუნიოვემ და მადლიერად შეხედა მამას.

– ჰო, რა თქმა უნდა, – თქვა კარენმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ და თითი სწრაფად გაუსვ-გამოუსვა მაგიდას. – თუ მე წინააღმდეგი ვიყავი კიდეც მთელი ეს დრო, საფუძვლიანი საბუთებიც მქონდა ამის... გული არც ისე სასტიკი მაქვს, რო-

გორც ენა. – მან თავი აიღო და გაიღიმა, თუმცა თვალებიდან ცრემლები სდიოდა.

გუტორმმა შვებით ამოისუნთქა და ადგა.

– ამრიგად, ღვთის წყალობით აღსრულდა ის, რაც ყველაზე უფრო მინდოდა ქვეყანაზე, – თქვა მან და სიუნიოვესთან მივიდა.

– ამაში არც მე მეპარებოდა ეჭვი არასოდეს, – კვერი დაუკრა სემუნდმა. ისიც წამოდგა და დაუმატა: – ვინც ვისი საბედოა, მისი ბედიც ის იქნება. – ისიც მივიდა სიუნიოვესთან.

– აბა, შენ რაღას იტყვი, შვილო ჩემო? – მიუახლოვდა კარენი ქალიშვილს.

სიუნიოვე ისევ იჯდა და ყველა იქ მყოფი გარს ეხვია, გარდა ტორბიორნისა, რომელიც გაშეშებისგან ვერ იცვლიდა ფეხს.

– ადექი, შვილო, – ჩაუჩურჩულა კარენმა ქალიშვილს.

სიუნიოვე ადგა, გაიღიმა, მერე შებრუნდა და ატირდა.

– ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო გოგონა! – თქვა კარენმა, ქალიშვილს ჩაეხუტა და ერთად ატირდნენ. მამაკაცები გვერდზე გადგნენ.

– მიდი მასთან, – თქვა კარენმა ტირილით, ქალიშვილს ჩამოეცალა და ოდნავ უბიძგა ტორბიორნისკენ.

სიუნიოვემ ნაბიჯი წადგა და გაჩერდა – სიარული აღარ შეეძლო. ტორბიორნი მყისვე წამოხტა, უმალ მიეჭრა და ხელი ჩაჰკიდა. ასე იდგა იგი ერთხანს და არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს სიუნიოვემ ფრთხილად გამოართვა ხელი. და იდგნენ ასე ერთმანეთის გვერდით, ხმის გაუღებლად.

უცებ კარი ჩუმად გაიღო და ოთახში ვიღაცამ შემოყო თავი.

– სიუნიოვე აქ არის? – წყნარად იკითხა მან. ეს იყო ინგრიდ გრანლიენი.

– აქ არის, აქ, შემოდი! – გასძახა სემუნდმა.

ინგრიდმა, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, თქვა:

– ჰმ, მოდი აქ! ესე იგი, ყველაფერი რიგზეა! – დაუმატა მან.

ახლა ყველა მას უყურებდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ გაებედა.

– მე მარტო არა ვარ, – თქვა ბოლოს ინგრიდმა.

– ვინ არის კიდევ? – ჰკითხა გუტორმმა.

– დედა, – თქვა მან ჩუმად.

– შემოვიდეს მერე, – ერთხმად თქვა ოთხივემ.

სულბაკენის დიასახლისი სტუმრის შესახვედრად წავიდა, ყველა იქ მყოფი მხიარულად უყურებდა ერთმანეთს.

– მოდი, დედა, მოდი! – დააჩქარა იგი ინგრიდმა.

და ოთახში შემოვიდა ინგებორგ გრანლიენი თავისი ნათელი სადღესასწაულო თავშლით.

– მაშინვე მივხვდი ყველაფერს, – თქვა მან, – თუმცა სემუნდს არაფერი უთქვამს. ჰოდა, ველარ მოვითმინეთ და თქვენთან წამოვედით.

– და კარგადაც მოიქეცით. ყველაფერი ისე მიდის, როგორც გინდოდა, – თქვა სემუნდმა და ცოტა დაიხია, ინგებორგისთვის გზა რომ დაეთმო ახალგაზრდებისკენ.

– ღმერთმა დაგლოცოს, შვილო ჩემო, ასეთი კარგი რომ ხარ და ასე თავდავიწყებით რომ შეგიყვარა მან, – მოეხვია ინგებორგი სიუნიოვეს. – მტკიცედ იდექი შენსაზე და აი, ხომ ხედავ, ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც შენ გინდოდა.

იგი ლოყასა და თავზე ეფერებოდა სიუნიოვეს, თვალებიდან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს ვერც ამჩნევდა და მაინც ნაზად უწმენდდა.

– კარგი ბიჭია იგი, – თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ, – ახლა შემიძლია არ ვიდარდო მასზე, – ჩუმად დაუმატა და მხურვალედ ჩაიკრა გულში სიუნიოვე.

– სამზარეულოში უნდა იჯდეს ასეთი ქალი? – თქვა სემუნდმა. – ჩვენზე უკეთ ესმის ყველაფერი.

ნელ-ნელა ყველა დამშვიდდა. დიასახლისს ვახშმის თადარიგი უნდა დაეჭირა და ინგრიდს სთხოვა მიხმარებოდა, „სიუნიოვეს იმედად ყოფნა არ გამოგვადგება დღეს“. ისინი მაშინვე შეუდგნენ შვრიის ფაფის მზადებას ნაღებით. მამაკაცებმა მო-

მავალ ჭირნახულსა და საბაზრო ფასებზე გააბეს მასლაათი. ტორბიორნი ფანჯარასთან, ცოტა მოშორებით, იჯდა. სიუნი-ოვე წყნარად მივიდა მასთან და მხარზე დაადო ხელი.

– რას უყურებ? – ჩურჩულით ჰკითხა მან.

ტორბიორნი მიუბრუნდა, ხანგრძლივად და ნაზად უყურა. მერე ისევ ფანჯარაში გაიხედა.

– გრანლიენს ვუყურებ, – თქვა მან. – რა უცნაურად ჩანს აქედან.

1857

არნივის ბუდე

ენდრეგორენე – ასე ეძახდნენ ერთ მაღალ მთებში ჩაკარგულ სოფელს. ნაყოფიერ ველს მთის წყალუხვი მდინარე ჭრიდა და სოფლის ახლოს უფრო განიერსა და წყალუხვ მდინარეს ერთვოდა.

პირველი ადამიანი, რომელმაც მდინარის ქვემოწელიდან ამოცურა აქ და მიწის დამუშავებას შეუდგა, ენდრე იყო, სწორედ ის, ვინც დასაბამი მისცა ენდრეს მოდგმას, ენდრეგორენეს მკვიდრთ. ზოგი ამბობდა, რომ იგი თითქოსდა მკვლელობისათვის გამოექცა აქ მდევართ და ამიტომაცაა მთელი მისი მოდგმა ასე კუშტი, ზოგიც, პირიქით, ამტკიცებდა, რომ ადამიანს აქ პირქუშად მთები ხდის, რომლებიც უკვე ხუთი საათიდან ფარავენ მზეს, ზაფხულის ყველაზე მცხუნვარე დღეებშიც კი.

პირდაპირ სოფლის თავზე, თვალშეუდგამი კლდის ქიმზე არნივებმა გაიკეთეს ბუდე. იგი კარგად ჩანდა ქვევიდან, მაგრამ იქ ასვლას ენდრეგორენეს მკვიდრთაგან ვერავინ ბედავდა. ენდრეგორენეს თავს მობოინე არნივები ნადავლს უთვალთვალებდნენ ხშირად, ხან კრავს იტაცებდნენ, ხან – თიკანს, ერთხელ კი როგორღაც ჩვილიც გაიტაცეს. არავის შეეძლო უსაფრთხოდ ეგულვა თავი მთელს სოფელში, სანამ არ დაინგრეოდა ბუდე. ოდესღაც, როგორც თქმულება გვიამბობს, ორი ძმა ასულა კლდის თხემზე და დაუნგრევიათ ბუდე, მაგრამ ასეთი ვაუკაცი ახლა არავინ ჩანდა.

ენდრეგორენეს ორი მკვიდრი შეხვდებოდა ერთმანეთს თუ არა, მაშინვე ბუდეს უწყებდნენ ყურებას ზევით და საუბარს

აბამდნენ მასზე. ყველამ კარგად იცოდა, რაც ამ გაზაფხულზე მოფრიდნენ არწივები, ვის რა ზიანი მიაყენეს მათ და ვინ იყო გულად ჭაბუკთაგან ბოლო, ვინც იქ ასვლა სცადა. ყველა ბიჭი ადრეული ასაკიდანვე იკრებდა ძალას, ვარჯიშობდა მოქნილობაში, ჭიდაობდა, მთებსა და ხეებზე ცოცავდა და ერთი სული ჰქონდა, უკვე დავაუკაცებული კლდეზე ასულიყო და ბუდე დაენგრია, როგორც ეს იმ ძმებმა შეძლეს ოდესღაც, რომლებზეც ლეგენდა გვიამბობს.

იმხანად, რომელზედაც გვაქვს საუბარი, ენდრეგორენეში ყველაზე ჩაუქ ჭაბუკად ლეიფი ითვლებოდა. იგი ენდრეს საგვარეულოს არ ეკუთვნოდა, ჰქონდა გრუზა თმა და წვრილი თვალები, ძალასა და მოქნილობაში ტოლს ვერავინ უდებდა, და ქალებსაც ძალიან მოსწონდათ. იგი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში იქადდა, რომ დრო მოვა და არწივის ბუდემდე ააღწევს, მაგრამ მხცოვანი ხალხი აჩერებდა: იგულისხმებოდა, რომ ასეთ რამეზე ხმამაღალი ლაპარაკი არ ღირდა.

ყველაფერი ეს მხოლოდ აგულიანებდა მას და აი, ერთ კვირა დღეს, ისე, რომ არ დაელოდა მთელი თავისი ძალების სრულ გაფურჩქვნას, გადაწყვიტა კლდეზე ასვლა. გაზაფხული იყო. არწივის მართვეები, როგორც ჩანს, ახალი გამოჩეკილი იყვნენ. კლდის ძირს უამრავ ხალხს მოეყარა თავი. დროული კაცები ცდილობდნენ გადაეთქმევინებინათ განზრახვა, ახალგაზრდები კი, პირიქით, აქეზებდნენ. ის კი არავის უგდებდა ყურს და როგორც კი დედალი არწივი ბუდიდან აფრინდა, აიზიდა და ნაპრალში ტოტებჩაკიდებულ ხეზე ახტა. სწორედ ამ ნაპრალიდან დაიწყო მან ასვლა. ქვები ეცლებოდა ფეხქვეშ და ქვევით ცვიოდა, მიწა და ქვიშა იფშვნებოდა. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ მდინარის შორეული რაკრაკიღა ისმოდა. კბოდე უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. აი, ის ცალი ხელით დაეკიდა ქარაფს და ფეხის ცეცებით კარგა ხანს ეძება საყრდენი წერტილი. ბევრნი, განსაკუთრებით ქალები, შეტრიალდნენ, რადგანაც აღარ შეეძლოთ მეტის ყურება. ზოგიერთი ამბობდა, რომ იგი არასოდეს იქნებოდა ამაზე წამსვლელი, მშობლები

რომ ცოცხალი ჰყოლოდა. ის კი უფრო და უფრო მაღლა მიიწ-ევდა. ახალ-ახალ შვერილებს სინჯავდა, ჩაებღაუჭებოდა ტინს ხან ხელით, ხან ფეხით, აიზიდებოდა, წყდებოდა, ცოცდებოდა ძირს, მაგრამ ასწრებდა და რამეზე ხელის ნატანებით თავს იმაგრებდა. ხალხი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს. მოუ-ლოდნელად მოშორებულ ქვაზე მჯდომი ქალიშვილი წამოიჭრა. ამბობდნენ, რომ, თუმცა ლეიფი არ ეკუთვნოდა ენდრეს საგვა-რეულოს, ქალიშვილი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაეწინდათ მასზე. ქალიშვილმა ხელები გაიშვირა მისკენ და შეჰყვირა:

– ლეიფ, ლეიფ, რატომ აკეთებ ამას? – ყველა მისკენ მი-ბრუნდა. მამამ, რომელიც გვერდით ედგა, მკაცრად გახედა, მაგრამ მან თითქოს ვერც შენიშნა ეს.

– დაბრუნდი, ლეიფ, დაბრუნდი, – განაგრძობდა იგი. – მე შენ მიყვარხარ. რა დაგრჩენია იქ, კლდის წვერზე?

ყველამ შენიშნა, რომ იგი შეყოვნდა, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მერე კი აცოცება განაგრძო ისევ. ჭაბუკს ხელები და ფეხები ღონიერი ჰქონდა და ამი-ტომ ყველაფერი კარგად მიდიოდა თავიდან, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ძალამ უმტყუნა და უფრო და უფრო ხშირ-ად ჩერდებოდა სულის მოსათქმელად. ერთი პატარა კენჭი, თითქოსდა ავის მომასწავებლად, მოსწყდა, ქარაფზე დაგორდა და, სანამ ვარდებოდა, ყველა გაშტერებით აყოლებდა თვალს. ბევრმა ვერ გაუძლო და წავიდა. ქალიშვილი კვლავაც ქვაზე იდგა, ხელებს იმტვრევდა და კლდეს აჰყურებდა. ლეიფი ცალი ხელით აიზიდა, – ქალიშვილი კარგად ხედავდა ამას, – მაგრამ მოსწყდა, მეორე ხელით წაეტანა ტინის შვერილს და ვეღარ ჩაავლო უკვე.

– ლეიფ! – სასოწარკვეთით შეჰკივლა ქალიშვილმა და მას-თან ერთად შემზარავი ყვირილი აღმოხდა ყველა იქ მყოფს.

– ვარდება, ვარდება, – ყვიროდა ყველა, ქალი და კაცი, და ჭაბუკისკენ იშვერდა ხელს. ის კი ქვემოთ მოგორავდა, უფრო და უფრო აჩქარებით და უკან ქვები, ბელტები და ქვიშის ბდღ-ვირი მოსდევდა. ყველა შებრუნდა. ზურგს უკან ისეთი ხმაური

მოისმა, როგორსაც სველი მიწის მძიმე, დიდი ხორგის დაბერტყება გამოსცემს.

როცა ხალხმა გული გაიმაგრა და კლდისკენ მიბრუნდა, იგი მიწაზე ეგდო, დალეწილი, სისხლ-ხორცის უფორმო მასად ქცეული. ქალიშვილი გულწასული დაეცა ქვაზე. მამამ ქალიშვილი აიყვანა და შინისკენ წავიდა.

ახალგაზრდები, კლდეზე ასვლას რომ აქეზებდნენ ლეიფს, მისვლასაც ვერ ბედავდნენ, ბევრს კი ვერც გაეხედა მისკენ. მაშინ ისევ მოხუცებმა მიხედეს საქმეს. სხეულის აწევისას ერთმა მხცოვანმა ღრმააზროვნად თქვა:

– სიგიჟეა ეს, აბა რა, – და, კლდეს გახედა რა, იქვე დაუმატა: – მაგრამ მაინც კარგია, რომ ქვეყნად არის ისეთი რამ, რაზეც ადამიანებს არა და არ მიუწვდებათ ხელი.

1859

რკინიგზა და სასაფლაო

I

კნუტ ოკრე წარმოშობით ძველ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც მთელ სამრევლოში გამოირჩეოდა თავისი განსწავლულობითა და მოყვასისადმი სიყვარულით. კნუტის მამა პასტორი კი იყო, მაგრამ იგი ადრე გარდაიცვალა და რადგანაც ბიჭის დედა გლეხის ოჯახიდან იყო, შვილებიც გლეხურად გაზარდა. კნუტმა მიიღო განათლება, რომელსაც ჩვეულებრივ იძლევა სახალხო სკოლა, მაგრამ მამის ბიბლიოთეკამ ადრიდანვე გაუღვიძა ცოდნის სიყვარული და შემდეგ კი კიდევ უფრო გაუღვივა მეგობარმა, ჰენრიკ ვერგელანდმა. იგი ხშირად აკითხავდა კნუტს, უგზავნიდა წიგნებს, სხვადასხვა თესლს და ბევრ სასარგებლო რჩევასაც აძლევდა. ყურად იღო რა ერთ-ერთი ასეთი რჩევა, კნუტმა შექმნა საზოგადოება, რომლის ამოცანებიც თავიდან ფრიად მრავალფეროვანი იყო, მაგალითად, საზოგადოების წევრების გაწაფვა მჭევრმეტყველებასა და კანონების ავკარგიანობაში, მაგრამ მალე ეს საზოგადოება სასოფლო-სამეურნეო საკითხებით შემოიფარგლა და მთელი ოლქის მცხოვრებლებიც შიგ შევიდნენ.

ვერგელანდის რჩევით კნუტმა სამრევლო ბიბლიოთეკაც დააარსა და პირველი წვლილიც – მამის წიგნები თვითვე შეიტანა. მისივე რჩევით კნუტმა თავის კარ-მიდამოში საკვირაო სკოლაც გახსნა მათთვის, ვისაც წერა-კითხვისა და არითმეტიკის სწავლა და გარკვეული ისტორიული ცნობების მიღება სურდა. კნუტის მოღვაწეობამ საყოველთაო ყურადღება მიიპყ-

რო. ჯერ იგი სათემო საბჭოს წევრად და მალე მის თავმჯდომარედაც აირჩიეს. ამ თანამდებობაზე ყოფნისას კნუტი სკოლის საქმეებსაც ძველებურად უძღვებოდა და ოლქის ყველა სკოლა სანიმუშოდ აქცია.

კნუტ ოკრე ჩია ტანისა იყო, საოცრად მოძრავი. ძირს ჩამობურძგნულ გრუზა თმებში მკვირცხლად უკვესავდა პატარა თვალები. სქელი ტუჩები განუწყვეტლივ უმოძრავებდა და, გეგონებოდათ, მათთან ერთად მისი მშვენიერი კბილებიც მოძრაობდა, რადგან ლაპარაკის დროს უელავდა ისინი, სიტყვები კი ისე ფეთქდებოდა და იფანტებოდა ირგვლივ, როგორც ნაპერწკლები.

ერთ-ერთი მათგანი, ვისაც განათლების მიღებაში დაეხმარა კნუტი, მისი მეზობელი ლარს ჰეგსტადი იყო. ლარსი სულ რამდენიმე წლით ახალგაზრდა იყო კნუტზე, მაგრამ მასზე გაცილებით ნაკლები იცოდა. როცა კნუტს წაკითხულზე უნდოდა ელაპარაკა ან უბრალოდ ვინმესთვის გაეზიარებინა თავისი აზრები, მშვიდსა და სერიოზულ ლარსზე უკეთეს მსმენელად არავინ მიაჩნდა და ეს უკანასკნელიც თანდათან ჭკუადამჯდარ თანამოსაუბრედ იქცა. მალე მათ შორის ისეთი ურთიერთობები დამყარდა, რომ ლარს ჰუგსტადთან წინასწარ მოულაპარაკებლად კნუტი არავითარ საქმეს არ ჰკიდებდა ხელს. კნუტი ჯერ სათემო საბჭოში არჩევისას შეეხიდა ლარსს, მერე კი ყველა დანარჩენ კომიტეტებსა და კომისიებში, რომლებშიც კი შედიოდა თვითონ. კრებებზეც ერთად დადიოდნენ. ლარსი არასოდეს გამოდიოდა კრებებზე, მაგრამ გზაში კნუტი უთუოდ გამოჰკითხავდა ხოლმე მას აზრს. ისინი განუყრელ მეგობრებად იქცნენ.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს სათემო საბჭო სხდომაზე შეიკრიბა, რათა სხვა საკითხებს შორის ფოხტის* წინადადე-

---

* ფოხტი – სახელმწიფო ჩინოვნიკი, რომელსაც მოცემული ოლქის მთელი ადმინისტრაციული და პოლიციური ხელისუფლება ეპყრა ხელთ.

ბაც განეხილათ. ფოხტი რჩევას იძლეოდა გაეყიდათ ოდესღაც პასტორის კუთვნილი მარცვლეულის საწყობი და ამოგებული ფულით სამრევლო ბანკი დაეფუძნებინათ. კნუტ ოკრე, საბჭოს თავმჯდომარე, უთუოდ დაუჭერდა მხარს ამ წინადადებას, პირადად მის შემლახავად რომ არ მიეღო იგი. მაგრამ, ჯერერთი, წინადადება ეკუთვნოდა ფოხტს, რომელიც დიდად არ ეხატებოდა ვერგელანდს და ესე იგი თვით კნუტსაც, მეორეც, საწყობი კნუტის პაპის აშენებული იყო და მის მიერვე სამრევლოსთვის გადაცემული საჩუქრად. კნუტმა ფოხტის წინადადება პირად შეურაცხყოფად მიიღო და არავისთვის, ლარსისთვისაც კი, არ გაუმხელია წყენა. მეგობრები ხომ არასოდეს არაფერს განიხილავდნენ, თუ კნუტი პირველი არ წამოჭრიდა საკითხს.

სათემო საბჭოს კრება კნუტ ოკრემ, როგორც თავმჯდომარემ, გახსნა და საჯაროდ წაიკითხა ფოხტის წინადადება, ოღონდ საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავა. ჩვეულებისამებრ, მან მაშინვე გახედა ლარსს, რომელიც როგორც ყოველთვის, კუთხეში იჯდა, კბილებში ჩალის წველგაჩრილი. ამ ჩალის წველს იგი საუბრის დროსაც არ იღებდა პირიდან. ზოგჯერ კბილსაჩიჩქნად იყენებდა, ზოგჯერ უბრალოდ ეკიდა პირის კუთხესთან. მისი განწყობილებისდა მიხედვით ჩალის ღერი ხან სწრაფად მოძრაობდა, ხან ნელა. კნუტმა გაკვირვებით შენიშნა, რომ ახლა იგი ძალიან სწრაფად მოძრაობდა. კნუტმა მკვეთრად ჰკითხა:

– შენ გგონია, რომ ფოხტი მართალია?

ლარსმა მშვიდად მიუგო:

– ჰო, ასე მგონია.

ყველა იქ მყოფი მიხვდა, რომ კნუტს პასუხი არ მოეწონა. მათ გაკვირვებით გახედეს ლარსს, მაგრამ ლარსი ხმას არ იღებდა. კნუტი სხვა საკითხზე გადავიდა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარიყოს. იგი მხოლოდ კრების ბოლოს დაუბრუნდა ისევ ფოხტის წინადადებას და გულგრილად იკითხა, – ხომ არ ეუწყებინათ ფოხტისთვის, რომ მრევლი არ იზიარებდა მის აზრს, რადგანაც ფრიად ენანებოდათ საწყობი. არავინ უპასუხა. მაშინ

კნუტმა კრებას შესთავაზა შეეტანათ ოქმში, რომ ფოხტის წინადადება მიზანშეუწონლად ითვლება.

– ერთი ხმა წინააღმდეგი, – შენიშნა ლარსმა.

– ორი წინააღმდეგი, – მხარი აუბა ვიღაცამ.

– სამი წინააღმდეგი, – თქვა მესამემ და, სანამ თავმჯდომარე გონს მოეგო, უმრავლესობამ ფოხტის წინადადებას დაუჭირა მხარი. კნუტი ისე იყო გაოგნებული, შეპასუხებასაც არ ცდილა, რაღაც ჩაიწერა ოქმში და ყრუდ ჩაიბუტბუტა:

– წინადადება მიღებულია.

კრება დამთავრდა. კნუტს სახეზე ცეცხლი ეკიდა. იგი ადგა და ოქმი დაკეცა, გულში გადაწყვიტა – კვლავაც დაეყენებინა ეს საკითხი სათემო კრებაზე. სანამ ეზოში ცხენს შეაბამდა იგი, ლარსიც გამოვიდა. რაზე არ ილაპარავეს გზაში, ამ მთისა და იმ ბარისა, მაგრამ საწყობზე კრინტი არ დაუძრავს არც ერთს.

მეორე დღეს კნუტის ცოლი ლარსის ცოლთან გაემართა, რათა გაეგო, რა მოხდა მათ ქმრებს შორის, რადგან გუშინ შინ დაბრუნებისას ფრიად უცნაურად ეჩვენა ქმარი. გზაში იგი ლარსის ცოლს შეხვდა, რომელიც იმავე კითხვით მიდიოდა მასთან, რადგან ლარსიც უემურშეყრილს ჰგავდა. მისი ცოლი – ჩუმი, მორიდებული არსება, – ქმრის მკაცრი სიტყვებით კი არ იყო შეშინებული, არამედ მისი დუმილით. ჩვეულებრივ ლარსი მხოლოდ მაშინ ელაპარაკებოდა, როცა იგი, მისი აზრით, რაიმე სისულელეს ჩაიდენდა ან ეშინოდა, რომ ჩაიდენდა მას. კნუტ ოკრეს ცოლი, პირიქით, ხშირად ესაუბრებოდა ქმარს, მეტწილად სათემო საბჭოზე, რომელსაც იმდენად მოეცვა მთელი მისი გონება ახლა, რომ სამუშაოსაც ავიწყებდა და ცოლ-შვილსაც. იგი ისე ეჭვიანობდა საბჭოზე, როგორც ქალზე, ხშირად ტირიდა ღამღამობით, დღისით კი წარამარა ეჭინჭყლებოდა ქმარს და სწორედ ამიტომაც ვერაფერი შებედა მას ახლა, როცა იგი ასე უბედური დაბრუნდა შინ. ქალმა თავი კიდევ უფრო უბედურად იგრძნო და გადაწყვიტა რადაც არ უნდა დასჯდომოდა გაერკვია განხეთქილების მიზეზი. მაგრამ, რადგანაც ლარსის ცოლისგან ვერაფერი გაიგო დალაგებით, საქმის გასარკვევად

სოფელს მიაშურა. იქ მან ყველაფერი გაიგო და, ცხადია, მაშინვე ქმრის მხარე დაიჭირა, ლარსის საქციელი კი გაუგებრად მიიჩნია, მეტი რომ არა ითქვას რა. როცა მან მიახვედრა კნუტს, რომ ყველაფერი იცის, იგრძნო, – მათ არც არავითარი ჩხუბი მოსვლიათ ერთმანეთში და მის ქმარს უწინდებურადვე გულითადად უყვარდა ლარსი.

დადგა თემის საერთო კრების დღე. ლარს ჰეგსტადმა დილით შეიარა ოკრეში. კნუტი სახლიდან გამოვიდა და გვერდით მიუჯდა ოთხთვალაზე. მისალმებითაც ისე მიესალმნენ ერთმანეთს, როგორც ყოველთვის. გზაში ხან ამაზე ისაუბრეს, ხან იმაზე, მაგრამ ფოხტის წინადადება არც უხსენებიათ. კრებაზე უამრავი ხალხი მოვიდა, მაგრამ ზოგიერთი აშკარად სასეიროდ იყო მოსული და კნუტს არ მოეწონა ეს: ცხადია, საბჭოს წინა სხდომამ ათასგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ლარსმა ჩალის ღერი პირში ჩაიდო და ღუმელს მიეფიცხა გასათბობად. შემოდგომა იდგა და სიცივე დღითიდღე უფრო და უფრო უჭერდა. თავმჯდომარემ ჩაიკითხა ფოხტის წინადადება საწყობის გაყიდვის შესახებ. კითხულობდა იგი ნელა, ხმადაბლა და ბოლოს დაუმატა, რომ ეს წინადადება ეკუთვნის ფოხტს, რომელსაც იშვიათად თუ შემოუთავაზებია ოდესმე ანგარიშგასაწევი რამ. საწყობი საჩუქრადა აქვს მიღებული სამრევლოს, საჩუქრის გაყიდვა კი არ არის მიღებული, თუკი უკიდურესი გაჭირვება არ გადგას კარს.

ლარსმა, რომელიც არასოდეს გამოდიოდა კრებებზე, ყველას გასაკვირად სიტყვა ითხოვა. თავიდან – კნუტ ოკრეს იქ ყოფნის გამო იყო თუ მოსალოდნელი მარცხის შიშით – ხმა უკანკალებდა. მაგრამ მისმა მოსაზრებებმა თავისი დამაჯერებლობით ყველა შეძრა, რაც ერთი-ორჯერ თუ მომხდარა მსგავს შეკრებებზე. გამოსვლის დასასრულს ლარსმა დაუმატა:

– ხოლო ის, რომ წინადადება ფოხტმა დააყენა, ეს საქმეს არ ეხება. და ერთიც: ვისი რა საქმეა, ვინ და როდის ააშენა საწყობი და როგორ გახდა იგი თემის საკუთრება.

კნუტ ოკრე წამოენთო (იგი საერთოდ ადვილად წითლდებოდა). აწრიალდა. იგი ლარსს ხმადაბლა პასუხობდა, დიდი სიფრთხილით წონიდა ყოველ სიტყვას. მან თქვა, რომ, მისი აზრით, ისედაც საკმარისადაა სამრევლო ბანკები, ზოგიერთი კი სულ ახლოსაა განლაგებული, პირდაპირ ყურის ძირში. მაგრამ, თუკი მაინცადამაინც უნდა შეიქმნეს კიდევ ერთი ბანკი, სხვა გზებიც ხომ არსებობს საამისოდ, და სრულიადაც არ არის აუცილებელი ხელყო გარდაცვლილთა ძღვენი და შეურაცხჰყო ცოცხლების სიყვარული. ამ სიტყვებზე კნუტს ხმა შეუტოკდა, მაგრამ მყისვე მოერია თავს და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მარცვლეულის საწყობი შეიძლება კიდევ გამოადგეს თემს. ლარსი ფრიად საფუძვლიანად შეეპასუხა და ბოლოს დასძინა:

– ამ ბოლოს ხანებში მეჩვენება, რომ ჩვენს თემში მკვდრებზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე ცოცხლებზე. მნიშვნელოვანი კი რაა? ცალკეული ოჯახების სიყვარული და სიძულვილი თუ მთელი სამრევლოს სარგებელი?

კნუტმა სწრაფად მიუგო:

– შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, ის, ვინც ახლა გამოდიოდა, ვერც მე მისაყვედურებს და ვერც ჩემს ნათესავებს, ცოცხლები არიან ისინი თუ მკვდრები.

მან გადაკვრით მიანიშნა, რომ თავის დროზე მისმა მდიდარმა პაპამ ლარსის პაპის კარ-მიდამო იხსნა, როცა უკანასკნელმა ციხეში ამოყო თავი გაუფრთხილებლობის გამო.

ჩალის ღერი, რა ხანია რომ გამალებით მოძრაობდა, უცებ დამშვიდდა.

– მე უბრალოდ არა ვარ ჩვეული საკუთარ თავსა და საკუთარ ოჯახზე ყოველ ღობე-ყორესთან ყვირილს, – თქვა ლარსმა. მან მშვიდად და დამაჯერებლად განიხილა საქმე და ისე დაასაბუთა თავისი პოზიცია, გაგიჭირდებოდა არ დათანხმებოდი. კნუტი გამოუტყდა თავს, რომ არასოდეს უყურებდა საქმეს ასე ფართოდ და არასოდეს სმენია მსგავსი საბუთები. მან ძალაუნებურად შეხედა ლარსს. იგი მშვიდად იდგა შეკრებილთა წინ, მაღალი, ძლიერი, ფართო შუბლითა და ღრმად ჩამ-

ჯდარი ნათელი თვალებით. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული, ჩალის ღერი ისევ პირის კუთხესთან ეკიდა და ოდნავ თრთოდა. მისგან უზარმაზარი ძალა იღვრებოდა. ლარსი გასწორდა, ზურგზე შემოიწყო ხელები. მისი დახშული ხმა, თითქოსდა, თვით დედამიწის გულიდან ისმოდა. ასეთ ლარსს კნუტი პირველად უყურებდა, და რაღაც შიშის მაგვარი იგრძნო, რადგანაც მიხვდა, რომ ეს კაცი ყოველთვის მასზე ძლიერი იყო. მან თავის თავში შეიწოვა ყველაფერი, რასაც თვით კნუტი უამბობდა მას და, ზედმეტის უგულებელყოფითა და დედაარსის გათავისებით, გააღვიძა საკუთარ თავში ფარული ძალა.

ლარსი კნუტმა გაზარდა და შვილივით უყვარდა იგი. და აი ლარსს, გოლიათად ქცეულს, ახლა თვით კნუტი სძულდა ღრმად და ვნებიანად. კნუტს ვერ აეხსნა ეს სიძულვილი, მაგრამ უყურებდა ლარსს და ინსტინქტურად გრძნობდა მას. კნუტს ყველაფერი დაავიწყდა წამით და შეჰყვირა:

– ლარს! ლარს! ღვთის გულისათვის, რა გემართება... – იგი შეჩერდა, – ... შენ, რომელსაც მე, შენ, რომელიც...

მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა მან, დაჯდა და შეეცადა მორეოდა თავის გრძნობებს, რომელთა ღირსიც აღარ იყო ლარსი ახლა. ბოლოს კნუტმა თავი დაიურვა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და შუბლზე ჩამოშლილ გრუზა თმებში თვალებმა გაკვესა. ლარსმა, თითქოს არც გაეგონოს რომ შეაწყვეტინეს, თვალი მოავლო იქ მყოფთ, რათა გაეგო – ხომ არ სურს ვინმეს შეეპასუხოს მას, ხოლო თუ საწინააღმდეგო არავისა აქვს, ესე იგი, არც სალაპარაკო ყოფილა რამე.

მას ისე მშვიდად ეჭირა თავი, რომ კნუტმა ვერ აიტანა ეს სიმშვიდე.

– რა შავმა კატამ გაირბინა ჩვენს შორის? – შეჰყვირა მან. – დღემდე ხომ კეთილი მეგობრები ვიყავით და ყოველთვის ვპოულობდით საერთო ენას, ახლა რა ეშმაკი ჩაგვიძვრა სულში?

და მზერა ესროლა ლარსს. ლარსმა მიუგო:

– შენ სულებზე ლაპარაკობ სულ, მე კი საქმეზე ვლაპარაკობ. შენ მხოლოდ ის საქმე გაინტერესებს, რომელიც პირადად გეხება. ახლა ვნახავთ, ვიპოვით თუ არა საერთო ენას საქმეში, რომელიც ყველა ჩვენგანს ეხება.

– განა მე არაფრად ვაგდებდი სათემო საქმეებს? – ყველა დუმდა. კნუტს გული ეტკინა, მხოლოდ დაუმატა: – მე კი მეგონა, რომ მთელი თემის სასარგებლოდ ვიღვწოდი... ეტყობა, შევცდი.

იგი ძალიან ღელავდა, რადგან ბუნებით ფიცხი იყო. ლარსთან განხეთქილება კი ისეთ ტკივილს აყენებდა, რომ ძლივს ერეოდა თავს.

ლარსმა უპასუხა:

– მე ვიცი, რომ შენ შენს დამსახურებად მიიჩნევ ყველაფერს, რაც აქაა გაკეთებული. და თუ იმით განვსჯით, ვინ ლაპარაკობს კრებებზე ყველაზე მეტს, მაშინ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველაზე მეტი შენ გააკეთე მართლაც.

– სისულელე! – წამოიძახა კნუტმა და გაბრაზებით შეხედა ლარსს. – შენი დამსახურებაა იქნებ ეს?

– თუ ჩვენ ორზე ვილაპარაკებთ, – თქვა ლარსმა, – მაშინ ჯერ კარგად უნდა ვიფიქროთ და მერე ვილაპარაკოთ.

აქ ჩია კნუტ ოკრე სწრაფად ალაპარაკდა კვლავ:

– ღვთის გულისათვის, შენი იყოს ყველა დამსახურება, მე უმაგისოდაც გავძლებ. ისეთი რამეცაა ამქვეყნად, რომელთა დაკარგვაც გაცილებით მძიმეა!

ლარსმა მის მზერას ვერ გაუძლო და ძალაუნებურად შებრუნდა. მერე თქვა:

– მე მგონი, აქ რამე დამსახურებებზე ლაპარაკი ზედმეტია. პასტორისა და მასწავლებლის პირობაზე შენ, რა თქმა უნდა, ბევრი გააკეთე. მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ ბოლო ხანებში თემის გასავალი განუწყვეტლივ იზრდება.

რიგებს ჩურჩულმა გადაურბინა. ხალხი შეჩოჩქოლდა. ლარსმა განაგრძო:

– დაბოლოს, დღეს ჩვენ განვიხილეთ წინადადება, რომელსაც შეეძლო რაღაც ხეირი მოეტანა თემისთვის. იქნებ, სწორედ ამიტომ გამოიწვია მან შენი მხრიდან ასეთი წინააღმდეგობა. აქ კი საქმე მთელი თემის კეთილდღეობას ეხება და ოჯახური დავიდარაბის ატეხვა ზედმეტია.

ადამიანები ერთმანეთს შეჰყურებდნენ და უკვე ხმამაღლა საუბრობდნენ. ვიღაც ადგა, თავის სანოვაგიან კალათს ხელი მოავლო და განაცხადა, რომ ეს იყო ყველაზე ჭკვიანური სიტყვები, რაც კი გაუგონია აქ მრავალი წლის მანძილზე. ყველა წამოიშალა და სჯა-ბაასი საერთო გახდა. კნუტ ოკრე მიხვდა, რომ მარცხი განიცადა და არც უცდია გაებრძოლა. მის ხასიათში იყო რაღაც ფრანგული: იგი კარგად უტევდა, მაგრამ ცუდად იცავდა თავს, რადგანაც მისი გრძნობები ყოველთვის სძლევდა გონებას.

კნუტი ბოლომდე ვერ მიხვდა, რა მოხდა, მაგრამ აქ დარჩენის ძალა აღარ შესწევდა, თავმჯდომარის ადგილი თავის თანაშემწეს დაუთმო და გავიდა. მავანსა და მავანს გაეცინა.

კრებაზე იგი ლარსთან ერთად მივიდა, შინ კი ფეხით გაეშურა, თუმცა გასავლელი საკმაო მანძილი ჰქონდა. შემოდგომის ცივი დღე იყო, ფოთლებგაცვენილი ტყე ქუფრად გამოიყურებოდა, მინდორი ყვითლად ჩანდა. გზის კიდეზე პირველი რთვილი კრთოდა.

შელახული თავმოყვარეობა ცუდი თანამგზავრია. გზაზე მიმავალი კნუტი თავს არაფრის მაქნისად და მიტოვებულად გრძნობდა, თვალწინ კი დაისის ბინდ-ბუნდში ყველგან ლარსი ესახებოდა გოლიათად. კნუტს თავის თავზე მოსდიოდა გული, რადგანაც ყველაფერს ერთ კარტზე ჩავიდა და ყველაფერი წააგო. ტკივილს, რისხვასა და გაოცებას მოეცვა იგი. ზურგს უკან ბორბლების რახრახი მოესმა. ეს ლარსი მოაგელვებდა თავის ბედაურს. ოთხთვალამ სწრაფად ჩაურახრახა კნუტს გალიგვულ გზაზე. კნუტმა თვალი გააყოლა. მხარბეჭიან ლარსს სადავეები მიეშვა და სახლს მონატრებული ცხენი მსუბუქად მიარბენინებდა ოთხთვალას. ეს სურათი დასახული მიზნისკენ

მშვიდად მიმავალი კაცის ძალმოსილებას განასახიერებდა. კნუტმა, მარტო რომ მიაბიჯებდა შემოდგომის სუსხში, თავი ამ სწრაფად მრბოლი ოთხთვალიდან გადმოგდებულად იგრძნო.

შინ კნუტს ცოლი ელოდა, რომელმაც იცოდა რა მძიმე ბრძოლაც უნდა გადაეხადა ქმარს. კნუტის ცოლს ცოტა არ იყოს ყოველთვის ეშინოდა ლარსის, ახლა კი იგი პანიკურ შიშს ჰგვრიდა მას. მიუხედავად იმისა, რომ კნუტი სახლიდან ლარსთან ერთად წავიდა, ქალი ღელავდა ქმარზე და ისინი ერთადაც რომ დაბრუნებლიყვნენ ახლა, მაინც ვერ დამშვიდდებოდა. შელამდა კიდეც, ქმარი კი არა და არ ჩანდა. იგი პარმაღზე იდგა და სახლთან ჩამავალ გზას გაჰყურებდა. მერე ცოტა გაიარ-გამოიარა და ისევ სახლში შებრუნდა. არვინ ჩანდა. მაგრამ აი, ბორბლების რახრახი მოისმა და სწრაფად აუჩქროლდა გული. ქალმა კარის წირთხლს სტაცა ხელი. ოთხთვალაში მხოლოდ ერთი კაცი იჯდა. ეს კაცი ლარსი იყო. მან შეამჩნია ქალი, მაგრამ გაუჩერებლად ჩაუარა. ქალი დაიზაფრა. ძლივს აითრია ფეხი, ბარბაცით შევიდა სახლში და ფანჯარასთან მდგარ სკამზე დაეშვა. შეშინებული ბავშვები გარს შემოერტყნენ. ნაბოლარამ ჰკითხა, სად იყო მამა. იგი ხომ მამის გარდა არასოდეს არაფერზე არ ესაუბრებოდა ბავშვებს. მისი ქმარი ისე კეთილი იყო, ქალს ისე უყვარდა იგი... ახლა კი ეს კეთილი კაცი მათთან არ იყო! იგი სადღაც შორს იყო, რაღაც ცუდი ხდებოდა მის თავს, წვალობდა და მასთან ერთად ისინიც წვალობდნენ. ოღონდ რაიმე უბედურება არ მოხდეს, კნუტი ხომ ძალიან ფიცხია! რატომ დაბრუნდა ლარსი მარტო? რატომ არ გააჩერა ოთხთვალა? თვითონ ხომ არ უნდა გაჰკიდებოდა უკან? თუ ქმარს უნდა გაეგებოს ახლავე? ქალს ათასგვარი კითხვა უფორიაქებდა თავში, ბავშვები კი გარს ეტმასნებოდნენ და ეკითხებოდნენ, რა მოხდა. მას არ უნდოდა ეწყენინებინა ბავშვებისათვის, მაგიდა გააწყო და ბავშვებს უთხრა, უმისოდ ევახშმათ. სანამ ისინი ჭამდნენ, ქალს სულ ქუჩისკენ ეჭირა თვალი. მაგრამ ქმარი არ ჩანდა. მერე ბავშვებს გახადა და ლოგინში ჩააწვინა. ახლა იგი უმცროსთან იდგა, რომელიც

მწუხრის ლოცვას კითხულობდა. თვითონაც ლოცულობდა, მხურვალედ და მგზნებარედ შესთხოვდა მას, ვის სახელსაც ნდობით წარმოთქვამდა ბიჭუნა. კარებთან ნაბიჯების ხმა არ გაუგონია. კნუტი ზღურბლზე იდგა და უყურებდა, როგორ ლოცულობდა მისი პატარა ოჯახი. ქალი ქმარს შეეგება. ბავშვებმა ერთხმად შეჰყვირეს:

– მამა!

იგი მაშინვე დაჯდა სკამზე და თქვა:

– კიდევ წაიკითხოს ლოცვა ბიჭუნამ.

ცოლი კვლავ საწოლთან მივიდა და ისე დადგა, კნუტს არ დაენახა მისი სახე. იგი არ აპირებდა კითხვებით შეეწუხებინა ქმარი: მოუნდება და თვითონ მოუყვება ყველაფერს. ბიჭუნამ ხელები დაიწყო გულზე, დანარჩენებმაც მას მიბაძეს, და მან წაიკითხა:

მე პატარა ვარ ჯერაც
და გავიზრდები, მჯერა,
ნათესავთ გასახარად,
საიმედოდ და ფარად,
თუკი შენ, ჩემო ღმერთო,
ხელს მოგვიმართავ ერთობ.
ახლა კი ბავშვებს ტკბილი
ღმერთმა გვარგუნოს ძილი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვებს ეძინათ. დედა ფეხაკრეფით დადიოდა სახლში და ქმარს ვახშამს უმზადებდა. მან კი პირი არ დააკარა საჭმელს. როცა დაწვნენ, კაცმა თქვა:

– ახლა სახლში ვიქნები სულ.

ქალი სიხარულით თრთოდა, მაგრამ ეშინოდა გაეცა თავი. იგი მხურვალე მადლობას სწირავდა გულში ღმერთს, რადგანაც ეგონა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ მოტრიალდა.

II

მთელი წლის მანძილზე ლარსი სათემო საბჭოს თავმჯდომარეც იყო, სამრევლო ბანკის მმართველობის თავმჯდომარეც და მთავარი მედიატორი მოსამართლეც, – ერთი სიტყვით ყველა თანამდებობა ეჭირა, რომლებზეც კი შეძლეს მისი არჩევა. საოლქო საბჭოს სხდომებზე იგი თითქმის მთელი წელი დუმდა და ბოლოს და ბოლოს როცა გამოვიდა, ისეთივე სენსაცია მოახდინა, როგორც სათემო საბჭოში. იგი აქაც საბჭოს თავმჯდომარეს დაუპირისპირდა და მოიპოვა თუ არა სრული გამარჯვება, თვით გახდა თავმჯდომარე. აქედან გზა პირდაპირ სპორტინგში* მიდიოდა, სადაც უკვე მიეღწია ხმებს მასზე და მანაც ადვილად მოიპოვა დეპუტატის ადგილი. იქ კი, მიუხედავად მთელი თავისი გავლენისა, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. იგი ხელისუფლებას არ ელტვოდა და მიაჩნდა, რომ მშობლიურ სოფელში სარდლობა სჯობდა დედაქალაქში მარცხის წვნევას.

შინ სხვაგვარად იყო საქმე. როცა იგი კვირაობით საეკლესიო თარჯთან იდგა, მრევლი, გვერდს რომ ჩაუვლიდა, თავაზიანად ესალმებოდა მას, ზოგიერთი კი შეყოვნდებოდა კიდეც ერთი-ორი სიტყვით რომ გამოლაპარაკებოდა. შეიძლება დარწმუნებით გვეთქვა, რომ იგი აქ ყოველ საქმეს ჩალის ღერის ერთი გაქნევით წყვეტდა, რადგანაც ჩალის ღერი მუდამ პირში ჰქონდა გაჩრილი.

და მართლაც, ლარსმა დაიმსახურა მათი პატივისცემა, რადგანაც გზა, რომლითაც ეკლესიაში მიდიოდნენ ისინი, მან გაიყვანა და ახალი ეკლესია, რომლის შორიახლოსაც იდგნენ ახლა, მანვე ააშენა. ეკლესია, გზა და ბევრი სხვა რამ ბანკის მოღვაწეობის შედეგი იყო, რომელსაც სათავეში მისი დამფუძნებელი ლარსი ედგა. სახსრებმა, რომელთაც განაგებდა ბანკი, ბევრი სარგებლობა მოუტანა სამრევლოს და ეს უკანასკნელიც

---

* სპორტინგი – ნორვეგიის პარლამენტი.

გონივრული თვითმმართველობისა და სანიმუშო წესრიგის მაგალითად იქცა.

კნუტ ოკრე კი სავსებით ჩამოსცილდა საქმეებს. თავიდან იგი კიდევ ესწრებოდა კრებებს, მშობლიური სამრევლოსთვის რომ რაიმე დახმარება გაეწია, თუმცა დიდ სიამეს არც ჰგვრიდა ეს ყოველთვის. მაგრამ, როგორც კი ერთი წინადადება წამოაყენა კნუტმა, ლარსმა ისე არახელსაყრელად წარმოაჩინა ამ წინადადების ყველა შედეგი, რომ კნუტ ოკრემ ნაწყენმა თქვა:

– როცა კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა, მაშინვე კი არ დაყო იგი საეპისკოპოსოებად და სამრევლოებად. ისინი გაცილებით გვიან გაჩნდა.

კნუტი სასაქონლე ეზოთა გადასაკეთებლად სახსრებს ითხოვდა. ახლა ლარსმა კნუტის წინადადება ამერიკის აღმოჩენას შეადარა. მას შემდეგ კნუტს „ამერიკის აღმოჩენა“ შერჩა სახელად და მანაც გადაწყვიტა, რომ, რახან არავის სჭირდებოდა, უბრალოდ გასცლოდა ყველას. და არც საბჭოს მომდევნო არჩევნებზე წამოუყენებია თავისი კანდიდატურა.

მაგრამ, რადგანაც იგი გამრჯე კაცი იყო და ხელებჩამოყრილი ვერ გაჩერდებოდა, გადაწყვიტა საკვირაო სკოლის გაფართოება. დაინტერესებულ პირთა მცირეოდენი შენაწირის წყალობით მან ქადაგი მისიონერები მიიწვია მასწავლებლებად სკოლაში და მალე არა მარტო თავის, მეზობელ სამრევლოებშიც კი სათავეში ჩაუდგა მისიას. ლარს ჰეგსტადმა სხვათა შორის შენიშნა, რომ თუ კნუტ ოკრე კვლავაც დააპირებდა შესაწირის მოკრებას, ათას მილზე ახლოს არ მიუახლოვდებოდა მათ სამრევლოს.

საერთოდ კი მათ შორის არავითარი დავიდარაბა არ ყოფილა. მართალია, ძველებურად არ ჰქონდათ მისვლა-მოსვლა, მაგრამ შეხვედრისას ერთმანეთს ესალმებოდნენ, ზოგჯერ კი საუბრობდნენ კიდეც. ლარსის გახსენებისას კნუტს ყოველთვის სიმწრის გრძნობა უწვავდა გულს, მაგრამ ცდილობდა დაეძლია იგი და თავის თავს აგონებდა, რომ ასეც უნდა იყოს ყველაფერი. გავიდა მრავალი წელი. და აი, ისინი ერთ ქორწილ-

ში შეხვდნენ ერთმანეთს. ორივენი ცოტა გადაკრულში იყვნენ და კნუტმა სათემო საბჭოს თავმჯდომარე და მათი ოლქიდან სპორტინგის პირველი დეპუტატი ადღეგრძელა. იგი, როგორც სჩვეოდა, ძალიან ლამაზად ლაპარაკობდა და ბოლოს და ბოლოს თვითონვე აუჩუყდა გული. საყოველთაო აზრით, კნუტი ფრიად კეთილშობილურად მოიქცა. ლარსი ცოტა გაუბედავად მიუახლოვდა მას და უთხრა, რომ მადლობა უნდა გადაუხადოს კნუტს ყველაფრისთვის, რაც კი რამ მან გაუკეთა მას. მომდევნო არჩევნებზე კნუტ ოკრე ისევ შევიდა სათემო საბჭოში.

ლარს ჰეგსტადს რომ შესძლებოდა ამ არჩევნების ყველა შედეგის გათვალისწინება, იგი არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარებოდა კნუტს საბჭოს წევრად თავიდან გახდომაში. „თუ ციგაობა გიყვარს, ციგის თრევაც უნდა გიყვარდეს“, – ამბობს ანდაზა. სწორედ მაშინ, როცა კნუტ ოკრე ისევ შევიდა სათემო საბჭოში, სამრევლოს ყველაზე პატივცემულ მოქალაქეებს დაემუქრათ საფრთხე ყურებამდე არ ჩაფლულიყვნენ სპეკულაციურ მაქინაციებში, რომელიც უკვე კარგა ხანია მძვინვარებდა აქ და ახლა მსხვერპლს ითხოვდა. ამ უბედურებაში დამნაშავედ ლარს ჰეგსტადს თვლიდნენ, რადგანაც სწორედ მან და არა ვინმე სხვამ ჩააგონა მრევლს გამდიდრებისკენ სწრაფვა. სათემო საბჭოდან ეს ოქროს ციებ-ცხელება მთელ სამრევლოს მოედო, ამასთან, ყოველგვარი სპეკულაცია სათავეს სწორედ საბჭოდან იღებდა. ყველა, დიდიდან პატარამდე, ცდილობდა ერთი დალერიდან ათი გაეკეთებინა. თავდაპირველი გაუგონარი სიძუნწე, როცა თითოეული რაც შეიძლება მეტის მოხვეჭას ცდილობდა, ახლა ყოვლად უთავბოლო ხელგაშლილობით შეიცვალა. ფულის ამ მოუპირავმა წყურვილმა ადამიანები ეჭვიანები, მოუთმენელნი და ჭირვეულნი გახადა – ერთი ბენო რამეზე დაიწყებდნენ კინკლაობასა და სასამართლო განხილვას. ბევრი ამბობდა, არც სათემო საბჭოშია ამ მხრივ უკეთესად საქმეო. გახდა თუ არა საბჭოს თავმჯდომარე, ლარსმა ფრიად საეჭვო საქმე აღძრა ერთი ღირსეული მოხუცი პასტორის წინააღმდეგ. პასტორმა საქმე წააგო და მაშინვე გადადგა. ზოგი

უწონებდა ლარსს საქციელს, ზოგი – კიცხავდა. ყოველ შემთხვევაში, მისი საქციელი ცუდ მაგალითად იქცა. თავი იჩინა ლარსის მმართველობის შედეგებმა: სამრეველოს ყველა შეძლებულმა წევრმა დიდი ზარალი განიცადა, რამაც სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. კნუტმა ლარსის ყველა მოწინააღმდეგე შემოიკრიბა გარს. კნუტმა, რომელსაც სნორედ ლარსი დაუდგა მხარში სათემო საბჭოში არჩევისას!

კვლავ გაჩაღდა ბრძოლა! ბავშვები, თავის დროზე რომ კნუტ ოკრესთან სწავლობდნენ, ახლა მთელ სამრეველოში ყველაზე განათლებულ მოქალაქეებად ითვლებოდნენ. სად არ მუშაობდნენ ისინი, თვით სახელმწიფო თანამდებობებზეც კი. მათ ბავშვობიდანვე არ უყვარდათ ლარსი და ახლა მის წინააღმდეგ შეკრეს პირი. ერთ საღამო ხანს, სათემო საბჭოში მძაფრი დებატების შემდეგ, ლარსი თავისი სახლის პარმაღზე იდგა და ნაღვლიანად გასცქეროდა წინ გაშლილ სამრეველოს. უცებ მოეჩვენა, რომ შორეული ჭექა-ქუხილი მოესმა: მსხვილ ხუტორებში აღშფოთების ქარიშხალი ბობოქრობდა. ლარსი მიხვდა, – შორს არ იყო ის დღე, როცა ეს ქარიშხალი მასაც წალეკავდა მის ბანკთან ერთად და მაშინ მთელი მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღვთის წყევლად დაემხობოდა თავს!

ბრძოლა სასტიკად გაცხარებული იყო, როცა სამრეველოში რკინიგზის გასაყვანი ხაზის დამდგენი კომისია ჩავიდა. კომისიის წევრები ჰეგსტადში დაბინავდნენ, ქალაქის განაპირას. მათთან საუბრებიდან ლარსმა შეიტყო, რომ რკინიგზა ან აქ უნდა გაეყვანათ, ან მეზობელ ველზე.

მან მყისვე მოისაზრა, რომ თუ რკინიგზა გაივლის აქ, მიწის ფასი მოიმატებს და იგი გადარჩება, მისი სახება კი სამუდამოდ აღებეჭდება შთამომავალთა მახსოვრობას. იმ ღამეს ძილი არ მიეკარა, ეჩვენებოდა, რომ ყურებში მატარებლების გრიალი ედგა უკვე! მეორე დღეს კომისიის წევრებმა ლარსთან ერთად დაათვალიერეს იქაურობა. ცხენები მათ ლარსმა გამოუყო და საღამოს, როცა დაბრუნდნენ, ლარსმა ისინი თავის კარ-მიდამოში მიიწვია. მეორე დღეს მეზობელი მინდვრისკენ გაეშურნენ;

ლარსი კვლავ გაჰყვა მათ და საღამოს კვლავ მიიწვია შინ. კარმიდამო უკვე განათებული დახვდათ. კომისიის საპატივცემლოდ გაიმართა ბრწყინვალე ვახშამი, მიწვეულ იქნა სამრევლოს ყველა სასიქადულო მცხოვრები. ზეიმი დილამდე გაგრძელდა.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ყველას ესმოდა, რომ მათ სამრევლოში რკინიგზის დაგება ზედმეტ სუბსიდიებს მოითხოვდა. სამრეკლოში რკინიგზას ვიწრო ხეობაში უნდა გაევლო და მკვეთრად მოეხვია განიერი მდინარის კლაკნილის გაყოლებით. ამრიგად, რკინიგზას ან ორჯერ უნდა გადაელახა განიერი მდინარე მთებში, ან ძველ სასაფლაოზე გაევლო. მართალია, იქ ახლა არავის მარხავდნენ, მაგრამ ახალი ეკლესია სულ ახლახან იყო აგებული და არც უკანასკნელი დაკრძალვიდან იყო გასული დიდი დრო.

აი, ამ ძველ გაუბედურებულ სასაფლაოზე დამოკიდებული ახლა, გადმოხედავს თუ არა განგება მათ სამრევლოს მოწყალე თვალით, – ფიქრობდა ლარსი. მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ეს წინააღმდეგობა დაძლიოს! ლარსი მაშინვე შეუდგა მოქმედებას. ჯერ პასტორსა და პრობსტს მიაშურა, მერე ეპარქიის მმართველობას, დაბოლოს, საკულტო საქმეთა სამინისტროს. მან საიდან არ გამოჩხრიკა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ რკინიგზის გაყვანა გაუგონარ სარგებელს მოუტანდა სამრევლოს, წარუდგინა ვისაც ჯერ არს და მათი დაყოლიება სცადა. მთელი სამრევლო მის შეხედულებას იზიარებს, – ამტკიცებდა იგი. ბოლოს და ბოლოს ლარსმა თავისი გაიტანა. მას შემდეგ, რაც ნეშტები გადასვენებულ იქნება ახალ სასაფლაოზე, იგი მიიღებს მეფის ნებართვას ძველ სასაფლაოზე რკინიგზის გაყვანის შესახებ. ოღონდ ეს საკითხი ერთხელაც უნდა განიხილონ სათემო საბჭოზე.

სამრევლო თვით ლარსზე არანკალებ ღელავდა. ანგარების ჟინით შეპყრობილი მრევლი ცოფებს ყრიდა. ყველას ერთი რამ ეკერა პირზე – ლარსის დედაქალაქში მგზავრობა და მისი შესაძლო შედეგები. მისი დაბრუნებისას დიდი ზეიმი მოეწყო და პატივისცემის ნიშნად სიმღერებიც უძღვნეს, მაგრამ ყურ-

ადღება არავინ მიაქცია იმას, რომ უმსხვილესი მეურნეობები ერთმანეთის მიყოლებით კოტრდებოდა. სასპეკულაციო ციებცხელება სარკინიგზომ შეცვალა!

თემის საბჭოს სხდომაზე წაკითხულ იქნა უქვეშევრდომილესი თხოვნა რკინიგზის ხაზის ძველ სასაფლაოზე გაყვანის შესახებ. თხოვნა ერთხმად დაამტკიცეს. ამის შემდეგ განიხილეს საკითხი – ხომ არ აჯობებს ახლავე გამოვუცხადოთ ლარსს მადლობა მთელი სამრევლოს სახელით და სამახსოვროდ ორთქლმავლის ფორმის ყავადანი მივუძღვნათ. მაგრამ შემდეგ ამჯობინეს, რომ საკითხის საბოლოო გადაჭრამდე დაეცადათ. ეპარქიის სამმართველოდან ითხოვეს ყველა იმ დამარხულის სია, რომელთა ნეშტიც ახალ სასაფლაოზე უნდა გადაესვენებინათ. პასტორმა შეადგინა შესაბამისი სია, მაგრამ გადაწყვიტა წინასწარ სათემო საბჭოსთვის ეჩვენებინა იგი. საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ეს სია მორიგ სხდომაზე წაიღო. ლარსმა როგორც თავმჯდომარემ კონვერტი გახსნა და კითხვა დაიწყო.

და აი, აღმოჩნდა, რომ პასტორის სიაში პირველი ადგილი თვით ლარსის პაპას ეჭირა! ყველა დარბაზში მსხდომს ცოტა ეთაკილა ეს, თვით ლარსიც უსიამოდ გაოცებული დარჩა, მაგრამ კითხვა განაგრძო. მეორე კნუტ ოკრეს პაპა იყო, რადგანაც ორივე მოხუცი დაახლოებით ერთ დროს მიიცვალა. კნუტ ოკრე ადგილიდან წამოხტა. ლარსი გაიკმინდა. ყველას თავზარი დაეცა. კნუტ ოკრეს პაპა მთელ სამრევლოში უპატივცემულეს კაცად ითვლებოდა ყოველთვის. დუმილი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბოლოს ლარსმა თავს სძლია და კითხვა განაგრძო. თითოეულ ახალ სახელთან ერთად დარბაზში აღშფოთება იზრდებოდა, რადგანაც უფრო ხშირად და ხშირად ისმოდა მათი სახელები, რომლებიც სულ ახლახან გარდაიცვალნენ და ნათესავებსა და ახლობლებს ჯერაც არ განელებოდათ დანაკარგის ტკივილი. ლარსი რომ კითხვას მორჩა, კნუტ ოკრემ ჩუმად იკითხა, ხომ არ გგონიათ, რომ ირგვლივ ლანდები სხედანო. უკვე ბინდდებოდა, და თუმცა ხალხი ბლომად იყო დარბაზში, ყველამ იგრძნო შიში. ლარსმა ასანთი ამოიღო, სანთელს

მოუკიდა და მშრალად შენიშნა, რომ მას, საკუთრივ, არაფერი ახალი არ უთქვამს ახლა.

– თორემ არა! – მკვახედ შეეპასუხა კნუტი, რომელიც ბოლთას სცემდა ოთახში. – რაც შენ ახლა თქვი, ბევრი რამ ახალია ჩემთვის. და საერთოდაც, მგონია, ჩვენ ამ რკინიგზაში ძალიან ძვირს ვიხდით.

ნათქვამმა ყველა შეძრა. კნუტის აზრით, საკითხი უნდა გადაეხედათ.

– რაღაც ფაციფუცში ვიღებდით გადაწყვეტილებას, – თქვა მან, – და მეტისმეტად გავაბუქეთ სარგებლობა, რომელიც შეიძლება მოგვიტანოს რკინიგზამ. რა თქმა უნდა, თუ გზა სამრევლოზე კი არ გაივლის, არამედ მის საზღვრებს იქით, მაშინ სამრევლოს ორ მოპირდაპირე ბოლოში ორი სადგურის აშენება მოგვინევს ნაცვლად ერთისა შუაში და ამ სადგურებამდე მისვლა გაცილებით გაჭირდება, მაგრამ ყველაფერი ეს განა იმდენად საშინელია, რომ აუცილებლად უნდა დავურღვიოთ მკვდრებს მყუდროება?

კნუტი ბრწყინვალედ გამოთქვამდა თავის აზრებს. სულ ერთი წუთის წინ მან არ იცოდა, რას იტყოდა, ახლა კი მისმა სიტყვებმა ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ლარსმა იგრძნო, თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ და გადაწყვიტა ფრთხილად ემოქმედა. იგი ვითომდა დაეთანხმა კნუტის წინადადებას, მაგრამ ივარაუდა, რომ რაც დრო გავა ვნებებიც დაცხრება.

მაგრამ ლარსი მოტყუვდა. დღითი დღე ადამიანებს უფრო და უფრო ჰგვრიდა შიშს წინაპართა ნეშტების გადასვენების პერსპექტივა. სანამ საერთოდ სასაფლაოზე იყო ლაპარაკი, მაინცადამაინც არავის აწუხებდა ეს, მაგრამ როგორც კი მიხვდნენ, რომ თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების ნეშტების შეშფოთება მოუწევდათ, მაშინვე აფორიაქდნენ. განსაკუთრებით ქალები ღელავდნენ. დანიშნულ დღეს სათემო საბჭოს შენობის წინ უამრავი ხალხი შეიკრიბა. ფანჯრები ფართოდ გაეღოთ,

შენობაც ისე იყო გაჭედილი, როგორც შენობის შემოგარენი. ყველა დიდი ბრძოლის მოლოდინში იყო.

აი, ლარსიც მოვიდა თავისი ლამაზი ცხენით. ხალხი ხმაურით მიესალმა მას, იგი კი მშვიდად ავლებდა თვალს ირგვლივ. თითქოსდა სავსებით მშვიდად იყო. ლარსი ფანჯარასთან დაჯდა და თავისი ჩალის ღერი ამოიღო. ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ჭკვიან სახეზე, როცა კნუტ ოკრემ აიღო სიტყვა ჰეგსტადის ძველ სასაფლაოზე განსვენებულთა სიმყუდროვის დასაცავად.

მაგრამ კნუტმა პირდაპირ სასაფლაოდან კი არ დაიწყო. ჯერ ამ საქმის მთელი ისტორია გაიხსენა, მერე კი ის, თუ როგორ გააზვიადეს ალიაქოთში ის სარგებელი, რომელიც სამრევლოს გავლით რკინიგზის დაგებას შეეძლო მოეტანა. დასამტკიცებლად მან ზუსტად გაიანგარიშა მანძილი თითოეული კარ-მიდამოდან უახლოეს სადგურამდე. მერე კნუტმა იკითხა, რა საჭირო იყო ამ იწილო-ბიწილოს გამართვა, როცა ეს რკინიგზა სრულიადაც არ სჭირდება სამრევლოს? აი, რა საჭირო იყო: მავანმა და მავანმა იმიტომ წამოიწყო ეს აფერა, რომ ძველი, უარესი აფერები დავიწყებას მისცემოდა. მერე კი ჩუმ-ჩუმად დაყიდდნენ თავიანთ კარ-მიდამოებსა და სავარგულებს, თუ გამოუჩდებოდათ ყეყეჩი მყიდველი. და ეს ბინძური მაქინაციები არა მარტო ცოცხლებმა უნდა ზღონ, არამედ მკვდრებმაც!

კნუტის სიტყვამ ყველაზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლარსმა გადაწყვიტა, რაც არ უნდა მომხდარიყო, შეენარჩუნებინა სიმშვიდე. მან ღიმილით უპასუხა, რომ, რამდენადაც ცნობილია, კნუტ ოკრე თვითონ იბრძოდა რკინიგზის მშენებლობისათვის, თუმცა ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, რომელიც შეძლებს დაადანაშაულოს იგი იმაში, რომ მას თუნდაც იოტისოდენა წარმოდგენა აქვს მსგავს საქმეებზე (ოთახში ჩაეცინათ). კნუტს ხომ არაფერი ჰქონდა იმის საწინააღმდეგო, რომ უბრალო მოკვდავთა ნეშტები გზის მშენებლობის გულისთვის სხვაგან გადაეტანათ. მაგრამ მიდგა თუ არა საქმე მის პაპაზე, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მთელი სამრევ-

ლოს ინტერესები ირღვევა! მეტი ლარსს არაფერი უთქვამს და, როგორც დამსწრეთა უმრავლესობამ, ღიმილით გახედა კნუტს. კნუტის პასუხი მეხივით დაეცა ლარსსაც და ყველა იქ დამსწრეთაც.

– ვაღიარებ ამას. მე მართლაც ზერელე წარმოდგენა მქონდა ამ საქმეზე, სანამ ჩემს ნათესავებს არ შეეხო იგი. იქნებ, ეს სირცხვილია, მაგრამ უფრო მეტი სირცხვილია, ვერ გაიგო იგი ახლა, – როგორც არ უნდა გაიგოს ლარსმა! ჯერაც არასოდეს წამოუწყია მას ისეთი სისაძაგლე, როგორც ახლა. და ეს იწვევს ჩვენში ღრმა აღშფოთებას.

– შენი აღშფოთება სულ ახლახან გამოიწვია ამან, – უპასუხა ლარსმა, – და იმედია, მალე გაგივლის. აბა, იფიქრე, რას იტყვის პასტორი ან პრობსტი, ეპარქიული მმართველობა, ინჟინრები, მთავრობა, როცა გაიგებენ, რომ ჯერ ერთხმად ვიღებთ რაღაც გადაწყვეტილებას ჩვენ, მერე კი ვაკითხავთ და ვთხოვთ, გაგვიუქმონ. ჯერ ვზეიმობთ, ვხარობთ, ჩვენს სიმღერებს ბოლო არ უჩანს, მერე კი თავ-პირი ჩამოგვტირის და გამოსათხოვარ სიტყვებს ვამბობთ. და ამის შემდეგ, თუ ჩვენ ყველას არ ჩაგვთვლიან შერეკილებად, იმას მაინც იტყვიან, რომ ფრიად უცნაურად ვიქცევით.

– იტყვიან და თქვან, ღმერთმა მოუმართოთ ხელი! – უპასუხა კნუტმა. – ჩვენ მართლაცდა უცნაურად ვიქცეოდით და დროა გონს მოვეგოთ ბოლოს და ბოლოს. ძალიან შევტოპეთ. შენ გინდა შენი პაპა ამოთხარო მიწიდან, მე კი – ჩემი, და ყველაფერი ეს რკინიგზის გულისთვის, ჩვენი ტვირთის შესამსუბუქებლად. ასეთივე წარმატებით ჩვენ ჩვენი სასაფლაოს გადახვნაც შეგვეძლო და პურიც დაგვეთესა იქ. ღვთის სახელით დამარხულებს ფულის გულისთვის ვთხრით, მოლოხის გულისთვის, ეს კი ვერაფრით სჯობს ჩვენი წინაპრების ძვლების ლოღნას.

ლარსმა შენიშნა:

– ასეთია ბუნების კანონი.

– დიახ, მცენარეებისა და ცხოველებისათვის!

– მერედა ჩვენ ცხოველები არა ვართ?

– ცხოველები ვართ, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ღვთის შვილებიც ვართ და ჩვენი მკვდრებიც ღვთის რწმენით დავმარხეთ. ეს მას ძალუძს აშფოთოს ისინი, მაგრამ არა ჩვენ.

– სისულელე! დღეს იქნება თუ ხვალ მაინც ამოთხრიან მათ. რა მნიშვნელობა აქვს თუ ეს რამდენიმე წლით ადრე მოხდება.

– გეტყვი, რა მნიშვნელობაც აქვს. მათი შვილები ჯერაც დადიან მიწაზე, მათი აშენებული ჯერაც დგას, ყველაფერი, რაც უყვარდათ, რაც ისწავლეს, რისთვისაც ეწვალნენ, ყველაფერი ეს ჯერაც ცოცხლობს ჩვენში და ჩვენს გარშემო... დაე, უფალმა განუსვენოს მათ!

– შენ ახლა შენი პაპა გაგახსენდა, რა თქმა უნდა, და გული აგიჩუყდა, – მიუგო ლარსმა. – მე კი ვთვლი, რომ მოვიდა დრო, როცა სამრევლომ ბოლოს და ბოლოს თუნდაც მცირედ უნდა ამოისუნთქოს მისგან. პაპაშენს უამრავი თანამდებობა ეჭირა, სანამ ცოცხალი იყო. ნუთუ ის ახლაც უნდა გადაგვიდგეს გზაზე, როცა მკვდარია. და თუ ჩვენ მისი გულისთვის ვერ მოვახერხეთ აქ რკინიგზის გაყვანა, რომელიც ჩვენს შთამომავალთა მრავალ თაობას მოუტანს უდიდეს სიკეთეს, მაშინ თითოეული იტყვის, რომ მან სამრევლოს უდიდესი ბოროტება მოუტანა.

კნუტ ოკრემ შუბლიდან გაბურძგნილი თმები გადაიყარა. თვალები უელავდა, ერთიანად შეკუმშულ ზამბარას ჰგავდა.

– მე ვთქვი უკვე, რა სიკეთეცაა ეს. იგი ისევე საეჭვო ხასიათისა, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რითაც კი უხვად დაასაჩუქრე შენ ჩვენი სამრევლო. დიახ, შენ აგვიშენე ახალი ეკლესია, მაგრამ შენი გულისთვის იქ სულიც ახალი დამკვიდრდა და იგი სიყვარულის სული არ არის. დიახ, შენ დაგვიგე ახალი გზები და ამასთან, ისეთი გზებიც აღმოაჩინე, რომლებიც ჯოჯოხეთისკენ გვერეკება. დიახ, შენ შეამცირე ჩვენი სათემო გასავლები, მაგრამ სამაგიეროდ ახლა საკუთარ თავზე ვხარჯავთ მეტს. სასამართლო პროცესი, ვექსილი, გაკოტრება – ეს არის და ეს, რაც შენ მოუტანე სამრევლოს! და შენ ბედავ შეურაცხყოფა მიაყენო ადამიანს, რომლის ხსოვნასაც მთელი მრევლი

მიაგებს პატივს? ბედავ თქვა, რომ იგი გვილობავს გზას? შენ იგი გადაგიდგა გზაზე, რა თქმა უნდა, არ ვდაობ. მაგრამ შენ წაიტეხავ კისერს, როცა დააპირებ გადააბიჯო მის საფლავს! სული, რომელიც შენში ცოცხლობს, დღევანდელ დღემდე კი თითოეულ ჩვენგანში ცოცხლობდა – ესაა არა ძლიერების სული, არამედ მონობის სული. დაე, ვერაფერმა დაარღვიოს სასაფლაოს სიმშვიდე, მაგრამ დღეს ერთი საფლავიც გაჩნდება იქ – საფლავი, სადაც ჩვენ შენდამი ჩვენს პატივისცემას დავმარხავთ!

ლარს ჰეგსტადი მიტკალივით გათეთრდა. ადგა, პირი გააღო, მაგრამ სიტყვის დაძვრაც ვერ შეძლო, პირიდან ჩალის ღერი გამოუვარდა, მერე მოძებნა, რამდენჯერმე შეეცადა ხმის ამოღებას და უცებ ვულკანივით იქუხა:

– ესაა თქვენი მადლობა ჩემი ამაგისთვის, ხომ? კარგი, დაე, გმართოთ თქვენმა ქალაჩუნა ქადაგმა. დაე, ჯოჯოხეთის მოციქული დაგიდგეთ თავმჯდომარედ, და ეშმაკმა დამლახვროს, ერთხელაც თუ გადმოვაბიჯო ამ ზღურბლს! დღემდე ჩემი კისრით ვატარებდი მარტო ამ დუქანს, ახლა კი ყველაფერი ოხრად წავა – ახია თქვენზე! აი, ოქმი! – მაგიდაზე მოისროლა ქაღალდი. – სირცხვილი ქალაჩუნებისა და ღლაპების ამ ხროვას! – მუშტი დაჰკრა მაგიდას. – სირცხვილი სამრევლოს, რომელიც სიკეთეს სიავით იხდის!

მან ისევ დაარტყა მუშტი მაგიდას და ისე მაგრად, რომ მძიმე მაგიდა შეხტა, სამელნე კი იატაკზე ჩამოვარდა და იმ ადგილას მომავალი თაობებისთვის დატოვა მელნის ლაქები, სადაც ლარს ჰეგსტადი, მიუხედავად მთელი თავისი ჭკუისა, ძალისა და მოთმინებისა, საბოლოოდ იქნა დამარცხებული.

ლარსი ოთახიდან გავარდა და მაშინვე გაეცალა იქაურობას. შეკრებილნი ერთხანს კრიჭაშეკრული ისხდნენ, ისინი ლარსის სიტყვებმა და რისხვამ დააფრთხო. მერე ლარსის მიერ ერთ დროს ნათქვამი გაიხსენა კნუტ ოკრემ და მისი ხმის გამოჯავრებით მხიარულად თქვა:

– ესე იგი არც სალაპარკოა მეტი.

და შვებით ამოისუნთქა ყველამ. სახეები გაუნათდათ, და აი, სიხარულის შეძახილებიცა და მხიარული სიცილიც გაისმა. ზოგიერთი წავიდა. მათ კი, ვინც დარჩა, პურმარილი გამართეს და დღისით მონისლული შფოთი ზეიმის სამხიარულო მეხ-თატეხად იქცა საღამოს. ადამიანებმა ბედნიერებად და და-მოუკიდებლად იგრძენს კვლავაც თავი, როგორც იმ ბედნიერ დროს, როცა ლარსის მრისხანე სულს ჯერაც არ დაეთრგუნა მათი სულები და არ აეკრა მათი პირები. ისინი თავისუფლების სადღეგრძელოს სვამდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ჯერ კნუტ ოკრემ დაუარა თავმჯდომარის თანაშემწესთან ერთად, მერე მთელმა კრებამ და მალე შემოერთებულმა ჭაბუკებმა და ქალ-იშვილებმა. ყმაწვილები კი ქუჩაში გაჰყვიროდნენ „ვაშას“. მათ ხომ ჯერაც არასოდეს ეხილათ ასეთი ლხინი.

III

ლარსი ჩუმად დააბოტებდა ჰეგსტადის ფართო ოთახებში. ცოლი, რომელსაც ერთდროულად უყვარდა და ეშინოდა მისი, ახლა თვალის დასანახად არ ეკარებოდა ქმარს. მეურნეობაზე გული აიცრუა ლარსმა, მისი საქმიანობა წერილების ყოველ-დღიური მიწერ-მოწერით შემოიფარგლა. მან თავისი პრეტენ-ზიები წაუყენა სათემო საბჭოს და, რადგანაც ამ უკანასკნელმა არ დააკმაყოფილა ისინი, პროცესი წამოიწყო. ისინი არც ბანკ-მა დააკმაყოფილა და ლარსმაც ისევ წამოიწყო პროცესი. მერე მისადმი რაღაც შეურაცხმყოფელიც დაინახა და კიდევ ერთი საქმე აღძრა, ამჯერად სათემო საბჭოს თავმჯდომარისა და ბანკის მმართველობის თავმჯდომარის წინააღმდეგ. გაზეთებში ბინძური სტატიები გაჩნდა, თითქოსდა, თვით ლარსის შეთხ-ზული. ეს სტატიები განხეთქილებას თესდნენ სამრევლოში, ერთმანეთს უქსევდნენ მეზობლებს. ზოგჯერ ლარსი მთელი კვირაობით იკარგებოდა და არავინ იცოდა, სად იყო მაშინ. შინ დაბრუნებული იგი ისევე იკეტებოდა, როგორც ადრე. ეკლესი-

აში იგი მას შემდეგ არ უნახავთ, რაც გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სათემო საბჭოში.

და აი, შაბათ საღამოს ფოსტით მოვიდა გაზეთები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ რკინიგზა მაინც გაივლის სამრევლოზე და გაივლის სწორედ ძველ სასაფლაოზე! ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ თემს. ლარს ჰეგსტადის ავტორიტეტმა სათემო საბჭოს სძლია. აი, თურმე რას ნიშნავდა მისი კვირაობით გაუჩინარებები. მიუხედავად მარცხის სიმწარისა, ძალაუნებურად ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ამ კაცის შეუპოვრობითა და მისი დაუოკებელი ენერგიით. და რაც უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ მასზე, მით უფრო მეტ აზრს ხედავდნენ მის ქმედებებში, რადგანაც მომხდარს ულმობელი დამაჯერებლობა გააჩნია ყოველთვის.

მეორე დღეს მთელი ქალაქი ეკლესიასთან შეიყარა. მრევლი მხიარულად უყურებდა ერთმანეთს და იცინოდა. ყველას – ბებერს თუ ახალგაზრდას, კაცსა თუ ქალს, ბავშვებსაც კი პირს ლარს ჰეგსტადის სახელი ეკერა და აღაფრთოვანებდა მისი გამჭრიახი გონება, რკინის ნებისყოფა, უზარმაზარი გავლენა. მოულოდნელად ეკლესიას ოთხი ოთხთვალით მიადგა ლარსი თავის სახლეულთან ერთად. ორი წელი იყო გასული, რაც იგი უკანასკნელად იყო ეკლესიაში. იგი ძირს ჩამოხტა და ხალხის წრე გადაკვეთა. ყველა ესალმებოდა, თვითონ კი არც არავის შეხედა და არც არავის უპასუხა. მისი პატარა ცოლი, სიკვდილივით გაფითრებული, ეკლესიაში შეჰყვა. გაოგნებისაგან მეფსალმუნეებს ხმა ჩაუწყდათ და ლარსს მიაშტერდნენ. კნუტ ოკრემ, სწორედ ლარსის წინ რომ იჯდა, იგრძნო, რომ ეკლესიაში რაღაც უჩვეულო ხდებოდა. რადგანაც წინ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ შენიშნა მან, თავი მიიბრუნა და დაინახა ლარსი. ლარსს თავი დაეხარა ფსალმუნზე და ყურადღებით უსმენდა წირვას.

კნუტს სათემო საბჭოს იმ სამახსოვრო სხდომის შემდეგ არ ენახა ლარსი და ძალიან შეცვლილი ეჩვენა. იგი სრულიადაც არ ჰგავდა გამარჯვებულს. თხელი, რბილი თმები საგრძნობლად

გასცვენოდა, სახე გამხდარი და მოღუშული ჰქონდა, ჩაცვენილი თვალები ციებ-ცხელებიანივით უელავდა, ღონიერ კისერზე ძარღვები გამოჰბერვოდა, კანი შესჭკნობოდა. კნუტი მიხვდა, რა ტანჯვა-წვალებაც გამოიარა ამ კაცმა, და მხურვალე თანაგრძნობამ მოიცვა. კნუტმა ლარსისადმი თავისი ძველი სიყვარულის რაღაც მსგავსიც კი იგრძნო. მან ლოცვა დაიწყო მასზე და გადაწყვიტა უთუოდ გამოლაპარაკებოდა წირვის შემდეგ, მაგრამ ლარსი, დამთავრებას არ დაელოდა, ისე წავიდა. კნუტს უნდოდა იმავე საღამოს ხლებოდა ლარსს, მაგრამ ცოლმა არ გაუშვა.

– ლარსი იმ ადამიანებს ეკუთვნის, – თქვა მან, – რომელთაც ლოდად აწევთ მადლიერების გრძნობა. მოიცა, სანამ თვითონ არ გაგიწევს რაიმე სამსახურს, და მაშინ, იქნებ, თვითონვე მოგაკითხოს.

მაგრამ ლარსი არ გამოჩენილა. რამდენჯერმე დაესწრო იგი ეკლესიაში წირვას, მაგრამ სხვაგან არსად არ დადიოდა და არც არავისთან ჰქონდა რამე საერთო. სამაგიეროდ ისე მუყაითად შეუდგა თავისი კარ-მიდამოს მოვლას, თითქოსდა ერთ წელიწადში უნდოდა აენაზღაურებინა მთელი იმ წლების დაუდევრობა. ბევრი ამბობდა, რომ კარგი იქნებოდა იგი უფრო ადრეც მოგებოდა გონს.

მალე რკინიგზის მშენებლობაც დაიწყო. გზის ვაკისი ზედ ლარსის კარ-მიდამოსთან გადიოდა და, გზის მხრიდან უფრო იმპოზანტური ხედი რომ ჰქონოდა ეზოს, მან სახლის ნაწილი მოანგრია და დიდი მოხდენილი აივანი მიაშენა. ამასობაში მიწაყრილზე ლიანდაგიც დააგეს ღორღისა და შპალების გადასატანად და აი, პატარა ორთქლმავალიც გამოჩნდა. ლარსი პარმაღზე იდგა, ერთი სული ჰქონდა გაეგონა პირველი საყვირი და დაენახა პირველი ორთქლი. ღორღით დატვირთული პირველი პლატფორმები გზას უნდა გასდგომოდნენ. ხალხი პარმაღთან ელოდა. შემოდგომის წყნარი საღამო იდგა. ლარსი გაჰყურებდა მშობლიურ ქალაქს, რომელსაც ჩამავალი მზე ანათებდა. მან მტკიცედ იცოდა ახლა, რომ მისი ხსოვნა მანამ არ გაქრებოდა,

სანამ ამ ნაყოფიერ ველზე არ შეწყდებოდა გვერდით ჩამვლელი მატარებლების რიტმული დაგადუგი. და ყოვლის მიტევების გრძნობამ აღავსო მისი სული. ლარსმა სასაფლაოს გახედა. მის ერთ მხარეს უწინდებურად იდგნენ მოღრეცილი ჯვრები, სასაფლაოს ნაწილი კი რკინიგზის მიწაყრილის ქვეშ იყო მოქცეული. ლარსი ცდილობდა გარკვეულიყო თავის ფიქრებში, მაგრამ ამ დროს პირველი სტვენაც გაისმა და ერთ წუთში მატარებელიც გამოჩნდა. იგი ნელა მოძრაობდა, მილიდან ბოლქვი იფრქვეოდა და ნაპერწკლებს ყრიდა, რადგანაც საცეცხლეში ფიჭვის შეშა ენთო. ქარი კარ-მიდამოსკენ უბერავდა და რამდენიმე წამში ყველაფერი ბოლქვებად წამოსული კვამლით დაიბურა. როცა ნისლი გაიფანტა, ლარსმა დაინახა, რომ მატარებელი უკვე ველზე მიდიოდა ბორბლების მძიმე დაგადუგით.

ლარსი კმაყოფილი იყო. იგი ისე დაბრუნდა შინ, როგორც სამუშაო დღის შემდეგ. იმწუთას თვალწინ პაპის სახე ედგა. პაპამ თავისი გვარი სილატაკიდან გამოიყვანა და შეძლებული გახდა. მართალია, მთლად სუფთა არ ჰქონდა სინდისი, მაგრამ ბევრს მიაღწია. მისი შეცდომები კი იმით აიხსნებოდა, რომ ზნეობრივი ნორმები რამდენადმე ბუნდოვანი იყო იმ დროს. ყოველ თაობას ტანჯვას ჰგვრიდა ზნეობრივი ნორმების ეს ბუნდოვანება და, აზუსტებდა რა მას, საზოგადოებას უცილობლად უნდა გაეღო გარკვეული მსხვერპლი.

ქება-დიდება იმას, ვინც საფლავში განისვენებს! მან ბევრი იწვალა და ბევრი იშრომა! ნათელში ამყოფოს ღმერთმა! რა კარგია სიმშვიდეს ეწიო ბოლოს. მაგრამ, განა არ მოაკლდა იგი ამ სიმშვიდეს შვილიშვილის გაუგონარი პატივმოყვარეობის გამო? იგი ხომ ამოაგდეს საფლავიდან ქვებსა და ღორღთან ერთად! სისულელე! მას მხოლოდ გაუხარდებოდა, რომ რკინიგზა, მისი შვილიშვილის ამაგის ნაყოფი, მის თავზე გადის.

ამ ფიქრში ლარსმა გაიძრო და დაწვა. და კვლავ პაპის სახე წარმოუდგა წინ. რაღა უნდა? რითია კიდევ უკმაყოფილიო ის? აღსრულდა ის, რაზე ოცნებაც კი არ შეეძლო მას! მის საფლა-

ვზე დაქრიან მატარებლები, როგორც მთელი მისი მოდგმის სამარადისო ქება-დიდება. ვის ადგას ასეთი საფლავის ქვა?

მაგრამ ეს რა არის? ორი შემზარავი ცეცხლოვანი თვალი, ხმაური, სტვენა... არა, მატარებელი არ არის ეს, ლიანდაგიდან ხომ არ გადმოვიდოდა. რაღაც უსასრულოდ გრძელი პროცესია დაიძრა სასაფლაოდან მისი სახლისკენ. ცეცხლოვანი თვალები პაპის თვალებად იქცევა, და ეს უკვე მატარებელი კი არ არის, არამედ საფლავიდან გამოსული მკვდრები. ხმაურით, გრუხუნით, ჩირაღდნების ბრიალით უახლოვდებიან ისინი კარმიდამოს. აშტერდებიან სახლს მოგიზგიზე თვალებით და აი, ფანჯარას ედება ცეცხლი. ლარსს მთელი ძალითა და ღონით უნდა გაიღვიძოს, ეს ხომ ძილია... ძილია მხოლოდ! მოიცათ, ახლა გავიღვიძებ!.. აჰა, გავიღვიძე უკვე, მოდით აქ ახლა, ბეჩავნო! და ისინი მართლაც მოვიდნენ, მოვიდნენ პირდაპირ სასაფლაოდან, ჰაერში ისვრიან შპალებს, ლიანდაგებს, ვაგონებს, ორთქლმავალს, და ყველაფერი ეს საშინელი ჭახანით ინთქმება მიწად. სასაფლაოზე სიჩუმე ჩამოწვა კვლავ, მიწას ბალახმა გადაუარა ისევ და საფლავებზეც, უწინდელივით, განმარტოებით აღიმართნენ ჯვრები. მკვდრები კი მოდიან და მოდიან კვლავ გოლიათებივით ვეება, ისმის გალობა „განუსვენე მკვდართ!“ და ლარსი ცნობს სიტყვებს, რომელთაც მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში გაუწამეს სული და ახლა სულთნის ლოცვად ჩაესმის. დიახ, ეს სული ამოდის მას, და თვალწინ სიკვდილისწინა ჩვენებები რიალებენ. მას ცივი ოფლი ასხამს, რადგანაც მკვდრები სულ ახლოს და ახლოს მიდიან მასთან. აი, ფანჯარასაც მოადგნენ უკვე და ხმამაღლა ეძახიან მას... ენით აუწერელი შიში იპყრობს ლარსს. იგი ცდილობს იყვიროს, მაგრამ გრძნობს, რომ ახრჩობენ, სიკვდილის ცივი ხელი ყელში უჭერს. ლარსმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, „მიშველეთ!“ – იყვირა... და გაეღვიძა. გარედან ვიღაცამ ფანჯარა გატეხა, ნამსხვრევები პირდაპირ ლოგინზე დაეყარა. ლარსი წამოხტა. ფანჯარაში კაცი ჩანდა, გარშემო კვამლი იბოლქვებოდა, ცეცხლის ენებს ისროდა.

– კარ-მიდამო იწვის, ლარს! ახლავე მოგეხმარები გამოსვლაში!

ეს იყო კნუტ ოკრე.

როცა ლარსი გონს მოვიდა, მან იგრძნო, რომ ქარი უბერავდა და საშინლად სციოდა. გვერდით არავინ იყო. მარცხნივ მისი კარ-მიდამო იფერფლებოდა. ირგვლივ საქონელი წრიალებდა, ძროხები ბღაოდნენ, შეშინებული ცხვრები ერთმანეთს აწვებოდნენ. ნივთები აქეთ-იქით ეყარა. მერე როგორც იქნა გაარჩია, რომ გვერდით ბელტზე ცოლი იჯდა და ტიროდა. ლარსმა გასძახა. ცოლი წამოიჭრა.

– მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ!

იგი ქმართან მივიდა და თავთან დაუჯდა, უფრო სწორად, მასთან ჩაიკეცა.

– ო, ღმერთო, ღმერთო! ახლა ბოლომდე გაგვისტუმრა რკინიგზამ!

– რკინიგზამ?

და არც დაუმთავრებია სათქმელი, რომ იგი ყველაფერს მიხვდა: ორთქლმავლის საცეცხლედან გამოტყორცნილი ნაპერწკალი ახალ კედელთან მიყრილ ბურბუშელას დაეცა და ხანძარი გაჩნდა. ლარსი მოღუშული დუმდა. ცოლმა არ გააგრძელა საუბარი, შეეცადა თბილად შეეფუთნა ქმარი, რადგანაც ტანსაცმელი, რომელიც გონდაკარგულს გადაახურა, გადაყრილი იყო გვერდზე, ლარსი უხმოდ იღებდა ცოლის ზრუნვას. ცოლმა ფეხებთან ჩაიმუხლა და ფრთხილად ამოუკეცა. ლარსმა ხელი დაადო ცოლს თავზე. იგი სახით მკერდთან მიეხუტა ქმარს და ქვითინი წასკდა. ეს მისთვის უცხო იყო. მაგრამ ლარსი ყველაფერს მიხვდა და თქვა:

– ახლა შენ ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარ.

ამ სიტყვების გაგონების გულისთვის კარ-მიდამოს დაკარგვა ღირდა! ბედნიერებამ ქალს გამბედაობა შესძინა. მან ნაზად შეხედა ლარსს.

– ეს იმიტომ, რომ შენი არავის ესმის, ჩემს გარდა. – თქვა მან.

და ლაპარაკი დაიწყეს მომხდარზე. უფრო სწორად, ქალი ლაპარაკობდა, კაცი დუმდა.

კნუტ ოკრემ პირველმა შენიშნა ხანძარი, ფეხზე წამოაგდო მთელი სახლი, ქალიშვილები საშველად გაგზავნა, თვითონ ვაჟიშვილებთან ერთად ცხენებით ჰეგსტადში გაქუსლა. ჰეგსტადს ღრმა ძილით ეძინა. კნუტი ხანძრის ჩაქრობასა და ხალხის გადარჩენას ხელმძღვანელობდა. მანვე გამოათრია ლარსი ცეცხლიდან და აქ, სასაფლაოზე მოიყვანა.

სანამ ისინი საუბრობდნენ, გზაზე ოთხთვალა გამოჩნდა. მან სასაფლაოზე შეუხვია და გაჩერდა. ეს იყო კნუტი. იგი თავისი საუკეთესო ოთხთვალის მოსაყვანად იყო სახლში, იმ ოთხთვალასი, რომლითაც სათემო საბჭოში დადიოდნენ ხოლმე ერთად. კნუტი ძირს ჩამოხტა, მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, – ერთი იჯდა, მეორე იდგა.

– ჩემთან წამოხვალ, – თქვა კნუტმა.

ლარსი უთქმელად ადგა. ისინი ოთხთვალასკენ გაემართნენ. კნუტმა ხელი წააშველა ლარსს დაჯდომისას და თვითონაც გვერდით მიუჯდა. რაზე ლაპარაკობდნენ ისინი გზაში და მერე კნუტის პატარა ოთახში, სადაც დაათენდაც კიდეც, – ეს არავინ უწყის, მაგრამ იმ დღიდან ისინი, როგორც უნინ, კვლავ განუყრელნი იყვნენ.

როცა ვინმეს უბედურება დაატყდება, ყველა იმ დასკვნამდე მიდის მაშინვე, რომ იგი ფრიად ღირსეული და კარგი კაცია, და ლარსსაც თემის ანგარიშზე აუშენეს სახლი, ყველაზე დიდი და ლამაზი მთელს იმ მხარეში. ლარსი კვლავ სათემო საბჭოს თავმჯდომარე გახდა, მაგრამ კნუტ ოკრე მუდამ გვერდით ედგა. მას შემდეგ ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ თქმულა მათ შორის.

1866

ზერდაგი

ბიორგანი – ასე ეძახდნენ კვიკნეს სამრევლოში კარ-მიდამოს, სადაც ადრე პასტორის სახლი იდგა. ეს კარ-მიდამო მდებარეობდა მაღალ მთებში, სამრევლოს სახლებისგან მოშორებით. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მახსოვს, ავძვრებოდი ხოლმე მაგიდაზე და იქიდან შურით გავყურებდი ბავშვებს მინდორში თუ როგორ ციგაობდნენ ისინი ზამთრობით და ერთობოდნენ ზაფხულობით. ბიორგანის კარ-მიდამო ისე მაღლა მდებარეობდა, რომ ხორბალი თითქმის ვერც მოჰყავდათ იქ და ბოლოს და ბოლოს ამიტომაც მიჰყიდეს იგი ერთ შვეიცარიელს, პასტორის სახლისთვის კი ძირს გამოჰყვეს ადგილი, ველზე.

ბიორგანში ყოველთვის ადრე მოდიოდა ზამთარი! სახლის წინ მდებარე მინდორი, რომლის დათესვაც ამაოდ სცადა ერთხელ მამამ, ერთი ღამის მანძილზე იფარებოდა ღრმა თოვლით. ყინვებსაც ისეთს იჭერდა, რომ ხელის მიკარებას ვერ ვბედავდი კარის სახელურზე, მაშინვე მიგაყინავდა თითებს რკინაზე. მამაჩემიც კი, გამოწრთობილი კაცი, წარმოშობით რანსფიორდიდან*, იძულებული იყო შეეფუთნა სახე, როცა სამრევლოში უწევდა სიარული. თოვლს ხმამაღალი ჭრაჭუნი გაჰქონდა ფეხქვეშ, ხოლო როცა გამვლელები ფრიად მატულობდნენ, ჭრაჭუნი გამაყრუებელი ჭახაჭუხით იცვლებოდა. ნამქერი ხშირად ჩვენი სახლის მეორე სართულს უწევდა, სამეურნეო ნაგებობები კი, ბორცვები, ბუჩქები და ღობეები ერთიანად იფარებოდა

---

* რანსფიორდი – ოლქი ჩრდილოეთ ნორვეგიაში.

თოვლით. საითკენაც არ უნდა გაგეხედა, გარშემო იშლებოდა უკიდეგანო თოვლის ზღვა, რომელზეც მხოლოდ არყის წვეროკინები იყო აღმართული.

მე, ჩვეულებისამებრ, მაგიდაზე ვიდექი და გავყურებდი, როგორ ჩარბოდნენ მოციგურავეები ველად, როგორ გამოდიოდნენ ირმებშებმული მარხილებით ლაპლანდიელები ტყიდან, როგორ კრთოდა მათი ციგები აქა-იქ მთებში აღმა-დაღმა სიარულისას. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გაჩერდა ერთხელ ჩვენს სახლთან ბევრი მარხილი, როგორ გადმოგორდნენ იქიდან ბანჯგვლიანი კოშტები. ეს კოშტები პატარა, მხიარული და ცქვიტი ლაპლანდიელები აღმოჩნდნენ, რომლებიც ირმის ხორცს ყიდდნენ.

კვიკნეს ველის მცხოვრებლებმა ციივილიზაციისა და განათლების ასპარეზზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ამ ბოლო წლებში, იმ დროს კი მათ სამრევლოს ცუდი სახელი ჰქონდა. ბოლო ხანებამდეც კი პასტორი რომ ეკლესიაში გაემართებოდა, პისტოლეტიც უნდა წაეღო თან. არც თუ იშვიათად კი ისეც ხდებოდა, რომ შინ დაბრუნებულს სახლ-კარი გაძარცვული ხვდებოდა და ცოლს ფერ-ფური ჰქონდა შიშისგან წასული. პასტორი, რომელიც პაპად მერგებოდა მე, საერთოდ გაიქცა აქედან და ცივი უარი განაცხადა დაბრუნებაზე. ასე რომ, კვიკნეს სამრევლო რამდენიმე წელი უპასტოროდ დარჩა, სანამ მამაჩემმა, ჭეშმარიტად უშიშარმა კაცმა, იქ წასვლის სურვილი არ გამოთქვა.

აქამდე მახსოვს ერთი შემთხვევა: მე კიბის გაყინულ საფეხურებზე დავფორთხავდი, როცა საშინელმა ყვირილმა და ხმაურმა თავზარი დამცა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი სოფლელი, კარგა ბრგე ჯელელი, ახალ პასტორს მოევლინა, რათა იქაურთა ჩვეულების თანახმად ჭკუა ესწავლებინა მისთვის. მაგრამ, ნუ იტყვით და, ახალ პასტორს თვითონ მოუნდა ჭკუაზე მოეყვანა იგი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი კისრისტეხით გავარდა წინკარში, ხათქახუთქით ჩაკოტრიალდა კიბეზე და უკან მოუხედავად მოკურცხლა.

კვიკნეს მრევლს არ მოსწონდა, რომ სპორტინგის დადგენილებებს პასტორი საჯაროდ აცხადებდა. ისინი ახალი სასკოლო რეფორმის გატარებისას მამაჩემსაც ჩაუდგნენ კრიჭაში. ემუქრებოდნენ კიდეც და ცდილობდნენ აეძულებინათ იგი, ხელი აეღო საკუთარ განზრახვაზე. მაგრამ მამაჩემი, დედის თხოვნის მიუხედავად, სკოლის მმართველობის სხდომაზე წავიდა და მუქარით მდრტვინავ მრევლთან თავისი გაიტანა. თითის დაკარებაც კი ვერავინ გაუბედა მას. და ისიც, დედაჩემის გასახარად, ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა შინ.

აი, ასეთ დროსა და ასეთ ვითარებაში მოევლინა ქვეყანას ზერდაგი. დედამისი გიუდბრანსდალის* ჯიშის ზორბა ქერა ფაშატი იყო, მამა – უცხო მხარის შავრა ულაყი, რომელიც ტყეში ძოვდა და ჩვენი ფაშატის დანახვისას მისკენ გამოექანა, ღობეყორეებსა და თხრილებს გადმოევლო და გულისწორთან მიიჭრა, რათა თანახმად სიყვარულის კანონებისა, აეღო ის, რაც წესითა და რიგით ეკუთვნოდა მას.

ზერდაგზე მალე ალაპარაკდნენ. ყველას მიაჩნდა, რომ ეს ყველაზე ძლიერი ცხენი იქნებოდა სამრევლოში. მე კი, დევგმირებისა და ომების ისტორიებს რომ არაფერი მერჩივნა, პატარა კვიცში უმალ ჩემი ყველაზე უახლოესი მეგობარი შევიგულე. მართალია, თვითონ დიდი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა ჩემდამი: ახლაც მაჩნია მისი ტლინკისაგან ნაიარევი მარჯვენა თვალს ზემოთ, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მე კუდში დავდევდი ფაშატსა და კვიცს, მათთან ერთად მეძინა შიშველ მინაზე და ფაშვს ქვემოთ ვუძვრებოდი ფაშატს, როცა ის მშვიდად ძოვდა.

ერთხელ მათთან ერთად ძალიან დავშორდი კარ-მიდამოს. ცხელოდა. სამივემ ერთ მიტოვებულ ფარღალალა ფარდულს შევაფარეთ თავი. მე ჩამეძინა. როცა გამეღვიძა, ფაშატი და კვიცი არსად ჩანდა. დავრჩი მარტო.

---

* გიუდბრანსდალი – ოლქი ნორვეგიაში.

საღამოს კი ისინი, ვინც ჩემს მოსაძებნად გაგზავნეს, სახლში უშედეგოდ დაბრუნდნენ: ჩემს ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს ვერსად. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეშინდათ ჩემს მშობლებს. ძებნაში ჩაერთო ყველა. გადაჩხრიკეს მთელი ტყე, არ დაუტოვებიათ არც ერთი მდინარე, არც ერთი ღრანტე, სანამ მავანს ჩემი ტირილი არ მოესმა ფარდულიდან. ისე შეშინებული ვიყავი, რომ ხმის ამოღება არ შემეძლო. მე შემაშინა რაღაც საშინელმა ცეცხლოვანთვალება ნადირმა. მომეჩვენა ეს თუ მართლაც დავინახე ნადირი, ძნელი სათქმელია. ისღა მახსოვს, რომ ამ ამბიდან მრავალი წლის შემდეგაც არაერთხელ ვიღვიძებდი ცივ ოფლში გაწურული – ვერა და ვერ ვივიწყებდი საშინელ ნადირს.

მალე მე და ზერდაგს მეგობრებიც გაგვიჩნდა: ძაღლის ლეკვი, რომლისთვისაც ხშირად ვიპარავდი შაქარს, და კატა, რომელიც არავინ უწყის როგორ მოხვდა ჩვენს სამზარეულოში. აქამდე არასოდეს მენახა კატა და საშინლად შეშინებული გავვარდი ყვირილით, რომ სარდაფიდან უზარმაზარი ვირთხა შემოძვრა სამზარეულოში. გაზაფხულზე ჩვენი კამპანია უფრო გაიზარდა: ჩვენს შორის გოჭიც გაჩნდა. და ახლა უკვე, გაეშურებოდა თუ არა ზერდაგი დედამისთან ერთად ველად, ავიყრებოდით ოთხივე – ძაღლი, კატა, გოჭი და მე – და წავწალიკდებოდით მათ კვალდაკვალ. ურიგოდ არ ვერთობოდით ერთად, მაგრამ ყველაფერს მაინც ძილი გვერჩივნა – ჭერეხივით რომ ვეყარეთ იატაკზე. ჩემი მეგობრებისთვის არაფერი მენანებოდა: ვერცხლის კოვზი ვაჩუქე გოჭს, ცოტა რიგიანად რომ ეჭამა; მას, ალბათ, მართლაც უნდოდა ამის სწავლა, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ კინაღამ კოვზი შეჭამა. როცა მშობლებს მივყავდი სტუმრად, მინდორში ძაღლი, კატა და გოჭი მიმაცილებდნენ. ძაღლი და კატა ბორანზე იჭერდნენ ადგილებს, გოჭი კი ცოტას ჩაიღრუტუნ-ჩაიბუზღუნებდა და გამოგვიდგებოდა ცურვით. სტუმრად გაგვიმასპინძლდებოდნენ

ყველას – ვისაც რა ეგემრიელება და საღამოს ისევ ისე დაწალიკებულნი ვბრუნდებოდით შინ.

მაგრამ მალე, რახან მამაჩემმა სხვა სამრევლო მიიღო რუმსდალში*, დავშორდი მეგობრებს; ყველას, გარდა ზერდაგისა. არასოდეს დამავიწყდება გადასვლის დღე. ბავშვები ძიძასთან ერთად პატარა ჩარდახიან მარხილში მოთავსდნენ, წინ კი განიერ მარხილში მშობლები ისხდნენ. გარს უამრავი გამცილებელი გვეხვია და კიდევ და კიდევ გვისურვებდნენ ბედნიერ მგზავრობას.

ვერ ვიტყვი, ძალიან მწყდებოდა-მეთქი გული, მე ხომ სულ ექვსი წლის ვიყავი, და, გარდა ამისა, ვიცოდი, რომ ტრონჰეიმში ჩემთვის ნაყიდი ჰქონდათ ახალი ქუდი, შარვალი და ქურთუკი, რომელთაც, ჩავიდოდით თუ არა ახალ ადგილზე, მაშინვე ჩავიცვამდი. იქ, ახალ სამრევლოში, პირველად ვნახავდით ზღვას. თან ზერდაგიც ხომ ჩვენთან ერთად მოდიოდა.

სწორედ აქ, პასტორის საკარმიდამო ნესეტში, ფიორდებს, კონცხებსა და ხუტორებს შორის ერთ-ერთ ულამაზეს სამრევლოში, სწორედ აქ პასტორის სახლ ნესეტში, საათობით შემეძლო დავკვირებოდი მზის ჩასვლისას შუქჩრდილის თამაშს მთებსა და ზღვაზე, სანამ არ ამეცრემლებოდა თვალები; სწორედ ამ ადგილებში, სადაც თხილამურებით სრიალის დროს ერთი ველიდან მეორეში ამოვყოფდი თავს და მოჯადოებულივით ვჩერდებოდი, აღტაცებისა და ღრმა მწუხარების ჯერაც განუცდელი, მაგრამ ძლიერი გრძნობებით შეპყრობილი; სწორედ აქ, ამ კარ-მიდამოში განვიცადე ჩემი უძლიერესი შთაბეჭდილებები, რომელთაგან წარუშლელი ზერდაგისგან მიღებული შთაბეჭდილება იყო, რადგანაც აქ იზრდებოდა იგი ჩემთან ერთად, აქ იქცა გმირად და აქ ჩაიდინა მან თავისი საქმენი საგმირონი.

იგი საშუალოზე ცოტა მაღალი იყო, მაგრამ, ამასთან ერთად, სასაციღოდ გრძელი და განიერი. ფერად ზერდაგი იყო, უფრო მოყვითალო, ვიდრე მოთეთრო, ფაფარი შავი ჰქონდა, არაჩვეუ-

---

* რუმსდალი – ოლქი ნორვეგიაში.

ლებრივად ხშირი. ეს იყო უწყინარი, რამდენადმე ზანტი ცხოველი, რომელიც მორჩილად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ასრულებდა ჯორული მოთმინებით, კეთილსინდისიერად. გარდა მისთვის ჩვეული მძიმე ვალდებულებებისა, როგორიცაა მიწის დამუშავება, შეშის გადაზიდვა და სხვა მნიშვნელოვანი საქმეები, ახალი სახლისა და სამეურნეო ნაგებობებისთვის საჭირო სამშენებლო მასალის გადმოტანაც დაეკისრა საკმაოდ შორიდან. იქ, სადაც რამდენიმე ცხენს არ ჰყოფნიდა ძალა, ზერდაგს აგზავნიდნენ და, ოღონდ მარხილს გაეძლო, იგი არ გიმტყუნებდა. იგი უწყინარად უყურებდა მუშებს, რომლებიც ორმაგსა და სამმაგ სიმძიმესაც კი უდებდნენ, და არც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა; მაგრამ, სანამ ადგილიდან დაიძვროდა, აჩუს ძახილით უნდა გაერეკათ და ისიც ოდნავ გაიქაჩებოდა, მერე მთელ ძალებს დაძაბავდა და გზას გაუყვებოდა. იგი წინ ღირსეულად მიიწევდა, აჩქარების გარეშე, და თუკი მოხდებოდა, რომ მასზე მიმაგრებული ახალი მუშა შეეცდებოდა იძულებით აეჩქარებინა, ეს ყოველთვის მთავრდება იმით, რომ თვითონ მუშა უწყობდა ფეხს ზერდაგს. რაც უფრო გაითქვა სახელი ზერდაგმა, მით მეტ ღირსებად ითვლებოდა მისი გაძღოლა.

ასე, ნელ-ნელა ზერდაგი სამრევლოს ღირსშესანიშნაობად იქცა. როგორც ყველაფერი დიადი, ეს სიძულვილითა და დაცინვით დაიწყო. საქმე იმაშია, რომ, როცა ზერდაგი სამრევლოს სხვა ცხენების კამპანიაში მოხვდა მთის საძოვარზე, მოისურვა განუყოფლად დაუფლებოდა ყველა ჭაკს. იგი ისე სასტიკად უსწორდებოდა თავის მეტოქეებს, რომ მათმა მეპატრონეებმა ანაზღაურების მოთხოვნებით, საყვედურებითა და წყევლა-კრულვით უბრალოდ აიკლეს პასტორის ეზო. მაგრამ თანდათან ყველანი დაწყნარდნენ, რადგანაც მიხვდნენ, რომ ფაშატების ზერდაგთან შეხვედრებს მათთვის უთუო სარგებლობა მოჰქონდა. იყვნენ, რა თქმა უნდა, ისეთებიც, რომელთაც მოსვენებას უკარგავდა მისი უპირატესობის ასეთი უცილობელი მტკიცება. ჩვენი მეზობელი, ლეიტენანტი, ვერაფრით ვერ ურიგდებოდა

ამას. თავისი ფაშატებისთვის რომ არ გაეკარებინა ზერდაგი, მან გიუდბრანსდალის ჯიშის ორი ზორბა ულაყი იყიდა.

იდებოდა სანაძლეოები, თუ რით დამთავრდებოდა ზერდაგთან მათი პირველი შეხვედრა მთიან საძოვარზე. ყველანი მოუთმენლად ველოდით გაზაფხლის დადგომას. არასოდეს დამავიწყდება ის მნიშვნელოვანი სამების დღე, როცა საღამო ხანს ეზოში ვიდექი და როჭოთა სატიხტიხეს ვუგდებდი ყურს, რომ მოახლე ქალმა ყვირილით მოირბინა და გვითხრა, ლეიტენანტის ულაყები ვნახე ამწუთას ჩვენს სალესებთანო. ყველა ქუდმოგლეჯილი გავვარდით იმ ადგილისკენ და აი, რა ვნახეთ იქ: ორი ბრწყინვალე ბედაური დგას ერთმანეთს მიკრული, გასისხლიანებული და მოცახცახე. ცხადი იყო, მათ უკვე თავიანთ თავზე ეწვნიათ ზერდაგის კბილებისა და წიხლების ძალა. შიშმა ძალა შეჰმატა მათ, ჩვენი კარ-მიდამოს მაღალ ღობეს გადაევლნენ და გაუჩერებლად ირბინეს თავიანთ თავლამდე. იმ დღიდან კიდით კიდემდე ქუხდა ზერდაგის სახელი.

გარკვეული დროიდან მოყოლებული ზერდაგს ერთ-ერთი მისი ვაჟიშვილთაგანი გულს სტკენდა. მიაღწია თუ არა ზრდასრულ ასაკს, ამ ფეხმარდმა ნაბლამ აღარ ისურვა მამის ჩრდილქვეშ ყოფნა. მაგრამ ურჩობის პირველივე მცდელობისას ზერდაგმა მსუბუქად ჰკრა წიხლი ვაჟს და როცა იგი არ შეეპუა და საომრად შეიმართა ხვიხვინით, მრავალნაცადი მეომარი ყალყზე შედგა. ვაჟსაც ძალა ერჩოდა. ისინი ერთმანეთისკენ დაიძრნენ, წინა ფეხები შემოაჭდეს ერთიმეორეს კისერზე (როგორც იციან ასეთ შემთხვევებში ულაყებმა) და ჩხუბი დაიწყეს. შვილმა თავიდან დააპირა შეწინააღმდეგება, მაგრამ, როცა საკადრისი მამობრივი დარიგება მიიღო, მაინც დანებდა. მე იქ ვიდექი და ყველაფერი ეს ვნახე.

თითქმის არ გადის ზაფხული დათვი არ გამოჩნდეს იმ ადგილებში, რასაც ბევრი ძროხა და ცხვარი ეწირება მსხვერპლად. არცთუ იშვიათად მოისმის საძოვრიდან მწყემსთა განწირული ყვირილი და ძაღლების გამაყრუებელი ყეფა. ატყდება მაშინ განგაში ველზე, მიირბენენ და ხშირად დაგვიანებულია

უკვე: ან ძაღლებმა დაასწრეს მათ დათვის გაგდება, ან დათვმა დაასწრო მათ რომელიმე საქონლის დაგლეჯა. ცხენებთან, მართალია, დიდს ვერაფერს ხდებოდა დათვი, მაგრამ, თუ დროს იხელთებდა, არც მათ აკლებდა ხელს: იგი ან ჭაობში იტყუებდა ცხენს ან გამოუდგებოდა და მანამდე არბენინებდა, სანამ ქანცგაცლილს ფეხი არ დაუცდებოდა კლდიდან. ერთი ზაფხული განსაკუთრებით უიღბლო გამოდგა. კვირა არ გავიდოდა, დათვი არ გამოჩენილიყო საძოვარზე. გამოენთებოდა განაპირებულს და გარბოდა ისიც გულგახეთქილი თავლისკენ; ასეთი სურათები გახშირდა. ერთხელაც ზერდაგი და კვიციანი ხრდალი, რომელთაც იგი მეურვეობდა, არ დაბრუნდნენ შინ. ჩვენ არც კი ვიცოდით, რა გვეფიქრა. მწყემსს უკვე რამდენიმე დღეა არ გაეგონა მათი ეჟვნების წკარუნი. და როცა ისინი ძლიერი ქარიშხლის შემდეგაც კი არ დაბრუნდნენ შინ, – ავდარში ცხენები, ჩვეულებრივ, თავლაში გარბიან ყოველთვის, – მაშინ საძებრად მთელი რაზმი განაწესეს ტყეში.

მუშებმა ჯერ ჭაობი მოიარეს. მათი ვარაუდით დათვს შეეძლო ხრდალი და კვიცი შეეტყუებინა იქ და მერე დაეღადრა. მაგრამ რამდენი არ ეძებეს, ვერაფერს მიაგნეს, დათვის ნაკვალევი ყველგან ჩანდა, მაგრამ ცხენებთან მისი ბრძოლის ნაკვალევი არ ჩანდა. როცა მუშები ტყის პირას შეგროვდნენ, რათა მოელაპარაკებინათ, სად გაეგრძელებინათ ძებნა, ერთერთმა მათგანმა ხრდალისა და კვიცის ნაკვალევი შენიშნა. ნაკვალევი ახალი იყო და გვიჩვენებდა, რომ ცხენები რაღაცით შეშინებული იყვნენ, რადგან მიწა ერთ ადგილას იყო ნატკეპნი. მუშებმა ყურადღებით მოათვალიერეს იქაურობა და შენიშნეს, რომ ნიადაგი გარშემო გაფხვიერებული იყო. ეს ცოტა ხნის წინანდელ შეუპოვარ ბრძოლას მოწმობდა. ზედ ჭაობის პირას ცხენისა და დათვის უკანა თათების ანაბეჭდი აჩნდა. დათვს, ეტყობა, ცხენის ჭაობში შეთრევა უნდოდა, საიდანაც იგი ფართო თათებისა და შედარებით მსუბუქი წონის წყალობით იმედოვნებდა გამოღწევას. მაგრამ ამჯერად ანგარიშში მოტყუვდა. ზერდაგი, მართალია, ტალახში ჩაეფლო, მაგრამ, ეტყობა, მისმა

გოლიათურმა ძალამ იხსნა – წინა, ნალით დარახტული ფეხები გაითავისუფლა და ნადირი წიხლებითა და კბილებით გათქერა.

მართლაც, დათვის უკანა ფეხების ნაკვალევი მალე გაქრა, მაგრამ მისი ბანჯგვლი ბღუჯა-ბღუჯად იყო მიმოფანტული მთელს ჭაობზე. ყველაფერი ეს მოწმობდა, რომ დათვი, როგორც ჩანს, ზურგზე დაეცა, გავეშებული ულაყი გასაქანს არ აძლევდა ჩლიქებითა და ეშვებით, ის კი წამოდგომას ვერ ახერხებდა და ზურგზე თრევითა და თათების ქნევით ჭაობიდან გაღწევას ლამობდა მაგარი მიწისკენ. სასტიკი ბრძოლის ნაკვალევით გაოგნებული მუშები სმენად იქცნენ. და ქარიშხლისაგან ჯერაც სველსა და სუფთა ჰაერში უცებ ზანზალაკის წკარუნი გაისმა. ისინი მთის ძირისკენ გავარდნენ და ძნელად საცნობ, გამძვინვარებულ ზერდაგს წააწყდნენ. მაღლა აწეული თავითა და ქარში მოფრიალე ფაფრით ზერდაგი თავს დასტრიალებდა ხრდალსა და კვიცს და არავის აკარებდა მათ, სანამ გაწოდებული მარილითა და ალერსიანი სიტყვებით არ დაარწმუნეს მუშებმა, რომ მისიანები იყვნენ. გაუგონარმა გმირობამ ბრწყინვალებისა და დიდების ისეთი შარავანდედით შეამკო ზერდაგის სახელი, რომ ნაცვლად „პასტორის ზერდაგისა“ მას უფრო საპატივცემულო მეტსახელი მიენიჭა – „დათვის ზერდაგი“.

ბევრჯერ მოუწია ზერდაგს ამის შემდეგ დათვებთან ომი და ერთხელაც არ განუცდია მარცხი. ერთხელ დაბრუნდა შინ მხოლოდ დათვის ნაიარევით, როცა ომებში გამოჯეკილმა ბებერმა დათვმა თვალს ქვემოთ ჩამოგაზა თათი და, – უმალ გაიქნია რა თავი, – ღრმად დაიჭრა.

ასეთი ძლიერი და მეომარი ულაყის საძოვარზე დატოვება ფრიად სახიფათო იყო და სხვა ცხენები, იცოდნენ რა ეს, გაურბოდნენ. თუ მოხდებოდა და ზოგჯერ რომელიმე უგუნურ ულაყს მოხვდებოდა კიდეც ზერდაგისგან, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. რას არ აპატიებ დათვის მომრევ ცხენს!

თუ რა საყოველთაო აღტაცებას იწვევდა ზერდაგი, ეკლესიაში მსვლელობისას უნდა გენახათ. მართალია, ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა მთელი ოჯახით მივდიოდით, აღმზრდელ-

სა და შინა მასწავლებელთან ერთად, და ეკიპაჟში ყველას არ ჰყოფნიდა ადგილი. შეაბამდნენ მას ორთვალა ეტლში და ჩვენ, ბავშვები, გაჭირვებით ჩავეტენებოდით შიგ. ჩვეულებრივი აკაზმულობა მისთვის პატარა იყო და დიდს, უხეშსა და მძიმეს აცმევდნენ, სამუშაოდ სახმარს. იქეთობას ფაფარი ეშლებოდა თვალებზე და გზაში ვერაფერს ხედავდა. როგორც წესი, ბოლოში გვიწევდა სვლა, ჯერერთი იმიტომ, რომ ზერდაგი არასოდეს ჩქარობდა, და, მეორეც, წარამარა უხვევდა გზიდან ტყის ნაცნობი ბილიკებისკენ.

მაგრამ რიგში უკანასკნელად მდგომიც კი ყოველთვის თავისებური და განუმეორებელი რჩებოდა. მაშინ როდესაც სხვა ცხენები სავსებით თანაბარი სვლით მიუყვებოდნენ გზას, ზერდაგის ყოველი ნაბიჯი ისე ხრიდა ცალ მხარეს ეტლს, რომ ჩვენ შიგ მყოფთ, კარგა მაღლა გვისროდა ჯაყჯაყით ზემოთ. მივიწევდით ასე ნჯღრევა-ნჯღრევით, ზემოთ-ქვემოთ, ზემოთ-ქვემოთ.

ეკლესიასთან მისვლისას იგი თვალის დახამხამებაში იცვლებოდა. ირგვლივ ამდენი ცხენის დანახვისას, თავს მოიღერებდა და მეომრულად დაიჭიხვინებდა. დანარჩენი ცხენებიც გაეხმაურებოდნენ უმალ და ზერდაგიც თავისი ეკიპაჟით მაშინვე გასწევდა წინ. მერე გამოხსნიდნენ, ალიკაპს ამოსდებდნენ და დანარჩენ ცხენებს გააშორებდნენ. იგი კი მთელი ძალით იქაჩებოდა წინ, ღრღნიდა ალიკაპს, იფრიალებდა ფაფარს და ყალყზე დგებოდა. გარს ყოველთვის გაცილებით მეტი ხალხი ეხვია, ვიდრე ეკლესიაში იყო. როგორც კი დამშვიდდებოდა, ხელებს უსვამდნენ, უზომავდნენ ფერდებს, კისერსა და გავას, უფრო გაბედულები პირშიც ჩაჰყურებდნენ და კბილებს უსინჯავდნენ. მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე ცხენს დაეხვიხვინა, მაშინვე დააპირებდა აეწყვიტა, ყალყზე დგებოდა და ერთიანად შეძრავდა ჭიხვინით მიდამოს.

და ყველანი ისეთი აღტაცებით უყურებდნენ ირგვლივ, თითქოს უკეთესი არასოდეს არაფერი ენახათ. რაც შემეხება

მე, მე ყოველთვის ხალხში ვიდექი და სიამაყით ვაყურადებდი ალტაცებულ ქებას.

აქ კი მე, ზერდაგის დიდების ზენიტში, გამოთხოვება მომიხდა მასთან. ცხოვრებაში შევადგი ფეხი და ახალი გმირები, ახალი მიზნები და ახალი მისწრაფებები გამიჩნდა.

1868

საქორწილო მარში

დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ნორვეგიაში ერთი მუსიკოსი ცხოვრობდა, რომელზედაც ლეგენდებს ჰყვებოდნენ ხალხში. უამრავ სიმღერასა და მარშს მიაწერდნენ მას და ამბობდნენ, თითქოს მთის ტროლებსა და თვით ავსულებს უსმენს, ერთი სიმღერა კი თავის გამოსასყიდადაც შეუთხზავს თითქოს. განსაკუთრებით ერთი საქორწილო მარშით გაითქვა სახელი. ეს მარში არათუ დასრულდა მის სიკვდილთან ერთად, არამედ, პირიქით, სინამდვილეში მხოლოდ მაშინ დაიწყო.

ერთ ღარიბ მუსიკოსს ულე ჰაუგენს ჰყავდა ქალიშვილი – ულამაზესი ასლაუგი. მას მამისგან გამჭრიახი ჭკუა და მუსიკის ნიჭი გამოჰყვა, რომელიც, თუმცა ვიოლინოზე არ უკრავდა, ყველაფერში იჩენდა თავს – რა მსუბუქად და თავისუფლად შეეძლო სიარული, საუბარი, ცეკვა, სიმღერა. ხმაც ისევე არაჩვეულებრივად საამო და ნაზი ჰქონდა ამასთან ერთად, როგორც ყველა ჰაუგენს. სწორედ იმ დროს შორეული ქვეყნებიდან მშობლიურ ხუტორში დაბრუნდა ერთი ახალგაზრდა კაცი, იქაური მდიდრის, ტინგვოლდის მესამე ვაჟი. მისი ორი უფროსი ძმა წყალდიდობისას დაიხრჩო და ამიტომაც ხუტორი მას უნდა რგებოდა. იგი ასლაუგს შეხვდა ერთ ქორწილში და გულში ჩაუვარდა იგი. მდიდარი და წარჩინებული მშობლების ვაჟიშვილს რომ ღატაკი მუსიკოსის ქალიშვილი შეერთო, იმხანად გაუგონარი ამბავი იყო! მაგრამ ახალგაზრდამ განაცხადა, რომ სიცოცხლეში ისიც ეყოფა, რაც უცხო ქვეყნებში შეიძინა, და თუ მშობლები ნებას არ დართავენ ასლაუგის შერთვას, იგი ხუტორზეც იტყვის უარს. ბევრი უწინასწარმეტყველებდა,

რომ წინაპრებისა და ხუტორის ასეთი უგულებელყოფის გამო, ღმერთი საკადრისს მიუზღავდა თავის დროზე. ამბობდნენ, რომ ყველაფერი ეს ულე ჰაუგენის ოინებია და თუ იმის დახმარებაც არა, ვისაც ყოველთვის უნდა უფრთხოდნენ ადამიანები, არც არაფერი გამოვიდოდა.

მართლაც, იმ დროს, როცა სასიძოსა და მშობლებს შორის ერთი დაკა-დაკა იყო გამართული, თვით ულე ჰაუგენი შესანიშნავ გუნება-განწყობაზე იყო. და როცა გამარჯვება მიღწეულ იქნა, განაცხადა, რომ უკვე კარგა ხანია მზადა აქვს ახალგაზრდებისთვის საქორწილო მარში და თან ისეთი, რომელიც ამ-იერიდან ყოველი ტინგვოლდისთვის საგვარეულო საქორწილო მარშად უნდა იქცეს. და დაე, თავის თავს დააბრალოს პატარ-ძალმა, თუ იგი ისეთივე მხიარული და ბედნიერი არ გაჰყვება ამ მარშის ჰანგზე ნეფეს ეკლესიაში, როგორც იქ გაემართება ღარიბ-ღატაკი ჰაუგენის ქალიშვილი. როგორც ამბობდნენ, არც ეს ამბავი გამოსულა ავი სულის ჩაურევლად.

ასე გადმოგვცემენ ლეგენდები, რომლებიც დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ყოველგვარ ლეგენდაზე სარწმუნო კი მაინც სიმღერებია, რომლებიც დღემდე შემორჩა იმ ადგილებში. ძველად, რა თქმა უნდა, ისინი გაცილებით მეტი იყო. ამ ფასდაუდებელ საუნჯეთა დაცვასა და შთამომავლებისთვის გადაცემაში თავისი როლი და არცთუ უმნიშვნელო ულე ჰაუგენმაც ითამაშა.

ულე ჰაუგენის საქორწილო მარში, ლეგენდის თანახმად, ყველაზე მხიარული მარში იყო ქვეყნად. და ამიტომაც იყო, უეჭველად, ასე ბედნიერად რომ გამოიყურებოდა ნეფე-დედოფალი, როცა ისინი პირველად მიემართებოდნენ ამ მარშზე ეკლესიაში და გამოდიოდნენ იქიდან ჯვრისწერის შემდეგ. და თუმცა ტინგვოლდთა საგვარეულოდან არც ერთს არ შეეძლო – არც უწინ, არც ახლა – დაეჩივლა, რომ მამაზეციერმა თვალტანადობით გაანაწყენა იგი, ამ წყვილზე უკეთესს, თუ თქმულებას დაეჯერება, მთელს ქვეყანაზე ვერ იპოვნიდით სანთლით.

ახლა კი თქმულებების სამყაროდან უფრო სანდო წყაროებზე გადავიდეთ, რადგან ულე ჰაუგენის სიკვდილთან ერთად თქმულებაც მთავრდება და იწყება ჭეშმარიტი ისტორია. იგი გვიამბობს, რომ საქორწილო მარში არა ჰგავს იმ საგვარეულო ფასეულობებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადაიცემა, მაგრამ არასოდეს არ იხმარება, რადგან ისეთი ადგილი არ იყო მთელს ტინგვალდში – საცხოვრებელი ოთახიდან თავლამდე, სახნავ-სათესიდან მთის საძოვრამდე, – სადაც არ მღეროდნენ მას, არ წამოიყვირებდნენ, არ სტვენდნენ და არ აყოლებდნენ ფლეიტას. ამ მარშის ჰანგზე არწევდნენ და ნანას უმღეროდნენ მშობლები, ძიძები და მოახლე ქალები ერთადერთ მემკვიდრე გოგონას, რომელმაც თვითონაც ლამის აკვნიდან იცოდა იგი ზეპირად. გოგონას ასტრიდი ერქვა. მას წინაპრებიდან დაჰყვა მუსიკის ნიჭი და მალე თვითონაც მშვენივრად მღეროდა ამ საქორწილო მარშს – მისი მშობლების ტრიუმფის მონშეს, მომავალი თაობების ბედნიერებისა და კეთილდღეობის საწინდარს. და, რასაკვირველია, ამის შემდეგ, როცა გაიზარდა, გადაწყვიტა თვითონვე აერჩია გულის სწორი. შესაძლოა, ასტრიდის ხელის მაძიებელთა რიცხვი რამდენადმე გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ასეა თუ ისე, დიდგვაროვანი და მდიდარი მშობლების ქალიშვილი ოცდაოთხისა ხდებოდა და ჯერაც გაუთხოვარი იჯდა.

აი, მაშინ გამოჩნდა, რომ ტყუილუბრალოდ არაფერი ხდება! ისე მოეწყო, რომ რამდენიმე წლის უკან ასტრიდის დედამ ობოლი შეიფარა, თათრის ცქვიტი ბიჭი; თათრული, კაცმა რომ თქვას, არაფერი გააჩნდა მას, მაგრამ ყველანი ასე ეძახდნენ რატომღაც, დედა კი – დედა ხომ საწყენ ზედსახელებსაც არ იშურებდა მისთვის. და ამ დროს მის ყურამდე მივიდა, რომ მისი ღვიძლი ქალიშვილი და ეს ვიგინდარა, – რას არ მოესწრება კაცი, – ჩუმად შეხვდნენ ერთმანეთს მთებში და ჯვარიც დაიწერეს იქ. მერე კი ერთმანეთს იმ საქორწილო მარშს უმღეროდნენ სწორედ, დედოფალი ბელლის სახურავიდან, ნეფე მთის წვერიდან. ჭაბუკი, რა თქმა უნდა, მაშინვე გააგდეს, რადგან სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ არავინ ისე არ ზრუნავს

გვარის სიწმინდეზე, როგორც ღატაკის ქალიშვილი. მაშინ მა-
მამაც გაიხსენა, რაც უწინასწარმეტყველეს მას წინაპართა
კანონების უგულებელყოფისთვის, და თუ ახლაც ვიგინდარა
შეუშვი სახლში, რა ნაყოფს მოიტანს ყველაფერი ეს მომა-
ვალში? ნაკლები სიმკაცრე არც მეზობლებს გამოუჩენიათ ამ
საქმისადმი. თათრის ბიჭმა კი – მისი ნამდვილი სახელი კნუტი
იყო – საქონლით ვაჭრობას მიჰყო ხელი ამასობაში და კარგად
ცნობილი გახდა ოლქში. მან პირველმა მთელს სამრევლოში
და, საერთოდაც, იმ მხარეში ფართო გასაქანი მისცა საქმეს,
ფასები ასწია საქონელზე და ამით ადგილობრივი მოსახლეო-
ბის შემოსავალი გაზარდა. მაგრამ ღრეობები და აყალმაყალი
ყველგან, სადაც კი გაივლიდა იგი, ძვირად უჯდებოდა მას –
ადამიანებს დებოშები ახსოვდათ მხოლოდ და არა სარგებელი,
რაც მათთვის ვაჭრობას მოჰქონდა. და ახლა, როცა ასტრიდს
ოცდასამი წელი შეუსრულდა, ხუტორი ან სხვა მემკვიდრეე-
ბისთვის ან ამ ვიგინდარასთვის უნდა გადაეცათ, რადგანაც
მშობლებმა თავიანთი უთანასწორო ქორწინებით თითქოსდა
დაკარგეს ზნეობრივი ძალა, რომელიც ქალიშვილს მორჩილებას
აიძულებდა. ამრიგად, ასტრიდმა თავისი გაიტანა და ერთ მშ-
ვენიერ დღეს მხიარულსა და მომხიბვლელ კნუტთან ერთად –
სტუმართა უჩვეულოდ გრძელი ამალის თანხლებით – ეკლესია-
ში გაემართა. არც ამჯერად დავიწყნიათ, რა თქმა უნდა, პაპის
უებრო ქმნილება, საგვარეულო საქორწილო მარში, რომელსაც
ახალგაზრდები მხიარულად უწყობდნენ ხმას. და მშობლებიც,
მეზობლების გასაკვირად, ფრიად კმაყოფილები ჩანდნენ. ისინი
ხომ ასე დიდხანს უწევდნენ შეუპოვარ წინააღმდეგობას.

ქორწილის შემდეგ ხუტორი ახალგაზრდების ხელში გა-
დავიდა, მოხუცები კი გამოეყვნენ. მეზობლები საგონებელს
მიეცნენ: როგორ გაართმევდნენ თავს კნუტი და ასტრიდი ამ
უზარმაზარსა და ესოდენ გაოხრებულ მეურნეობას? მაგრამ,
ეს კიდევ არაფერი. კნუტმა ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი მუშა
იქირავა და ისე მნიშვნელოვანი სახსრები დააბანდა საქმეში, ამ
ადგილებში რომ არც გაეგონათ. ყველა გარდაუვალ გაკოტრე-

ბას უქადდა მას. მაგრამ „თათრის ბიჭს“, როგორც კვლავინ-დებურად ეძახდნენ, კვლავაც მხიარულად ეჭირა თავი და, თითქოსდა თავისი განწყობილება ცოლსაც გადასდო. მშობლე-ბიც კმაყოფილები ჩანდნენ. და მაშინ ბოლოს და ბოლოს ყველა მიხვდა, ახალი რა მოიტანა კნუტმა ტინგვოლდში ისეთი, რაც აქამდე არავის გააჩნდა კნუტამდე: ეს იყო ბრუნვის კაპიტალი. გარდა ამისა, ყოფილ საქონლით მოვაჭრეს ყიდვა-გაყიდვაშიც დიდი მარიფათი ჰქონდა და მუშებისა და მსახურთა მხნე და საქმიანი განწყობით დამუხტვის დიდი ნიჭიც. სულ რაღაც თორმეტ წელიწადში ხუტორმა სავსებით იცვალა სახე. გაჩნდა ახალი ნაგებობები, რამდენჯერმე გაიზარდა ინვენტარის რა-ოდენობა და ხარისხი, თვით კნუტი კი, გრძელი სერთუკით, კბილებში გაჩრილი ხვირთქლის ჩიბუხითა და ჭიქით ხელში პასტორის, კაპიტნისა და ლენსმანის კამპანიაში ატარებდა საღამოებს. ასტრიდი ქედს იხრიდა კნუტის ჭკუისა და ნიჭის წინაშე და ყველას უყვებოდა, რომ ახალგაზრდობაში „ეს გაიძ-ვერა“ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აწყობდა ღრეობებს და აყალმაყალს – მისი მღელვარება გამოეწვია. იგი ყველაფერს უჯერებდა მას, მაგრამ არა და არ გაიძრო გლეხის კაბა, რადგანაც სადა შესახედაობა და ჩვეულებები სურდა შეენარ-ჩუნებინა. კნუტი ამაში არ ერეოდა და ისინი წყნარად და მშ-ვიდობიანად ცხოვრობდნენ. კნუტი თავის საქმეებს აკეთებდა, ასტრიდი ყველაფერში ეხმარებოდა. ცხოვრობდნენ უბრალოდ. კნუტი შორსმჭვრეტელი კაცი იყო და კარგად ესმოდა, რომ შენს ირგვლივ რია-რიას არ უნდა ტეხდე და არც ფულს ატანდე ქარს. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ იგი ბევრს იხვეჭდა ბან-ქოს თამაშითა და თამაშის დროს გაბმული კავშირების წყალო-ბით, მაგრამ ყველაფერი ეს, შესაძლოა, არც იყოს მართალი.

ბავშვები ბევრი ჰყავდათ მათ, მაგრამ ჩვენთვის მხოლოდ უფროსის, ენდრიდის, შემდგომი ბედი იქნება საინტერესო. იგი, ხუტორის ერთადერთი მემკვიდრე და ძველი გვარის ღირსეული გამგრძელებელი, ლამაზი ბიჭი იყო, როგორც ყველა მათ ოჯახ-ში, მაგრამ ცოტა თავქარიანი; ნიჭიერ მშობლებს ხშირად ასეთი

შვილები გამოსდით. მამამ თავიდანვე შენიშნა ეს და ნაკლის აღმოფხვრა აღზრდით გადაწყვიტა. სახლში შინა მასწავლებელი გაჩნდა და როცა უფროსი ვაჟი ცოტა წამოიზარდა, იგი ჯერ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიაბარეს, მერე კი საქალაქოში. ენდრიდმა მამის იმედები ვერ გაამართლა, ქალაქმა მასზე გაცილებით ნაკლები გავლენა იქონია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. იგი ისეთივე დაბრუნდა, როგორიც გაემგზავრა – უსიცოცხლო და გონებაშეზღუდული. პირდაპირ რომ ითქვას, მეცნიერებისათვის არ იყო იგი გაჩენილი.

ამ ჭაბუკზე პასტორიცა და კაპიტანიც, რომელთაც ბევრი ქალიშვილი ჰყავდათ, დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ, თუ ისინი მხოლოდ ამიტომ ეპირფერებოდნენ კნუტს ასე, მაშინ მათი გულმოდგინება სავსებით ამაო იყო: მათი ქალიშვილები მაინც ვერ გაართმევდნენ თავს ესოდენ დიდ მეურნეობას. თვით კნუტი იმდენად შორს იყო ამ აზრისგან, რომ საჭიროდაც არ ჩათვალა ვაჟის გაფრთხილება. ამის განსაკუთრებული საჭიროება არც იყო, რადგან ვაჟი სავსებით იზიარებდა მამის შეხედულებებს და ესმოდა, რომ დაქორწინებისთვის არა იმდენად კეთილდღეობასა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც გვარიშვილობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ახალგაზრდა კაცი რამდენადმე წინდაუხედავად მოიქცა ამ საქმეში და მისმა საქციელმა უნდობლობა გამოიწვია მეზობლებს შორის. ამას არც მიაქცევდა კაცი ყურადღებას, მაგრამ ხმები გავრცელდა მდიდარ საცოლეს ეძებსო და ხუტორის მცხოვრებთ ჩუმ-ჩუმად ეცინებოდათ ულვაშებში. ენდრიდი, მართალია, დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სიფხიზლე არ აკლდა და მალე შენიშნა, რომ რაღაც არასასიკეთო ხდებოდა მის თავს. არც ის გამორჩა, რომ საქმეს ვერც მისი ქალაქური სამოსი შველოდა და ვერც მასზე მოარული შეხედულება „თავია ცარიელი“. და რადგანაც ბუნებით არ იყო იგი გაფუჭებული და მალული დაცინვა გულს სტკენდა, ბოლოს და ბოლოს ქალაქურ ჩაცმულობასა და ქალაქურ კილოზეც უარი თქვა და მამას უბრალო მუშასავით ამოუდგა მხარში სამეურნეო საქმეებში. კნუტი კი

შვილზე ადრე მიხვდა ყველაფერს და ცოლს სთხოვა, თავი ისე დაეჭერა, თითქოს განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა. ამიტომ ქორწინების შესახებ არავითარი ლაპარაკი არ ჰქონია შვილთან. იმას კი, ის რომ შეიცვალა, ვერც ვერავინ შენიშნავდა ხუტორში განუწყვეტელი საუბარი რომ არ ჰქონოდათ მამასა და შვილს. მამა უფრო და უფრო ხშირად ეკითხებოდა შვილს რჩევას, მერე თანდათანობით მთელი მეურნეობაც გადააბარა და, როგორც ეტყობოდა, არც ნანობდა.

ასე გადიოდა დრო. შვილი მუყაითად შრომობდა, მამის ქონებისა და საკუთარი გამოცდილების ზრდაში ოცდათერთმეტი წლის გახდა. ამ ხნის მანძილზე მას არათუ კრინტი არ დაუძრავს ქორწინებაზე, არც კი გაუხედია არც ერთი ქალიშვილისკენ, და მშობლები სერიოზულად შეწუხდნენ – ცოლის მოყვანა საბოლოოდ ხომ არ გადაიფიქრაო. როგორც აღმოჩნდა, ეს ასე არ იყო.

მეზობელ ხუტორში მდიდარი და დიდგვაროვანი ადამიანები ცხოვრობდნენ, რომელთა წინაპრები არაერთხელ დაქორწინებულან ტრინგვოლდის ოჯახის წარმომადგენლებზე. ენდრიდი პატარაობიდანვე კარგად ეკიდებოდა მათ ქალიშვილს. ეტყობა, თვალიც ეჭირა მასზე და მისი კონფირმაციიდან ნახევარი წელიც არ იყო გასული, მათი გარიგებაც შედგა. ქალიშვილი ჩვიდმეტის იყო, თვითონ ოცდათერთმეტის. რანდიმ, როგორც მას ეძახდნენ, არ იცოდა, რა პასუხი გაეცა საქმროსთვის და რჩევა მშობლებს ჰკითხა, მაგრამ მათ თვითო მას მიანდეს საკითხის გადაჭრა. მშობლები მას გვარიან ახალგაზრდად თვლიდნენ, ხოლო, რაც შეეხება სიმდიდრესა და დიდგვაროვნობას, უკეთეს საქმროზე ვერც იოცნებებდა კაცი. რანდი ხედავდა, რომ მშობლებს არაფერი ჰქონდათ ამ ქორწინების საწინააღმდეგო და უნდოდათ, რომ დათანხმებოდა მას, მან კი არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამიტომ მან გადაწყვიტა რჩევა ენდრიდის დედისთვის ეკითხა, რადგანაც ყოველთვის პატივს სცემდა მას. რანდის ეგონა, რომ მან უკვე იცოდა ამის შესახებ და ძალიან გაუკვირდა, როცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო. სიახლე რომ

გაიგო, ასტრიდს ძალიან გაუხარდა და დაყოლიება დაუწყო რანდის. „მე დაგეხმარები შენ მეურნეობაში, – უთხრა მან. – არც ჩვენს წილს მოვითხოვთ მე და კნუტი გასვლისას, ჩვენ ისედაც გვაქვს ჩვენი სამყოფი, ვის გაუხარდება შვილები იმის მოლოდინში იყვნენ, სანამ გაგძვრება სული. ჩვენ ყველაფერს გითმობთ თქვენ, ის აუცილებელი კი, რასაც დავიტოვებთ ჩვენთვის, არ ვიქნებით და ისიც თქვენ დაგრჩებათ. მშვიდად იყავი, არაფერს გაგიჭირვებთ". რანდიმ ხომ ადრეც იცოდა, რომ კნუტი და ასტრიდი კარგი ხალხია. „მისი ვაჟი კი ასეთი კეთილი და გონებადამჯდარია", – განაგრძობდა დაყოლიებას ასტრიდი. ეს ხომ რანდიმაც იცოდა რა ხანია. ენდრიდზე სადარდებელი არაფერი ჰქონდა. ახლა ყველაფერი მასზე იყო დამოკიდებული.

საქმე რამდენიმე დღეში მოკვარახჭინდა. ენდრიდიც კმაყოფილი იყო და მშობლებიც. ოჯახი დარბაისლური გამოდგა, ქალიშვილი კი ისეთი ლამაზი და ჭკვიანი იყო, მეორე ასეთ პატარძალს სანთლით ვერ იპოვიდი მთელს სამრევლოში. ქორწილის გადახდა ორივე მხარემ ზაფხულის ბოლოსთვის დათქვა. არ იყო საჭირო საქმის გაჭიანურება.

მაგრამ მეზობლებმა სულ სხვაგვარად აღიქვეს სიახლე. ყველა ერთი აზრისა იყო: ლამაზი ქალიშვილი „თავს ყიდის". იგი ხომ ისე ახალგაზრდაა კიდევ, რომ წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რა არის გათხოვება. ზოგიერთმა რამ ამ მითქმა-მოთქმიდან რანდიმდეც მიაღწია, მაგრამ ენდრიდი ისეთი ნაზი იყო და ისე მორჩილად და მოკრძალებით ეჭირა თავი მასთან, რომ მიცემული სიტყვის გატეხვა ვერ გაბედა, თუმცა საქმროსადმი დამოკიდებულებაში ცოტათი ცივი გახდა. სასიძოსა და სარძლოს მშობლებამდე აღწევდა ეს ხმები, რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მათ და თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს ყველაფერი კარგად იყო.

ყოველგვარი მითქმა-მოთქმისთვის ბოლო რომ მოეღოთ, გადაწყვიტეს ჩიტის რძე არ დაჰკლებოდა ქორწილს. რანდის ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. გადაწყვიტეს მიეწვიათ ყველა შინაური, კნუტის მეგობრები – ლენსმანი, კაპიტანი, პას-

ტორი, ზოგიერთ მათგანს კი ეკლესიისკენ განესებული საქორწილო პროცესიაში მონაწილეობის პატივიც ერგო. მუსიკოსების მიწვევა კნუტს არ უნდოდა, ეს ძველმოდური, სოფლური იქნებოდა. ასტრიდს კი საქორწილო პროცესია მუსიკოსებისა და საგვარეულო საქორწილო მარშის გარეშე ვერ წარმოედგინა. თუკი თვით მათ ამ მარშმა ამდენი ბედნიერება მოუტანა, რატომ არ უნდა დაეკრათ იგი ძვირფასი შვილების ჯვრისწერის დღეს. კნუტი პოეზიასა და საერთოდ მსგავს საქმეებში სუსტად ერკვეოდა და ამიტომ ამ საკითხის გადაჭრა ცოლს მიანდო. სარძლოს მშობლებს აცნობეს, რომ მუსიკოსების მიწვევა საჭირო იყო. და აი, ძველ საქორწილო მარშს, რომელიც უქმად რჩებოდა ტინგვოლდის ნაშიერთა უსიმღეროდ ჯაფის წლებში, კვლავაც უნდა შეესრულებინა თავისი მისია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქორწილის დღეს თავსხმა წვიმა წამოვიდა და მუსიკოსებს, დაუკრეს რა საქორწილო მარში პატარძლის სახლში, თითქმის მთელ გზაზე არ ამოუღიათ ვიოლინოები ფუტლარებიდან და მხოლოდ ეკლესიასთან მიახლოებისას, ზარების რეკვა რომ მოისმა, დაუკრეს ისევ. და სანამ ისინი, ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულნი, თავის ვიოლინოებს აწრიპინებდნენ, მსახური დიდი ქოლგით ადგა მათ თავს. ასეთ ამინდში არც მარშის ჟღერადობასა და არც საქორწილო პროცესიას ჰქონდა სათანადო ხიბლი. საქმროს ქუდის ნაცვლად, რომელიც მუხლებთან ეჭირა, უბრალო ქვაბურა დაეხურა, მოხდენილ კოსტიუმს კი ტყავის ქურთუკი უფარავდა. ხელში დიდი ქოლგა ეჭირა პატარძლის თავზე, ამ უკანასკნელს კი საქორწილო კაბაზე იმდენი შალი ჰქონდა შემოხვეული, ნესტიანი ბულული გეგონებოდათ. დანარჩენი საზიდავებით ერთიანად გალუმპული მამაკაცები და შალმოხვეული ქალები მიჰყვებოდნენ; სახეების გარჩევა ხომ მთლად შეუძლებელი იყო და ისე ჩანდა, ადამიანების ნაცვლად, საზიდავები უთავბოლოდ დაყრილი ფუთების მოჯადოებული მსვლელობა ყოფილიყო. დიდებული ქორწილის სანახავად შეჯგუფულ მრევლს ამის დანახვისას ჯერ დამცინავმა ქირქილმა გადაურბინა რიდით,

მერე, ყოველი ახალი საზიდავის გამოჩენისას ხმაურმა იმატა და მოსეირეები სიცილმა მოიცვა. ბოლოს და ბოლოს საქორწილო პროცესია მიადგა სახლს, სადაც სტუმრებს ეკლესიაში შესვლის წინ ცოტათი მაინც უნდა მოეყვანათ თავი წესრიგში. და აი, თივიან მაზიდაზე, ზედა პარმაღთან, ყველამ დაინახა მედუქნე, სოფლის მასხარა ასლაკი. პატარძლის დანახვაზე, რომელსაც საზიდავდან ჩამოსვლისას ეშველებოდნენ, მასხარამ არც აცია, არც აცხელა და იყვირა:

– ეშმაკის კერძი ვიყო, ხა-ხა. თუ ულე ჰაუგენის საქორწილო მარში დღეს როგორც სამგლოვიარო არ ჟღერდეს!

მეტი არაფერი უთქვამს მას, მაგრამ ესეც საკმარისი იყო. ხალხმა ჩაიფხუკუნა და რაც უფრო მეტს ცდილობდა სიცილის შეკავებას, მით უფრო ნათვლად ესმოდა თითოეულს, თუ რაზე ფიქრობდნენ დანარჩენები.

პატარძალს შალები რომ მოხადეს, ყველამ დაინახა, რაოდენ წასვლოდა ფერი. მას უცებ ცრემლები წასკდა, შეეცადა გაღიმებას, უფრო გულამოსკვნით აქვითინდა და უცებ – თითქოსდა რაღაც ხუშტურმა წამოუარა – განაცხადა, რომ იგი არაფრით არ წავა ეკლესიაში! ხალხი საშინლად აწრიალდა. ქალიშვილი უნუგეშოდ ქვითინებდა. იგი მეზობელ ოთახში გაიყვანეს და ტახტზე დააწვინეს. ქალიშვილი თავთან მდგომ მშობლებს შეევედრა, უფლება მიეცათ მისთვის არ წასულიყო ეკლესიაში. მათი აზრით, მას სრული უფლება ჰქონდა მოქცეულიყო ისე, როგორც მას ენება. მისი თვალები მოულოდნელად ენდრიდის თვალებს წააწყდა. იგი გაოცდა, საქმროს სასიცოცხლო არაფერი ეცხო. სასოწარკვეთილს გვერდით ენაჩავარდნილი ასტრიდი ედგა, ერთიანად გაქვავებული. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე და უიმედოდ მიშტერებოდა მას. ქალიშვილი ოდნავ წამოიწია, გაჭირვებით შეიკავა სლუკუნი, წაილუღლუღა:

– კარგი, წავალ ეკლესიაში.

უღონოდ მიწვა ისე, ერთიც წაიტირა და ცოტა ხნის შემდეგ ადგა. მან თქვა, რომ არავითარი მუსიკა არ არის საჭირო. მისი

სურვილი შესრულებულ იქნა. მუსიკოსები გაისტუმრეს. ისინი უხმოდ გავიდნენ, მაგრამ ხალხს შეერეოდნენ და კვლავაც შეინარჩუნებდნენ თავდაჭერილობას, ამის იმედი კი არავის ჰქონდა.

მაინც რა საცოდავად გამოიყურებოდა საქორწილო პროცესია, რომელიც ეკლესიისაკენ მიეშურებოდა ახლა! წვიმის გამო ნეფე-დედოფალს ეკლესიის კარამდე არ აუღიათ თავი, მაგრამ მრევლის ცნობისმოყვარე მზერას ისე მტკივნეულად განიცდიდნენ, როგორც განსასჯელნი მწყობრში გატარებისას როზგს. არც მათი თანმხლები სტუმრების გრძელი ასაბია გრძნობდა თავს უკეთესად.

სახელგანთქმული ულე ჰაუგენის ნეშტი ზედ ეკლესიის შესასვლელთან ესვენა. მისი მოვლა საგანგებოდ არავის ევალებოდა, მაგრამ, თითქოსდა უსიტყვო შეთანხმების თანახმად ყოველთვის მოწესრიგებული იყო. ძველი ჯვარი რომ დალპა, რომელიღაც ნათესავმა იგი ახლით შეცვალა. ამასთან, ჯვრის ფორმა ისეთივე იყო, როგორიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში აირჩია თვით ულე ჰაუგენმა. მზით გაჩახჩახებულ საფლავზე უამრავი მინდვრის ყვავილი ხარობდა. ყველამ, ვინც ერთხელ მაინც იყო აქ ნამყოფი, იცოდა გასაოცარი ამბავი ერთი მეცნიერის შესახებ, რომელმაც ამ ადგილებში იშვიათი მცენარეებისა და ბალახების შეგროვებისას, ულე ჰაუგენის საფლავზე ერთი სრულიად განსხვავებული სახესხვაობა აღმოაჩინა. ადგილობრივი მაცხოვრებელი, რომელიც ჩვეულებრივ აგდებულად ეპყრობა ყოველგვარი ჯიშის „სარეველა ბალახს“, ამ ყვავილების ნახვისას ახლა რაღაც განსაკუთრებულ სიამაყეს, თავისებურ მოწიწებას გრძნობდა. ზოგიერთი ყვავილი კი მართლაცდა გასაოცრად მშვენიერი იყო. როგორც კი ნეფე-პატარძალი საფლავს გაუსწორდა, ენდრიდმა, ხელმკლავით რომ მიჰყავდა რანდი, იგრძნო, რომ საცოლეს ხელი აუკანკალდა, მერე მწარე ცრემლები წასკდა და, როცა ეკლესიაში შეიყვანეს და სკამზე დასვეს, მაშინაც ვერ დამშვიდდა. არავის ახსოვდა, რომ რომელიმე პატარძალი ასე შესულიყო ეკლესიაში.

ეკლესიაში სკამზე ჯდომისას მან იგრძნო, რომ მთელი თავისი შესახედაობით იგი ერთხელ კიდევ ადასტურებდა მითქმა-მოთქმას, რომ იგი „თავს ყიდის“. მშობლები რომ არ შეერცხვინა, რომლებიც გვერდით ედგნენ, შეეცადა თავს მორეოდა და ცრემლები შეეკავებინა. თითქოსდა მოახერხა კიდეც, მაგრამ ჯვრისწერისას პასტორის ზოგიერთმა სიტყვამ კელავ მოაგონა მას იმდღევანდელი ფათერაკები და იგი ისევ აქვითინდა. დროდადრო მას ეჩვენებოდა, რომ ამიერიდან იგი ვერასოდეს გაუსწორებს თვალს მშობლებსა და ნაცნობებს.

მთელი დღე ვერა და ვერ დამშვიდდა. საკმარისია ითქვას, რომ საქორწილო სადილზე სრულიადაც არ გამოჩენილა იგი, ვახშამზე კი, როცა ფერებ-ფერებითა და მუქარით აიძულებს იგი დამჯდარიყო მაგიდასთან, ყველას გუნება გაუფუჭა თავისი შესახედაობით და იძულებულნი გახდნენ გაეყვანათ. ქორწილი, რამდენიმე დღიან ზეიმად რომ იგეგმებოდა, იმ საღამოსვე დამთავრდა. „პატარძალი ავად გახდა“, – განუცხადეს სტუმრებს.

მიუხედავად იმისა, რომ სტუმართა და შინაურთაგან არავის სჯეროდა ამის, ეს სიმართლე იყო. რანდიმ ქორწილის შემდეგ კარგა ხანს იავადმყოფა და საბოლოოდ ვერ გამოჯანმრთელდა მაინც. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ პირველი ბავშვი სუსტი დაიბადა. მშობლები, დამნაშავედ გრძნობდნენ რა თავს მის ნინაშე, სავსებით გასაგებია, თავს დაჰკანკალებდნენ ჩვილს. ისინი წუთითაც არ იცილებდნენ ბავშვს, თავი ანებეს ეკლესიაში სიარულს, ერიდებოდნენ ხალხს. ორი წელი დაჰხაროდნენ ისინი თავიანთ პირმშოს. ბავშვი გარდაიცვალა.

პირველი აზრი, რამაც გააოგნა ისინი ბავშვის სიკვდილის შემდეგ, ის იყო, რომ მათ ზედმეტად უყვარდათ იგი და ამიტომაც დაკარგეს. და როცა მალე მეორე ბიჭი გაუჩნდათ, ისინი უკვე ველარ ბედავდნენ აშკარად გამოეხატათ თავიანთი გრძნობები. ბავშვი, რომელიც პირველივით სუსტი დაიბადა, თანდათან მომაგრდა და ისეთი სასაცილო და ცოცხალი გახდა, რომ მშობლებმა ხელი აიღეს თავიანთ აღთქმაზე. ბავშვის გარდა არაფერი ახსოვდათ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ განგებამ არ ინება მოვლენათა ასეთი განვითარება. გახდა ორი წლის ბავშვი და ისიც გარდაიცვალა.

არიან ადამიანები, რომლებიც ბედით თითქოსდა მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვა-წვალებისათვის არიან განწირულნი. და რა უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, ყველაზე მეტი სატანჯველი იმათ წილად მოდის, რომლებიც ყველაზე ნაკლებად იმსახურებენ ამას, რომელთაც შეუძლიათ მორჩილება და რწმენაში ნუგეშის პოვნა. ცოლ-ქმარი ყოველთვის თაყვანს სცემდა ღმერთს, ახლა კი მთელი მათი გულისთქმა მას მიემართებოდა მხოლოდ. ტინგვოლდში, სადაც ცხოვრება აუჩქარებლად და მშვიდად მიედინებოდა ადრეც, ახლა ისეთი სიწყნარე სუფევდა, როგორც ეკლესიაში პასტორის გამოსვლის წინ. ცოლ-ქმარი წინანდებურადვე მუყაითად განაგრძობდნენ შრომას, შესვენებისას კი კაეშნით მოცულ სიმარტოვეს ეძლეოდნენ; ეს იყო ძვირფას სულებთან შეხვედრს ჟამი. გოგონას დაბადებას, რომელიც მალე მოჰყვა მეორე ბიჭის გარდაცვალებას, განსაკუთრებული ცვლილებები არ გამოუწვევია მათ ცხოვრებაში. პირველი ორი ბიჭები იყვნენ და გოგონას მათი შეცვლა არ შეეძლო. გარდა ამისა, მათ არ იცოდნენ, შერჩებოდათ თუ არა იგი. მაგრამ ის, რომ რანდი ბოლო ხანებში, მეორე ბიჭის სიკვდილამდე, მხიარულად და ჯანმრთელად იყო, ეს, როგორც ჩანს, ქალიშვილს წაადგა. გოგონა, დედასავით ლამაზი, არაჩვეულებრივად მკვირცხლი და საზრიანი გამოვიდა. საცოდავ წყვილს კვლავ ცდუნება მოუვლინა ზეცამ. მათ ვერ გაებედათ ვერც იმედის ქონა და ვერც თავისი სიხარულის გამოვლენა, სანამ არ გავიდოდა ავბედითი ორი წელი, და როცა ეს ვადა ამოიწურა, ეს მხოლოდ გადავადებად მოეჩვენათ. ვერ გაებედათ დაეჯერებინათ, რომ ბავშვი ცოცხალი დარჩებოდა.

მოხუცთ თავი შორს ეჭირათ, ზედმეტი იქნებოდა ახალგაზრდებისთვის ნუგეშის ცემა. თანაც მხიარულსა და გულღია კნუტს არ შეეძლო ხანგრძლივად მისცემოდა სევდას და სრულიადაც არ აპირებდა განუწყვეტელ ლოცვებში ეტარებინა დრო. ამიტომაც იყო, რომ მან პატარა ხუტორში გადას-

ვლა ამჯობინა, რომელიც ადრე იჯარით ჰქონდა გაცემული. იქ თავდაუზოგავად გაისარჯა და ისე ლამაზად და მყუდროდ მოაწყო ყველაფერი ძვირფასი მეუღლისთვის, რომ, ასტრიდი, – მიუხედავად იმისა, რომ ტინგვოლდის დატოვება მეტისმეტად ენანებოდა, – მასთან ერთად გადავიდა იქ. თანაც მხიარულ კნუტთან ერთად ყოფნა გაცილებით ერჩივნა მას ახალგაზრდების კომპანიაში ცრემლთა ღვრას.

ერთხელ ასტრიდი რძალს ესტუმრა, პატარა მილდრიდი ნახა და შენიშნა, რომ საწყალი ბავშვი უპატრონოდაა მიგდებული, დედას მისი ხელის ხლებაც არ უნდა. მოგვიანებით კი, როცა შვილი ნახა, ასტრიდმა შენიშნა, რომ ისიც როგორღაც უცნაურად, მოწყენილად და თავშეკავებით ეპყრობა ერთადერთ ქალიშვილს. იქ, რა თქმა უნდა, ხმა არ ამოუღია მას, მაგრამ სამაგიეროდ, როცა შინ დაბრუნდა, ყველაფერი პირწმინდად ჩაუკაკლა კნუტს. ისინი აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ შინ. ვინ თუ არა ბებია-ბაბუამ უნდა გაზარდონ პატარა მილდრიდი, ასეთი საყვარელი და ცუგრუმელა. გოგონასადმი მისმა გულისხმიერებამ გული აუჩვილა კნუტს, მოხუცები აიბარგნენ და ისევ ძველ სახლში გადავიდნენ.

ბებია-ბაბუა უფრო და უფრო ეჩვეოდა შვილიშვილს და ამით მშობლებსაც გულს უბრუნებდნენ მისკენ, მაგრამ რაც ხუთი წლის შემდეგ მეორე გოგოც გაუჩნდათ – ბერეტი, პატარა მილდრიდი მოხუცებთან ატარებდა მთელ დროს.

მწუხარებით გულმოკლულ მშობლებს კვლავ დაუბრუნდათ სიცოცხლის რწმენა. ამას არცთუ მცირედ შეუწყო ხელი იმანაც, რომ გარშემო მყოფთაც სასიკეთოდ იბრუნეს მათკენ პირი. ყველამ იცოდა, რა დარტყმაც იყო მათთვის მეორე ბავშვის სიკვდილი, მაგრამ ისინი არ უჩიოდნენ ბედს და არ ბუზღუნებდნენ: ცდილობდნენ თავისი მწუხარება სხვებისთვის დაემალათ. მოჯამაგირეებიცა და მსახურებიც, წლობით რომ იყვნენ შეკედლებულნი მათ, ნათლად ხედავდნენ პატრონების წესიერებასა და ღვთისმოსაობას. ამის შედეგებმაც არ დაახანა. ნათესავებმა და ნაცნობებმა მოუხშირეს ტინგვოლდში სტუმ-

რობას და თუმცა რანდი და ენდრიდი საპასუხო ვიზიტებზე არ დადიოდნენ, სახლს სტუმარი არ აკლდა.

ეკლესიაში კი ცოლ-ქმარი ერთხელაც არ ყოფილა ქორწილის შემდეგ. სახლში ლოცულობდნენ და სახლში ეზიარებოდნენ. ახლა კი, როცა ბერეტი დაიბადა, მათ გადაწყვიტეს თვითონვე მოენათლათ იგი და ესოდენ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად გაემართნენ ეკლესიაში. მათ მოინახულეს თავიანთი შვილების საფლავები, უხმოდ ჩაუარეს ულე ჰაუგენის განსასვენებელს; მრევლიც უდიდესი პატივისცემით შეხვდა. ისინი კვლავ ჩუმი და ჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

ერთხელ კი ისე მოხდა, რომ პატარა მილდრიდმა, ახლოს რომ ეჯდა ბებიას, საქორწილო მარში წაიღიღინა. ასტრიდს საშინლად შეეშინდა, მაშინვე გვერდზე გადადო საქსოვი და გამოკითხვა დაუწყო გოგონას, სად ისწავლა ეს სიმღერა. გოგონამ მიუგო, რომ თვითონ მისგან ისწავლა.

კნუტმა, მათთან ერთად რომ იჯდა, ხმამაღლა გადაიხარხარა: ვინ, ვინ, მაგრამ მან ხომ იცოდა, რომ მუშაობის დროს ასტრიდს ჩვეულებად ჰქონდა ამ მარშის სიმღერა. მოხუცებმა დაარიგეს მილდრიდი, რომ მშობლების თანდასწრებით ეს მარში არ ემღერა. გოგონამ, რა თქმა უნდა, იკითხა: რატომ? მაგრამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო. მერე კი, ერთხელაც, საღამო ხანს, მოესმა – ახალი მწყემსი, შეშის პობისას, ამავე მარშს მღეროდა. მომხდარის შესახებ გოგონამ ბებიას უამბო, რომელსაც უკვე გაგონილი ჰქონდეს ეს.

– არა, ამ ჯეელს, ვატყობ, არ უნერია აქ სიბერემდე დარჩენა, – ესღა თქვა მან. მწყემსს მეორე დღესვე გაუსწორეს ანგარიში. რისი გულისთვის, არც უთხრეს. უბრალოდ ფული გადაუხადეს და გაისტუმრეს.

აქ კი მილდრიდი ბებიას შეუჩნდა და მანამ არ მოეშვა, სანამ თავიდან ბოლომდე არ დააღერღინა საქორწილო მარშის მთელი ისტორია. რვა წლის ნამცეცა თითქმის ყველაფერს მიხვდა, ხოლო რაც ბუნდოვანი იყო, როცა წამოიზარდა, მაშინ გაიგო.

ამ ამბავმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ბევრად განაპირობა მშობლებისადმი მისი დამოკიდებულება.

ბავშვები საოცრად ადვილად ითვისებენ და ყოველთვის თანაუგრძნობენ სხვის მწუხარებას. მილდრიდი სულ პატარა მიხვდა, რომ მშობლებთან ჩუმად უნდა ეჭიროს თავი. ამის შესრულება სრულიადაც არ იყო ძნელი. მისი მშობლები ისე უწყინარნი იყვნენ, ისეთი სევდითა და გულში ჩამწვდომად უამბობდნენ მას ბავშვების დიად, ზეციურ მეგობარზე, რომ მთელი ოთახი იცვლიდა ელფერს და ციალს იწყებდა. საქორწილო მარშის ისტორიამ მილდრიდი მიახვედრა, თუ რა დიდი უბედურების წვნევა მოუხდათ მის მშობლებს. მათში რომ მწარე მოგონებები არ გაეღვიძებინა, გოგონა თავდაჭერით, მაგრამ გულწრფელად უჩვენებდა მათ თავის მხურვალე სიყვარულს, ეზიარებოდა მათ ღვთისმოსაობას, სამართლიანობას, თვინიერებასა და შრომისმოყვარეობას. ბერეტი იზრდებოდა და ისიც იგივეს სწავლობდა.

ბებიისა და ბაბუის ოთახებში ბავშვებს გაცილებით მეტი თავისუფლება ეძლეოდათ, ვიდრე მშობლებთან. მათთან შეიძლებოდა ცეკვა, თამაში, სიმღერა და ზღაპრების მოყოლა. ასე იზრდებოდნენ დები, ასე იყოფოდა დრო მშობლიურ სახლში სევდიანი ყოფითა და მოხუცთა ოთახებში მხიარულებით, მაგრამ თავიანთ სიყვარულს როგორც მშობლების, ისე ბებია-ბაბუის მიმართ ისე სათუთად ავლენდნენ ისინი, რომ მშობლები ხშირად თვითონვე აგზავნიდნენ მათ ბებიასა და ბაბუასთან „გასახალისებლად“, მოხუცები კი, თავის მხრივ არანაკლებ ხშირად უკანვე აბრუნებდნენ მათ და ახსენებდნენ, რომ ჩუმად და „ჭკუით“ ყოფილიყვნენ.

როცა ქალიშვილი, რომლის ასაკიც თორმეტსა და თექვსმეტ წლებს შორის მერყეობს, თავის საიდუმლოებას უმცროს დას უმხელს, უკანასკნელი უსაზღვრო ერთგულებით პასუხობს მას. უმცროსი, მართალია, რამდენადმე ნაადრევად ვითარდება ამ დროს, მაგრამ უფროსიც ბევრს იგებს ამ მეგობრობით. ბებიისა და ბაბუის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა

ხედავდნენ, რა შემწყნარებელი, თავაზიანი, მომთმენი და გულისხმიერი ხდებოდა მილდრიდი.

მაგრამ წყნარი და მშვიდი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა ტრინგვოლდში. უფროსი შვილიშვილი თხუთმეტის არც იყო ჯერ, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა კნუტი. რა უეცრად მოხდა მაინც ეს ყველაფერი. სულ ახლახან აქ იჯდა იგი და ხუმრობდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი უკვე სიკვდილის სარეცელზე ესვენა.

მას შემდეგ ასტრიდის ერთადერთ სიხარულს შეადგენდა – თავის ფეხებთან მერხზე დაესვა მილდრიდი და გაუთავებლად ეამბა მისთვის გარდაცვლილის შესახებ ან ესმინა, როგორ უმღეროდა მას შვილიშვილი საქორწილო მარშს. და მარშის ამ ბგერებთან ერთად კნუტი კვლავაც ცოცხლდებოდა მის თვალწინ, ისეთი ვაჟკაცური და ომახიანი, როგორსაც ბავშვობიდანვე იცნობდა იგი. ამ მარშის ხმებში მას კვლავაც თვალწინ ედგა ახალგაზრდა მწყემსი და იმ დღეს იგონებდა, როცა მან პირველად წაიყვანა იგი ეკლესიაში. ცოცხალივით ედგა იგი თვალწინ, ჭკვიანი და მხიარული!

და საქორწილო მარშიც ახლებურად აჟღერდა ახლა მილდრიდისთვისაც. „დადგება დღე, როცა ჩემთვისაც დაუკრავენ ამ მარშს?“ – ეკითხებოდა თავის თავს იგი, ბებიასთან მჯდომი.

და ეს კითხვა, წამოიჭრა რა ერთხელ, მოსვენებას უკარგავდა მას. საქორწილო მარში გაბრდღვიალებულ მყოფადს უქადდა თექვსმეტი წლის ქალწულს, იგი თავის თავს ბრწყინვალე საქორწილო კაბით მოსილს ხედავდა უკვე და უფრო და უფრო ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს: „როდის, ბოლოს და ბოლოს როდის დადგება ეს დღე? ნუთუ ამ მარშის ჰანგებქვეშ წამიყვანენ მეც ეკლესიაში ოდესმე და დედ-მამაც უკან გამომყვება? ჩავუვლით ხალხს, რომელიც ამჯერად ვეღარ გაბედავს სიცილს. მე ჩავუვლი ულე ჰაუგენის აყვავებულ საფლავს და არ ვიტირებ, როგორც დედა. მხიარული წარვუდგები პასტორს! ნუთუ მიწერია ასეთი სიხარული მივანიჭო ჩემს უბედურ მშობლებს?!“

ეს ოცნება პირველი იყო, რომელიც მან დაუმალა ბერეტს. დღითი დღე ეს ოცნებები უფრო შორსა და შორს იტაცებდნენ. ბერეტი, რომელიც უკვე მეთორმეტე წელში გადადგა, უფრო და უფრო მარტოხელად გრძნობდა თავს, თუმცა ჯერაც ვერ გაეგო, რომ ვიღაც სხვა უკვე დაეუფლა მის კუთვნილს. მისი მეტოქე მეზობელ ხუტორში მცხოვრები ბიძაშვილი აღმოჩნდა, თვრამეტი წლის ახლახან დანიშნული ინგა. დაინახავდა თუ არა ახლა ქალიშვილებს ბერეტი ერთად, გაიგონებდა თუ არა მათ ჩურჩულსა და სიცილს, ისე გატანჯავდა ეჭვი, რომ მზად იყო მინაზე დავარდნილიყო და ეტირა.

მილდრიდი ამასობაში კონფირმაციისათვის ემზადებოდა. პასტორთან იგი ბევრ თანატოლს გაეცნო და ზოგიერთი მათგანი ტინგვოლდშიც აკითხავდა კვირაობით, სადაც ისინი მეტწილად ჰაერზე ატარებდნენ დროს ან ბებიის ოთახებში. ტინგვოლდი ყმაწვილკაცებსაც იზიდავდა, მაგრამ იქ მხოლოდ ის ჩადიოდა, ვინც ყველაზე თავმდაბლად და მოკრძალებით იქცეოდა, რადგანაც მილდრიდის გარკვეული თავდაჭერილობა მხიარულებსა და ხუმარებს აფრთხობდა.

იმხანად ახალგაზრდობას სიმღერა იტაცებდა. სიმღერა იმ მხარეშიც უყვარდათ და ახალგაზრდებს შორის სრულიად კანონზომიერად მომრავლდნენ მომღერლები და პოეტები. და აი, საოცარი დამთხვევა: მათგან ყველაზე ნიჭიერთა შორის აღმოჩნდა ულე ჰაუგენის შვილიშვილი.

ასეთ ხალხში, რომლის ყოველ წევრს ოდესღაც, თუნდაც საუკუნის უკან, სიმღერის შეთხზვა შეეძლო და მათში თავის სულსა და გულს სდებდა, სიმღერის სიყვარული არასდროს კვდება, იგი შეიძლება მიყუჩდეს მხოლოდ, მაგრამ დგება დრო და მისი ხელახალი აღორძინებაც იწყება. იმ ადგილებში, სადაც ულე ჰაუგენი ცხოვრობდა, სიმღერა ყოველთვის საყვარელი ხელობა იყო და შემთხვევითი არ არის, რომ სიმღერა მასაც უყვარდა. ახლა კი მისი საქმის განმგრძობად მისი შვილიშვილი მოგვევლინა. საქმე იმაშია, რომ ულე ჰაუგენის უმცროსი ვაჟი მაშინ გაჩნდა ამქვეყნად, როცა მისი ქალიშვილი ასლაუგი უკვე

გათხოვილი იყო და მან მონათლა კიდეც თავისი უმცროსი ძმა. ულე ჰაუგენის ამ უმცროსმა ვაჟმა ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო პატარა ხუტორი მთებში და უკვე ხანში შესული ბოლოს და ბოლოს დაოჯახდა. შვილები მას ბევრი გაუჩნდა და აი, მის ვაჟიშვილთაგან ერთს, სახელად ჰანსს, პაპის ნიჭი დაჰყვა და თუ ვიოლინოზე დაკვრით არა, ძველი სიმღერების შესრულებითა და თანაც ახლების შექმნით სახელი გაითქვა. მისი სახელი იმიტომაც მოედო ქვეყანას, რომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ ადგილებში ცხოვრობდა, აქაურ მცხოვრებთაგან ცოტა თუ იცნობდა მას და, ბევრს, მართალი თუ გინდათ, თვალითაც არ ენახა იგი. მათი ხუტორი სხვა ხუტორებისგან დაშორებით, მთებში მდებარეობდა და მამამისი, რაც იქ დაესახლა, თავგადაკლულ მონადირედ იქცა. მას ჯერაც ყმაწვილები დაჰყავდა თავისი ვაჟიშვილები სანადიროდ, ასწავლიდა მათ თოფის გატენას, მიზანში ამოღებასა და სროლას და კმაყოფილებას არ მალავდა, თუკი ბიჭები თავიანთი ნადირობით ამართლებდნენ მათ მიერ გახარჯულ დენთსა და საფანტს. მაგრამ სხვისი ველარაფრის სწავლება ველარ მოასწრო. მალე მათ დედაც მიჰყვა და ამიტომაც შვილებს ლუკმაპურის შოვნაზე ზრუნვა თვითონვე მოუხდათ. ბიჭებმა ნადირობას მოჰკიდეს ხელი, გოგოებმა – მეურნეობას. მათი გამოჩენა ველში ყოველთვის დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა, მაგრამ დაბლა იშვიათად თუ ჩამოდიოდნენ ისინი – მხოლოდღა ნანადირევი ფრინველის გასასაღებლად და საყიდლის შესაძენად, რადგან ზამთრობით გზები იკეტებოდა, ზაფხულობით კი მოაგარაკეებზე ზრუნვას ვერ აუდიოდნენ. ხეტორისა და მისი შემოგარენის მთის სუფთა ჰაერი ფრიად სამკურნალო თვისებებისა აღმოჩნდა და ზაფხულობით უამრავი ავადმყოფი ჩადიოდა როგორც ქალაქებიდან, ისე საზღვარგარეთიდანაც კი. რამდენ ახალ სახლს არ აშენებდნენ, თავისუფალი ოთახები მაინც არასოდეს რჩებოდა. ამის წყალობით და-ძმებმა თანდათანობით დააღწიეს თავი სიდუხჭირეს და გარკვეულ კეთილდღეობასაც კი მიაღწიეს. ჩამოსულებთან ურთიერთობას გარკვეული

სარგებლობა მოჰქონდა მათთვის: მათ რამდენიმე უცხო ენაც კი იცოდნენ. ჰანსმა რამდენიმე წლის წინ მთელი ხუტორი შეიყიდა თავისი ძმებისა და დებისგან, ასე რომ, ყველაფერი ეს მხოლოდ მას ეკუთვნოდა ახლა. იმ დროს გი ოცდაშვიდი წლის იყო.

ტინგვოლდში არც ერთ ჰაუგენს არასოდეს დაუდგამს ფეხი. ენდრიდი და რანდი, რა თქმა უნდა, კარს არ უკეტავდნენ მათ, მართალია, მაგრამ არც ნათესაობის შესანარჩუნებლად იღვწოდნენ: ჰაუგენთა სახელის ხსენება და საქორწილო მარშის გაგონება მათთვის ერთნაირად აუტანელი იყო. ეს შემთხვევით გაიგო მოხუცმა ჰაუგენმა, და ჰანსმა, ასევე რომ იცოდა მანაც, თავის ძმებსა და დებს მდიდარ სანათესაოსთან ნაცნობობის გაბმა აუკრძალა. მაგრამ ტინგვოლდის ახალგაზრდები, სიმღერებით გატაცებულნი, ოცნებობდნენ გაეცნოთ ჰანსი – მისადმი მშობლები დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ. იმ ქალიშვილებს შორის, რომლებიც მილდრიდთან იკრიბებოდნენ კვირაობით, თუ ვინმეზე იყო ლაპარაკი – ჰანს ჰაუგენსა და მის დებსა და ძმებზე.

სიმღერებით გატაცებისა და ახალგაზრდებთან ურთიერთობის ეს მშვენიერი ხანა მილდრიდის ჩვიდმეტი წლის გახდომასა და კონფირმაციას დაემთხვა. და თუ არა ეს ამბავი, ტინგვილდის მკვიდრნიც უწინდელივით განაგრძობდნენ დინჯსა და მშვიდ ცხოვრებას. დადგა შემოდგომა და მილდრიდი მოუთმენლად ელოდა გაზაფხულის, არა, ზაფხულის დადგომას, როცა ყველა საკონფირმაციო ქალიშვილს, თანახმად ჩვეულებისა, შორეულ საძოვრებზე გზავნიდნენ მთებში. ერთი სული ჰქონდა მილდრიდს, როდის დადგებოდა ზაფხული! მთიანი საძოვრები ხომ ასე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ მისმა დაქალმა ინგამ ახლოს უნდა აძოვოს თავისი ფარა.

დასთან ერთად მთებში გამგზავრების ნება ბერეტსაც დართეს და მილდრიდის მოუთმენლობა მასაც გადაედო. საძოვრებზე უჩვეულო ცხოვრებას აღტაცებაში მოჰყავდა ბერეტი, მილდრიდს კი უწინდელივით ანუხებდა რაღაც გაუგე-

ბარი მოლოდინი და მოუსვენრობა. იგი სიამოვნებით აძოვებდა და წველიდა ძროხებს, მაგრამ, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, რა ექნა არ იცოდა. ზოგჯერ გვიანობამდე იჯდა იგი ინგასთან, რომელიც საქმროზე უამბობდა, ზოგჯერ კი სავსებით ივიწყებდა რამდენიმე დღით. მაგრამ თვითონ გამოჩნდებოდა თუ არა ინგა, მაშინვე გახალისდებოდა და სიხარულით თითქოსდა ინანიებდა მეგობრისადმი ამას წინათ გამოჩენილ გულგრილობას. ბერეტთან იგი იშვიათად ლაპარაკობდა ახლა, ხოლო თუ და მიმართავდა, პასუხად მოკლე „ჰოს" ან „არას" იღებდა. როცა ინგა იყო მათთან, ბერეტი ყოველთვის მიდიოდა, ხოლო, როცა მილდრიდი წავიდოდა მეგობართან, ბერეტი, ნამტირალევი, მარტო აძოვებდა საქონელს ან მწყემსებთან მიდიოდა, ის, რომ მის თავს რაღაც არასასიკეთო ხდებოდა, მილდრიდს თვითონაც ესმოდა, მაგრამ რამდენიც არ სცადა, ყველაფერ ამაში მაინც ვერ შეძლო გარკვევა.

ერთხელ ტყეში იგი არვეს ჩამორჩენილ რამდენიმე თხას ელოდა. დილიდანვე ცხელოდა. მილდრიდმა კოფთა გაიძრო, ბუჩქნარმოდებული კლდის შვერილის ქვეშ დაჯდა ჩრდილში და ქსოვას შეუდგა. უცებ ზურგს უკან ბუჩქებში შრიალი გაისმა. იმ დილით იგი ინგას ელოდა და გაიფიქრა, ის იქნებაო. მაგრამ არა, ტოტების მტვრევის ხმაზე ეტყობოდა, ვილაც სხვა მოაბიჯებდა ტყეში. ინგა ასეთ ტკაცატკუცს ვერ აუყენებდა ტყეს. მილდრიდი შეშინებული წამოიჭრა, ყურადღებით ჩააცქერდა ბუჩქნარს და შენიშნა, რომ ვილაც თმაგაბურძგნილი არსების მოკიაფე თვალები დაბეჯითებით მიშტერებოდა მას. „დათვი", – გაუელვა თავში და შიშისგან გაშეშდა, ვერც გაქცევა შეძლო, ვერც დაყვირება. უცებ ბუჩქებს მიმალული არსება აღიმართა და მილდრიდს წარმოუდგა მაღალი, ახოვანი ახალგაზრდა თავზე ბოხოხითა და თოფით მხარზე. ქალიშვილის დანახვისას მას მკაცრი მზერა მოულბა, ბუჩქებს გადმოაბიჯა და მიუახლოვდა. მის ფეხებთან რაღაც შეირხა, დაიწკმუტუნა – ახლაღა შენიშნა ძაღლი.

– ოი, მე კი ვიფიქრე, დათვი ხომ არ არის-მეთქი, – თქვა მილდრიდმა და შიშის დასაფარად გაიღიმა.

– ჰო, დათვი დადის აქ სადღაც ახლომახლოს, – უჩვეულოდ ჩუმი ხმით მიუგო მან. – მე და კვასი წავაწყდით სულ ახლახან დათვის ნაკვალევს, მაგრამ სადღაც დავკარგეთ. შეიძლება, ჩემმა ჩრდილმა მიიღო დათვის სახე*.

ვაჟს გაეღიმა. ქალიშვილმა თვალი შეავლო. ვინ არის ეს ახალგაზრდა, ასეთი ტანადი, ახოვანი და ლონიერი? რა თვალები აქვს, ისე უელავს, შიშით ვერც კი შეხედავ! საიდან გაჩნდა აქ თოფითა და ძაღლით, თითქოს მიწიდან ამოძვრა, ასე ახლოს მოსვლასაც როგორ მიბედავს? „გამეცალე", – მოადგა ენის წვერზე, მაგრამ ამის ნაცვლად, ერთი-ორი ნაბიჯით დაიხია, ჰკითხა?

– ვინა ხარ შენ? – რადგან შეშინებული იყო მართლაც.

– ჰანს ჰაუგენი, – დაბნეულად უპასუხა მან, რადგან გულისყური ძაღლზე ჰქონდა გადატანილი, რომელიც თითქოსდა კვლავაც იღებდა ნაკვალევის სუნს.

ვაჟი მობრუნდა, რათა გამომშვიდობებოდა, და შეხედა თუ არა ქალიშვილს ლოყებზე, კისერსა და მკერდზე, სიწითლემ გადაჰკრა.

– რა მოგვიდა? – გაკვირვებით ჰკითხა მან.

ქალიშვილი გაუბედავად იდგა და არ იცოდა რა ექნა: გაქცეულიყო, ზურგი შეექცია თუ თავის ადგილს დაბრუნებოდა.

– ვინ ხან შენ? – ჰკითხა ვაჟმა.

ამ კითხვაზე ისევ გაწითლდა; ეტყვის თავის სახელს და, ესე იგი, ყველაფერს ეტყვის.

– ვინა ხარ, არ იტყვი? – დაჟინებით გაუმეორა ისევ, თითქოს მისი კითხვა ყველაზე ჩვეულებრივი კითხვა იყო ქვეყანაზე. მას

---

* ნორვეგიელ გლეხებს შორის დღემდეა გავრცელებული ძველებური რწმენა, რომ ადამიანს ყოველთვის მიჰყვება მისი ჩრდილი, რომელმაც ნებისმიერი სახე შეიძლება მიიღოს, მაგრამ იმ ადამიანთან მსგავსებას ყოველთვის ინარჩუნებს (ავტ. შენიშვნა).

ესმის, რომ სახელის დამალვა აღარ შეიძლება მეტად; თუმცა რცხვენია, როგორ ეპყრობიან მშობლები ნათესავებს, სახელის თქმა მაინც მოუწევს.

– მილდრიდ ტინგვოლდი, – წაიჩურჩულა მან და ატირდა.

დიახ, ეს მართალია: ტინგვოლდელ ნათესავებთან კავშირის დამყარება არც ეპიტნავებოდა ძალიან და შეხვედრისას ოდნავ თუ უხრიდა თავს მათ. აქ სხვა ამბავი იყო. ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე შებრუნდებოდა. იგი გაშტერებით უყურებდა ქალიშვილს. თავში ბუნდოვანმა მოგონებამ გაურბინა: დედამისიც ტიროდა ქორწინების დროს ეკლესიაში.

– „ჯიშად აქვთ, ეტყობა", – გაიფიქრა და წასასვლელად შებრუნდა.

– ბოდიშს გიხდი, თუ შეგაშინე, – მშვიდად ჩაილაპარაკა და ძაღლთან ერთად სწრაფად შეუდგა აღმართს.

როცა ქალიშვილმა თვალები აღაპყრო, იგი უკვე მთის წვერზე იყო. იგი შეჩერდა, მიმოიხედა და მზერა შეაჩერა მასზე. ეს მხოლოდ ერთი წამით გაგრძელდა, რადგანაც იმ წუთშივე ძაღლის ყეფა მოისმა და ისიც, თოფმომარჯვებული, უმალ მიჰყვა მას. მილდრიდი ისევ ისე იდგა და კვლავაც იმ ადგილს გაჰყურებდა, სადაც იგი იდგა, და თოფმაც იქუხა.

– „ნუთუ დათვია ეს? ნუთუ აქ იყო იგი, ასე ახლოს?" – შეშფოთებით გაიფიქრა მილდრიდმა.

იგი თავდავიწყებით გაექანა მთის წვერისკენ, სადაც სულ ახლახან იდგა იგი. თვალები მოიჩრდილა ხელით, მიმოიხედა და ხშირ ბუჩქნარში მართლაც დაინახა იგი მიწაზე განრთხმული უზარმაზარი დათვის გვერდით. არც უფიქრია, უმალ ჩაირბინა მასთან. ვაჟმა გაიღიმა მისი დანახვისას და მისთვის ჩვეული რამდენადმე დახშული ხმით უამბო მას, როგორ მოხდა, რომ კვალი დაკარგეს მათ და ძაღლმა მხოლოდ მაშინ აიღო ალღო კვლავ, როცა ლამის ცხვირით ცხვირში არ ეტაკა დათვს. მილდრიდი უსმენდა, დავიწყებოდა წუთის წინანდელი ცრემლები და შეცბუნება, ვაჟს კი დანა ამოეღო ამასობაში და დათვის გატყავებას აპირებდა. დათვის ხორცი არ იჭმება ზაფ-

ხულობით, ამიტომ ლეშს ჩამარხავს იგი, ტყავს კი დაიტოვებს. სანამ იგი დათვს ატყავებდა, მილდრიდი ეხმარებოდა, მერე კი მწყემსის ქოხში გაიქცა ნაჯახისა და ნიჩბის მოსატანად. თუმცა დათვის ეშინოდა და არც მისი სუნი სიამოვნებდა, იგი ბოლომდე მიეხმარა ჰანსს. შუადღეს უკვე გადაცილებული იყო და თავი დააპატიჟებინა ჰანსმა. მან დაიბანა, დათვის ტყავიც კარგად გარეცხა, – ეს არცთუ ადვილი საქმე გახლდათ, – ქოხში შევიდა და სადილის მოლოდინში მაგიდას მიუჯდა. თავისდა სამარცხვინოდ. სადილის გაკეთება ჯერაც ვერ მოესწრო მილდრიდს. ჰანსი მხიარულად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ლაპარაკობდა, ასეთი ხმა – ოდნავ დახშული – ჩვეულებრივ ადამიანთაგან მოშორებით მცხოვრებთ აქვთ. მილდრიდი როგორლაც პასუხობდა ჯერ, მაგრამ როცა მაგიდას მიუსხდნენ ერთმანეთის პირისპირ, ისე ჩაუვარდა ენა, ვერც ლაპარაკობდა, ვერც ჭამდა. მაგიდასთან მეტწილად დუმილი სუფევდა. როცა დანაყრდა, ჰანსი ტაბურეტზე შებრუნდა, ჩიბუხში თუთუნი ჩატენა და გააბოლა. ახლა მასაც აეკრა პირი, მალე წასასვლელად წამოდგა.

– წასვლის დროა. ჩემს სახლამდე შორსაა აქედან, – ჩუმად თქვა, ხელი გაუწოდა და კიდევ უფრო ჩუმად ჰკითხა: – შენ იქ ზიხარ ყოველდღე, სადაც დღეს იჯექი?

ვაჟი, თითქოსდა პასუხის მოლოდინში, ხელს არ უშვებდა. ქალიშვილი ვერც ხმას იღებდა, ვერც თვალს უსწორებდა. ჰანსმა უფრო მოუჭირა ხელი.

– მადლობა დღევანდელი დახმარებისთვის, – ჩაილაპარაკა რამდენადმე ხმამაღლა მან, და სანამ მილდრიდი გონს მოეგებოდა, ჰანსმა ძაღლს უხმო და უკვე ერიკით დაფარულ ზეგანს ადგა დათვის ტყავითა და თოფით მხარზე.

მთები აქ მოშორებით იწყებოდა და კარგა ხანს ჩანდა როგორ შორდებოდა იგი თავისი მსუბუქი და მოქნილი ნაბიჯებით. მილდრიდი ქოხის კარებში იდგა და თვალს აყოლებდა, სანამ სავსებით არ მიეფარა ბექობს.

ქალიშვილმა მკერდზე მიიკრა ხელი და ახლაღა იგრძნო რა ძლიერად უცემდა გული. წუთიც და იგი ბალახებში იწვა თვალებზე ხელაფარებული და დაწვრილებით იხსენებდა ამ დღის ყველა მოვლენას. იხსენებდა როგორ გამოჩნდა იგი ბუჩქნარიდან, ცოცხალივით ედგა თვალწინ – ღონიერი და კეთილაღნაგი, მისკენ მოელვარე თვალებმიპყრობილი. გრძნობდა რა მის უპირატესობას, რცხვენოდა თავისი მოკრძალების, თითქოს თავიდან ესმოდა სროლის ხმა. იხსენებდა, როგორ ეხმარებოდა მას დათვის ტყავის გაძრობისას, მის გვერდით მუხლებზე ჩაჩოქილი. ესმოდა ყოველი მისი სიტყვა, ისეთი სინაზითა და გულში ჩამწვდომად თქმული, რომ მხოლოდ მათი გახსენებისას ლამის მკერდიდან ამოვარდნოდა გული. იგი ესაუბრებოდა მას, როცა იგი კერასთან იდგა და სადილს ამზადებდა, და მერეც, როცა ისინი მაგიდას უსხდნენ ერთმანეთის პირისპირ. გაახსენდა, როგორ ვერ ბედავდა თავიდან თვალი გაესწორებინა მისთვის, ბოლოს კი თავისი შეცბუნება მასაც გადასდო, რადგანაც იგი ფიქრებმა წაიღო და დუმილმა მოიცვა. მერე კვლავ გაიღო ხმა, როცა ხელი ჩამოართვა და ისე მაგრად მოუჭირა, რომ ცეცხლმა დაურბინა მთელს ტანში. გუნებაში თან მიჰყვებოდა, როცა იგი უფრო და უფრო შორდებოდა ერიკებს შორის მიმავალი. გამოჩნდება კი იგი ოდესმე ისევ? ალბათ არა, მას შემდეგ, რაც ასე სულელურად ეჭირა თავი მას. რა ღონივრად, ლამაზად და ვაჟკაცურად ესახებოდა იგი მას და რა ჩერჩეტ, საცოდავ არსებად ეჩვენებოდა საკუთარი თავი! დიახ, დიახ, სწორედ საცოდავი იყო თავიდან ბოლომდე მთელი მისი ყოფაქცევა: ჯერ სულელური შეშინება ძაღლის დანახვისას, უადგილო შეცბუნება და ცრემლები. იგი ისე უხერხულად ეხმარებოდა მას, როცა იგი ტყავს აძრობდა დათვს და იმდენ ხანს ცოდვილობდა სადილის მზადებისას, რომ მისი დროულად მირთმევაც ვერ შეძლო! მერე კი, როცა ჰკითხეს მას, ხომ არა ზის ჩვეულებრივ იგი კლდის შვერილს ქვეშ, ენა ჩაუვარდა და პასუხის გაცემაც კი ვერ მოახერხა. იქ დილიდან საღამომდე არ ზის იგი ყოველდღე, რა თქმა უნდა, მაგრამ მისი დუმილი

ხომ არ მიიღო მან უსიტყვო თხოვნად კვლავაც მისულიყო იქ? განა მისი საცოდავი უმწეობა არ შეეძლო მას ასე გაეგო? ო, რა სირცხვილი სწვავდა! ტანი უხურდა, სახეზე ალმური ეკიდა და თავს უფრო და უფრო ღრმად რგავდა ბალახში, მოგონებები კი ისევ და ისევ ცოცხლად ესახებოდა თვალწინ და მას, სირცხვილით დამწვარს, კვლავაც აფიქრებდა მისი უპირატესობა და მასთან შედარებით თავისი ბეჩავი უმწეობა!

როცა ზანზალაკების წკარუნმა ფარის მოახლოება ამცნო, იგი იმავე ადგილას იწვა ისევ, უცებ წამოხტა და მუშაობას შეუდგა. ბერეტმა, რომელიც მწყემსებთან ერთად მოვიდა, მაშინვე შენიშნა, რომ რაღაც არასასიკეთო ხდებოდა მილდრიდის თავს. იგი არეულად იძლეოდა პასუხს და საერთოდაც ძალიან უცნაურად იქცეოდა. ბერეტი გაკვირვებით აკვირდებოდა დას. მერე კი, როცა ყველა მაგიდას მიუჯდა, მილდრიდმა მოიმიზეზა ახლახანს ვივახშმეო, გარეთ გავიდა და ქოხის წინ დაჯდა. უმცროსმა დამ, ნაკვალევზე შემდგარ მონადირე ძაღლივით, ყურები ცქვიტა. ბერეტმა ივახშმა, გაიხადა და დაწვა, – დებს ერთად ეძინათ ერთ საწოლზე, – მილდრიდი კი რახან ამდენი ხანი არ შემოვიდა, იგი რამდენჯერმე ადგა, ჩუმად მიიპარა კართან და გაიჭვრიტა, ისევ იქაა იგი და მარტოა თუ არა? მილდრიდი ისევ იმავე ადგილას იჯდა და თანაც მარტო. დარეკა თერთმეტმა, თორმეტმა, პირველმა. მილდრიდი ისევ ქოხის წინ იჯდა, ბერეტს ისევ არ ეძინა. ბოლოს გაისმა მილდრიდის ფეხის ხმა – იგი ფეხაკრებით შემოვიდა ოთახში. ბერეტმა თავი მოიმძინარა და გატრუნულს რამდენჯერმე მოესმა დის მძიმე ამოოხვრა. მწუხრის ლოცვის კითხვისას ჩურჩულით თქვა: „ღმერთო, შენ მომეცი ძალა!“ დის ყოფით შეშფოთებული ბერეტი ვერ იძინებდა. მას ესმოდა, რომ მილდრიდი შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, მერე საბანი გადაიგდო, ხელები თავზე შემოიწყო და გაუნძრევლად ჩააშტერდა ერთ წერტილს. მეტი ბერეტს არაფერი დაუნახავს, ჩაეძინა. დილით, როცა გაეღვიძა, და გვერდით არ ეწვა. იგი წამოხტა, მზე კარგა ხნის ამოსული იყო, ნახირი – გარეკილი. მისი საუზმე მაგიდაზე იდგა. ბე-

რეტმა საჩქაროდ ნაილუკმა და სახლიდან გავიდა. უფროსი და მუშაობდა, გასავათებული გამომეტყველება ჰქონდა. ბერეტმა უთხრა, რომ მწყემსებთან წავა. მილდრიდმა არაფერი უპასუხა, მაგრამ თვალებით თითქოსდა მადლობა გადაუხადა მას. ბერეტი ერთი შეფიქრიანდა და გაიქცა.

მილდრიდმა მიმოიხედა. ბოლოს და ბოლოს მარტო დარჩა! მან საჩქაროდ დარეცხა საწველი ნივთები, დანარჩენ სამუშაოზე ხელი ჩაიქნია, დაიბანა, დაივარცხნა, სწრაფად გადაიცვა, ხელი დაავლო საქსოვს და კლდის შვერილისკენ გაემართა.

დილის სიმხნევეს არ გრძნობდა, რადგანაც მთელი ღამე არ მოუხუჭავს თვალი და ოცდაოთხი საათი ლუკმა არ ჩასვლია პირში. თითქოსდა ერთიანად გაშეშებული იყო, სიზმარეულივით მოძრაობდა, ეჩვენებოდა, რომ სანამ იმ ადგილას არ მივიდოდა, სადაც გუშინ იჯდა, ვერაფერს გაუგებდა ამ ყველაფერს.

მაგრამ დაჯდა თუ არა, უცებ ერთმა აზრმა გააოცა იგი: რას იფიქრებს ჰანსი, როცა აქ დაინახავს მას. იგი უნებურად წამოიჭრა და იმავე წუთს დაინახა მისი ძაღლი, რომელმაც კუდის ქიცინით მიირბინა მასთან. გული თითქოსდა გაუჩერდა. ნუთუ აქ არის იგი? დიახ, ქალიშვილი არ შემცდარა, ისეთივე, როგორც გუშინ, მზით გასხივოსნებული იდგა იგი მთის წვერზე, თოფით მხარზე. ოლონდ დღეს მეორე მხრიდან მოვიდა. ჰანსმა გაუღიმა, სწრაფად ჩამოირბინა და მასთან მივიდა. მილდრიდმა წამოიკვნესა და ღონემიხდილი ისევ მიწაზე დაეშვა. ამაოდ სცადა, ძალა მოეკრიბა ასადგომად. საქსოვი მიწაზე დავარდა და სახეზე ხელები აიფარა. ჰანსი, თვალები არ მოუშორებია მისთვის ისე, უსიტყვოდ ჩაჯდა მის გვერდით ბალახზე. ძაღლი მეორე მხრიდან მიუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მილდრიდი ცდილობდა სახეში არ შეეხედა მისთვის, იგი გრძნობდა, რომ თავის შეცბუნებას იგი ვერ დამალავდა. ჰანსის ქოშინზე გული შეუტოკდა მილდრიდს. მოეჩვენა, თითქოს ხელით შეიგრძნო მისი წყვეტილი სუნთქვა. მილდრიდს არ უნდოდა, რომ მას ელაპარაკა, მაგრამ დუმილიც ასევე აუტანელი იყო. ჰანსი, რა თქმა უნდა, მიხვდა რატომაც იყო იგი აქ; მეტი სირცხვილი,

ალბათ, არავის არასოდეს არ განუცდია! მაგრამ არც თვითონ უნდა მოსულიყო აქ და მით უმეტეს არც მის გვერდით უნდა მჯდარიყო.

ჰანსს მისი ხელი ეჭირა და არ უშვებდა, მერე მეორე ხელიც მოჰკიდა. ქალიშვილი ძალაუნებურად მიბრუნდა მისკენ. მზერითა და ხელებით იგი ისე ნაზად, მაგრამ მბრძანებლურად იზიდავდა თავისკენ... ქალიშვილი ახლოს მიიწია, მისი თავი ვაჟის მკერდთან დაიხარა. ვაჟი ნაზად მიეალერსა თმებზე, ქალიშვილმა კი მისი შეხედვაც ვერ გაბედა. თავისი საქციელი ისე უღირსად ეჩვენა, რომ ტირილი აუვარდა.

– რახან შენ ტირი, მაშინ მე უნდა ვიცინო. იმიტომ, რომ რაც ჩვენ მოგვივიდა, სასაცილოც არის და სატირალიც.

მისი ხმა ძლიერ შინაგან მღელვარებას გამოხატავდა. ჩურჩულით უთხრა, რომ გუშინ, რაც უფრო შორდებოდა მას, მით უფრო ახლობელი ხდებოდა მისთვის. სახლში მისვლისას ისე მოერია ეს გრძნობა, რომ ბედის ანაბარა მიატოვა თავისი სტუმარი, ავადმყოფი დიდგვაროვანი გერმანელი, და მთებში სახეტიალოდ წავიდა. მთებში გაატარა მთელი ღამე, ხან ჯდებოდა, ხანაც ისევ დგებოდა და სვლას აგრძელებდა. დილით სახლში შეირბინა წასახემსებლად და კვლავ გზას გაუდგა. იგი უკვე ოცდარვა წლისაა, გუშინდელი ღლაპი არ არის, და მტკიცედაა დარწმუნებული: ან მისი უნდა გახდეს იგი, ანდა წასული ყოფილა მისი საქმე. იგი იმ ადგილას მივიდა, სადაც გუშინ შეხვდა მას, მაგრამ ვერაფრით წარმოედგინა, რომ იგი აქ დახვდებოდა. მერე კი, როცა დაინახა იგი, გადაწყვიტა უთუოდ ეცადა ბედი. თან, როცა დაინახა, რომ ისიც მის დღეშია, მაშინ... ჰო, მაშინ... აქ ქალიშვილს თავი აუწია მან. არა, იგი აღარ ტიროდა უკვე. ქალიშვილმა პირდაპირ თვალებში შეხედა, მაგრამ მის თვალთა ბრწყინვას ვეღარ გაუძლო, გაწითლდა და თავი იბრუნა. და ისევ ჩაესმა ალერსიანი, ოდნავ დახშული ჩურჩული. მზე ხეთა წვეროკინებს ანათებდა მთების ფერდობებზე, მსუბუქი ნიავი უბერავდა და არყის ხეები თრთოდნენ, ჩიტების ულურტული ნაკადულის რაკრაკს ერთვოდა. რამდენ ხანს ისხდ-

ნენ ისინი ასე, ერთმანეთის გვერდით, თვითონაც არ იცოდნენ. ძაღლის ყეფაზე მოეგნენ გონს. ძაღლს კარგა ხანია ეტყობოდა მოუსვენრობა. რამდენჯერმე ადგა თავისი ადგილიდან, შემოუვლიდა მათ გარს და ისევ წვებოდა, ბოლოს კი, მოულოდნელად წამოიჭრა და ხმამაღალი ყეფით გავარდა ქვევით, ბუჩქებში. ისინი წამოდგნენ და ერთხანს სმენად ქცეულნი იდგნენ. არავინ ჩანდა. ჰანსმა მილდრიდს ხელი მოჰხვია, აიტაცა და ბავშვივით წაიყვანა. იგი არავის უტარებია ხელით ბავშვობიდან და ახლა, როცა მის ღონიერ ხელებში მოხვდა, თავი ისე დაუცველად იგრძნო, ისე სუსტად... აი ის: მისი მცველი, მისი მომავალი, მისი მარადიული ბედნიერება. საყოყმანო აღარაფერი ჰქონდა! ორივე დუმდა. ჰანსს მაგრად ეჭირა იგი, მილდრიდს კი მისთვის კისერზე მოეხვია ხელი. ვაჟმა იმავე ადგილას მიიყვანა, სადაც უწინ იჯდა, მიწაზე დაეშვა და მუხლებზე დაისვა. ქალიშვილი ხელს არ უშვებდა, თავს კი უფრო ძირს ხრიდა, თავისი აღელვებული სახე რომ დაემალა მისგან. მაგრამ დააპირა თუ არა ვაჟმა გულში ჩაეკრა იგი, გვერდით ვიღაცის უკიდურესად გაკვირვებული ხმა გაისმა: მილდრიდ! ეს იყო ინგა, რომელიც აქ ძაღლის კვალდაკვალ მოვიდა. მილდრიდი წამოხტა, წამიერი მზერა ესროლა მეგობარს, მასთან მივიდა. მან კისერაზე მოხვია ხელი და მხარზე მიადო თავი. ინგაც მოეხვია.

– ვინ არის ეს? – ჩურჩულით ჰკითხა მან და მილდრიდმა იგრძნო, რომ მეგობარი კანკალებდა.

მილდრიდმა არაფერი უპასუხა. ინგა ხომ კარგად იცნობდა მას, ახლა კი უბრალოდ ვერ უჯერებდა თვალებს. ჰანსი ახლოს მივიდა.

– მე მგონი, შენ მიცნობ, – თქვა მან მშვიდად. – მე ჰანს ჰაუგენი ვარ.

მილდრიდმა ხმის გაგონებაზე თავი ასწია და მისკენ შებრუნდა. მან ხელი გაუწოდა, იგი გვერდში ამოუდგა ჰანსს, მეგობარს ერთდროულად სიხარულისა და სირცხვილის გრძნობით შეხედა.

ჰანსმა თოფი აიღო და წასვლა დააპირა.

– შენ ხომ გესმის, რომ ცოტა ხნით გტოვებ, – წასჩურჩულა მილდრიდს. ქალიშვილებმა საძოვრის ბოლომდე მიაცილეს იგი და დიდხანს გაჰყურებდნენ მერე, როგორ მიუყვებოდა მზით გასხივოსნებულ გზას. მილდრიდი მეგობარს მიყრდნობილი აყოლებდა თვალს მიმავალს და გრძნობდა, რომ მისთვის ჯობდა არც განძრეულიყო და არც ხმა გაეღო. ჰანსი თვალს მიეფარა, მილდრიდი ინგას მიუბრუნდა.

– არაფერი მკითხო. სულერთია, ვერაფერს აგიხსნი მაინც, – სთხოვა მან.

ქოხში რომ დაბრუნდნენ, მაშინლა გაახსენდა მილდრიდს, რამდენი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, და ინგა ამოუდგა მხარში. მუშაობისას სალაპარაკოდ არ ეცალათ. თუკი ერთი-ორი სიტყვით გაეხმიანებოდნენ ერთმანეთს – საქმის ირგვლივ.

მილდრიდმა სადილი გააწყო, მაგრამ თვითონ თითქმის პირიც არ დააკარა არაფერს, თუმცა გრძნობდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო ძილი და ჭამა. სადილის შემდეგ ინგა მალე წავიდა, მას ესმოდა, რომ მეგობრისათვის მარტო ყოფნა უკეთესი იყო. როგორც კი ინგა წავიდა, მილდრიდი დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ჯერ ყველაფერი უნდოდა გაეხსენებინა: რას ეუბნებოდა მას ჰანსი, რას პასუხობდა იგი ჰანსს. და უცებ გაახსენდა, რომ იგი ხმას არ იღებდა. ჰო, მართლაც ასე იყო: მთელი დღევანდელი შეხვედრისას ერთი სიტყვაც არ უთქვამს! იგი წამოხტა. როცა შინ დაბრუნებისას ყველაფერს გაიხსენებს ჰანსი, არ შეიძლება ყურადღებიდან გამორჩეს ეს, რას იფიქრებს მაშინ მასზე? განა არ იფიქრებს, რომ ერთი უნიათო, მძინარა არსებაა? არა, ამის შემდეგ იგი უცილობლად გადაიყვარებს! გუშინ, როცა დაშორდნენ, მხოლოდ მაშინ მიხვდა ჰანსი, რომ იგი უყვარს. დღეს სავსებით სხვას მიხვდება! იგი ქოხიდან გავიდა და იმ ადგილზე დაჯდა, რომელზეც გუშინ იჯდა.

მილდრიდი ადრიდანვე იყო მიჩვეული თავისი სიტყვისა და საქციელის აწონ-დაწონას, მას ხომ ბავშვობის გატარება არცთუ ჩვეულებრივ პირობებში მოუხდა. ყველა თავისი საქციელი ამ ბოლო დღეებში მას ეჩვენებოდა, რომ უტაქტო, უჭკუო,

უბრალოდ უწესო იყო. არავის, ვისზეც კი მას წაეკითხა ან გაეგონა, მსგავსი არაფერი მოსვლია არასდროს. იგი ყველაფერს გლეხების თვალით უყურებდა, ისინი კი ასეთ რამეზე უკიდურესი სიმკაცრით მსჯელობენ. წესიერება თავის გრძნობების გამოხატვისას თავდაჭერილობას ითხოვს. ის, ასე თავდაჭერილი ყოველთვის და, ამიტომაც, ასეთი საყოველთაო პატივისცემით მოსილი, უცებ კოცნის ნებას აძლევს კაცს, რომელიც არც უნახავს ადრე! და ვინ შეიძულებს მას ამისთვის გულის სიღრმემადე, თუ არა თვითონ ის? მაინც რა არის ეს, ვერავისთვის, ინგასთვისაც კი რომ ვერ უთქვამს?

როცა ნახირის ზანზალაკების წკარუნთან ერთად ბერეტი შინ დაბრუნდა, მილდრიდი იმავე ადგილას დაუხვდა ცოცხალმკვდარი. ბერეტი გაუნძრევლად მიაშტერდა. მან თავი აიღო, – ნამტირალევი თვალები და მთელი მისი არსება ტანჯვას ამხელდა, – და, როცა ესოდენ აღელვებული ბერეტი დაინახა, სახე შეეცვალა.

– რა მოგივიდა? – გაფაციცებით ჰკითხა.

– არაფერი! – მოუჭრა ბერეტმა. იგი კვლავაც არ განძრეულა, და ისეთი უცნაური თვალებით მიშტერებოდა პირდაპირ, რომ მილდრიდი ძალაუნებურად შებრუნდა, თვალები აარიდა. მერე ადგა და სამუშაოს მიხედა. მხოლოდ ვახშმობისას შეხვდნენ კვლავ ერთმანეთს, როცა აქეთ-იქიდან მიუსხდნენ მაგიდას მწყემსებთან ერთად. მილდრიდი არც ახლა აკარებდა პირს საჭმელს. შენიშნა, რა გახელებით მივარდა ბერეტი კერძს.

– შენ რა, არ გისადილია? – ჰკითხა.

– არა! – მიუგო ბერეტმა, რომელიც სულმოუთქმელად განაგრძობდა ჭამას.

– რა, საძოვარზე არ იყავი დღეს? – ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა მილდრიდმა.

– არა! – ერთხმად მიუგეს ბერეტმა და მწყემსებმა.

მათი თანდასწრებით არ უნდოდა მილდრიდს განეგრძო გამოკითხვა ისედაც საკუთარ განცდებში დანთქმულს. იმის შესახებ რომც არაფერი ითქვას, რასაც გულის სიღრმეში

გრძნობდა: რა უფლება გაქვს დაუსვა კითხვები? ყველაფერი ეს ახალი ტანჯვა-წამების საბაბი გახდა, როცა მთელი ღამე ქოხის ზღურბლზე მჯდარმა გაატარა.

ვერც მენამულ მწუხრსა და ვერც რუხ ცივ ღამეს მოჰქონდა მილდრიდისთვის შვება და ძილი. საწყალი გოგო! ადრე არასოდეს უტანჯია ასე! და არც არასოდეს ულოცია ესოდენ მხურვალედ! ჩერდებოდა, თავიდან იწყებდა, ბორძიკით განაგრძობდა ლოცვებს, დაბოლოს, ქანცგაცლილი დაწვა. იგი შეეცადა კვლავაც მოეკრიბა მთელი თავისი სიმამაცე, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა.

– ღმერთო, მიშველე! ღმერთო, შენ მომეცი ძალა! – ხან ხმამაღლა, ხანაც ჩურჩულით იმეორებდა იგი და იმის გაფიქრება, რომ შეიძლებოდა სამუდამოდ დაეკარგა ვაჟი, შიშით ზარავდა. მილდრიდმა მოულოდნელად შეჰკივლა: ბერეტმა ელვის სისწრაფით წამოიჩოქა და მისკენ დაიხარა.

– ვინ არის იგი? – ჩურჩულით იკითხა. დიდი თვალები პირდაპირ უბრწყინავდა, სახე უხურდა, დიდი შინაგანი მღელვარებისგან ბაგაბუგით უცემდა გული.

გაოგნებულსა და სულითა და ხორცით განაწამებ მილდრიდს ხმა ვერ ამოეღო, ლამის ეტირა.

– ვინ არის-მეთქი იგი? მიპასუხე! – მუქარით დაიჩურჩულა დამ, უფრო ახლოს მიიწია. – ამაოდ მიმალავ, მე დღეს დაგინახეთ კიდეც ერთად!

მილდრიდმა, თითქოსდა თავის დასაცავად, სახეზე ხელები აიფარა, მაგრამ ბერეტმა ხელები ხელებში სტაცა და ძირს დააშვებინა.

– ვინ არის, არ იტყვი ბოლოს და ბოლოს? – პირდაპირ თვალებში შესცქეროდა დას.

– ო, ბერეტ, ბერეტ! – შესაბრალისად მიმართა დას. – მე ხომ ყოველთვის მიყვარდი შენ? რატომ მექცევი ასე ახლა, როცა ისედაც მიჭირს?

დას ცრემლები ახრჩობდა. ბერეტმა ხელები უშვა. ის კი ისევ ისე მძიმედ სუნთქავდა, გული გახეთქვაზე ჰქონდა.

– ის ხომ ჰანს ჰაუგენია! – წაიჩურჩულა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დებს თითქოსდა სუნთქვა შეეკრათ.

– ჰო! – ისევ წაიჩურჩულა მილდრიდმა და ცრემლები წასკდა.

ბერეტმა კვლავ სცადა ხელები ჩამოეღო მილდრიდს, რათა პირდაპირ თვალებში შეეხედა დისთვის.

– რატომ არაფერს მეუბნებოდი, მილდრიდ, ამაზე? – გაცხარებით ჰკითხა მან.

– გაიგე, ბერეტ, მე თვითონაც არაფერი ვიცოდი, – უპასუხა დამ. – მე ხომ გუშინდლამდე არასოდეს მინახავს იგი. მაგრამ დავინახე თუ არა, მაშინვე მთელი სულითა და გულით შემიყვარდა. ესაა რომ მკლავს და მაწვალებს ასე!

ბერეტი ღრმად შეძრა პასუხმა.

– მაშ შენ, მართლაც არასოდეს გინახავს იგი ადრე? – უნდობლად ჰკითხა.

– არასოდეს! – სწრაფად მიუგო მილდრიდმა. – რა სირცხვილია, რა სირცხვილი!

ბერეტს უცებ სახე გაუბრწყინდა, კისერზე ჩამოეკიდა მილდრიდს და კოცნა დაუწყო. იგი კიდევ და კიდევ კოცნიდა დას!

– ჩემო საყვარელო, ჩემო საყვარელო მილდრიდ! მერედა ეს ხომ ბრწყინვალეა! – გახარებული ეჩურჩულებოდა იგი. – ბრწყინვალე! ბრწყინვალე! – იმეორებდა ისევ და ისევ და დას კოცნიდა. ნუ გეშინია, მილდრიდ, მე არავის არაფერს ვეტყვი! – იგი კიდევ უფრო მაგრად ჩაეკრა დას, მერე უცებ წამოხტა და წყენით მიმართა: – და შენ იფიქრე, რომ მე კბილს ვერ დავაჭერდი ენას? გავცემდი შენს საიდუმლოს? – ბერეტმა ტირილი დაიწყო. – რატომ მარიდებ თავს ამ ბოლო ხანებში? რატომ მანაცვალე ინგას? ო, რომ იცოდე, როგორ მტკენს ეს ყველაფერი გულს! შენ ხომ არც იცი, მილდრიდ, როგორ მიყვარხარ! – და სახე დის მკერდთან ჩამალა.

მილდრიდმა ხელი მოხვია და აკოცა. მას ხომ უწინ არც მოსდიოდა ეს თავში, ახლა კი იგი არასოდეს მოიშორებს მას

თავიდან, არავითარ საიდუმლოს არ დაუმალავს დას, ასეთ გულწრფელსა და მოსიყვარულე გოგონას! იგი ალერსიანად უცაცუნებდა ლოყაზე ხელს და ბერეტიც ალერსითვე პასუხობდა. მერე ბერეტი მუხლებზე დაეშვა მის წინ: უნდოდა თვალებში ჩაეხედა დისთვის ცისკრის ნათელზე.

– ო, მილდრიდ, მაინც რა ლამაზია იგი! – აღტაცებით წამოიყვირა მან, რასაც ბევრი კითხვა მოჰყვა.

საიდან ჩამოვიდა? პირველად ვინ დაინახა? რა თქვა მან? რით დამთავრდება ყველაფერი ეს? და ის, რაზეც ლაპარაკი საერთოდ შეუძლებლად მიაჩნდა მილდრიდს ადრე, ახლა თავისუფლად უამბო დას. ბერეტი დროდადრო აწყვეტინებდა მას, კისერზე ეკიდებოდა და კოცნიდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა მილდრიდს ლაპარაკის გაგრძელებას – ყველაფერი მომხდარი რაღაც საუცხოო ტყის ზღაპრად ესახებოდა მას. ისინი ხან იცინოდნენ, ხან ტიროდნენ – ძილი არც ერთს ახსოვდა და არც მეორეს. გათენდა. ისინი კვლავაც ერთმანეთს შეჰხაროდნენ, ერთი – ლაპარაკით გატაცებული, მეორე კი მუხლებზე მის წინ აღფრთოვანებული სახითა და გაბრწყინებული თვალებით.

როცა ადგნენ, ჯერ საქმე მოათავეს, ცოტა წაიხემსეს და მასთან შესახვედრად დაიწყეს მზადება. იგი ხომ მალე უნდა მოსულიყო. როცა ისინი თავის საუკეთესო კაბებში გამოეწყვნენ, კლდის შვერილისკენ გაემართნენ და ბერეტმა ის ადგილი უჩვენა მილდრიდს, სადაც იგი იმალებოდა და სადაც გუშინ რამდენჯერმე მიირბინა მასთან ძაღლმა. ამ ამბავმა ორივე გაამხიარულა. მშვენიერი დარი იდგა, ცა თითქმის უღრუბლო იყო. დები ისე გაერთნენ ლაპარაკში, ჰანსის მოსვლის დროს გადასცდა კიდეც. მაინც მალე მოაგონდათ. ბერეტი რამდენჯერმე ავიდა მთის წვერზე, რათა დაენახა, მოჩანდა თუ არა ჰანსი. ჰანსი არ ჩანდა. ორივეს მოუთმენლობა დაეტყო. ბერეტმა ნუგეშისცემა დაუწყო დას: იგი ხომ მთლად თავის ბატონ-პატრონი არ არის, ზედიზედ მესამე დღეს ვერ მიატოვებს ბედის ანაბარად

გერმანელს, რომლისთვისაც უნდა ინადიროს კიდეც, თევზიც დაიჭიროს და საჭმელიც მოუმზადოს. მილდრიდი დაეთანხმა.

– როგორ ფიქრობ, რას იტყვიან მშობლები ამაზე? – ჰკითხა ბერეტმა, რათა სასაუბრო თემა შეეცვალა.

მაგრამ იკითხა თუ არა, მაშინვე ინანა, რადგანაც დას ფერი წაუვიდა და დაბნეულად მიაშტერდა მას. ნუთუ მილდრიდს ერთხელაც არ მოსვლია თავში მანამდე? არა, მას, რა თქმა უნდა, არასოდეს ავიწყდებოდა ეს, მაგრამ ამისთვის მაინც ნაკლებად სცხელოდა უწინ. შიში იმისა, თუ რას იფიქრებდა მასზე ჰანსი, სირცხვილი თავისი უნებისყოფობისა და გულუბრყვილობის გამო გაცილებით მეტად ადარდებდა მას. ახლა კი, პირიქით: ფიქრი მშობლებზე, იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ისინი ყველაფერ ამას, უკიდურესად მნიშვნელოვნად ესახებოდა მას. ბერეტი, როგორც შეეძლო ანუგეშებდა დას. მისი ერთი დანახვა და მშობლები მაშინვე დათანხმდებიან. ხომ არ გააუბედურებენ აბა ქალიშვილს, რომელიც ასე უყვარდათ აქამდე? ბებიაც დაეხმარება, რა თქმა უნდა. ხოლო რაც შეეხება ჰანს ჰაუგენს, ძეხორციელი ვერ იტყვის მასზე აუგს და თვითონაც არავის დააჩაგვრინებს თავს. მილდრიდი კი, ფიქრებში წასული, არც უსმენდა ბერეტს. მისთვის აუცილებელი იყო მარტო ყოფნა და ყველაფრის საფუძვლიანად აწონ-დაწონა, ამიტომ დას სთხოვა წასულიყო და სადილი მოემზადებინა. ბერეტი უგუნებოდ, უკან-უკან ყურებით გაშორდა.

მილდრიდს აწვალებდა კითხვა: უთხრას თუ არ უთხრას მშობლებს ამის შესახებ ახლა?

ბოლო სამი დღის მღელვარებით გამოწვეული ნერვული მდგომარეობის გამო, ეს კითხვა გრანდიოზულ ზომებს იღებდა მის წარმოსახვაში. თუკი ისინი დაწინდულნი არიან, მაშინ განა არ სცოდავს იგი, რომ მშობლების ნებართვის გარეშე ხვდება მას? და დაე, თუნდაც მის ძალებს აღმატებული ყოფილიყო ეს, განა მას უფლება ჰქონდა მშობლების უკითხავად მიეცა პირობა? და რახან ეს მოხდა, იგი ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს მათთან. იგი წამოდგა. ახლა მისთვის ყველაფერი ნათე-

ლი იყო: იგი წავა და თავის ვალს მოიხდის. იგი აუცილებლად უნდა მოელაპარაკოს მშობლებს მანამ, სანამ ჰანს ჰაუგენი ისევ გამოჩნდება აქ.

– ხომ მართალია? ხომ უნდა გავაკეთო ეს? – ისე ხმამაღლა ეკითხებოდა იგი საკუთარ თავს, როგორც ვიღაც სხვას.

იგი ბერეტთან გაიქცა ამის სათქმელად, მაგრამ იგი არსად ჩანდა, არც ქოხში, არც ფარეხში.

– ბერეტ, ბერეტ! – ყვიროდა იგი და მის ძახილს ყოველი მხრიდან გამოსცემდა ექო, ბერეტის ხმა კი არ ისმოდა.

მილდრიდმა ყოველი კუთხე-კუნჭული მოირბინა, მაგრამ ბერეტის კვალს ვერსად მიაგნო. მოუსვენრობა შიშმა შეცვალა. ბერეტის აღელვებული ხმა: „რას იტყვიან მშობლები ამაზე?“ – ყურში ედგა და შიშს ჰგვრიდა მას.

ნუთუ ბერეტი მშობლებთან გაიქცა? ეს არცაა გასაკვირი მისგან. საქმე რომ მოაგვაროს და და დაამშვიდოს, იგი თავისუფლად მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას. ჰო, უეჭველად მათთან წავიდა. მაგრამ, თუკი იგი მილდრიდს მიასწრებს, ამით შეიძლება საქმე გაფუჭდეს. მაშინ მშობლები... ბევრი არ უფიქრია, მილდრიდი შინისკენ გაეშურა. მისი მოუსვენრობა სულ უფრო მატულობდა და რაც შეიძლება აჩქარებდა. იგი გარბოდა, უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს. ყურადღებას არ აქცევდა ხმაურს ყურებში, არც ჰაერის უკმარისობას. მალე შესვენება გადაწყვიტა. რომ ჩამოჯდა, ძილი მოუნდა. აი, ბალახზე მიწვა, ხელი თავქვეშ ამოიდო და მაშინვე ჩაეძინა.

თითქმის ორი დღე და ღამე არ უძინია და არც ლუკმა ჩასვლია პირში. საიდან უნდა სცოდნოდა ბავშვობიდანვე სათუთ ცხოვრებას ნაჩვევ ყმაწვილქალს, რას ნიშნავს ჯერაც ძვალგაუმაგრებელი არსებისათვის ძილი და საჭმელი.

ბერეტი კი, როგორც აღმოჩნდა, მშობლებთან კი არა, ჰანს ჰაუგენთან წავიდა. წინ გრძელი გზა ედო, და სულ უცნობ ადგილებში, ჯერ ტყის პირას, მერე პირდაპირ მთებში, სადაც ადვილად შეიძლებოდა გადაწყდომოდა გარეულ ნადირს. მაგრამ ამას ბერეტის შეჩერება არ შეეძლო. ჰანს ჰაუგენი ყოვ-

ელ მიზეზს გარეშე უნდა მოვიდეს, თორემ რაღაც უბედურება მოუვა მილდრიდს, თვალსა და ხელს შუა ილევა.

ბერეტი მხნედ მიიჩქაროდა, დის ნაამბობით მოგვრილი რომანტიკული განწყობილებით. ჰანს ჰაუგენი მას ყველაზე შესანიშნავ ადამიანად წარმოედგინა მათ შორის, რომელსაც იგი იცნობდა, მილდრიდი კი ერთადერთად, რომელიც მისი ღირსი იყო! რაა საკვირველი იმაში, რომ მათ ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი? და თუ მშობლები წინააღმდეგნიც იქნებიან, – ეს მათი საქმეა, რა თქმა უნდა, – რა გაეწყობა, მაშინ მათ გარეშეც იოლად გავლენ და მოიქცევიან ისე, როგორც თავის დროზე პაპა და პეპერა მოიქცნენ. აღტაცებულმა ბერეტმა საქორწილო მარში წამოიწყო. მისი საზეიმო მელოდია მთის მწვერვალებს ეფინებოდა და მაღლა, ნისლგადაკრულ ცამდე აღწევდა. როგორც იქნა, ვაშა! ბერეტმა მთის მწვერვალს მიაღწია! აქედან ჩანდა მთებში მიმოკარგული რამდენიმე ხუტორი, ტყის პირი, ცოტა ზემოთ ერიკა და მათ ირგვლივ ცარიელი ქვები და კლდეები. მთის მსუბუქი ჰაერი ფრთებგამოსხმულივით მიაქანებდა ბერეტს. მან იცოდა, რომ სადღაც აქ, ყველაზე მაღალი თოვლიანი მწვერვალის პირდაპირ უნდა იყოს ჰანსის საცხოვრებელი, – ცოტაც და ისიც გამოჩნდება. გზას რომ არ ასცდენოდა, კლდის ქიმზე ავიდა და ქვევით მთის ტბა დაინახა. ტბის პირას რაღაც შავად ჩანდა, ქოხი იყო თუ ლოდი, ვერ გაარჩია. მაგრამ ზუსტად იცოდა, რომ ჰანსის ქოხი სადღაც აქ იყო ახლოს. აი, ისიც, რა თქმა უნდა. აი, ნავიც ნაპირთან, ნავში კი ორი კაცი! ნამდვილად ისინი არიან: ჰანსი და გერმანელი! დაყოვნება არ შეიძლება, იგი ახლავე დაეშვება მათთან! მაგრამ ის, რაც ესოდენ ახლოს ეჩვენა მას, სინამდვილეში ფრიად შორს იყო. ბერეტი უფრო და უფრო სწრაფად გარბოდა, ჰანსის რაც შეიძლება მალე ნახვის სურვილი ძალას მატებდა.

ეს მართლაც ჰანს ჰაუგენი იყო. იგი ძალიან მშვიდად თევაზაობდა ანკესით გერმანელთან ერთად და ფიქრადაც არ მოსვლია თუ რა მღელვარებაც გამოიწვია მან. იგი მხიარული

იჯდა ახლა ნავში და, ჯერაც არასოდეს რომ არ მომხდარა ასეთი, ძველ მოტივზე ახალ საქორწილო მარშს თხზავდა.

თავის დიდ პაპამდე, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი უკლდა, მაგრამ სიმღერა იმის შესახებ, როგორ წაიყვანს იგი მილდრიდს ეკლესიაში, მისამღერი მათი პირველი შეხვედრის შესახებ ტყეში, სავსებითაც არ გამოვიდა ურიგო... იგი შესანიშნავ გუნებაზე იყო – ანკესი გადაეგდო, ხმადაბლა უსტვენდა. გერმანელი არ ანუხებდა, ისიც თევზაობით იყო გართული.

ვილაცის ძახილზე ჰანსმა და წვეროსანმა გერმანელმა თავი ასწიეს და დაინახეს გოგონა, რომელიც ხელს უქნევდა მათ ნაპირიდან. მათ ერთმანეთს გადაულაპარაკეს რაღაც და სწრაფად გამოცურეს მისკენ. ჰანსი პირველი გადმოხტა და ნავი მიაბა, მერე გერმანელთან ერთად თოფები, სამოსი, თევზი და სათევზაო მოწყობილობაც გადმოიტანა. გერმანელი პირდაპირ ქოხისკენ გაემართა, ჰანსმა თავისი ტვირთით ბერეტისკენ აიღო გეზი.

– ვინა ხარ შენ? – ჩუმად ჰკითხა მან.

– ბერეტი, მილდრიდის და, – უპასუხა მან და მაშინვე ორივე გაწითლდა. მერე ჰანსს ფერი დაეკარგა.

– მოხდა, რამე?

– არა, არაფერი. უბრალოდ უნდა მიხვიდე. არ შეუძლია მას ახლა მარტო დარჩენა.

ჰანსი იდგა და უყურებდა, მერე შებრუნდა და ქოხისკენ წავიდა. გერმანელი სახლის წინ სათევზაო მოწყობილობას ფენდა, ჰანსი მიეხმარა, თანაც ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. რაც ბერეტი ნაპირთან გამოჩნდა, ქოხიდან ძაღლების გააფთრებული ყეფა ისმოდა. ახლა კი, გააღეს თუ არა ქოხის კარი ჰანსმა და გერმანელმა, ძაღლები გარეთ გამოვარდნენ. ჰანსმა შეუყვირა და ორივე უკან შეაგდო. ჰანსს კარგა ხანს შეაგვიანდა, ბოლოს ძაღლთან ერთად გამოვიდა გადაცმული, თოფი მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. გერმანელმა გამოაცილა. კარებთან მაგრად ჩამოართევს ერთმანეთს ხელი, როგორც დიდი ხნით განშორების წინ ართმევენ. ჰანსი პირდაპირთ ბერეტთან მივიდა.

– შენ იცი ჩქარი სიარული? – ჰკითხა მან.

– რა თქმა უნდა, ვიცი.

და ჰანსი სწრაფად გაემართა. ბერეტი ხტუნვა-ხტუნვით გაეკიდა. ძაღლმა ორივეს გაუსწრო სირბილით.

აქამდე ჰანსს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ დანიშვნის შემდეგ მილდრიდიც ისე მშვიდია და ბედნიერი, როგორც თვითონ. მაგრამ, აღმოჩნდა, ეს ასე არ იყო. მილდრიდს, რა თქმა უნდა, აღელვებდა მშობლების საკითხი, ეს გასაგებია. გარდა ამისა, მას არ შეიძლება არ აკრთობდეს მოვლენების ესოდენ სწრაფი განვითარებაც. ეს, რა თქმა უნდა, დღესავით ნათელია, საკვირველი ისაა მხოლოდ, მას როგორ არ მოუვიდა ეს თავში ადრე... მან ფეხს აუჩქარა. თუკი თვითონ მას გამალებული ეჩვენა მოვლენათა მსვლელობა, რას უნდა გრძნობდეს მაშინ ეს გოგონა, თითქმის ბავშვი, რომელიც რიდსა და მორჩილებაში იზრდებოდა და ახლა ვნებათა მორევში აღმოჩნდა ჩათრეული! ეს ფიქრები თითქოსდა წინ ერეკებოდა, უფრო და უფრო აჩქარებდა მას.

იგი ჩქარობდა. ბერეტი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, გვერდით მისდევდა, ფართოდ გახელილ თვალებს არ აცილებდა. ჰანსმა კი, ბურუსივით რომ მოეცვა მილდრიდზე ფიქრებს, ვერც კი შენიშნა, რომ ბერეტი ჩამორჩა. როცა მიიხედა დაინახა, რომ იგი დიდ მანძილზე ჩამორჩენოდა და მთელის ძალისხმევით ცდილობდა დაწევას. სიამაყის გამო ბერეტი ხმას არ იღებდა, არ აღიარებდა, რომ ასე ჩქარი სიარული მას არ ძალუძდა. ჰანსი უცდიდა. როცა დაეწია, სულს ძლივს ითქვამდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

– ეტყობა, ძალიან ჩქარა მივდივარ. – ხელი გაუწოდა ჰანსმა.

ბერეტი სულს ვერ ითქვამდა და ლაპარაკი არ შეეძლო.

– მოდი, ცოტა დავისვენოთ, – უთხრა ჰანსმა და გოგონა გვერდით მოისვა.

ბერეტს სიწითლემ გადაპკრა და თავი ჩაღუნა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

– წყლის დალევა მინდა, – თქვა ბოლოს.

ისინი წამოდგნენ. ჰანსმა იქაურობა მოათვალიერა, მაგრამ ახლომახლო ნაკადული არსად ჩანდა.

– ცოტაც მოითმინე, მოშორებით არის ერთი ნაკადული, – თქვა მან, – ისე კი, შენთვის ჯობს მოითმინო და არ დალიო. – ჰანსი ისევ ძველ ადგილზე დაჯდა, ბერეტი კი მის წინ, ქვაზე.

– მთელი გზა მოვრბოდი შენთან, – თითქოსდა თავის გასამართლებლად თქვა მან. – არც არაფერი მიჭამია, – დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ, – თან მთელი ღამე არ გვეძინა ორივეს.

იმის მაგივრად, რომ მისთვის თანაეგრძნო, ნაჩქარევად ჰკითხა:

– ესე იგი არც მილდრიდს უჭამია არაფერი და არც ეძინა?

– ჰო. მილდრიდს არც გუშინ ეძინა და არც დღეს. არც უჭამია არაფერი... – ბერეტი ცოტა ჩაფიქრდა. – ჰო, ნამდვილად, ფინჩხა არ ჩაუდია პირში.

ჰანსი წამოხტა.

– დაისვენე უკვე? შეგიძლია სიარული?

– შემიძლია, მგონი.

ჰანსმა ხელი ჩასჭიდა და წინ გაქანდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ გოგონას მისი დაწევის თავი არ ჰქონდა. ქურთუკი გაიძრო, ბერეტს მოახვია და ხელში აყვანილი წაიყვანა. ამას კი ნამდვილად ვერ დაუშვებდა გოგო, მაგრამ ჰანსი ისე მსუბუქად და ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ ძალაუნებურად პერანგის საყელოში ჩაეჭიდა: თვითონ მასზე შეხება ვერ გაბედა. ცოტა ხნის შემდეგ ბერეტმა განაცხადა, რომ დაისვენა და სიარული შეუძლია. მაშინ ჰანსმა ჩამოსვა იგი ძირს, ქურთუკი აიღო, თოფზე ჩამოჰკიდა და გზა განაგრძო. ნაკადულთან გაჩერდნენ და ცოტა შეისვენეს, სანამ წყალს დალევდა ბერეტი. როცა იგი წამოდგა, ჰანსმა ღიმილით შეავლო თვალი.

– შენ კი, მართლა ყოჩაღი ყოფილხარ!

საღამოვდებოდა, როცა ქოხში დაბრუნდნენ. მაგრამ რამდენი არ ეძახეს და რამდენი არ ეძებეს მთელს საძოვარზე, მილდრიდის კვალს ვერ მიაგნეს. ორივეს მოუსვენრობა დაეტყო. უცებ ჰანსმა ყურადღება მიაქცია ძაღლს, რომელმაც თითქოს რაღაც იყნოსა. მიირბინეს და მილდრიდის ხილაბანდი დაინახეს. ჰანსმა ძაღლს უბრძანა – ეძებნა. ძაღლი წინ გაქანდა, ისინიც გაეკიდნენ. ძაღლი ტინგვოლდამდე გაშლილ საძოვარზე მირბოდა. ნუთუ მილდრიდი შინ გაეშურა? ბერეტმა უამბო მის მიერ გაუფრთხილებლად დასმული კითხვისა და კითხვისადმი მილდრიდის დამოკიდებულების შესახებ. ჰანსის აზრით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ბერეტი ატირდა. ღირს კი მისი ძებნა თუ არა? ბერეტი უნუგეშოდ გამოიყურებოდა, დაჟინებით ითხოვდა ძებნის გაგრძელებას. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მეზობელ საძოვარზე უნდა ეთხოვათ ვინმესთვის, ნახირის მორეკვისას თადარიგი დაეჭირა. სანამ ამის ლაპარაკში იყვნენ და თანაც თვალს არ აშორებდნენ ძაღლს, იგი უცებ შედგა, მოიხედა და კუდის ქნევას მოჰყვა. ისინი იმ ადგილს მივარდნენ და ბალახზე მძინარე მილდრიდი დაინახეს. მილდრიდს ხელი თავქვეშ ამოედო და ეძინა, სახეს ბალახი უფარავდა. ისინი ჩუმად მიუახლოვდნენ. ძაღლმა სახე და ხელი აულოკა მძინარეს. იგი შეინძრა, მაგრამ ძილი განაგრძო.

– იძინოს! – წაიჩურჩულა ჰანსმა. – შენ კი გაიქეცი და ძროხებს მიხედე. უკვე ზანზალაკების წკარუნიც ისმის.

ბერეტი წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ჰანსმა მოაბრუნა.

– საჭმელიც წამოაყოლე როცა მობრუნდები, – ჩუმად უთხრა. მერე ძაღლს დაუძახა და გვერდით დაისვა, რადგანაც ეშინოდა, არ დაეყეფა.

საღამო ხანს მოიღრუბლა. მთები და კლდეები ჩაშავდა შორს. სიჩუმეს არაფერი არღვევდა, ჩიტებიც კი მიიყუჟნენ. იგი იჯდა, ძაღლს არ უშვებდა. მან უკვე წინასწარ იცოდა, რას ეტყოდა მილდრიდს, როცა ის გაიღვიძებდა. ღრუბლის ნასახიც კი არ აბნელებდა მათ მომავალს. ბალახზე წამოწოლილი, იგი

უდარდელად უყურებდა ცას. რა თქმა უნდა, მილდრიდთან შეხვედრა ბედია, თვით უფალი აერთიანებს მათ სამარადისოდ.

იგი კვლავ საქორწილო მარშის თხზვას შეუდგა. მისი არსება ჩუმმა სიხარულმა მოიცვა. მასში პოვებდა იგი შთაგონებას.

რვა სრულდებოდა ბერეტი რომ დაბრუნდა საჭმლით. მილდრიდს ისევ ეძინა. ბერეტმა თავისი ტვირთი მიწაზე დადო, შეხედა მათ და რამდენადმე მოშორებით თვითონაც დაჯდა. მთელი საათი გავიდა თითქმის. ამ ერთი საათის განმავლობაში ბერეტს რამდენჯერმე ლამის ძილმა წაართვა თავი. ათი იწყებოდა, მილდრიდს გაეღვიძა. იგი მეორე მხარეს გადაბრუნდა, მერე თვალები გაახილა, გაკვირვებით მიმოიხედა და მხოლოდ ახლაღა შენიშნა, მარტო არ იყო. ამდენი ხნის ძილის შემდეგ იგი ჯერაც არ იყო გამოფხიზლებული კარგად და ვერ გაეგო, სად იმყოფებოდა და რა ხდებოდა მის თავს. ჰანსი წამოდგა, ღიმილით მივიდა მასთან და მანაც ორივე ხელი გაუწოდა მას.

იგი მის გვერდით ჩაჯდა ბალახებში.

– აი, შენც გამოიძინე, მილდრიდ.

– ჰო, გამოვიძინე.

– ახლა კი უნდა ჭამო.

– ჰო, ვჭამ რამეს.

ბერეტმა საჭმელი მიუტანა დას. მილდრიდმა გაკვირვებით შეხედა მას.

– დიდხანს მეძინა? – იკითხა.

– დიდხანს, რა თქმა უნდა. ახლა, ალბათ, ცხრა საათია უკვე. ნახე, მზეც არა ჩანს.

ახლა მოაგონდა მილდრიდს, როგორ მოხვდა აქ.

– თქვენ დიდი ხანია აქ ხართ?

– არც ისე. ჭამე, აბა, ჩქარა.

იგი ჭამას შეუდგა.

– შენ, ალბათ, მშობლების ნახვა გინდოდა, – ჩუმად ჰკითხა ჰანსმა და მისკენ დაიხარა.

– ჰო, – ჩურჩულით თქვა, წამოწითლდა.

– ხვალ, როცა კარგად გამოიძინებ, ერთად წავალთ იქ.

მილდირდმა თვალი გაუსწორა, – ის გამოხატავდა მადლიერებასა და გაკვირვებას, – და არაფერი უპასუხა. თანდათან იგი გონზე მოვიდა, ბერეტს ჰკითხა, სად დაიკარგეო, და მანაც უამბო, რომ ჰანსთან იყო და დანარჩენიც ჰანსმა გადაწყვიტა. მოლდრიდი ჭამდა და მოჯადოებულივით უსმენდა. მილდრიდმა ბევრი იცინა, როცა უამბეს, როგორ მოძებნა მძინარე გოგო ძაღლმა, როგორ აულოკა სახე და მაინც ვერ გააღვიძა. ძაღლი იქვე იჯდა და ხარბად აყოლებდა თვალს ყოველ ლუკმას, რომელიც პირთან უჩინარდებოდა. მილდრიდმა ეს შენიშნა და დარჩენილი საჭმელი გაუყო.

როგორც კი მილდრიდი ჭამას მორჩა, საძოვარს მიაშურეს. ბერეტს მალე ჩაეძინა, ახალგაზრდები ქოხის წინ ისხდნენ. წვიმას იწყებდა, მაგრამ მათ ვერც კი შენიშნეს ეს, რადგანაც კარს ზემოთ სახურავი წინ წამოშვერილი იყო. ღრუბელი საძოვარს მიეძალა. მალე მთლად ჩამობნელდა. დახშული ჩურჩული მათ საუბარს ინტიმურ ხასიათს აძლევდა. პირველად ისხდნენ ისინი ერთად და საუბრობდნენ. ჰანსი სთხოვდა, დიდსულოვნად ეპატიებინა მისთვის: როგორ ვერ მიხვდა იგი ადრე, რომ მილდრიდი სხვაგვარად აღიქვამდა მათ დანიშვნას მასთან შედარებით და რა მღელვარებას მოუტანდა მას მშობლების პასუხზე ფიქრი. დიახ, იგი არ უარყოფდა, რომ ეს მას აღელვებდა. გაგრძელება ვერ გაბედა, თუმცა სალაპარაკო ბევრი ჰქონდა. მაგრამ, განა საჭიროა სიტყვები იქ, სადაც ასე მეტყველია ყველაფერი: თვალები, მოძრაობა, თვით ოდნავი ამოოხვრა? მათ შორის უკვე განსრულდა სულთა ის სასწაულებრივი მირქმა, რომელსაც უმრავლესობასთან პირველი კოცნა ამზადებს და მხოლოდღა ზოგიერთთან იწყება უმისოდ. მოპარვით, ლანდების დარად, წარმოიშვა ბინდ-ბუნდში პირველი გაუბედავი კითხვები და პასუხები მათზე. სიოს მონაქროლივით მსუბუქი და ბუსუსივით რბილი მიფრინავდა ყოველი სიტყვა ერთიდან მეორისკენ. მილდრიდმა გამბედაობა მოიკრიბა და ჩუმად ჰკითხა, ხომ არ მოეჩვენა მას მისი მოქმედება უცნაურად. არა, ჰანსს შეუძლია დაარწმუნოს იგი, რომ მას არაფერი უცნაური არ შეუნიშნავს

მასში! კი, მაგრამ, განა ვერ შენიშნა ჰანსმა, რომ გუშინ, მათი შეხვედრისას, ერთი სიტყვაც არ დასცდენია მას? არა, არც ეს შეუნიშნავს. ის კი, მშობლებთან რომ წავიდა, განა ესეც არ აკვირვებს მას? არა, იგი ამას ბუნებრივად თვლის. დაბოლოს – იგი დიდხანს ვერ ბედავდა ამის შეკითხვას და ახლაც კი სახეშექცევით, ჩურჩულით გაიღო ხმა: – განა არ აოცებს ის სიმსუბუქე, რითაც ასე ჩქარა დანებდა მას? არა, რა თქმა უნდა, არა. იგი მხოლოდ იმას ფიქრობს, რა მშვენიერია ყველაფერი ეს. და მაინც, რა იფიქრა მასზე, როცა ტირილი მოერია მათი პირველი შეხვედრის დროს? ჰო, ეს მაშინ მისთვის გაუგებარი იყო, ახლა კი ჰანსს ესმის მისი და უხარია, რომ იგი, სახელდობრ, ისეთია, როგორიც არის.

ამ პასუხებმა ისე გაახარა მილდრიდი, რომ მას მარტო დარჩენა მოუნდა. და, თითქოს მიუხვდაო სურვილს, ჰანსი წამოდგა და ჩუმად თქვა, წასვლის დროაო. მილდრიდიც ადგა. ჰანსმა თავი დაუქნია და ღამის გასათევად ნელი ნაბიჯით გაემართა სათივისკენ. მილდრიდი ქოხში შევიდა, სწრაფად გაიძრო, დაწვა და გულხელდაკრეფილმა მხურვალე მადლიერებით მიმართა ღმერთს. იგი მადლობას უხდიდა მას ჰანსისთვის, მისი სიყვარულისთვის, თავმდაბლობისა და დიდსულოვნებისთვის. ზოგჯერ სიტყვები არ ჰყოფნიდა და მაშინ ყველაფრისათვის უხდიდა მადლობას, ყველაფრისათვის ერთად, ბოლო ორ დღეს განცდილი ტანჯვისათვისაც კი – ტანჯვის შემდეგ ხომ ბედნიერებასაც განსაკუთრებით აფასებ მუდამ! იგი მადლობას უხდიდა ღმერთს იმ მარტოობისთვისაც, რომელშიც იმყოფებოდა აქ, მთებში, და ასევე შესთხოვდა არ მიეტოვებინა იგი ხვალ, როცა ისინი ერთად წავლენ ტინგვოლდში მშობლებთან. მერე ფიქრებით ისევ უბრუნდებოდა ჰანსს და ისევ გულმხურვალე მადლობას აღავლენდა მასთან შეხვედრის გამო.

მეორე დილით მილდრიდი რომ ქოხიდან გამოვიდა, – ბერეტს ჯერ კიდევ ეძინა, – ჰანსი უკვე ელოდა. ძაღლს კაკბის დაფრთხობა მოესწრო და საყვედურს იმსახურებდა ამისთვის. მილდრიდის დანახვისას კი ჰანსმა ძაღლს თავი ანება და

ისიც, როგორც მათი გასხივოსნებული ბედნიერების ცოცხალი განსახიერება, მხიარული ყეფითა და კუდის ქნევით მოჰყვა მათ ირგვლივ სირბილს. ჰანსი დაეხმარა მწყემსებს საქონლის საძოვარზე გარეკვაში და როცა ბოლოს და ბოლოს იგი და მილდრიდი სასაუზმოდ დასხდნენ, ბერეტსაც გაეღვიძა. ყოველთვის და ახალაც, როცა კი ჰანსი შეხედავდა მას, იგი წითლდებოდა და თვალებს ხრიდა, ხოლო, როცა საუზმის შემდეგ მილდრიდი ჰანსის გვერდით გადაჯდა და მისი საათის ძეწკვს ათამაშებდა, ბერეტი გაიქცა და დაიმალა. და სანამ ისინი წავიდოდნენ, არ გამოჩენილა.

– მომისმინე, მილდრიდ, – უთხრა ჰანსმა გზაში. იგი მისკენ დაიხარა და ნაბიჯი შეანელა. – რაღაც მოვიფიქრე, გუშინ ამის შესახებ არაფერი გვითქვამს. – მისი ხმა ისე სერიოზულად ჟღერდა, მილდრიდმა თვალები მიაპყრო. ჰანსი მისკენ გაუხედავად განაგრძობდა დინჯად: – მინდოდა შენთვის მეთხოვა, ღმერთმა ქნას და, როცა დავქორწინდებით, მინდა ქორწილის შემდეგ ჩემთან გადმოხვიდე ჰაუგენში.

იგი გაწითლდა და ორჭოფულად მიუგო:

– მერე მამა და დედა რას იტყვიან?

ჰანსმა პასუხი დააყოვნა.

– როცა ვიქორწინებთ, მაშინ, ალბათ, თვითონ, მშობლების გარეშე, გადავწყვეტთ ამ საქმეს.

მისი სიტყვები პირველად მოხვდა გულში საწყენად მილდრიდს. მან არ უპასუხა.

– თუ ცალკე ვიცხოვრებთ, უფრო მალე შევეჩვევით ერთმანეთს, – დაუმატა ჰანსმა, პასუხისთვის არ დაუცდია ისე.

მილდრიდს ეგონა, რომ თანდათან უკეთესად უგებდა ჰანსს, მაგრამ თავს მაინც ვერ ატანდა ძალას პასუხი გაეცა. ჰანსი კვლავაც ნელა მიჰყვებოდა გვერდით თვალებდახრილი და დუმდა. მისი დუმილით შეცბუნებულმა მილდრიდმა მალულად შეხედა მას. იგი საშინლად გაფითრებული ჩანდა.

– ო, ჰანს! – წამოიძახა მან და თავისდა უნებურად შეჩერდა.

ჰანსი მიუბრუნდა, სწრაფად შეავლო თვალი, თოფი მხარიდან გადაიგდო და ისიც გაჩერდა.

– განა არ შეიძლება მშობლებისგან ცალკე ვიცხოვროთ ჰაუგენში? – ხმა დახშულად ჟღერდა, გამოხედვა კი ძველებურად მტკიცე და შეუპოვარი ჰქონდა.

– რატომაც არა. რატომაც არ შეიძლება! – საჩქაროდ დაამშვიდა ქალიშვილმა და თვალი გაუსწორა.

ჰანსს სიწითლემ დაურბინა სახეზე, თავი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა გაუწოდა.

– გმადლობ! – წაიჩურჩულა, ხელს ხელზე უჭერდა მაგრად.

მათ გზა განაგრძეს. ერთი რამ ფრიად აფიქრებდა მილდრიდს და არ შეეძლო არ ეთქვა:

– შენ ხომ სრულიად არ იცნობ ჩემს მშობლებს.

ჰანსმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უხმოდ.

– მართალია, მაგრამ სანამ შენ გადმოხვალ, გაცნობას მოვასწრებ.

– ისინი ისე კეთილები არიან, – თქვა მილდრიდმა.

– გამიგონია. ყველა მაგას ამბობს. – თქვა ჰანსმა მტკიცედ, მაგრამ ცივად.

სანამ მილდრიდი რამის გაფიქრებას ან თქმას მოასწრებდა, ჰანსმა თავის სახლზე დაიწყო ლაპარაკი, თავის ახლობლებზე, სილარიბეზე, რომელსაც დააღწიეს თავი, დებსა და ძმებზე, რომლებიც ასე მუყაითნი, ერთგულნი და მხიარულნი არიან, მოაგარაკეებსა და ფუსფუსზე, რომელიც მათ ჩამოსვლას მოსდევს; ნაგებობებსა და, განსაკუთრებით, ახალ ჩაფიქრებულ ფლიგელზე, რომელშიც იცხოვრებენ ისინი; მეურნეობაზე, რომლის გაძღოლაც მოუწევს მას, მაგრამ ეს სრულიადაც არ იქნება ძნელი, რადგანაც ყველა მხარში ამოუდგება მას, ყველა ხელის გულზე ატარებს და ამაში, რა თქმა უნდა, ყველასათვის მაგალითის მიმცემი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ იქნება.

ჰანსი დაბეჯითებით არწმუნებდა მას და რაც უფრო ერთობოდა ლაპარაკით, მით უფრო უჩქარებდა ფეხს, მით უფრო ახლოს მიჰყვებოდა და უკვე ხელიხელ ჩაკიდებულნი

აგრძელებდნენ გზას. სახლისა და ახლობლებისადმი ჰანსის სიყვარულმა უთუოდ მოახდინა მილდრიდზე შთაბეჭდილება და ჯერაც განუცდელიც ხიბლავდა, მაგრამ თან პროტესტის გრძნობაც ულვივდებოდა. ეჩვენებოდა, თითქოსდა მისი კეთილი მშობლების მიმართ უსამართლობა ჩაიდინეს. ამიტომ მან ისევ ჩამოაგდო მათზე სიტყვა.

– მისმინე, ჰანს, მამა და დედა უკვე მოხუცები არიან... მათ იმდენი გადაიტანეს... ისეთ ჭაპან-წყვეტაში იყვნენ სულ, რომ თუ ჯაფა არ შევუმსუბუქეთ ახლა... – ვერ დაამთავრა მან.

ჰანსმა ნაბიჯი შეანელა და ღიმილით შეხედა.

– შენ, ალბათ, ფიქრობ, ხუტორის გადმოცემას მოინდომებენ შენთვის?

მილდრიდი გაწითლდა და არაფერი უპასუხა.

– ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ოღონდ თუ ისინი მოინდომებენ, რომ ჩვენ შევუმსუბუქოთ საზრუნავი, მაშინ თვითონვე უნდა გვთხოვონ ეს.

იგი ალერსიანად ლაპარაკობდა, მაგრამ მილდრიდი მიხვდა, რომ მის უკან რაღაც ფრიად სერიოზული იმალებოდა. მილდრიდს, ყოველთვის ასე გულისხმიერსა და სხვათათვის ანგარიშის გამწევს, აღარაფერი დარჩენოდა მორჩილების გარდა.

მალე იმ ადგილთან მივიდნენ, საიდანაც მთელი ტინგვოლდი ხელისგულივით მოჩანდა. მილდრიდმა ხუტორს გახედა, მერე მზერა ჰანსზე გადაიტანა იმ ვარაუდით, რომ ხუტორის მშვენიერი ხედი თვითონაც თავისუფლად დაიცავდა თავს. მზით განათებული ველები, ტყეში ჩამჯდარი მყუდრო კარ-მიდამოები, წყნარი მამაპაპური სახლები ნახატებს ჰგავდა. ველებს შორის რაკრაკით მიიკლაკნებოდა მდინარე და დაბლობსა თუ მთის კალთის გაღმა-გამოღმა მხარეს თავს იწონებდა მრავალი ხუტორი. მაგრამ, ჭეშმარიტად, ვერც-ერთი ვერ შეედრებოდა ტინგვოლდს, ვერც ერთი ისე ვერ ახარებდა თვალს და ვერ გაოცებდა ასეთი კაშკაშა ფერებით! მშვენიერმა ხედმა ჰანსიც მოხიბლა. ამის დანახვისას მილდრიდი სიამოვნებისაგან გაწითლდა.

– მართლაც ასეა, – ჩაილაპარაკა ჰანსმა, თითქოსდა მის ფიქრებს გასცა პასუხი. – ტინგვოლდი ძალიან კარგია, ასეთს მართლაც ვერ ნახავ მეორეს. – მას გაეღიმა და ქალიშვილისკენ დაიხარა: – მაგრამ შენ, მილდრიდ, ყველა ხუტორზე ძვირფასი ხარ ჩემთვის! ის არ ვიცი, ოლონდ, ჩვენ ორში რომელი გირჩევნია შენ! მე თუ ტინგვოლდი?

ასეთ შემთხვევაში მილდრიდი ჩუმდებოდა, შესახედაობა კი კმაყოფილი ჰქონდა. ჰანსი დაჯდა და იგი გვერდით მოისვა.

– ახლა კი გიმღერებ! – წაიჩურჩულა მან.

– მე ხომ ჯერ ერთხელაც არ მსმენია, როგორ მღერი შენ, – ბედნიერი ღიმილით მიუგო მილდრიდმა.

– შენ არაფერი დაგიკარგავს, მე არც თუ ისე კარგად ვმღერი, მაგრამ დროდადრო ისე მომეძალება სიმღერის სურვილი, რომ მაშინ თავს ვეღარ ვიკავებ და მეც ვმღერი.

ჰანსი ცოტა ხნით დაფიქრდა და მის მიერვე შექმნილ მოტივზე ძველი საქორწილო მარში წამოიწყო. მილდრიდი უსმენდა და ნათლად ესახებოდა, როგორ წავიდოდნენ ისინი ეკლესიაში. იგი სავსებით ჩუმად მღეროდა, მაგრამ ასეთი ზეიმი ხმაში ჯერ არასოდეს გაეგონა მას. მისი მშობლიური სახლი პირდაპირ თვალწინ ედგა, ის სახლი, საიდანაც წაიყვანენ ეკლესიაში, გაუყვებიან გზას, რომელიც ასე მკაფიოდ ჩანს, გადავლენ ხიდზე, ჩაუვლიან არყის ჭალას და მიადგებიან ეკლესიას, სახლებით შემოჯარულს! მოღრუბლული იყო, მზე არ ჩანდა, მაგრამ ეს ისე ეხამებოდა მის წინ წამოშლილ ბუნდოვან სახეებს... რამდენჯერ გაუვლია გუნებაში ეს გზა ეკლესიისკენ – ვისთან ერთად, მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა! მარშის სიტყვებმა და მელოდიამ თითქოსდა მონუსხეს იგი. რბილი, ხავერდისფერი ხმა პირდაპირ სულში სწვდებოდა მას, თვალებში ცრემლები ედგა, მაგრამ არ ტიროდა, თუმცა არც იღიმოდა. მილდრიდს ხელი ჰანსის ხელზე დაედო და ხან მას უყურებდა, ხან ქვევით, ტინგვოლდს, სანამ კვამლი არ ამოვიდა მილებიდან, – იქ, როგორც ჩანს, სადილის მზადებას შეუდგნენ. იგი რეალობას

დაუბრუნდა და ხუტორისაკენ ანიშნა ხელით. ჰანსს სიმღერა დაემთავრებინა, იჯდა და ისიც ხუტორისკენ იყურებოდა.

არყის ტყის გავლით ისინი უკვე ქვევით ჩადიოდნენ. ჰანსი თვალს არ აცილებდა ძაღლს. მილდრიდს გული აუჩქროლდა. მათ მოილაპარაკეს, რომ ჰანსი სახლამდე მიაცილებდა მას, მერე კი იგი უიმისოდ გააგრძელებდა სვლას. ჰანსმა რამდენიმე გუბეზე გადაიყვანა იგი და იგრძნო, რა გახურებულიც ჰქონდა მას ხელები.

– ნუ ფიქრობ, რა უნდა თქვა, – ჩაუჩურჩულა. – ყველაფერი თავისით ითქმება, როცა დრო მოვა.

მილდრიდი არც პასუხობდა, არც თავს იბრუნებდა. ტყიდან გამოვიდნენ. ტყის ბოლო ბებერი, ფიქრებს მიცემული ფიჭვების წყებას წარმოადგენდა, რომელთა შორისაც ნელი ნაბიჯებით მიინევდნენ ისინი. მილდრიდი მღელვარებისაგან ვერც უგდებდა ყურს ჰანსის მიერ ჩურჩულით ნაამბობს თავისი პაპისა და მილდრიდის პაპის დედის, ასლაუგის, დაწინდვის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს საოცარი ძველი ამბავი სიმხნევეს მატებდა მას. ახლა კი, როცა ისინი დაბურული ტყიდან გამოვიდნენ და მზით გაბრწყინებულ მინდორზე აღმოჩნდნენ, ჰანსიც გაჩუმდა. მილდრიდი შემობრუნდა, შეშინებული სახე ჰქონდა. ჰანსს შეებრალა, მაგრამ სანუგეშო სიტყვები ვერ იპოვა, ეს საქმე ხომ მეტისმეტად მჭიდრო კავშირში იყო თვითონ მასთან. ისინი გვერდიგვერდ მიდიოდნენ. სახლის წინა პატარა ჭალა მათ სახლის ბინადართა თვალისაგან იფარავდა. როცა ისე ახლოს მივიდნენ, რომ შეიძლებოდა სახლიდან დაენახათ, ჰანსმა წყნარად დაუსტვინა ძაღლს, და მილდრიდი მიხვდა: ეს მათი განშორების ნიშანი იყო. იგი უმწეო სახით შეაჩერდა ჰანსს, ჰანსმა გამამხნევებლად წასჩურჩულა:

– მე აქ დაგელოდები და შენთვის ვილოცებ, მილდრიდ. როგორც კი დაგჭირდები, მაშინვე შენთან გავჩნდები.

მილდრიდმა თვალებით გადაუხადა მადლობა და თადაჭერილი, ყოველგვარ აზრს მოკლებული, სახლისკენ გაემართა. როგორც კი იგი ღია ადგილზე გავიდა, მაშინვე დაინახა, რა

ხდებოდა დიდ ოთახში და სახლის უკანაც კი, რადგანაც ეს ოთახი ფანჯრებით არა მარტო ტყეზე გადიოდა, არამედ მეორე მხარეზეც – გზისკენ. ჰანსი ძაღლთან ერთად უახლოეს ბუჩქთან მიიმალა, საიდანაც მას, ისევე როგორც მილდრიდს, მთელი ოთახი შეეძლო დაენახა. ახლა იგი ცარიელი იყო. ფარდულთან ჩავლისას იგი მოტრიალდა. ჰანსმა თავი დაუკრა. მან ფარდულს მოუარა და სახლის წინ ეზოში აღმოჩნდა.

აქ უწინდებურად სიჩუმე და წესრიგი სუფევდა. უკანა ეზოში რამდენიმე ქათამი კაკანებდა. მარცხნივ, ბეღლის კედელთან ჭოკები იყო მიყუდებული თივის საშრობად, დანარჩენი ყველაფერი ძველებურად იყო. ის იყო დააპირა, მარჯვნივ, ბებიის პატარა სახლისკენ აეღო გეზი, – შიში აიძულებდა მშობლებთან შეხვედრა გადაევადებინა, – რომ უცებ ეზოს შუაგულში, სახლებს შორის, მამა დაინახა, რომელიც ნაჯახს ტარს აგებდა. მას ეცვა თბილი ნაქსოვი პერანგი, შარვალში ჩატანებული. თავზე არ ეხურა და ქარში გრძელი მეჩხერი თმა უფრიალებდა. მხნედ, თითქმის მხიარულად გამოიყურებოდა. მილდრიდმა გული გაიმაგრა და ახლოს მივიდა.

– გამარჯობა, მამა, – თქვა ჩურჩულით.

მან გაკვირვებით მოიხედა.

– ამას ვის ვხედავ, მილდრიდ?! რამე ხომ არ მოხდა, – საჩქაროდ დაუმატა მან და გამომცდელად შეაჩერდა სახეში.

– არა, – უპასუხა ქალიშვილმა და ოდნავ წამოწითლდა.

მამა თვალს არ აშორებდა ქალიშვილს, ქალიშვილს კი თვალებში ვერ შეეხედა მისთვის.

– დედასთან წავიდეთ სახლში! – თქვა მამამ და ნაჯახი დადო.

სანამ ეზოში მიდიოდნენ, იგი საძოვრის საქმეებს ეკითხებოდა ქალიშვილს და ყველაფერზე დამაკმაყოფილებელ პასუხებს იღებდა.

„აი, ახლა ჰანსი გვხედავს ჩვენ", – ფიქრობდა მილდრიდი, როცა ისინი კალოსა და მინაშენთა გრძელ რიგს შორის მიდიოდნენ.

სახლში რომ შევიდნენ, მამა სამზარეულოს კარებს მიადგა და შეაღო.

– მოდი აქ, დედა, – თქვა მან და კარებში გაჩერდა. – მილდრიდი მოვიდა.

– ო, ღმერთო, რამე ხომ არ მოხდა? – მოისმა სამზარეულოდან.

– არა, – გაეხმიანა მამის ზურგს უკნიდან მილდრიდი, სამზარეულოში შევიდა და დედას მიაშურა, რომელიც ქურასთან კარტოფილს ფცქვნიდა და ქვაბში ყრიდა.

დედამ, მამასავით, გამომცდელად შეხედა მას და ისიც ამ შეხედვაზე ისევ შეცბა. დედა წამოდგა, წამოდგომისას ქვაბი მისწია, მოპირდაპირე კარი შეაღო, რაღაც დავალებები გასცა და მობრუნდა. მერე მზარეულის ნინსაფარი შეიხსნა, ხელები დაიბანა და სამივე ოთახისკენ გაემართა.

მილდრიდმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა მშობლების ჩვეულებები და ამიტომაც ესმოდა, რომ ისინი რაღაც არაჩვეულებრივის მოსასმენად ემზადებოდნენ. იგი გაბედულად არც უწინ იყო და ახლა ხომ სულ დაიბნა. მამა გზაზე გამავალი ფანჯრების უკიდურეს კუთხეში დაჯდა, დედა კი – იმავე სკამის მეორე ბოლოში, სამზარეულოსთან ახლოს. მილდრიდი მის პირდაპირ, მაგიდის წინ მდგარ სკამზე დაჯდა. ჰანსი დაინახავდა აქ, შეეძლო მამაც დაენახა, დედას კი ალბათ ვერ დაინახავდა.

დედამაც ასევე გამოჰკითხა საძოვრის საქმეები და იგივე პასუხები მიიღო, რაც მამამ, ოღონდ უფრო საფუძვლიანი, რადგანაც უფრო დანვრილებით ეკითხებოდა. თუმცა ორივე მხარე ცდილობდა გაეჭიანურებინა საუბარი, საძოვრის თემა ბოლოს და ბოლოს ამოიწურა. სიჩუმე ჩამოვარდა. მშობლები მომლოდინედ უყურებდნენ მილდრიდს. იგი კი, დრო რომ გაეწელა, ხუტორის ახალი ამბებით დაინტერესდა. მართალია, ამ თემის გაჭიანურებასაც შეეცადნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც ამოიწურა. ისევ ჩამოვარდა სიჩუმე, ისევ მიაც-

ქერდნენ მშობლები ქალიშვილს. ქალიშვილმა კითხვების დასმა შეწყვიტა და დაბნეულობისაგან ხელს უსვამდა სკამს.

– ბებიასთან იყავი? – ჰკითხა სერიოზულად შეფიქრიანებულმა დედამ.

– არა, არ ვყოფილვარ.

ეს იყო ტოლფასი აღიარებისა, რომ ქალიშვილს საქმე, სახელდობრ, მათთან ჰქონდა. მოლოდინი აუტანელი ხდებოდა.

– რაღაც მინდა გიამბოთ, – ამოღერღა როგორც იქნა მილდრიდმა. თვალები დაეხარა, სახე განუწყვეტლივ ეცვლებოდა.

მშობლებმა ფიქრიანად გადახედეს ერთმანეთს. ქალიშვილმა თავი აიღო და ვედრების გამომხატველი სახით შეხედა მათ.

– რაშია საქმე, შვილო? – მოუთმენლად ჰკითხა დედამ.

– მე დანიშნული ვარ, – მიუგო მილდრიდმა, თავი ჩაქინდრა და ცრემლები მოერია.

ვერაფერი განაცვიფრებდა ამ უწყინარ მოხუცთ ამის გაგონებაზე უფრო! ფერწასულებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს. მათი თავდაჭერილი, წყნარი მილდრიდი, თვინიერი და დამჯერე, ცამდე რომ აჰყავდათ მათ ქებით, ახლა სრულიად დაუკითხავად დგამდა ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯს, ნაბიჯს, რომელიც თავის დროზე ასე ძვირი დაუჯდათ მათ და რომელმაც წარუშლელი დაღი დაასვა მთელ მათ შემდგომ ცხოვრებას! მილდრიდი ნათლად კითხულობდა ყველა ამ აზრს მათ სახეზე, და შიშისაგან ცრემლები შეაშრა. მაგრამ აი, მამა თავს მოერია, წყნარად ჰკითხა:

– ვისთან, შვილო?

– ჰანს ჰაუგენთან, – ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა ჩურჩულით.

არც ერთი სახელი, არც ერთი მოვლენა, რომელიც უკავშირდებოდა ჰაუგენებს, ოცი წელია არ წარმოთქმულა ამ ოჯახში. ჰაუგენების სახელს, როგორც მშობლებს გაეგებოდათ ეს, გარდა უბედურებისა არაფერი მოუტანია მათი სახლისთვის. მილდრიდი ახლაც მიუხვდა მათ ფიქრებს. იგი გაუნძრევლად

იჯდა განაჩენის მოლოდინში. მამამ აუჩქარებლად და მშვიდად დაიწყო:

– ჩვენ ამ ადამიანს არ ვიცნობთ, არც დედა, არც მე... ვერც ვიფიქრებდით, რომ შენ მას იცნობდი.

– არა, არც მე ვიცნობდი მას, – მიუგო მილდრიდმა.

საგონებელში ჩავარდნილი მშობლები ერთმანეთს მიაცქერდნენ.

– მაშინ როგორ მოხდა ეს? – იკითხა დედამ.

– თვითონაც არ ვიცი, – მიუგო მილდრიდმა.

– კი, მაგრამ, ჩემო კარგო, შეიძლება ასე წინდაუხედავად მოქცევა? – თქვა დედამ.

მილდრიდი ხმას არ იღებდა.

– ჩვენ კი შენი იმედი გვქონდა, – ჩუმად შენიშნა მამამ.

მილდრიდი კვლავაც არ იღებდა ხმას.

– მაგრამ მაინც როგორ მოხდა ყველაფერი ეს? ეს მაინც ხომ უნდა იცოდე! – უფრო მოუთმენლად გაიმეორა დედამ.

– ამის ახსნა არ შემიძლია... მე... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო... არაფრით არ შემეძლო... – მთელი ძალით ჩააფრინდა სკამს, რომელზედაც იჯდა.

– რა არის ეს, ღმერთო ჩემო, რა გემართება?

მილდრიდი დუმდა. აქ მამა ჩაერია. მისმა მშვიდმა ტონმა რამდენადმე დააცხრო დედის მოუთმენლობა.

– კი, მაგრამ, შვილო ჩემო, თავიდან რატომ არაფერი გვკითხე ან მე, ან დედას? – უწყინრად ჰკითხა მან.

და დედამაც იმავე ტონით წყნარად დაუმატა:

– შენ ხომ იცი, როგორც გვიყვარს ჩვენ ჩვენი შვილები? ჩვენ, რომლებმაც ასე განმარტოებით გავატარეთ ცხოვრება. შენზე ხომ, მთლად მზე და მთვარე ამოგვდიოდა, მილდრიდ!

მილდრიდი ვერ გრძნობდა სკამს, რომელზეც იჯდა.

– ვინ იფიქრებდა, რომ შენ ასე ადვილად აიღებდი ჩვენზე ხელს? – ისევ ჩაერია მამა. მან ეს ჩუმად თქვა, მაგრამ სიტყვები მტკივნეულად მოხვდა გულში მილდრიდს.

– მე არც ვაპირებდი ხელის აღებას თქვენზე, – წაიბუტ-ბუტა მან.

– შენ არ შეგიძლია ასე ილაპარაკო, – უფრო მკაცრად შეეპასუხა იგი. – რადგანაც შენ უკვე აიღე ჩვენზე ხელი.

მილდრიდს ესმოდა ნათქვამის სიმართლე, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ მამის სიტყვებში ყველაფერი მართებული არ იყო, ყველაფერში გარკვევის თავი კი არ ჰქონდა. დედამ თქვა:

– გაზარდე ახლა შვილი სიყვარულით! ერთი ხელსაყრელი შემთხვევა და... – არ დაამთავრა, დაინდო ქალიშვილი.

მილდრიდმა თავი ვერ შეიკავა.

– მე არ მინდა თქვენგან წასვლა... არ მინდა თქვენზე უარის თქმა... არ მინდა გატკინოთ გული... მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია... არა, არ შემიძლია! – ქალიშვილს თავი მაგიდაზე ჩამოუვარდა, სახეზე ხელები აიფარა და მწარედ აქვითინდა.

ასეთი მონანიების შემდეგ მშობლებს სასაყვედუროდ ენა არ უბრუნდებოდათ. ისევ აუტანელმა დუმილმა დაისადგურა. და არავინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, ჰანს ჰაუგენს რომ არ დაენახა თავის საფარიდან, რომ დროა დახმარება აღმოეჩინა მილდრიდისათვის. იგი მონადირის მახვილი თვალით უთვალთვალებდა ყველაფერს, რაც ოთახში ხდებოდა, და ყოველ ცვლილებას ამჩნევდა მის სახეზე, ტუჩების ყოველ მოძრაობას. როცა დაინახა, რომ იგი ტირის, სწრაფად წამოხტა და მალე წინკარში მისი ნაბიჯების ხმა გაისმა. კაკუნზე ყველამ კარისკენ გაიხედა, მაგრამ არავინ გაეპასუხა. მილდრიდი წამოდგა მხოლოდ, ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა, სახეზე ალმური ეკიდა. კარი გაიღო: ზღურბლზე ჰანსი იდგა თოფითა და ძაღლით, ფერმკრთალი, მაგრამ მშვიდი. ჰანსი კარისკენ მიბრუნდა მისახურად, ძაღლმა კუდის ქიცინით მიირბინა მილდრიდთან. ჰანსი ფრიად აღელვებული იყო და ვერ შენიშნა, რომ ძაღლი შემოჰყვა.

– აქა მშვიდობა! – თქვა მან.

მილდრიდი კვლავ სკამზე დაეშვა, შვებით ამოისუნთქა და სიხარულით შეხედა ჰანსს. მისი სინდისის ქენჯნას ბოლო

მოელო მყის. ის ხომ მართალია, დიახ, დიახ, მართალია, ცამდე მართალი! – ჰანსი აქ არის და დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ღმერთი ინებებს!

მის სალამს არავინ უპასუხა, იგი არც მიიწვიეს შინ.

– მე ჰანს ჰაუგენი ვარ, – ჩუმად თქვა მან. იგი კვლავ ზღურბლზე იდგა. მერე კი აღელვებით განაგრძო: – მილდრიდთან ერთად მოვედი. თუკი იგი არ არის მართალი რამეში, მასში დანაშაული მეც მიმიძღვის!

აუცილებელი იყო რაღაც ეპასუხათ. დედამ მამას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, და მანაც თქვა ბოლოს, რომ ყველაფერი ეს მათ უკითხავად მოხდა და რომ მილდრიდმა იმის ახსნაც ვერ შეძლო, როგორ მოხდა ყველაფერი ეს. ჰანსმა მიუგო, რომ მასაც გაუჭირდებოდა ამის ახსნა.

– ბიჭბუჭების ასაკს გადავაბიჯე, ოცდარვა წლის ვარ. აქამდე არასოდეს არავინ მყვარებია, მაგრამ დავინახე თუ არა ის, მას შემდეგ ჩემი ფიქრი მხოლოდ მას დასტრიალებს თავს. არ ვიცი, რა მომივიდოდა, უარი რომ ეთქვა.

მისმა წყნარმა, გულწრფელმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მილდრიდს გული აუძგერდა: მან იგრძნო, რომ ჰანსის ნათქვამი აიძულებდნენ მის მშობლებს სხვაგვარად შეეხედათ საქმისათვის. ჰანსს კვლავაც ქუდი ეხურა, რადგანაც იმ ადგილებში არ იყო მიღებული, ქუდი მანამ მოეხადა უცხოს, სანამ მას არ სთხოვდნენ ამას, ახლა კი მან უნებლიედ მოიხადა იგი და ქუდიანად დაადო ხელი ლულას. მთელს მის შესახედაობაში იყო რაღაც ნდობის აღმძვრელი.

– მილდრიდი ისე ახალგაზრდაა ჯერ, – შენიშნა დედამ, – რომ არც ერთი ჩვენგანი ამაზე არ ფიქრობდა.

– ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ სამაგიეროდ მე ბევრად უფროსი ვარ მასზე, – უპასუხა ჰანსმა. – ჩემი მეურნეობა ხუტორში დიდი არ არის, მძიმე ტვირთად არ დააწვება,თან დამხმარეებიც საკმარისად ეყოლება.

მშობლები დაფიქრებული შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მილდრიდს, ჰანსს.

– ჰაუგენში წაყვანას ხომ არ უპირებ? – უნდობლად, თითქმის დაცინვითაც ჰკითხა მამამ.

– დიახ, მე ხომ ხუტორი არ მომყავს ცოლად. – იყო პასუხი. ჰანსი გაწითლდა, მილდრიდიც გაწითლდა.

მინა რომ გამსკდარიყო და ტინგვოლდი ჩაქცეულიყო შიგ, ნაკლებ გაუკვირდებოდათ მოხუცებს, ვიდრე იმის გაგება, რომ ხუტორზე უარს აცხადებდნენ. მილდრიდის დუმილი მოწმობდა, რომ ისინი ერთი აზრისანი იყვნენ. ესე იგი ახალგაზრდებს წინასწარვე გადაუწყვეტიათ ყველაფერი მშობლების უკითხავად: მოხუცებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს.

– ამწუთას არ ამბობდი, თქვენი დატოვება არ მინდაო? – საყვედურით შენიშნა დედამ. მილდრიდი შეცბა.

მაგრამ ჰანსი მიეშველა:

– თქვენი დატოვება? განა შვილები დაქორწინების შემდეგ არ ტოვებენ მშობლებს? – მან გაიღიმა და მეგობრულად დაუმატა. – შორს ხომ არ მივდივართ, აქედან ჰაუგენამდე მილის* სამ მეოთხედზე მეტი არ იქნება.

მაგრამ მოსაზრებები ცოტა ვინმეს თუ არწმუნებს მსგავს შემთხვევებში. მოხუცთა საფიქრალი, სხვა იყო. ისინი თავს მიტოვებულებად გრძნობდნენ და ახალგაზრდების გადაწყვეტილებაში ღალატსაც კი ხედავდნენ. მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ჰაუგენი საკმაოდ კეთილმოწყობილი ხუტორი იყო ახლა, – მოაგარაკეთა სიმრავლემ ისე გაუთქვა სახელი მას, რომ გაზეთებშიც კი წერდნენ, – მაგრამ ასეა თუ ისე, ჰანსი ჰაუგენად რჩებოდა, მათი თვალისჩინი მილდრიდი კი კვლავ ემოყვრებოდა იმ გვარს, – ამის წარმოდგენაც კი უბრალოდ შეუძლებელი იყო! სხვა მშობლებს მათ ადგილზე, შესაძლოა, ღიად გამოეხატათ თავისი პროტესტი, ამ წყნარ ადამიანებს კი ერჩიათ უხმაუროდ მოეშორებინათ ის, რაც არ მოსწონდათ. მათ კვლავ მრავალმნიშვნელოვანდ გადახედეს ერთმანეთს, მამამ ფრთხილად თქვა:

---

* ნორვეგიული მილი შეადგენს 11,2 კმ-ს.

– ძალიან ბევრი სიახლეა ერთბაშად, ასე უცებ ვერ გადავჭრით მათ.

– გარდა ამისა, არ ველოდით ასეთ მნიშვნელოვან სიახლეს, თანაც ისე, როგორც ჩვენ მივიღეთ ის, – დაუმატა დედამ.

ჰანსი დაფიქრდა და თქვა:

– თქვენ მართალი ბრძანდებით, რა თქმა უნდა. მილდრიდს, უპირველეს ყოვლისა, მშობლებისთვის უნდა ეკითხა ამის შესახებ. მაგრამ ჩვენ ხომ თვითონაც არ ვიცოდით, რითი დამთავრდება ეს, ხოლო როცა გავიგეთ, უკვე გვიან იყო ყველაფერი. აქ ერთად მოსვლის გარდა არაფერი გვრჩებოდა, რაც გავაკეთეთ კიდეც. ნუ იქნებით ჩვენს მიმართ მეტისმეტად მკაცრნი.

ამის საპასუხო არაფერი ჰქონდათ. სიმშვიდე, რომელსაც ინარჩუნებდა ჰანსი, მის სიმართლეში გარწმუნებდა. თანაც მამამ შენიშნა, რომ ჰანსს ჯიბრში ვერ ჩაუდგებოდა, რადგანაც დიდი იმედი არც საკუთარი თავისა ჰქონდა, ამიტომ ამჯობინა სწრაფად მოეთავებინა საქმე.

– ჩვენ არ გიცნობთ შენ, – შეხედა სასიძოს მან, – უნდა ვიფიქროთ.

– ჰო, ასე აჯობებს, – დაუმატა დედამ, – ზედმეტი არ იქნება იმის გაგება, თუ ვის ატან შენს ქალიშვილს.

მილდრიდმა იგრძნო, რამდენად შეურაცხმყოფელი იყო ეს სიტყვები ჰანსისთვის და ვედრებით აღსავსე მზერა ესროლა წამით.

– დიახ, ეს მართალია, – უპასუხა ჰანსმა, იგი ანგარიშმიუცემლად ატრიალებდა თოფს, – თუმცა არა მგონია, თქვენ ჩემზე უკეთ იცნობდეთ ვინმეს ამ არემარეში. თუ ცუდი თქვა ვინმემ ჩემზე? – თვალი თვალში გაუყარა მათ.

მილდრიდი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა მშობლების გამო. მათ თვითონაც იგრძნეს, რომ მეტისმეტად შეტოპეს და უნდობლობა გამოინვიეს მასში, ეს კი მათ არ უნდოდათ.

– არა, ცუდი ჩვენ არაფერი გაგვიგია შენზე, – ერთხმად განაცხადეს მათ. დედამ კი მაშინვე დაუმატა, რომ მათ საერთოდ

ცოტა რამ თუ იციან მასზე, რადგან ხმები ჰაუგენთა ოჯახის შესახებ იშვიათად აღწევს აქამდე. მას არ უფიქრია, რომ ამ სიტყვებით შეიძლება შეურაცხეყო ჰანსი, მაგრამ ქმრისა და მილდრიდის სახეებზე მიხვდა, რომ უტაქტობა ჩაიდინა.

პასუხმა დაიგვიანა.

– თუ ტინგვოლდელ ნათესავებს არ აინტერესებდათ ჰაუგენების ოჯახი, ამაში ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენ ხომ ბოლო ხანებამდე ღარიბები ვიყავით.

პასუხში საყვედური გაისმა. მისი სამართლიანობა სამივემ იგრძნო. ამ ღვთისმოსავსა და თავის დარდში დანთქმულ წყვილს ერთხელაც არ მოსვლია თავში, რომ მათ დაავიწყდათ თავისი ნათესაური ვალი. ერთხელაც არ დაფიქრებულან, რომ ჰაუგენის ღარიბი მოსახლეები არ უნდა იტანჯებოდნენ იმ უბედურობათა გამო, რომლებშიც ბრალი არ მიუძღვით. მოხუცები უხურხულობისაგან ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და, დარცხვენილნი, ხმის ამოუღებლად ისხდნენ. ჰანსს ძალზე მორიდებით ეჭირა თავი, თუმცა დიასახლისის სიტყვებზე მართლაცდა ეტკინა გული. მოხუცები მიხვდნენ, რომ ამაოდ აწყენინეს ჩინებულ აახალგაზრდას და უნდოდათ გამოესწორებინათ თავისი ორმაგი დანაშაული.

– ვიფიქრე, იქნებ დარჩე და ისადილო ჩვენთან, – თქვა მამამ.

– შემოდი, დაჯექი, – დაუმატა დედამ და ორივე ადგა.

ჰანსმა თოფი მიაყუდა კედელს ქუდთან ერთად და სკამთან მივიდა, რომელზეც მილდრიდი იჯდა. მილდრიდი, თვითონ არ იცოდა რატომ, ადგა. დედამ, სადილს მივხედავო, თქვა და წავიდა. მამამ დააპირა მას გაჰყოლოდა, მილდრიდმა კი ჰანსთან მარტო დარჩენა არ ინდომა და, სანამ მშობლების თანხმობას მიიღებდა, თვითონაც კარისკენ გაემართა. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ მიდიოდა იგი ეზოში ბებიის სახლისკენ. მამას ეუხერხულა სტუმრის მიტოვება, იგი დაბრუნდა და დაჯდა.

მამაკაცებმა გარეშე საქმეებზე გააბეს საუბარი: ნადირობაზე, საზაფხულო მშენებლობებზე მოაგარაკეებისთვის და მათ-

გან შემოსავლებზე. მერე ლაპარაკი ჰაუგენის ხუტორზე ჩამოვარდა, მინის დამუშავებასაც შეეხნენ. ჰანსის სიტყვებიდან მამისთვის ნათელი გახდა, რომ ჰაუგენი ახლა ფრიად ცხოველი და შემოსავლიანი ადგილი იყო.

დედა ფუსფუსებდა, ხან შედიოდა, ხან გადიოდა სადილის მზადებისას და ზოგი რამ ჰანსის პასუხებიდანაც გაიგონა. მოხუცები ახლა არხეინად გრძნობდნენ თავს და თამამად უსვამდნენ კითხვებს.

სადილობისას ყველამ შენიშნა ჰანსის თავაზიანობა. მამა სუფრის თავში იჯდა, ჰანსი – მილდრიდისა და დედის პირდაპირ. მსახურებმა უკვე ისადილეს სამზარეულოში, სადაც პატრონები მათთან ერთად სადილობდნენ ჩვეულებრივ, – დღეს მათ არ უნდოდათ, რომ დანარჩენ სახლეულს ჰანსი ენახა. მაგიდასთან მილდრიდმა ყურადღება მიაქცია, რომ ყოველთვის, როცა ჰანსს ეღიმებოდა, დედა ყურადღებით უყურებდა თავის ქალიშვილს. ჰანსის მკაცრ გამომეტყველებას ღიმილი სირბილეს სძენდა. ყველა ეს მცირე დაკვირვება მილდრიდს სასიკეთო დასასრულის იმედს უსახავდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული თავის თავში მაინც არ იყო. დაძაბული მოლოდინის ატანა მის ძალებს აღემატებოდა და ისიც, ნასადილევს, კვლავ ბებიასთან გაემართა.

მამაკაცები ხუტორს ათვალიერებდნენ, თან გულმოდგინედ უვლიდნენ გვერდს ადგილებს, სადაც ისინი შეიძლებოდა მსახურებს ან ბებიას შეემჩნიათ. მერე ისევ სახლში შევიდნენ და დასხდნენ. ამასობაში დედაც მორჩა სამზარეულოში ფუსფუსს და ისიც შევიდა. საუბარმა სულ უფრო გულითადი ხასიათი მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უკვე მოსაღამოვდა, დედა იმდენად გათამამდა, რომ გაბედა და ჰანსს სთხოვა ეამბნა მისთვის, როგორ მოხდა ეს ყველაფერი მასა და მილდრიდს შორის, – ქალიშვილს ხომ ვერა და ვერ დააცდენინეს სიტყვა. ამ კითხვამ, სუფთა ქალური ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე რომ იქნა დასმული, ფრიად გაახარა ჰანსი.

თავისი პირველი შეხვედრის შესახებ მას სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ სამაგიეროდ ფრიად ხალისიანად და დანვრილებით უამბო მათ წინა დღის მოვლენებზე, როგორ მიირბინა ბერეტმა მასთან, რა სულიერ ტანჯვასაც განიცდიდა მილდრიდი, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა მშობლების საკითხი, როგორ იპოვეს იგი ქანცგაცლილი, სულითა და ხორცით გაწამებული, ეული და გაუბედურებული, მინდორში მძინარე, და ყველაფერ ამაში მშობლები ცნობდნენ თავის სათნოსა და საყვარელ ქალიშვილს. დედამ იგრძნო, რომ მან მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინა მისადმი.

მილდრიდზე ამბების თხრობისას კი ახალგაზრდა, თავისდა უნებურად, თავის თავზე ჰყვებოდა. მისი ყოველი სიტყვა მილდრიდისადმი სიყვარულით იყო განათებული და ეს ახარებდა მოხუცთ. მალე ეს თვითონ ჰანსმაც იგრძნო და გაუხარდა. ჩანდა, რომ მშობლები ძალიან კმაყოფილი იყვნენ. ჰანსმა უჩვეულო გულგახსნილობითა და ვაჟკაცური შემართებით უბრალოდ მოხიბლა ისინი. მისადმი სიმპათია და ნდობა თანდათან გაიზარდა. დედამ ალერსიანი ღიმილით ჰკითხა:

– თქვენ, ეტყობა, ქორწილზეც მოილაპარაკეთ უკვე. ასეთ სიჩქარეში ვის გაახსენდებოდა მშობლები?!

მამამაც გაიღიმა, რათა გაემხნევებინა იგი, ჰანსმა კი, პასუხის ნაცვლად, საქორწილო მარშის მოტივზე, ამ შემთხვევის შესაფერისად, წაიმღერა:

– „აბა, დაუკარ, მევიოლინევ, ბედნიერების გაგვიღე კარი!"

მერე გაიცინა და თავმდაბლად გადავიდა სხვა საკითხზე. ამ დროს მან შემთხვევით რანდის შეხედა: – იგი ფერწასული იჯდა – და მაშინვე მიხვდა, რომ არ უნდა გაეხსენებინა ეს მოტივი. ენდრიდი შემკრთალი უყურებდა ცოლს, ის კი ისე აღელდა, რომ ვეღარ გაუძლო, ადგა და ოთახიდან გავიდა.

– მგონი, რაღაც ზედმეტი ვთქვი, – ჩაილაპარაკა ჰანსმა შიშით.

მოხუცს არაფერი უთქვამს. ჰანსს სულ გაუფუჭდა გუნება. თითქოსდა დააპირა დიასახლისს გაჰყოლოდა უკან, მაგრამ

ისევ დაჯდა და მტკიცება დაიწყო, რომ ვინმეს წყენინება ფიქრადაც კი არ ჰქონია.

– შენ არ შეიძლება გცოდნოდა ეს, – თქვა ენდრიდმა.

– იქნებ ბოდიში მოუხადო ჩემს მაგივრად? – შესთავაზა ჰანსმა. იგი იმდენად უსაზღვრო ნდობას გრძნობდა ახლა ენდრიდის მიმართ, რომ შეეძლო ნებისმიერი რამ ეთხოვა მისთვის.

– არა, მარტო ყოფნა უჯობს. ვიცი მე, მალე გაუვლის.

ჰანსი, სულ ახლახან რომ, როგორც წარმოედგინა, აღარაფერი უკლდა სანუკვარ სურვილთა აღსრულებას, კვლავაც ქვესკნელში დანთქმული აღმოჩნდა. მიუხედავად მამის ძალისხმევისა – როგორმე ენუგეშებინა იგი, ჰანსი სასოწარკვეთილებას მიეცა. ამ დროს ძაღლმა მოირბინა. ამან ცოტათი მიავიწყა საფიქრალი: ენდრიდმა დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა მასზე, მერე თავის ძაღლზეც უამბო, რომელიც, როგორც ყველა მარტოხელას, ძალიან უყვარდა ერთ დროს.

რანდი კი ჩაფიქრებული წინკარის კიბეებზე იჯდა ამ დროს. ქალიშვილის დანიშვნამ, საქორწილო მარშმა – უფრო ძლიერ, ვიდრე ადრე – კვლავაც ჩააფიქრა იგი წარსულზე. იგი ხომ ვერ გაჰყვა თავის საყვარელს, როგორც მისი ქალიშვილი! ესე იგი, სირცხვილი, რომელიც ეკლესიაში წასვლისას იწვნია, დაიმსახურა მან, – ისევე, როგორც ყველა შემდგომი უბედურება: გარშემომყოფთა უნდობლობა, გატეხილი ჯანმრთელობა და შვილების დაკარგვა! დიახ, ახლა ესმოდა, რომ ყველაფერი ეს დაიმსახურა. ესე იგი ყველა ლოცვა, დანაშაულის გამოსყიდვის ყველა ცდა ამაო გამოდგა! თავისი წარსულით დარცხვენილი სასოწარკვეთას მიეცა. მას ესმოდა, რომ ყველაფერში მხოლოდ თვითონ იყო დამნაშავე. კვლავაც ესმოდა, როგორ ქირქილებდა ბრბო მისი პირფერობის გამო, და კვლავაც ტანჯავდა საკუთარი უსუსურობის მტკივნეული შეგრძნება. მაშინაც და ახლაც რატომ ვერ შეიკავა მან თავისი ცრემლები, რატომ დაასხა თავს ლაფი მშობლებს? და რამდენი სიავე მოუტანა მერე ყველაფერმა ამან თვითონვე მას! რატომღა მოჰქონდა თავი

სათნოდ ღვთისა, როცა სრულიად არ იყო ასეთი? ო, როგორ ჩაეფლო იგი ცოდვებში! უბედური და საცოდავი იჯდა იგი, თავი ვერ აეწია და ეჩვენებოდა, რომ ღმერთი განარისხა. მაგრამ ახლა რატომ გაიღვიძა მასში, და თანაც ასე ძალუმად, ამ უკეთურმა გრძნობებმა? ღვიძლი ქალიშვილისადმი შური ხომ არ არის ამის მიზეზი?! არა, არა, შური ეს არ არის, მან კარგად იცის ეს. და უეცრად გონება გაუნათდა. იქნება ქალიშვილმა გამოისყიდოს თავისი ქორწილით ყველა მისი შეცოდება? ძალუძთ კი შვილებს გამოისყიდონ ჩვენი ცოდვები? ძალუძთ, რა თქმა უნდა, ძალუძთ! ისინი ხომ ჩვენი ქმნილებები არიან, ჩვენი მომავალი?! განა სამართლიანობა და გულწრფელობა, რომელთაც იგი უნერგავდა მილდრიდს, თვითონ მასში არ იყო ფესვგადგმული? მაგრამ ამისთვის ბავშვებთან ერთად ყოფნაა საჭირო და ყველაფრისადმი ღრმა სინანულითა და მადლიერებით დამოკიდებულება.

ვერც მოასწრო რანდიმ ყველაფრის გააზრება, რომ მხურვალედ, უკიდურესი მოწიწებით აღავლინა ლოცვა უზენაესის მიმართ. და ნათლად დაინახა, რასაც წარმოადგენდა იგი უიმისოდ. იგი მოწყალებას შესთხოვდა მას და გრძნობდა, რომ რაღაც ახალი იღვიძებდა მასში. ყველა ანგარიში წარსულთან გასწორებული ჰქონდა, ეს უკანასკნელი საზღაური იყო, ასე ძვირად რომ დაუჯდა მას! ცრემლები წასკდა, ადგა და მიმოიხედა. უჩვეულო სიმსუბუქე იგრძნო, თითქოსდა ტკივილისაგან განეკურნა მავანს. მოსვლია ასეთი რამ ადრე? არა, ამგვარად, როგორც ახლა, არასოდეს! როგორც იქნა გამარჯვებას მოესწრო! იგრძნო, რომ კვლავაც ძველი რანდი გახდა. ბორკილები, რომლებიც ბოჭავდა, დაიმსხვრა. იგი მიდიოდა და სულისა და ხორცის თითოეულ მოძრაობაში შეიგრძნობდა საკუთარ თავს. მაგრამ, განა დროს არ არის ახლა, რომ განკურნების გამო, ღმერთის შემდეგ, მადლობა გადაუხადოს თავის ქალიშვილს? დაე, ისიც სრულად დატკბეს ბედნიერებით. იგი დედამთილის სახლისკენ გაემართა და ბანზე ავიდა. ოთახში მსხდომთაგან ვერავინ იცნო მისი ნაბიჯები. მან კარი შეაღო და ქალიშვილს

დაუძახა. ბებიამ და შვილიშვილმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს: ზღურბლზე რანდი იდგა, და ამავე დროს იგი არ იყო რანდი.

– რა მოხდა? – მიეჭრა მილდრიდი დედას.

პასუხის ნაცვლად დედამ დაიხია, კარი მიიხურა – ორნი იყვნენ მხოლოდ წინკარში – და ქვითინით ჩაეხვია ქალიშვილს. იგი მხურვალედ იკრავდა გულში მას და კოცნიდა, კოცნიდა, კოცნიდა... ქალიშვილიც ასევე პასუხობდა მთელი გულით.

– ღმერთმა დაგლოცოს და გაბედნიეროს, შვილო ჩემო! – ჩურჩულებდა დედა.

მამაკაცებმა ფანჯრიდან დაინახეს, როგორ გადმოჭრეს ეზო ხელიხელჩაკიდებულმა დედამ და შვილმა და თანაც ისე ჩქარი ნაბიჯებით, რომ ჰანსი და მამა მოლოდინში გაირინდნენ. კარი გაიღო და ისინი აჩქარებით შემოვიდნენ. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ქალიშვილი საქმროსთან მიეყვანა ან მისთვის, ან ქმრისთვის რაღაც ეთქვა, დედამ კვლავ მიიზიდა მილდრიდი და მხურვალედ ჩაიკრა გულში.

– ღმერთმა დაგლოცოს და გაბედნიეროს! – გაიმეორა მან აღელვებით.

მალე ოთხივემ ბებიას მიაკითხა. დედაბრის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან უკვე კარგა ხანია იცოდა შვილიშვილებისგან, ვინ იყო ჰანსი, და ახლა ისე აღიქვა ეს ქორწინება, როგორც რძლისა და ვაჟიშვილის ცოდვათა მონანიება. თვითონ ჰანსიც ძლიერ მოეწონა მხიარულ დედაბერს! ყველანი გვიანობამდე დარჩნენ ბებიასთან. განშორების წინ მამამ ფსალმუნი იგალობა, მერე ლოცვანიდან წაიკითხა ის ადგილი, რომელიც იწყება ასე: „ღმერთმა ინება ჩვენს სახლში მოსვლა!"

ცოტაღა დაგვრჩა სათქმელი მათი შემდგომი ცხოვრების შესახებ. ორი დღე ან, უფრო ზუსტად, ორი შემთხვევაა განსაკუთრებით აღსანიშნავი.

პირველი – ქორწილის დღე. ინგა, ბიძაშვილი, რომელიც გათხოვილი იყო უკვე, პატარძალს ეხმარებოდა მორთვაში.

ჩაცმა ზემოთ ხდებოდა, პატარა ოთახში, სადაც ინახებოდა ძველებური სკივრი. სკივრში ეწყო გვირგვინი, ვერცხლის სარტყელი, ყელსაბამი, ბალთები, ბეჭდები და სხვა საოჯახო ძვირფასეულობა. სკივრის გასაღები ბებიას ჰქონდა. იგი თვითონ მოვიდა მის გასაღებად, და ბერეტმა მოაცილა, როგორც ერთგულმა ადიუტანტმა. მილდრიდს უკვე ეცვა საქორწილო კაბა, სკივრიდან კი იღებდნენ და იღებდნენ სამკაულებს, რომლებიც ისე გახეხეს ბებიამ და ბერეტმა წინა კვირას, რომ ახლა თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ. მილდრიდი ერთიმეორის მიყოლებით იკეთებდა ყველას. ბერეტს სარკე ეჭირა მის წინ, ბებია კი ტინგვოლდის საგვარეულოს პატარძლებზე ჰყვებოდა, რომლებსაც თაობიდან თაობამდე ამ სამკაულებით რთავდნენ, და ირწმუნებოდა, რომ მათში ერთიც არ ერია ისეთი, რომელიც ქორწილის დღეს ისე ბედნიერი ყოფილიყოს როგორც დედამისი, ასლაუგი. უცებ ეზოში საქორწილო მარში დაუკრეს და ყველა იქით გაექანა. გზაზე მათ თვალებგაბრწყინებული ენდრიდი შეხვდათ. საერთოდ იგი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიხვედრილობით და იშვიათად თუ მოიფიქრებდა რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ ამჯერად თავი ისახელა! ჰანს ჰაუგენისა და მისი ნათესავების გამოჩენისას ეზოში, თითქოს გონება გაუნათდა მას: მუსიკოსებს უხმო, უბრძანა თადარიგი დაეჭირათ და სტუმრებს საქორწილო მარშით დახვედროდნენ. ამან, ეტყობა, სიამე მოჰგვარა მათ.

საათის შემდეგ, როცა მეფე-დედოფალი, მშობლები და სტუმრები წყვილ-წყვილად ჩამწკრივდნენ, მუსიკოსები საქორწილო პროცესიას თავში ჩაუდგნენ და კვლავ აჟღერდა საქორწილო მარში.

ჩვენს ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი მომენტები, როცა ყველაფერი ხელს გვიწყობს, – ასე იყო ამჯერადაც. მზის სხივებით გაბრწყინებული საქორწილო პროცესია ტინგვოლდიდან დაიძრა. ეკლესიასთან იმდენი ხალხი იდგა, რამდენიც არასოდეს ენახათ აქ. ყველას კარგად მოეხენებოდა ტინგვოლდის საგვარეულოს ამბავი, ასე მჭიდროდ რომ უკავშირდებოდა საქორწი-

ლო მარშს, რომლის საზეიმო ჰანგები ამჯერადაც მიაცილებდა მეფეს, დედოფალსა და მხიარულ სტუმრებს.

და რადგანაც ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში, პასტორმაც თავისი ქადაგებისთვის ის ადგილი აირჩია საღმრთო წერილიდან, სადაც ლაპარაკია ბავშვებზე: – ბავშვები გვირგვინია ჩვენი დიდებისა, რომელიც თავს დაგვნათის ჩვენ და ასახავს ჩვენს სამართლიანობას, ჩვენს ღვთისმოსაობასა და ჩვენს შრომისმოყვარეობას.

ეკლესიიდან გამოსვლისას ჰანსი შეჩერდა და რაღაც უთხრა მილდრიდს. ბედნიერებისაგან ფრთაშესხმულ მილდრიდს არაფერი გაუგონია, მაგრამ მიხვდა, რასაც სთხოვდა იგი. ჰანსს სურდა, რომ დღევანდელ დღეს იგი ყვავილებით მოსულიყო დიდებულად მორთულ ჰანს ჰაუგენის საფლავთან. მათ ისე ახლოს ჩაუარეს საფლავს, რომ ტანსაცმლის კალთებით ლამის წამოედნენ. მშობლები მშვიდად მიჰყვებოდნენ უკან.

მეორე შემთხვევა რანდისა და ენდრიდის, უკვე ბებია-ბაბუის, სტუმრობა იყო ჰაუგენში. ჰანსმა მაინც თავისი გაიტანა და ქორწილის შემდეგ ჰაუგენში დასახლდნენ, მან თავის თავზე აიღო ტინგვოლდის პატრონობაც. მთელი ამ სტუმრობიდან ჩვენ მხოლოდ ერთ გარემოებას აღვნიშნავთ. როცა რანდიმ მხიარული შეხვედრისა და გემრიელად დანაყრების შემდეგ კალთაში ჩაისვა შვილიშვილი და საქორწილო მარში უმღერა ბიჭუნას, ქალიშვილმა გაკვირვებისაგან ტაში შემოჰკრა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და გაჩუმდა. ჰანსმა ენდრიდს სასმისი შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო, მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო: მათ მრავალმნიშვნელოვნად შეხედეს ერთმანეთს და ამით თითქოსდა მიესალმნენ საქორწილო მარშს.

1872

ცხოვრების სისრულე
და
უკიდეგანობა

ნობელის პრემიის გადაცემისას
წაკითხული ლექცია

თარგმნა
სოსო გოლიაძემ

ცხოვრების სისრულე და უკიდეგანობა

ვიმედოვნებ, რომ ჩემთვის ბოძებული პრემია საზოგადოების მიერ აღქმული იქნება ვითარცა ძღვენი ერთი ხალხისა მეორისთვის. იმ ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ, რომელსაც მე ვაწარმოებდი უნიაში ნორვეგიის თანასწორი უფლებებისათვის და რომელიც არცთუ იშვიათად შვედეთში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, ის, რაც აქ ხდება, თქვენს ქვეყანას პატივს მიაგებს.

ვისარგებლებ ამ შემთხვევით და საკუთარ მოსაზრებებს გაგიზიარებთ პოეზიის დანიშნულებაზე.

ვეცდები, სიტყვა არ გამიგრძელდეს.

დავიწყებ ერთობ უბრალო ხატოვანებით, ჭაბუკობიდანვე თანამდევი რომ იყო ჩემი. როდესაც დავფიქრდები ხოლმე კაცობრიობის ისტორიაზე, ის უსასრულოდ წარმომესახება, შეუჩერებლივ მდინარედ. იგულისხმება, რომ ეს სვლა ნიადაგ სწორხაზოვანი არაა, ოღონდ ყოველთვის წინაა მიმართული. მას წაიმძღვარებს დაუოკებელი ძალა, თავდაპირველად ინსტიქტური, შემდგომ სულ უფრო და უფრო გაცნობიერებული, ოღონდ არა ბოლომდე, რამეთუ ჯერხნობით არავის ხელეწიფება გონებით მოთოკოს განვითარების ინსტინქტი. ამ გაცნობიერებულისა და გაუცნობიერებლის ნაზავში პოულობს თავის ადგილს წარმოსახვა, თანაც ზოგიერთ ადამიანს წარმოსახვის უნარი ისეთი ძალით აღუჩნდება, რომ აზრს წინ უბიძგებს. ასეთი ხალხი, განჭვრეტის ნიჭით დაჯილდოებული, პირველ რიგებში აღმოჩნდება, გზამკვლევია, კაცობრიობის ქარავანს გზას უჩვენებს.

არაფერი ისე არ აყალიბებს ჩვენს ცნობიერებას, როგორც გამოცდილება იმისა, თუ რა არის საზიანო და რა – სასარგებლო. ეს გამოცდილება ჩვენი ცნობიერების ნაწილად გადაიქცევა. აი, რის

გამო მეჩვენება უცნაურად მსჯელობა, რომ სამუშაოს შედგომისას მწერალმა, თურმე, უნდა უკუაგდოს თავისი შეხედულებანი კეთილისა და ბოროტის შესახებ, რომ მისი აზროვნება ვალდებულია დაემსგავსოს ფოტოაპარატს, რომლისთვისაც სულერთია რას გადაიღებს – კარგს თუ ცუდს, მშვენიერს თუ უგვანს.

არ შევჩერდები კითხვაზე, ძალმოსილია თუ არა თანამედროვე ადამიანი, ჯანსაღი, ცხადია, გათავისუფლდეს იმ მემკვიდრეობისაგან, რომელიც წარმართავს კაცობრიობას პრეისტორიული პერიოდიდან მოკიდებული ჩვენს დღეებამდე. მხოლოდ ერთი კითხვით შემოვიფარგლები: ამ უსაფუძვლო თეორიის დამცველნი ვითარ ირჩევენ ამა თუ იმ სახეებს და არა სხვაგვართ? როგორ ხდება ყოველივე ეს? წმინდა მექანიკურად? მაშინ, ასეთ შემთხვევაში, რატომაა, რომ ყველა ეს სახე უღირსია? განა არ არის ეს მიკერძოება? ვფიქრობ, ამაზე პასუხის გაცემა არ ღირს. ისინი ძალმოსილნი არიან, უკუმოისროლონ ზნეობრივი მემკვიდრეობა იმაზე არც თუ მეტად, ვიდრე ჩვენ. მთელი განსხვავება ისაა, რომ ჩვენ ამას ვიზიარებთ, ისინი კი ამის საწინააღმდეგოდ იბრძვიან. სწრაფადვე დავამატებ, რომ ყველაფერი ის, რაც პირველი შეხედვით ამორალურად გვესახება, მართლა არაა ასეთი. დღეს საზოგადოდ გაზიარებული იდეები ოდესღაც რევოლუციურნი გახლდათ. მსურს წარმოვაჩინო, რომ მწერლები, რომელნიც ტენდენციურობის გამო ლიტერატურის მიმართ საყვედურს გამოთქვამენ, საკუთარი შემოქმედებით ადასტურებენ, რომ მათაც დაეძებნებათ ტენდენციები. ლიტერატურის ისტორიამ დამარწმუნა: რაც უფრო მეტ სულიერ თავისუფლებას ითხოვს მწერალი, მით უფრო ტენდენციურია იგი. უდიდესი ბერძენი პოეტები განაგებდნენ ღმერთთა და ადამიანთა სამყაროსაც. შექსპირის შემოქმედება უზარმაზარი ვარჰალაა, ხან შუქით ფენილი, ხან – საავდრო ღრუბლებით მოსილი. მისთვის ცხოვრება წარმოადგენს აღორძინებას ახალი ბრძოლისთვის, ოღონდ იმგვარი ბრძოლისთვის, რომელიც წარმართულია პოეტის სიმართლით, მისი მაღალი რწმენითა და ცხოვრების ულევი სიუხვით.

რა ვუყოთ პარიკებსა და მოდურ სამოსში გახვეულ მოლიერსა და ჰოლბერგის პერსონაჟებს? ჩვენ გამოვიხმობთ ხოლმე მათ საფლავებიდან და ისინიც მორჩილად მოგვეახლებიან, მანერულად ჟესტიკულირებენ, ასრულებენ მათზე დაკისრებულ მისიას, რამეთუ ტენდენციითაა გაჟღენთილი მათი თითოეული სიტყვა.

უკვე ვახსენე ვარჰალა. განა ჩვენი ვერ ვხედავთ, რომ გოეთემ და შილერმა გერმანული ვარჰალა განაზავეს ბერძნული ელიზიით? ცა ოდნავ მაღალი და თბილი გახდა, ხელოვნება და ცხოვრება – უფრო მშვენიერი და ხალისიანი. და განა ვერ ვამჩნევთ, რომ იმათში, ვის პიროვნებაშიც აირეკლა მათი ნათება – ცეგნერი, ელენშლეგერი, ვერჰელანი, რომ აღარაფერი ვთქვათ ბაირონსა და შელიზე – არის რაღაც, ბერძენთა ღმერთებისეული?!

ეს დრო წავიდა, მისი ტენდენციაც მასთან ერთად. ახლა მსურს მივმართო თანამედროვეობას და ჩვენი დროის ორ უდიდეს პიროვნებას. ერთი, ჩემი ძვირფასი მეგობარია, ის ახლა ავადაა. მან აღმართა შუქურათა წყება ნორვეგიის სანაპიროზე, რომლებიც მთელ მსოფლიოს უნათებენ, საშიშროებას უთვალისწინებენ. ვხედავ მეორე დიდ მოხუცსაც, რომლის სამშობლოც აღმოსავლეთით გვესაზღვრება. იგი სიკეთის ზღურბლთან დგას და შიგნით გვეპატიჟება. ორივეს მრავალწლიანი შემოქმედება გაჟღენთილია ტენდენციით, რომელიც დროდადრო ძლიერდება მსგავსად კოცონის ალისა, ქარი რომ აძლიერებს. არაფერს ვამბობ, რომ სახელდობრ ტენდენცია ზემოქმედებს ხელოვნებაზე. მას ძალუძს, ხელოვნებას შთაბეროს განუმეორებელი ცეცხლი, მაგრამ შესაძლოა მიანავლოს კიდეც.

არ ვაპირებ იმის მტკიცებასაც, რომ იქ, სადაც ტენდენცია და ხელოვნება შეესატყვისებიან ურთიერთს, ყველაფერი სრულყოფილად მშვენიერია. ახლა გავიხსენე ორი დიდი მოხუცი. ხდება ხოლმე, რომ პირველი ისე მკაცრად გვაფრთხილებს, რომ გვაშინებს კიდეც, ხოლო მეორე გვამუნათებს იდეალით, რომელიც რამდენადმე აღმატებულია ჩვენს შესაძლებლობებზე და ამით ასევე გვაშინებს. ჩვენთვის კი აუცილებელია ის, რაიც გვმატებს მხნეობას და არა ის, რაც გვაძაბუნებს. შიშმა

გზა-შარადან ვერ უნდა გადაგვაგდოს, ქარავანი უნდა ვიდოდეს. ჩვენ გვჭირდება დაჯერებულობა თვით ცხოვრების დაუშრეტელ კეთილდღეობაში, რომ ყველა საშინელებისა და ტრაგიკული დანაკარგის შემდგომ დედამინას კვლავ გადმოეფინება მათრობელი მდინარება, დაუშრეტელი წყაროსთავიდან რომ მოედინება. ეგ წყარო ასაზრდოებს ჩვენს რწმენას.

აი, რის გამოისობით ვაფასებ ასე ამაღლებულად თანამედროვე პოეტთა შორის ვიქტორ ჰიუგოს. მისი მოკაშკაშე წარმოსახვა შეზავებულია ცხოვრების უსასრულო სიუხვის შეგრძნებით. არცთუ იშვიათად საუბრობენ მის ნაკლოვანებებზე, სწამებენ თეატრალობას. დაე, ასე იყოს, მაგრამ ჩემთვის ეს ნაკლოვანებები მხოლოდღა წვრილი ლერწმის ღეროებია, ცხოვრებისეული ნიავქარი რომ წაიღებს წარსულში.

თვითგადარჩენის ინსტინქტი ითხოვს სიუხვეს, ზესიუხვეს, რომლის გარეშე ცხოვრება შეწყდებოდა. ყოველი სახე-ხატი, მოკლებული აღმატებულ სიუხვეს, ყალბია.

ცდება ის, ვინც ამტკიცებს, რომ ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები თავისთავადაა ბოროტება.

არა!

რა თქმა უნდა, ყოველთვის დაიძებნება სუსტი სულიერებანი და მხდალი ეგოისტები, რომელთაც ეშინიათ უხეში სიმართლისა, მაგრამ ჩვენ მათ არ ვგულისხმობთ. თუკი ის, ვინც განასახიერებს საშინელსა და სამარცხვინოს, ძალმოსილია თავისი ასახვის საგანზე აღგვამაღლოს დაუმხრობელი დამაჯერებლობით, ცხოვრების ყოვლისმომცველი ზეიმის სიუხვით, მაშინ დიახაც ვერწმუნებით: ეს სიტყვები და ქცევები, ეს საშინელება და სირცხვილი გამოაღებს ცხოვრების საიდუმლოების კარიბჭეს და ჩვენ ვალდებულნი ვართ გადავიტანოთ საშინელება და სირცხვილი, ბოლომდე მინდობილნი ნებას წინამძღოლისას, მაგრამ ვაი, რომ მწერალთა უმრავლესობას ვერ ძალუძს ჩვენში ამგვარი შეგრძნების გამოწვევა, თუკიღა, საერთოდ, ისინი ამისაკენ ისწრაფვიან. და მაშინ ჩვენ გულგაცრუებულნი ვართ ორმაგად: პირველ რიგში იმის გამო, რომ ცხოვრება მწირია, მეორე მხრივ

კი იმიტომ, რომ ჩვენი წინამძღოლი უძლურია, უძლურება კი აუტანელია.

რამდენადაც მძიმეა ტვირთი, რომელსაც წამოიკიდებს ადამიანი, იმდენად ძლიერი უნდა იყოს იგი. ნებისმიერი სიტყვის წარმოთქმა ეგების, ნებისმიერი საგნის გამოსახვა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ მისგან, ვისაც ეს ხელეწიფება.

ცხოვრების სისრულე და უკიდეგანობა – აი, რას ვეძიებთ ჩვენ ხელოვნებაში, მკაცრად მქუხარე ქარიშხალსა და ცვარის უმცირეს წვეთში. ჩვენ ბედნიერნი ვართ, როდესაც მოვიძიებთ მათ და ვწუხდებით, როდესაც ისინი განქარდებიან.

უძველესი იდეები ჭეშმარიტებად აღიარებულისა და რთულისა, რაც ჩვენს ცნობიერებაშია დავანებული, თავის თავს ავლენს ცხოვრების ყველა სფეროში; ისინი – სიმართლისა და ცხოვრების წყურვილის ძიების ნაწილია. ხელოვნების მიზანია ამ იდეების გავრცელება, მათი მილიონობით გამრავლება, დარად ასლებისა, რომელთა რიცხვი არასოდესაა სასრული.

აი, იდეალი, რომელსაც თავდადებით ვემსახურები და რომელსაც ენთუზიაზმით ვიცავ. მათ რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინაც მიიჩნევს, რომ მწერალი თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. პირიქით, მე ვვარაუდობ, რომ მასზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობს ძევს, ვიდრე სხვებზე; ის, ვინც პროცესიის წინამძღოლია, ვალდებულია, გზა გაკვალოს.

მთელი გულით მადლიერი ვარ შვედეთის აკადემიისა იმის გამო, რომ დააფასა ჩემი გარჯა. თავს ნებას მივცემ, შემოგთავაზოთ სადღეგრძელო შვედეთის აკადემიის საქმიანობისა, მიმართული იმისაკენ, რომ ლიტერატურა იყოს ჯანსაღი და ძლიერი.

სარჩევი

„...ეპიკური და დრამატული ტალანტისათვის" 3

სახიფათო დაწინდვა 7
დათვებზე მონადირენი 12
სიუნიოვე სულბაკენი 20
არწივის ბუდე 141
რკინიგზა და სასაფლაო 145
ზერდაგი 174
საქორწილო მარში 185

ცხოვრების სისრულე და უკიდეგანობა *(სანობელო ლექცია)* ..251

საგამომცემლო ჯგუფი

ნინო გურასპაული
ეთერ კვანჭიანი
თამთა ჯანაშია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი

ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 5
2 25-05-22, 5(99) 53-05-22, 5(99) 55-66-54
www.intelekti.ge
info@intelekti.ge inteleqti@caucasus.net